იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ქიტესაშვილი

ალექსანდრე კალანდაძე - მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლუიზა ხვიჩია - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი

ნინო კოჭლოშვილი- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თელავი

2016 წელი

სარჩევი

შესავალი---3

თავი I. შტრიხები, ფრაგმენტები ალექსანდრე კალანდაძის ბიოგრაფიიდან ---------12

თავი II. მწერლის მებრძოლი გზა--16

§1. „პიასტის ნამუხლარზე“ --17

§2. „მაკიზარებთან“ ---22

§3. „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“ ---------------------------------------31

თავი III. ქართული ისტორიული რომანის ძირითადი მახასიათებლები -----------35

§1. „ნეიშნის ფიცი“---40

§2. „შარავანდედი“ --48

§3. „გარდამოხსნა“ --53

თავი IV. „მწვანე შტო“ და ქართული სალიტერატურო კრიტიკა ---------------------64

თავი V. ალექსანდრე კალანდაძე – მკვლევარი ---------------------------------------75

დასკვნა---135

შესავალი

საკვალიფიკაციო ნაშრომი – „ალექსანდრე კალანდაძე – „მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე“ – წარმოადგენს ცდას, ერთ მთლიანობაში წარმოვაჩინოთ ალექსანდრე კალანდაძის ცხოვრება, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა და ლიტერატურული აზროვნება. წამოვწიეთ ყველა ის პრინციპი და დებულება, რომლებიც საფუძვლად უდევს მეცნიერის, ლიტერატურისმცოდნის, მწერლის ნაშრომებს. ვაანალიზებთ და ვაფასებთ მათ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან. ასახულია ის უდიდესი წვლილი, რომელიც ალექსანდრე კალანდაძეს მიუძღვის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში.

ქართული ლიტერატურისმცოდნეობა, რომელიც თანმიმდევრულად სწავლობს ეროვნული მწერლობის განვითარების გზას, ასეთსავე ინტერესს ვერ იჩენს თვით ლიტერატურისმცოდნეთა ესთეტიკურ-ლიტერატურული ნააზრევის მიმართ. ჩვენი აზრით, აუცილებელია მათი ლიტერატურული მემკვდრეობის მონოგრაფიული შესწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დარგის გააზრება.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო ნაშრომში შევეცადეთ გაგვეშუქებინა XX ს-ის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიტერატურისმცოდნის – ალექსანდრე კალანდაძის ცხოვრება და შემოქმედება, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი. იგი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია XX ს-ის იმ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პლეადისა, რომელთა შემოქმედება, ფიქრი, ტკივილი ამოიზარდა საქართველოს სინამდვილიდან.

ძნელია მოიძებნოს ერის სულიერი ცხოვრების ესა თუ ის სფერო, რომელსაც ალექსანდრე კალანდაძე არ შეხებოდეს. ღრმად განსწავლული, ერუდირებული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე საფუძვლიანად იცნობდა ქართულ და ევროპულ ლიტერატურას, ზედმიწევნით ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას. თვალს თუ გადავავლებთ მის მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან, რომლის ნაფიქრალი და ნააზრევი ყურადღებას იქცევს სიახლით, პრობლემის დასმისა და მისი გადაჭრის საოცარი ოსტატობით. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ალექსანდრე კალანდაძის მოღვაწეობა და

შემოქმედება სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნად დავისახეთ:

- ❖ სრულად წარმოვადგინოთ ალექსანდრე კალანდაძე, როგორც კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, მწერალი. გავიაზროთ მისი მემკვიდრეობა XX ს-ის კრიტიკული აზროვნების განვითარების ფონზე.
- ❖ შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ალექსანდრე კალანდაძის ლიტერატურულიმემკვიდრეობა, შევქმნათ მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი, გავარკვიოთ ლიტერატურულ პროცესებში მისი მონაწილეობის მასშტაბი, განვსაზღვროთ მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც მას ახასიათებს.
- ❖ წარმოვაჩინოთ ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედების ყველა ღირსება; შევაფასოთ იგი თანამედროვე კრიტერიუმების გათვალისწინებით.
- ❖ მეცნიერულად შევისწავლოთ ალექსანდრე კალანდაძის მსოფლმხედველობა და მხატვრულ-დოკუმენტური პროზა; გამოვკვეთოთ ალექსანდრე კალანდაძის, როგორც მეცნიერის, კრიტიკოსის, მწერლის ადგილი XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.
- ❖ გარკვეულწილად შევავსოთ ის ხარვეზები, რომლებიც საკითხის კვლევასთან არის დაკავშირებული. მონოგრაფიულად შევისწავლოთ მწერლის ლიტერატურულ-მხატვრული მემკვიდრეობა,
- ❖ მიმოვიხილოთ ავტორის კრიტიკული წერილები. გამოვკვეთოთ ალექსანდრე კალანდაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. წარმოვაჩინოთ ალექსანდრე კალანდაძის, როგორც პუბლიცისტისა და მოაზროვნის საინტერესო სახე. ძირითადი, რითიც ალექსანდრე კალანდაძის ნაშრომებმა მიიქცია ყურადღება, – ეს იყო მისი არაერთგვაროვნება, ძიების ჟინი, მრავალფეროვნებისადმი მიდრეკილება.

ნებისმიერი მწერლის შემოქმედების სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია ხელოვანის ინტელექტუალური თვალთახედვა, მისი შემოქმედების თეორიული ასპექტი, რომელიც აერთიანებს მწერლის პოლიტიკურ, ეროვნულ, სოციალურ თუ ესთეტიკურ მსოფლმხედველობას.

ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედების მართებული შეფასებისთვის აუცილებე

ლია იმ თეორიული ნააზრევის შესწავლა, რომელიც უსწრებდა ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნას. ამასთან, შეუძლებელია ალექსანდრე კალანდაძის მხატვრული სამყაროს სრულყოფილი აღქმა მისი წერილების გარეშე. ცალკეული პუბლიკაციები, სრულად ვერ წარმოგვიდგენს ალექსანდრე კალანდაძეს, როგორც პუბლიცისტსა და ლიტერატურულ კრიტიკოსს.

სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ დაგველაგებინა ალექსანდრე კალანდაძის ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური ნააზრევი ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით, გადმოგვეცა მწერლის პოზიცია ამა თუ იმ პრობლემაზე, გვეჩვენებინა, რა ჟანრობრივ-თემატური სიახლე შემოიტანა ქართულ კრიტიკულ თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში კრიტიკოსმა და მკვლევარმა-მეცნიერმა. ალექსანდრე კალანდაძის რომანების განხილვისას, ქართული ლიტერატურის ისტორიულ მონაპოვართა გათვალისწინებით, გავაანალიზეთ მწერლის რომანების შედარებით ნაკლებად შესწავლილი მხარეები, დავადგინეთ ალექსანდრე კალანდაძის ისტორიულ რომანთა მხატვრული თავისებურებანი, ძირითადი ტენდენციები და მიმართულება.

საკვლევ საკითხთა წრე ნაშრომში ასეა წარმოდგენილი: წარმოვაჩინეთ პერსონაჟთა ხატვის პრინციპი, რომელშიც ცენტრალურ ადგილს იჭერს გმირის იდეალის განსაზღვრა, როგორი არიან ისტორიული რომანის გმირები, რით გვანან ისინი ერთმანეთს და რა ნიშან-თვისებები განასხვავებს ერთმანეთისაგან. ამ საკითხის ახალი კუთხით კვლევა დაგვანახებს მხატვრული აზროვნების განვითარების ცალკეულ ეტაპებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეული მოსაზრებები და შეხედულებები კრიტიკულადაა შესწავლილი და მის საფუძველზე გამოტანილია კონკრეტული დასკვნები. თუ აქამდე ალექსანდრე კალანდაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა ფრაგმენტულად განიხილებოდა, საკვალიფიკაციო ნაშრომში შესწავლილია მეტ-ნაკლებად ყველა ზოგადი თუ სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია, ვმსჯელობთ ცალკეულ ნაშრომთა თავისებურებებზე და თითოეული შეფასებულია ჩვენეულად. გარკვეულია ალექსანდრე კალანდაძის როლი ქართული კრიტიკული აზროვნების ისტორიაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე უპირატესად განისაზღვრება საკვლევი მასალის აქტუალური პრობლემატიკის წარმოჩენით. მეცნიერულ სიახლედ მიიჩნევა ისიც, რომ

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში პირველადაა განხილული ალ. კალანდაძის ლიტერატურული აზროვნების სათავეები და მისი ფორმირების პროცესი.

დისერტაციაში ალექსანდრე კალანდაძის თხზულებები განხილულია სხვადა-სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობასთან მიმართებით. პირველად ხდება მწერლის რომანების იდეურ-თემატური დაჯგუფება და მათი ამ ნიშნით განხილვა. მწერალი თავის შემოქმედებაში გვთავაზობს ადამიანის კონცეფციის განვითარების მოდელს, რომელიც მუდამ ქვემოდან ზემოთ, უარესიდან უკეთესობისაკენ არის მიმართული. ნაშრომში ახლებურად, XXI საუკუნის გადასახედიდანაა შეფასებული პერიოდი, როცა ალექსანდრე კალანდაძე გამოდის სამწერლო ასპარეზზე.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, ცხოვრების კანონზომიერების ალოგიკური დარღვევა, ადამიანის სულის კვლევა იმდენად თვალსაჩინო და მტკივნეული საკითხებია, რომ მათზე პასუხს ყველა დროისა და ქვეყნის ლიტერატურა ეძებს. ამ ხარკს იხდის ალექსანდრე კალანდაძე თავის შემოქმედებით. მწერლის სტილი რომანტიკულია, ხედვა - რეალისტური.

ალექსანდრე კალანდაძის გამოკვლევებისა და თხზულებების დიდი ნაწილი ეროვნული მეობის პრობლემებს ეხება. ვინა ვართ? საიდან მოვდივართ, ან საით მივყავართ დრო-ჟამის ტრიალს? რა ფუნქცია დაგვაკისრა არსთა გამრიგემ? როგორია ჩვენი ეროვნული ჰაბიტუსი? - აი, საკითხთა სპექტრი, რომლებზე პასუხსაც ეძებს მწერალი.

საქართველო გაუთავებლად არჩევანის წინაშე იდგა. მუდამ გზაჯვარედინზე მყოფი ეძებდა ხსნის გზას. ბედისწერად გადაგვქცეოდა - ევროპა თუ აზია?

ალექსანდრე კალანდაძის რომანებში ისტორიული სიმართლეცაა გამოთქმული და გაფრთხილებაც, – ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება, გარეშე ძალის მიერ პროვოცირებული ტრადიციული ღირებულებების გაუფასურების საფრთხე. ალექსანდრე კალანდაძეს კარგად ესმოდა, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება ორ ჭრილში უნდა დაგვენახა და გაგვეანალიზებინა. სოციალურ-პოლი-ტიკურ ყოფასთან ერთად, ჩვენს რწმენასთან, აღმსარებლობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემაც უნდა გაგვეანალიზებინა და ამ ორი არსის სინთეზის ფონზე მოგვენახა ჩვენი სამომავლო გზა.

ალექსანდრე კალანდაძის მთელი შეგნებული მოღვაწეობა და შემოქმედება საქარ-

თველოს მომავალზე ფიქრს უკავშირდება. როგორც მის წარსულს, ისე აწმყოსაც საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ამ ქვეყანამ საკუთარი, დამოუკიდებელი არსებობის გზა უნდა მონახოს. ვერც აღმოსავლეთისაკენ და ვერც დასავლეთისაკენ სწრაფვამ ვერ შეძლო საქართველოს თვითმყოფადობის, მისი პოტენციური შესაძ-ლებლობების გამოვლენა-განვითარება. ვერც აზია და ვერც ევროპა ვერ უზრუნ-ველყოფს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას. საქართველომ მესამე გზა უნდა იპოვოს და ეს მესამე გზა მის თავისთავადობაშია, მის დამოუკიდებ-ლობაში დევს. ამ მესამე გზის ფესვები საქართველოს წარსულშია საძიებელი. ალექსანდრე კალანდაძის ეროვნული ცნობიერების მოდელი ქვეყნის წარსულის უღრმეს შრეებში იკითხება. სწორედ ამიტომ, ცნობიერისა და არაცნობიერის ის ფენომენი ასე მძაფრი ზეშთაგონებით წარმოისახება მწერლის შემოქმედებაში. საუკუ-ნეთა განმავლობაში ქართველ ხალხს უხდებოდა ბრძოლა არსებობის შესანარჩუ-ნებლად. ქართველობა ხშირად მდგარა უფსკრულის პირას. დაღვრილი სისხლი წალეკვით ემუქრებოდა ივერიელთა უძველეს მიწას. სისხლი არამარტო მტრის, მოყვრის ხელითაც იღვრებოდა. ეროვნული გადაგვარების პროცესი XIX საუკუნის საქართველოში შეუქცევად სახეს იღებს: ერთი მხრივ, რუსიფიკატორული პოლიტიკა, მეორე მხრივ, სომხური ბურჟუაზიის მიერ ქართული კულტურისა და ეკონომიკის ანექსია. ალექსანდრე კალანდაძე მაქსიმალისტია როგორც ეროვნულ, ისე კულტუ-რულ ასპექტში. გამორიცხავს კომპრომისსა და შეთანხმებას. მისთვის უცხოა ტაქტი-კური უკუსვლები და რევერანსები ეროვნულ საკითხებში. ალექსანდრე კალანდაძის ისტორიულ რომანებში ძირითადი სიუჟეტური ხაზი შიდაპოლიტიკურ ბრძოლას უკავშირდება. ერის პოლიტიკურ კრახს შინაური გათიშვა და ზნეობრივი დეგრა-დაცია იწვევს. გარეშე მტერი შედეგია ხშირად და არა მიზეზი. განდგომილებისა და ეროვნული დაქუცმაცებულობის ტრაგედია განსაკუთრებული სიმწვავითაა გადმო-ცემული მწერლის ისტორიულ რომანებში. ალექსანდრე კალანდაძე, როგორც თავისი შემოქმედებით, ისე მთელი არსებით, საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის იდეის შთამაგონებელია. მისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ინტერესები სამშობლოს - საქართველოს მომავალთან არის დაკავშირებული. ეს მომავალი მას სწორედ თვისუფალი, მთლიანი საქართველოს სახით წარმოედგინა.

სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა გაანალიზებული ალექსანდრე კალანდა-

ძის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები ეროვნული ცნობიერების შესახებ და მათი მხატვრული ტრანსფორმაცია მწერლის შემოქმედებაში. საკითხის ამ მიმართულებით მონოგრაფიული შესწავლა, ფაქტობრივად, პირველი ცდაა. ზემოაღნიშნული განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობასაც, რადგან ალექსანდრე კალანდაძის გამოკვლევებისა და ლიტერატურული წერილების გაანალიზების გარეშე შეუძლებელია მწერლის ეროვნული ცნობიერების სრული წარმოჩენა. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ალექსანდრე კალანდაძის ეროვნული ცნობიერების საკითხი სისტემური, მთლიანი სახით აქამდე არა ყოფილა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედებისა და აზროვნების ამ კუთხით წარმოჩენა მნიშვნელოვანია.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ, რამდენად შეესაბამება ალექსანდრე კალანდაძის მიერ თეორიული ხასიათის წერილებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები იმ მხატვრულ კონცეფციებს, რომლებიც მის შემოქმედებაში იჩენს თავს, განვიხილოთ თეორიული და მხატვრული ნაშრომები ეროვნული პრობლემატიკის გააზრების თვალსაზრისით.

ჩვენი ამოცანაა, ავხსნათ და გავაანალიზოთ, როგორ არის გამოვლენილი ალექსანდრე კალანდაძის ნაწარმოებებში სინამდვილისა და წარმოსახულის ურთიერთკავშირი, მათი მონაცვლეობა, როგორია მწერლის სიმბოლურ-სახეობრივი აზროვნება, როგორ ხდება ლიტერატურულ წერილებში გახმოვანებული ეროვნული იდეების ხორცშესხმა მხატვრულ ნაწარმოებებში.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია თვალსაჩინო ქართველი მწერლების, მეცნიერ-ლიტერატურათმცოდნეთა, ფსიქოლოგთა მხატვრულ-ესთეტიკური და თეორიული დებულებები, ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო კვლევები,რომლებშიც ზოგადად ეროვნული ცნობიერების, მწერლის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი ინდივიდუალური სტილის საკითხებია წარმოჩენილი.

ყოველი ერის სულიერი ცხოვრების ისტორიაში მწერლობას დიდი ადგილი უჭირავს. ქართული მწერლობა, როგორც ჭეშმარიტი მემატიანე, იძლევა ეროვნული ისტორიის კონკრეტული პერიოდების მხატვრულ ანარეკლს. ისტორიას ყველაზე შთამბეჭდავად და სანტერესოდ მხატვრული სიტყვის ოსტატები წერენ. რა თქმა უნდა, მხატვრულ სიტყვაში გაცხადებული წარსული ვერ იქნება რეალურ მოვლენათა ზუსტი ასლი. ის იძლევა ამა თუ იმ ეპოქის ზოგად სურათს ფართო სპექტრით, მწერლის ოსტა-

ტობაზე დამოკიდებული ისტორიული სახეების წარმოჩენით თუ მისივე ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟებით, რომლებიც ასევე გამოხატავენ ეპოქის ნიშანს, სულიერ ხატს. ისტორია აქ წარმოჩნდება არა დროში თანმიმდევრულად განხორციელებულ მოვლენათა ჯაჭვად, არამედ ადამიანის სულში გათამაშებულ დრამად. ქართულმა მწერლობამ არამარტო გამოხატა ქართველი ერის გმირული და, ამასთან, ტრაგიკული ისტორია, არამედ სულიერად გამოაწრთო ქართველი ხალხი გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედების უმთავრესი ღირსება მისი ისტორიული რომანებია. მწერლობის ამოცანაა, მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს ცხოვრების, ეპოქის საზოგადოების ყოფითი სურათები, ყოფიერების პრობლემის წამოჭრა და მათთვის მხატვრული ხორცშესხმა. ისტორიული რომანი ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ეპოქალური ადამიანის სახეს წარმოაჩენს. ისტორიულ რომანებში ახალ სიცოცხლეს იძენს ეპოქები. მაღალი ოსტატობით შესრულებული ისტორიული რომანი მატეანეა, რომელიც წარმოაჩენს ერის განვლილი ცხოვრების უტყუარ სურათებს და თავისი დადებითი წვლილი შეაქვს საზოგადოების სულიერ ფორმირებაში. ყოველივე ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოყოს პლასტები მწერლის მხატვრულ სისტემაში და ხაზი გაესვას მის შემოქმედებით ინდივიდუალობას. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა იმ ნაშრომების შექმნა, რომლებიც ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედებას ახალი კუთხით წარმოაჩენს და მიუთითებს მის აქტუალობაზე.

ალექსანდრე კალანდაძის ისტორიულ რომანებში ასახულია არამარტო წარსულის ცხოვრება, არამედ, შეიძლება ითქვას, მეცნიერული გააზრებით არის მოცემული სადავო პრობლემები. მწერალი სარგებლობს ისტორიული წყაროებით და გამოაქვს პრინციპული დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობაც ის არის, რომ საფუძვლიანად, ახლებურად შეისწავლოს ალექსანდრე კალანდაძის ისტორიული რომანები, რომლებშიც ჩანს მისი პოლიტიკური თუ მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს საუკუნის იდეები და იდეალები, რომელთა გავრცობა და მხატვრულ ასპექტში წარმოსახვა მომდევნო თაობამ ითავა. ილია ჭავჭავაძისეროვნული გეზი და ორიენტაცია მუდამ იყო ალექსანდრე

კალანდაძის სოფლმხედველობის წარმმართველი.

ალექსანდრე კალანდაძის ეროვნული სულისკვეთება თავისთავად გაგრძელება იმ იდეებისა, რომლებიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მომწიფდა საქართველოში. მის ბიოგრაფიულ რომანებში - „ნეიშნის ფიცი", „შარავანდედი", „გარდამოხსნა", „ცეკვა ხანჯლებით", „ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების რომანი" - უპირველესად დაისვა და გადაიჭრა საქართველოს ეროვნული ორიენტაციის საკითხი.

მწერლის ზემოაღნიშნული ნაშრომები ერთი დანიშნულებისაა, - დაგვანახოს საქართველოს ისტორიული მისია, დაგვეხმაროს ეროვნული სულის გაღრმავებაში, აგვიხსნას თითოეული ქართველის ფუნქცია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ისტორიაში.

ალექსანდრე კალანდაძეს როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე ლიტერატურულ გამოკვლევებში კარგად ესმის, რომ ახალი გზების ძიებისა და პოვნის გარეშე არა მხოლოდ ქართველობა, ვერცერთი ერი ვერ დაძლევს დროის მიერ წამოჭრილ ურთულეს პრობლემებს.

მწერალმა თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიული ცხოვრების ასახვას. ეს შემთხვევითი არაა. იგი ისტორიული წარსულისადმი არა მარტო მწერლურ ინტერესს ავლენს, არამედ წარსულის სახეებსა და მოვლენებს თანამედროვე ყოფის მოვლენებს უკავშირებს.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დიდძალი მხატვრული და სამეცნიერო მასალა, დაცული დოკუმენტები.

ომისა და მშვიდობის პრობლემა ყველა ერისთვის და ეპოქისათვის აქტუალური და ამაღელვებელია. საკუთარი ქვეყნიდან რაც უნდა შორს მიმდინარეობდეს ომი, ვერც ერთი საღად მოაზროვნე მოქალაქე სისხლისღვრისა და ძალადობისადმი გულგრილი ვერ დარჩება. მითუმეტეს, მწერალი თავად იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საფრანგეთის პარტიზანული დივიზიის მეთაური. ამ თემას მიუძღვნა ტრილოგია - „პიასტის ნამუხლარზე", „მაკიზარებთან", „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში". ომის დროს და ომის შემდეგ შექმნილი ლიტერატურა ხშირად პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ამ დროისათვის თვალშისაცემი ხდება ომისა და მშვიდობის თემატიკა. აქვე შემოდის იმგვარი თემების ანალიზი, რომლებიც ზნეობის, მორალის, ადამიანის დანიშნულებისა და მისი გრძნობების გამოხატვას ემსახურება. ასევე საინტერესო ხდება

პოლიტიკოსთა ფიგურები და მათი ქმედებათა ანალიზი. ამიტომ გასაკვირი არ არის ალექსანდრე კალანდაძის ამ რომანებსპოლიტიკური ელფერი დაჰკრავდეს. მწერლის მსოფლმხედველობა ეროვნული გადარჩენის იდეის ასპექტით წარმოგვიდგენს ესთე-ტიკურ პრინციპებს. კვლევაც, უპირატესად, ამ კუთხით წარვმართეთ და განსაკუთ-რებული ყურადღება მივაქციეთ ალექსანდრე კალანდაძის ესთეტიკურ მიმართებას ეროვნულ პრობლემატიკასთან.

საკვალიფიკაციო ნაშრომში მოცემული მასალა ყველაზე სრულად და საფუძვ-ლიანად განიხილავს ალექსანდრე კალანდაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, კრიტი-კულად აფასებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედუ-ლებებს, რომელთა შედეგად გამოგვაქვს კონკრეტული დასკვნები და დებულებები.

ნაშრომის ძირითად მეთოოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევისა და ანალიზის ლიტერატურულ-ფუნქციონალური და შედარებითი მეთოდი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოყენებულია არსებული მხატვრული ლიტერატურა, კრიტიკული ნაშრომები, პრესა.ვფიქრობთ, კვლევის ცალკეული ასპექტები, დებუ-ლებები, დასკვნები თავის ადგილს დაიჭერს ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და კრებულებში.

თავი I

შტრიხები, ფრაგმენტები ალექსანდრე კალანდაძის ბიოგრაფიიდან

ალექსანდრე კალანდაძეს ბობოქარი ცხოვრება არგუნა ბედმა, მაგრამ მაინც შემოქმედმა ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა, შეიძლება ითქვას, რომ მან თვითონ შექმნა თავისი არაჩვეულებრივი ხვედრი. ისე მოკვდა, როგორც იცხოვრა - მოკრძალებულად, ვაჟკაცურად, ჩუმად. თუკი მოწიფულ ასაკში დიდი ცხოვრება სიჭაბუკის ოცნების განხორციელებაა, მაშინ ალექსანდრე კალანდაძე ის ბედნიერი ადამიანი ყოფილა, რომელმაც განახორციელა ოცნება - მწერალი, ფილოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ლიტერატურისმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. ბევრი დრო დაკარგა - ჯარი, ტყვეობა, გადასახლება... ამიტომ ყოველ წუთს უფრთხილდებოდა, არ შეეძლო არ ეშრომა. ამგვარ მუხლჩაუხრელობას უნდა ვუმადლოდეთ ასეთ მდიდარ მემკვიდრეობას - თხზულებათა ოცამდე ტომს.

ალექსანდრე კალანდაძე დაიბადა 1916 წლის პირველ ივნისს, საქართველოში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. დაწყებითი განათლებაც აქ მიიღო. როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, კლასიდან კლასში ორჯერ გადაახტუნეს. ასევე დაჩქარებით დაამთავრებინეს ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და თხუთმეტი წლისა ხულოს რაიონის სოფელ ზენდიდში გაანაწილეს მასწავლებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს. პარალელურად სწავლობდა უცხო ენათა უმაღლეს კურსებზე ლიცეუმში გერმანული და ფრანგული ენების განხრით.

1936-1939 წლებში მუშაობდა საგარეჯოს საშუალო სკოლის დირექტორად. 1939 წელს გაიწვიეს ჯარში, სამხედრო სამსახურს იხდიდა დასავლეთის საზღვარზე, ბრესტის ციხე-სიმაგრეში. 1941 წლის 22 ივნისს მოხდა მისი პირველი საბრძოლო ნათლობა. ახალგაზრდა ოფიცერს შაშხანა არ გაუგდია ხელიდან, სანამ დაჭრილი და გონებამიხდილი მტერმა არ ჩაიგდო ხელთ. დაჭრილს აწამებენ ჯერ ბია ლა პადლიასკის საკონცენტრაციო ბანაკში, შემდეგ ლუბლინის ციხეში. მერე კი, სხვა „საშიშ დამნაშავეებთან“ ერთად სადღაც დასავლეთისკენ აგზავნიან. გზაში ნიკოლაი ლუნინთან ერთად ახერხებს გაქცევას, ლოზის მახლობლად, სადაც ადგილობრივებმა

შეიფარეს. მათივე დახმარებით დაუკავშირდა იატაკქვეშელ პოლონელ ანტიფაშისტებს. ფლობდა რა ევროპულ ენებს, ალექსანდრე კალანდაძემ თავი გერმანელად (ფოლკსდოიჩე) გამოაცხადა და წარმატებით გაიარა ე.წ. „რასობრივი შემოწმება“. მისი პარტიზანული სახელი „ფაუსტი“ გახლდათ.

1944 წელს ალექსანდრე კალანდაძემ საფრანგეთში შეაღწია, მოაწყო ქართველ ტყვეთა აჯანყება. იგი ტულუზის ომით ცნობილი საფრანგეთის ინტერნაციონალური სახალხო პოლკის კომისარია. მონაწილეობს ქალაქების - კარმოს, ალბის, კასტრის, როდეზის გათავისუფლებაში. შემდეგ კი, როგორც საბჭოთა სამხერდრო მისიის მეკავშირე ოფიცერი, მონაწილეობს პარიზიდან ოკუპანტების განდევნის ოპერაციაში. პოლონელთა დახმარებით ქალაქ კარმოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში აჯანყებამ იფეთქა. ტყვეებმა მცველები დახოცეს, იარაღი გაიტაცეს და გაიქცნენ. ჟუკევილის მახლობლად, ტყეში რამდენიმე რაზმი მოგროვდა. ასეულის უფროსად ერთხმად აირჩიეს კალანდაძე. ორიოდე დღის შემდეგ ასეულმა მძიმე ბრძოლა გაუმართა დამსჯელ ექსპედიციას. ათასობით ქალმა, მოზარდმა და ბავშვმა ტყეს შეაფარა თავი. პარტიზანებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს ფაშისტ ჯალათებს. რა თქმა უნდა, იყო მსხვერპლი, საძმო საფლავმა საფრანგეთის თავისუფლებისთვის მებროძოლი ათობით ადამიანის ნეშტი მიიბარა. წინ ახალი ბრძოლები ელოდათ. რაზმი ბატალიონამდე გაიზარდა, მისი კომისარი ალექსანდრე კალანდაძე იყო. მათ გაათავისუფლეს კარმო, ალზი, კასტრი, ტულუზა. 1944 წელს გაზეთი „პრავდა“ წერდა, როგორი აღფრთოვანებით შეხვდენენ ფრანგები თავიანთ განმათავისუფ-ლებლებს. ალექსანდრე კალანდაძე პირადად იცნობდა საფრანგეთის ლეგენდარულ პრეზიდენტს - შარლ დე გოლს, ფრანსუა მიტერანს - იმხანად მათ თანამებრძოლს, შემდეგ კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. იქ, ჟუკივილის ტყეებში, შეხვედრია ერნესტ ჰემინგუეის. პარიზის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის, საფრანგეთის შინაგანი ძალების სარდლის, კენიგის 1945 წ. 5 ივნისის №293 ბრძანებით, როგორც „დიდად მამაცი ოფიცერი“, ალექსანდრე კალანდაძე დაჯილდოებულია უმაღლესი საბრძოლო ორდენით - „ომის ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით“ – „დიდად მამაცი ოფიცერი, რომელიც შეურთდა რა საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობას, „მაკის“, თავის რაზმს მუდამ ვაჟკაცობის შესანიშნავ მაგალითს აძლევდა“- ეწერა ბრძანებაში. აქვე, საფრანგეთში შეხვდა და ცოლად შეირთო უმშვენიერესი ქალბატონი, შეეძინათ ვაჟი თამაზ კალანდაძე, რომლის

ნახვას მამა ვერ მოესწრო. 1945 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე კალანდაძე სამშობლოში ბრუნდება. 1950 წელს უსამართლოდ აპატიმრებენ. ე.წ. სასჯელს იხდის შორეულ ნორილსკში. აქედან დაიწყო ის სიძნელეები, რომელსაც არ ელოდა და ნამდვილად არ უნდა შეხვედროდა ასეთ პიროვნებას. 1953 წელს ბრუნდება ამინისტიით და საბედნიეროდ აღწევს სრულ რეაბილიტაციას. ომის გზაზე ასობით და ათასობით ადამიანთა ბედის გაზიარება მოუხდა, რომელთა უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა, მათ შორის იყო მისი ძმაც. იგი გრძნობდა, ვერ შეძლებდა ცხოვრების გაგრძელებას, თუ ამ უმძიმესი შთაბეჭდილებებისგან არ გათავისუფლდებოდა. ალბათ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ალექსანდრე კალნდაძე ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ბრესტის ლეგენდარულ დაცვას, პოლონეთის ანტიფაშისტურ ბრძოლებსა და საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას დოკუმენტური ტრილოგია მიუძღვნა- „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“, „პიასტის ნამუხლარზე“, „მაკიზარებთან“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობაშია ჩაბმული. ჩამონათვალი შთამბეჭდავია: 1966 წელს წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას, ლიტერატურის ინსტიტუტში აყალიბებს ჟურნალისტიკის განყოფილებას, ხელმძღვანელობს სიცოცხლის ბოლომდე. არის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ლიტერატურათმცოდნეთა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი. 1982 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება. მის შესახებ საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას გავეცანით თანამედროვეთა, არაერთ მოგონებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ალექსანდრე კალანდაძე ის იშვიათი გამონაკლისი გახლდათ, რომელსაც არსად, ცხოვრების არც ერთ სფეროში არ ახასიათებდა კომპრომისები. მის მიერ ნაკეთები საქმე, რომელიც ჯერ კიდევ ელის სათანადო დაფასებას, მხოლოდ მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებითაა აღსავსე. მისი ნამოღვაწარის შეფასება ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეიძლება არ იყო, მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ფაქტია, ყოველთვის აღიარებდნენ მის გამორჩეულ ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობასა და პრინციპულობას საქმეშიც და ცხოვრებაშიც. ალექსანდრე კალანდაძისადმი მიძღნილ ნოდარ ტაბიძის წერილში ვკითხულობთ: „მომთხოვნი იყო არა მხოლოდ სხვების მიმართ, არამედ პირველ რიგში

საკუთარი თავისადმი. მთელი ათი წელი ბრძანდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ჟურნალისტიკის სამეცნიერო საბჭოს წევრი და არ მახსოვს, თუნდაც ერთხელ გაეცდინოს სხდომა უმიზეზოდ. ყოველთვის პირველი ცხადდებოდა და აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს მუშაობაში. ზოგისთვის მსგავსი თანამდებობა მხოლოდ პრესტიჟის საქმეა, ზოგისთვის კიდევ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ტრამპლინი. ბატონი ალექსანდრე სულ სხვაგვარად ფიქრობდა. იგი ქართული ჟურნალისტიკის წარსულის და აწმყოს ჭირისუფალი გახლდათ და უშურველადაც იხარჯებოდა“ [ტაბიძე, 2003, 7].

დახასიათების ეს, თითქოს, უმცირესი დეტალი, ისევე როგორც მისი მთელი ცხოვრება და შემოქმედება აძლევს მეცნიერს უფლებას გამოთქვას მოსაზრება, რომელსაც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ: „მას, როგორც მეცნიერს, როგორც მწერალს, როგორც მოქალაქეს, როგორც კაცს - სავსეს პატიოსნებით, უფლება ჰქონდა თავაწეულს ევლო“ [ტაბიძე, 2003, 8].

თავი II

მწერლის მებრძოლი გზა

დოკუმენტურ პროზასა და მემუარულ-სამხედრო ლიტერატურას ზღვა მასალა დაუგროვდა. წერენ მარშლები და გენერლები, ადმირალები და პარტიზანული მოძრაობის მეთაურები, ომგადახდილი მწერლები, კორესპონდენტები... ომის ჯოჯოხეთგამოვლილმა ამ ადამიანებმა ძირისძირიდან, ჯარისკაცის სანგრიდან დაგვანახეს ომის კატაკლიზმები.

უშუალო, წრფელი ნაამბობი ის პირველწყაროა, რომელიც ომის საშინელებას უფრო ემოციურად, უფრო ჟრუანტელისმომგვრელად შეგვაგრძნობინებს. ომის თემის მხატვრული ხედვა ხომ თავისი არსით, საერთოდ, ადამიანის ბუნების უკეთ, უფრო ღრმად წვდომაში გვეხმარება.

საერთო სახალხო ომი თავისებურად ეპიკური მოვლენაა და იგი ეპოპეისათვის მდიდარ მასალას იძლევა. მაგრამ ისიც ფაქტია: ომის თემაზე იქნება თუ სხვა ამბავზე, სამყაროს, ცხოვრების, დროის ატმოსფეროს აღქმა ეპიკურ მასშტაბებს უნდა გულისხმობდეს.

ვინ მოთვლის, დასაბამიდან დღემდე რამდენმა ომმა გადაიგრიალა დედამიწის ზურგზე. ომების ტრაგიკული ამბებით აღსავსეა კაცობრიობის ისტორია. არსი არსთაგანი ამ გაუთავებელი კაცისკვლისა და რბევისა უცვლელი რჩებოდა მუდამ: ადამიანი ადამიანს სპობდა. სახელმწიფოების, იმპერიების, დიპლომატებისა თუ დიქტატორების შეურიგებელი წინააღმდეგობანი არმიებს აღძრავდა, იწყებოდა ნგრევა, იღვრებოდა სისხლი... მიწის ნაჭრისათვის ჯარისკაცს უნდა მოეკლა ჯარისკაცი. იქმნებოდა ომის ქრონიკები, დოკუმენტური მოთხრობები, რომანები...

ალექსანდრე კალანდაძემ სამი დოკუმენტურ - მხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა მეომრის მძიმე ჰეროიკითა და ტრაგიზმით სავსე ცხოვრებას („პიასტის ნამუხლარზე“, „მაკიზარებთან“, „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“). ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად დიდმა უშუალობამ და სიმართლემ ამ რომანებს წარმატება მოუტანა. ალექსანდრე კალანდაძეს თავად აქვს გადატანილი ბრესტის ციხე - სიმაგრის გმირული დაცემაც, საბჭოთა ჯარისკაცების თავგანწირული ბრძოლაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე და შორეული გერმანიისა თუ საფრანგეთის მიწა-წყალზე ვაჟკაცური ამბოხიც.

მწერლმა ალექსანდრე კალანდაძემ თავად გაიარა ცეცხლით აგიზგიზებულ სამშობლოში გადებულ იმ ბეწვის ხიდზე, სადაც სიკვდილიც კი ხშირად ხსნა იყო, სადაც ბევრი ნამუსიანი, ბოლომდე ვალმოხდილი მებრძოლიც ვერ ასცდა მძიმე, მტნაჯველ განცდას, სხვათა ეჭვს და უნდობლობას.

§1. ,,პიასტის ნამუხლარზე“

გამომცემლობაში „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაიბეჭდა ალექსანდრე კალანდაძის დოკუმენტური რომანი „პიასტის ნამუხლარზე“. „ლიტერატურნოე ობოზრენიეს“ 1974 წლის სექტემბრის ნომერში, მწერლისა და კრიტიკოსის იური პილიარის ვრცელი რეცენზია იწყება რომანის რამდენიმე ამონარიდით, რის შემდეგაც ავტორი დასძენს: „ფანტასტიკური სათავგადასავლო რომანის სტრიქონები არ გეგონოთ! არც სატირული ზღაპრის სტრიქონებია! იქნებ გადამეტებული ფანტაზიის ნაყოფი იყოს! არა, არავითარი ამგვარი! ეს გახლავთ ნაწყვეტები რომანისა „პიასტის ნამუხლარზე“ - პერსონაჟის, ქართველი ანდრო ბერიძის თითქმის დოკუმენტური მოთხრობიდან!“ [Пиляр,1974,2].

მაღალი ჰუმანიზმით გამსჭვალული ნაწარმოები იმთავითვე შეიყვარა მკითხველმა. რომანის ძირითადი მიზანია ფაშისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედის-რასობრივი თეორიის სიყალბის მხილება. ამ თემაზე გაშლილ სიუჟეტს საფუძვლად უდევს უაღრესად ორიგინალური, შესაძლოა, ისტორიაში განუმეორებელი შემთხვევა: სამი მეგობარი ტყვე - რუსი, ქართველი და ებრაელი - სავსებით ბუნებრივ, ლოგიკურ სიტუაციაში, პოლონელ მოქალაქეთა გადასარჩენად იძულებულნი არიან თავი გერმანელებელად გამოაცხადონ; იწყება ხანგრძლივი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რასობრივი თეორიის ქურუმებთან, ჰიტლერის სახელმოხვეჭილ რასისტ „მეცნიერებთან“, რომელთაც მხარს უმაგრებს ფაშისტური სახელმწიფო აპარატის მთელი სისტემა. უთანასწორო ჭიდილი საბჭოთა მეომრებისგან მოითხოვს განუწყვეტელ ფსიქიკურ დაძაბულობას, ნებისყოფის სიმტკიცეს, ტაქტსა და ინტელექტს. ეს ადამიანები ყოველ წუთს სიკვდილის პირისპირ დგანან, მუდამ და ყველგან ავადმყოფურად ეჭვიანი თვალი მისჩერებიათ. ამ ვითარებაში გაივლიან ისინი ურთულეს, ჯოჯოხეთურ რასობრივ შემოწმებას, წარდგებიან ავადმოსაგონარი „გერმანული ინსტი-

ტუტის“ რასობრივი კომისიის წინაშე და ამარცხებენ მტერს, არარაობად აქცევენ მათს რასობრივ ბოდვას, რომელიც ჰიტლერის მიერ მეცნიერების უმაღლეს რანგში იყო აყვანილი.

რომანის ძირითადი ღირსებაა არ მხოლოდ სამი მეგობრის გამარჯვება, მათი არაჩვეულებრივი, თითქმის ზეადამიანური თვისებების ტრიუმფი, რასობრივი მოძღვრების სიყალბე, მისი უსუსურობისა და მეცნიერული უმწეობის შედეგი. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს არის ყბადაღებული რასობრივი თეორიის ცრუმეცნიერული ხასიათის მხილება. ამ მხილებას ძალას ისიც მატებს, რომ იგი კონკრეტულ ფაქტებს ემყარება, ცნობილი, რომ ავტორმა თავად წარმატებით გაიარა ეს რასობრივი „შემოწმება“, ასე რომ, გამორჩეული ღირებულებას რომანში ასახულ მოვლენებს ის სძენს, რომ იგი ცხოვრებისეული სინამდვილეა და არა მწერლის მხატვრული გამონაგონი. ამასთან, აღნიშნული ამბები, კერძოდ, რასობრივი შემოწმების პროცედურა წიგნში დოკუმენტური სიზუსტითაა გადმოცეული.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჰიტლერული იმპერიის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების ეს საყურადღებო მხარე ამ კუთხით ზემოხსენებული რომანის გამოსვლამდე ლიტერატურაში არ ყოფილა ასახული.

ალექსანდრე კალანდაძის დოკუმენტური რომანის თემატიკა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება ნაწარმოების თემატურ რკალში მოქცეული ომის პერიოდის სხვა საყურადღებო მოვლენებიც, როგორებიცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. „ფოლკსდოიჩთა ჩასახლების“ ოპერაციები, პარტიზანული იატაკქვეშეთის ბრძოლა, საკონცენტრაციო ბანაკებისა და ფაშისტური ციხეების ჯოჯოხეთური რეჟიმი და ა.შ.

მოთხრობილია ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული რამდენიმე ამბავი, რომელთა შინაგან მთლიანობას და კომპოზიციურ ჩარჩოს პერსონაჟთა ურთიერთობა, მათი კონტაქტები და კონფლიქტები განსაზღვრავს. ნაწარმოების ღერძს, რომლის გარშემოც დანარჩენი ამბები ვითარდება, ქმნის ზემოხსენებული სამი მეგობრის: ნიკოლაი მეტნერის, ბორის კორენოვისა და მთხრობელის, იმავე პერსონიფიცირებული ავტორის თავგადასავალი.

ანდრო ბერიძე გერმანული ენის მცოდნე, რამდენიმე სხვა საბჭოთა მეომართან ერთად, ომის დასაწყისში მტრის ხელში მოხვდა. სიცოცხლის რისკის ფასად მათ თავი

ფოლკსდოიჩებად გამოაცხადეს და ამის გამო რასობრივი კომისიის წინაშე წარსდგნენ.

ის, რომ მწერლის გამონაგონს უხვად ენაცვლება დოკუმენტური მასალა, ალექსანდრე კალანდაძის რომანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. შესაძლოა, ნაწარმოების ძირითადი პერსონაჟები, გარდა წამყვანი გმირის, მთხრობელისა, განზოგადებული ტიპური სახეებია.

მათ თითქოს შეუსრუტავთ თანადროულობის სხვადასხვაგვარ ადამიანთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ერთიან სახედ ქცეულან: ესენი არიან სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა მეომრები, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ, მაგრამ არასოდეს თავიანთი პატრიოტულ-ინტერნაციონალური მოვალეობისთვის არ უღალატიათ; ესენი არიან რევოლუციურად განწყობილი პოლონელები, მეტწილად პოლონელი მუშები, იატაკქვეშა ბრძოლას რომ ეწევიან ჰიტლერის რეჟიმის წინააღმდეგ; მამაცი ანტიფაშისტი გერმანელები და ავსტრიელები, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ საერთაშორისო სოლიდარობის იდეისა; ცხოველური სისასტიკითა და ადამიანური არარაობით ცნობილი ნაცისტი ბონზები, „სს“ და „სა-ს“ ფიურერები; დაბოლოს, გერმანული წარმოშობის ის პირები, რომლებიც ომამდე იმპერიის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდნენ ანუ ეგრეთწოდებული „ფოლკსდოიჩები“, მათ შორის ვხვდებით მტკიცე კომუნისტებსაც და პირწავარდნილ ფაშისტებსაც, გესტაპოს ჯალათთა ლაქიებს. გამოგონილ პერსონაჟებს მწერალი თავის რომანში კონკრეტულ ისტორიულ სინადვილესთან ზუსტ, შესატყვის ვითარებაში წარმოგვიდგენს.

თანამედროვე გადასახედიდან, ჩვენი აზრით, „პიასტის ნამუხლარზე“დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. მსოფლიო დღესაც დგას დიდი გამოწვევებისა და შესაძლო საფრთხეების წინაშე, ყოველგვარი ომი უპირველესად სულიერი კრიზისის მანიშნებელია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბევრი რამე გადავაფასეთ, მივხვდით, რომ ფაშისტური გერმანიაცა და საბჭოთა იმპერიაც ბოროტების გამოვლინება იყო თავიანთი ღია თუ შეფარული იმპერიალისტური მიზნებით. სწორედ ამას გრძნობს ალექსანდრე კალანდაძის მკითხველი, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც მებრძოლი, ავტორი და პროტოტიპი, ერთი შეხედვით, გარკვეულ მხარეს იკავებს, იგი ყოველთვის სიკეთის, სიმართლისა და მაღალი ღირებულების მქონე ადამიანის სადარაჯოზე დგას. ვფიქრობთ, სწორედ ესაა ის უპირატესობა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები, რომლებიც მტრის ვერაგული თავდასხმის გამო ტყვედ ჩაცვივდნენ და

არადამიანური მოპყრობის გამო თითქოს უნდა დაეკარგათ ყოველგვარი იმედი, პირიქით, სულის სიმტკიცის, გამჭრიახობის, საოცარი გაბედულების წყალობით ამ მძიმე ვითარები-დანაც პოულობენ გამოსავალს. ბრძოლის გასაგრძელებლად, დაღუპვის მაგივრად, მოწინავე მებრძოლთა რიგებში იკავებენ ადგილს, თავზარს სცემენ მტერს და სხვებს ეხმარებიან საერთო ბრძოლაში. რამ გადაალახვინა რომანის პერსონაჟებს ეს სიძნელეები? რამ გაამარჯვებინა ამ უთანასწორო ბრძოლაში მათ, როგორც უბრალო მეომრებს და ზოგადად,საბჭოთა იმპერიას ფაშიზმზე? მით უფრო, რომ დღეს გვიწევს ვაღიაროთ, არც საბჭოთა იმპერია იყო სიკეთის მედროშე და ეს შეუძლებელია არ სცოდნოდა ალექსანდრე კალანდაძეს, როგორც ამ ომის მონაწილეს.

ვფიქრობთ, პასუხი ცალსახაა, - საბჭოთა მხარე დამცველის პოზიციაზე იდგა. მეორე მსოფლიო ომი ადამიანური სისასტიკის დადასტურება იყო, მაგრამ ფაშისტური გერმანია დამარცხდა არა იმდენად სამხედრო თვალსაზრისით, არა იმიტომ, რომ უფრო ნაკლებად იყო ამ ომში მომზადებული, ან მოკავშირეების სიმცირეს განიცდიდა, არამედ იმიტომ, რომ იდეური თვალსაზრისით დამარცხდა ხალხთან, იმ ადამია-ნებთან, რომლებიც საკუთარ მიწა-წყალს იცავდნენ დაუპირისპირდებოდნენ რასიზმს. სწორედ ეს ამართლებს მებრძოლების ქცევას. ნათელია, რა მოელის მათს სამშობლოს, ხალხს, ნათესავებს, ახლობლებს ნაციზმის ჯოჯოხეთურ პირობებში; ეს უნერგავთ საკუთარი უპირატესობის შეგნებას, ასაზრდოებს მათს გმირობას მარშის დროსა თუ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას, ისინი არადამიანურ ძალას პოულობენ თავიანთ თავში სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სიცოცხლისა, რომლის საჭიროებას ახლა ისე გრძნობენ, როგორც - არასდროს. ამ ადამიანთა ხასიათი ცხოვრების კარნახით თანდათან იწრთობა და ყალიბდება, თავისებურად ვლინდება სხვადასხვა სიტუციაში. ბრძოლაში შეუდრეკელნი და ტანჯვის ამტანნი, პირად ცხოვრებაში მომხიბლავად უპრეტენზიო და ბავშვურად მიამიტნი არიან, რაც გვიჩვენებს მათს მშვიდობიან ბუნებას, შინაგან სიკეთესა და ბრძოლის სამართლიან ხასიათს. თუმცა, არც პერსონა-ჟების გმირები არიან უნაკლონი. ისინი მერყეობენ, ცდებიან, ერთმანეთსაც ედავებიან, იგვიანებენ, სულსწრაფობას იჩენენ, მაგრამ ყველაფერს წონის მთავარი - გულწრფე-ლობა, ქვეყნის ერთგულება და ადამიანის სიყვარულის უნარი.

თვით უკიდურეს განსაცდელშიც კი ისინი მაღალი ზნეობრივი იდეალების პოზიციებიდან განსაზღვრავენ თავიანთ საქციელს. საკმარისია, გავიხსენოთ მეტნერის

მოქმედება რასობრივი შემოწმების წინ; იგი მხოლოდ იმისთვის მიდის ამ საბედისწერო რისკზე, რომ მოსალოდნელი საფრთხე ააცილოს ელზას. ასეთივე მორალური იმპულსით უმხელს მას ვინაობას, თუმცა შეიძლება შეეწიროს კიდეც ამ გულწრფელობას.

ისინი იმარჯვებენ არა იმიტომ, რომ გმირები არიან და მტერი არის ყეყეჩი და გულუბრყვილო, არამედ იმიტომ, რომ მტრის მოტივია ცრუ, ყალბი და უნიადაგო.

ვგრძნობთ, რომ რომანის მებრძოლი პერსონაჟები ყოველ წამს საფრთხეში იმყოფებიან; თითეული ნაბიჯი სასიკვდილოდ სახიფათოა, მაგრამ ამ ვითარებაშიც ისინი სიცოცხლით აღსავსე ცხოვრებით ცხოვრობენ, ბედნიერნი არიან, კაცობრიობის განუყოფელ ნაწილად გრძნობენ თავს. ბედნიერების საფუძველი ხომ მიზანსწრაფული ყოფაა.

ომი სხვადსხვაგვარად აბრუნებს კაცის ცხოვრების ჩარხს და სწორედ ადამიანთა ღრმად ინდივიდუალური ბედ-იღბალი იძლევა ხალხის ზღაპრული თავდადების მთლიან, დიდებულ სურათს.

რომანის ცენტრში დგას არა ფაქტები და მოვლენები, არამედ ადამიანები, მათი ხასიათები, განცდილი სიხარული, მწუხარება, ტანჯვა, ბრძოლა, ფიქრი, აზრი, ოცნება, ზრუნვა, შიში, - ინტიმური სამყარო. პერსონაჟთა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება განუყოფელია.

ავტორი გვიჩვენებს გადამწყვეტ მომენტში პოლიტიკური ორიენტირებისთვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პირად ზნეობრივ-მორალურ თვისებებს. ანკეტური მონაცემების მიხედვით, ბილმაიერი თითქოს არ უნდა გამხდარიყო მოღალატე, მაგრამ იოლი ცხოვრებისკენ, ფუფუნებისკენ მიდრეკილებამ იგი ასეთად აქცია. სწორედ ამიტომაა, რომ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პერსონაჟების ინტიმურ სამყაროს, რადგან ადრე თუ გვიან ნებისმიერი იდეოლოგიის არსებობას და მის ხანგრძლივობას, მასშტაბებს ინდივიდები განაპირობებენ.

ალექსანდრე კალანდაძის რომანის ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მასში რუს, პოლონელ, ებრაელ და სხვა ეროვნების მებრძოლ გმირებთან ერთად ნაჩვენებია გერმანელი ერის სახელოვან შვილთა, ანტიფაშისტთა მეტად რთული და თავგანწირული ბრძოლა ნაციზმის წინააღდეგ. ასეთი პიროვნებები არიან: შირნშტაინი, ფრიც ტრაპელი, ფრაუ ფასტი და სხვ.

„პიასტის ნამუხლარზე" დოკუმენტური რომანია, მაგრამ დოკუმენტურობასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მასში მთავარი ისტორიული, ცხოვრებისეული სინამდვილეა. ყველაფერი, როგორც ნამდვილი, ისე გამოგონილი ისტორიული მოვლენების არსის გახსნას უნდა ემსახურებოდეს და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მისაღები პერსონაჟთა პირადი ცხოვრება, მაგალითად, სატრფიალო ამბები. სწორედ ასე იქმნება ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი პერსონაჟები.

დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით,მათი განზოგადებით ავტორმა შეძლო მოვლენების პერსპექტივის ჩვენება. ნათელი ხდება ფაშიზმის დამარცხების ისტორიული კანონზომიერება, ნაციზმზე გამარჯვების მორალური საფუძველი.

§2.„მაკიზარებთან"

ალექსანდრე კალანდაძის რომანში „მაკიზარებთან" მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში მოხვედრილი ქართული ბატალიონის თავგადასავალია გადმოცემული, მათ ფრანგი კომუნისტების ხელშეწყობით თავი დააღწიეს ტყვეობას, ღირსეულად იბრძოლეს ფრანგების, პოლონელების, ესპანელების მხარდამხარ გერმანელი ფაშისტებისგან სამხრეთ საფრანგეთის დაბა-სოფლებისა თუ ქალაქების გასათავისუფლებლად.

წიგნში რეალური ამბებია აღწერილი, მაგრამ ე.წ. „დოკუმენტური პროზის" ფარგლებს მაინც სცილდება და დამოუკიდებელი ლიტერატურული მნიშვნელობის რომანად გვევლინება. რომანის პერსონაჟები ბრძოლით გაიკვლევენ გზას სოფელ ჟუკევილიდან (სადაც მკაიზარები, პარტიზანები,იყვნენ გახიზნული) ქალაქ ტულუზამდე; შემდგომაც არაერთი ხიფათის, დაბრკოლების გადალახვა მოუხდებათ და ბოლოს შინ, სამშობლოსკენ გამობრუნდებიან, როგორც წიგნის ანოტაციიდან ვგებულობთ და ავტობიოგრაფიიდანაც ვიცით, ავტორი ამ ბატალიონის კომისარი ყოფილა.

ალექსანდრე კალანდაძე მხოლოდ მოქმედ პირთა თავგადასავლებს როდი გვაცნობს. უპირატესად, ნაირგვარ ადამიანთა ხასიათის თავისებურებას, ინდივიდუალურ სულიერ თვისებებს, ლტოლვას, ჭირ-ვარამსა და განცდებს გვიჩვენებს, მათს შინაგან ბუნებას გვიმჟღავნებს.

მოვლენები უფრო ადამაინებისა და მათი ბედ-იღბლის საჩვენებელ ფონად გამოიყურება. ამგვარად მოვლენათა კალეიდოსკოპით კი არა, უწინარესად, ნაირგვარი პერსონაჟების, ადამიანთა ინდივიდუალიზებული მხატვრული სახეებით იქმნება სინამდვილის ფსიქოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური სურათი.

ბუნებრივია, ავტორი ცოცხალ ადამიანებს გვიხატავს, თუმცა ზოგი მათგანი ნაირგვარ ტიპებადაც გვესახებიან, მაგალითად, ბაბანა თუხთუხაძე, ემილ ბლანშმა, ლანუაზი. ერთ-ერთი პერსონაჟი კრისტიანა, შეიძლება ითქვას, ხასიათითაც არის გარდასახული.

მწერალი ახერხებს კერძო პირებს ემპირიულობის გარსი შემოაცალოს და განზოგადებულ მხატვრულ სახეებად წარმოგვიდგინოს. ამგვარმა თავისებურებამ ლიტერატურაში კარგა ხანია იჩინა თავი და ეს სიახლედ არ ჩაითვლება, მაგრამ აქ უმთავრესად ზოგადსიმბოლური სახეებია შექმნილი.

ცხადია, რომანის მოქმედ პირთაგან ყველაზე უფრო ვრცლად და სრულად თვით მთხრობელის, ანუ ავტორისა და მისი ორეულის შინაგანი სამყაროა წარმოჩენილი. ამის მიზეზი ის კი არ არის, თითქოს მწერალი პატივმოყვარეობის გამო საკუთარი პიროვნების წინწამოწევას ესწრაფვოდეს. ამგვარი რამ რომ დაგვეწამებინა მისთვის, უსმართლობა იქნებოდა.საკუთარი ავ-კარგის გაჩხრეკისას იგი გულახდილია, მკაცრიც კი. სხვათა, სიმამაცით გამორჩეულთა, შარავანდედით შემოსვისას კი ფერებს არ იშურებს.

მთხრობელის სახე, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული თვალსაზირისით იქცევს ყურადღებას. რაკი მრავალმხრივ და ღრმად გვაცნობს ადამაინის შინაგან „მეს“, იმგვარი სიხარულითა და იმდენად ახლოს გვაცნობს, რომ პერსონაჟთა ძირითადი სახეების ხასიათის ან ტიპის ჩარჩოებში ვერ თავსდება და არსებითი ნიშან-თვისებების მქონე პიროვნებად წარმოგვიდგება.

ომის უმძიმეს, პერიპეტიებით აღსავსე გზაზე მიმავალ ავტორს მიზნად დაუსახავს, ამ გზას უყუროს, როგორც თავისებურ ასპარეზს, სადაც საკუთარი თავი უნდა გამოსცადოს, სულერი შესაძლებლობანი შეამოწმოს; ის იდეალი, რაც ოდესღაც გაუძვილრბილებია, არა მარტო გულში ატაროს, არამედ, შეძლებისდაგვარად, კიდევაც განახორციელოს; მისი ხასიათი ამხელს იმ აქტიურ საწყისს, სიცოცხლის ნებას, რაც საამისოდ საჭიროა.

ამ პერსონაჟის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საკუთარი თავის შეცნობა. ამ თვითდაკვირვების მოწმენი პირველად ერთ-ერთი ქართველი ტყვის, ხაბაზიშვილის სიკვდილის დასჯის ეპიზოდის აღწერისას ვხდებით.

წარმოშობით გორელი კობა ხაბაზიშვილი თანამოძმეთა თვალწინ საჯაროდ უნდა დახვრიტონ, მის სიკვდილით დასჯას მხოლოდ იმიტომ გადაწყვეტენ გერმანე-ლები, რომ ხაბაზიშვილი ზედამხედველს უძალიანდება, კონდახების ცემით მოაცი-ლებენ წყლის ონკანს. ტყვე ქართველთა ათასეული უძლურია რაიმე იღონოს სასიკვდილოდ განწირული თანამოძმის დასახმარებლად. ამ ამბის შემსწრე ავტორი ასე გადმოგვცემს საკუთარ სულიერ მდგომარეობას: „თითქოს ბურანში ვიყავი, ყური მიბჟუოდა, საკუთარი თავისადმი ზიზღის გარდა ვერაფერს ვგრძნობდი, უმწეობის ბოღმა მაღრჩობდა... თვალწინ აღმაშფოთებელ უსამართლობას სჩადიან, შენ კი დუმხარ, არ შეგიძლია გამოესარჩლო უბედურს“ [კალანდაძე,1969,97].

ამგვარ შემთხვევებში, ჩვეულებრივ იმას სჯერდებიან, რომ მოძალადეს შეაჩვენებენ. ზიზღს კი საკუთარი თავის მიმართ ის გრძნობს, ამ გრძნობას ის გამოამჟღავნებს, ვინც მაღალ მოთხოვნებს უყენებს და ულმობლად განსჯის საკუთარ თავს. ავტორისეული თვითანალიზი უფრო შინაგანი ხმაა, რომელიც მოგვიწოდებს გაბედულად გავუსწოროთ თვალი საკუთარ თავს, გავარჩიოთ ავი და კარგი, ღირსება თუ ნაკლი. ამ გზით ეძლევა დასაბამი ზნეობრივი სრულყოფისკენ სწრაფვას.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რომანის ორი ეპიზოდი. პირველში მოთხ-რობილია, როგორ გაასამართლებს სახელდახელოდ შეკრებილი მაკიზართა საველე ტრიბუნალი პარტიზანთა მოკავშირეს, გერასიმ იგნატიჩს. მას ღალატში სდებენ ბრალს და სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ... პარტიზანთა მოკავშირე გერმანელებს შეუპყრიათ და უბრძანებიათ მაკიზართა ადგილ-სამყოფელი ესწავლებინა. რაკი ვერ გამოუტეხავთ, ცოლ-შვილი დაუპატიმრებიათ და უწამებიათ. თვითონ იგი და მისი უმცროსი ქალიშვილი შანთით აიძულეს თავი თავზე ეხალათ და ასე დახოცილიყვნენ. გერასიმ იგნატიჩმა ვერ აიტანა ქალიშვილის წამება და გერმანელთა დამსჯელ რაზმს ჟუკევილისაკენ, მაკიზართა ბანაკისკენ წარუძღვა. თუმცა, იმდენი მაინც მოახერხა, ბანაკს მიახლოებულმა ყვირილი მორთო და გუშაგებს ცეცხლი გაახსნევინა.

ჟუკევილში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მრავალი პარტიზანი, ქალი და ბავშვი დაიღუპა... სასიკვდილო განაჩენს, ტრიბუნალის სხვა წევრებთან ერთად

მთხრობელიც დაეთანხმა. განაჩენის აღსრულებას და ხელმძღვნაელობას სწორედ მას მიანდეს. დახვრეტის ადგილისკენ მიმავალი გზა სიკვდილმისჯილზე მეტად მისთვის იქცა გოლგოთად, ამბოხებული სინდისი ექცა მამხილებლად: „სიცოცხლე მოვუსპეთ, რადგან სრულყოფილი ადამიანი, იდეალური პიროვნება არ აღმოჩნდა. ნუთუ არის მომენტები, არასრულყოფილება მომაკვდინებელი დანაშაულია?!.... არაფრად ჩააგდე კაცის სიცოცხლე?! ათასჯერ უფრო მეტი მოსთხოვე მას, ვიდრე საკუთარ თავს მოსთხოვდი?! შეგეშინდა, რომ გამოსარჩლებით შენთვისვე არ დაეწამებინათ სულმოკლეობა და მერყეობა?!... " [კალანდაძე,1969,173].

ავტორი საერთოდ აღარ ზოგავს პერსონაჟს და აგრძელებს: „მშიშარა და პატივმოყვარე კაცი ყველაზე ულმობელი მსაჯულია! ღმერთმა ნუ ჩაგაგდოს მშიშარა და პატივმოყვარე კაცის ხელში... ავი მოსამართლე ყველა მკვლელზე უარესი ბოროტმოქმედია!...[კალანდაძე,1969,174].

აქვე ჩნდება საბა თურმანია - რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, თითქოსდა, მისივე განსხეულებული სინდისის ხმა, თავისი შეგონებებით შიგ გულში უტრიალებს შამფურს. თურმანიასთან მოკამათე უფრო და უფრო რწმუნდება უმართებულო საქციელში. ვერ გარკვეულა, მოღალატეს დამსჯელი ეთქმის, თუ კაცის მკვლელი. რაც უფრო რწმუნდება საქციელის უმართებულობაში, მით უფრო ხელდება, უკმეხად იშორებს თავიდან აბეზარ მოსაუბრეს. ჯერჯერობით თითქოს, იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ მკითხველი ატყობს, ეს მისი „გამარჯვება" პიროსის გამარჯვებაა...

გადის დრო, ვითარება კვლავ მეორდება. ისევ სახელდახელო ტრიბუნალი, ისევ სიკვდილით დასჯის განაჩენი. ამჯერად ქურდობისთვის(ქართველმა უცხო ქვეყანაში თავი მოგვჭრა და პასუხი აგოს): „თითო-ოროლა წუნკალს ნებას არ მივცემ, რომ საფლავიდან ამოაგდონ ჩვენი მეგობრები, ნამუსი შეუგინონ გმირულად დაღუპულ ამხანაგებს!"... [კალანდაძე,1969,209].

აღსანიშნავია, რომ ფრანგები ესარჩლებიან დამნაშავეს - მოპარული ფული დააბრუნებინეთ, ხელს ნუ ახლებთო. ისევ და ისევ საბა თურმანიას მეცადინეობით და რიგითი ფრანგი ადამიანების მეოხებით კომისარს (იმავე მთხრობელს), არა მარტო უკან მიაქვს გადაწყვეტილება, მასში გარდატეხაც ხდება. მკითხველს სჯერა, რომ ამიერიდან, თუ კვლავ ადამიანის ყოფნა-არყოფნას შეეხო საქმე, ყალბი თავმოყვარეობისა თუ სიამაყის გრძნობა სინდისის ხმას ვეღარ დაადუმებს. თითქოს

ზნეობრივადაც განიწმინდება, თავისებურ კათარზისს განიცდის: „გმადლობ, მაპატიე, ბიძია საბა!“ [კალანდაძე,1969,220] - ეუბნება თურმანიას. ეს მადლობაც და პატიების თხოვნაც პერსონაჟის სულიერ კათარზისზე მიგვანიშნებს.

რომანში აღწერილია ხსენებული პერსონაჟის ვნებათაღელვაც, ავტორისეულ ტერმინს თუ მოვიშველიებთ, ესაა „კრძალულების აღმაფრენა“ - სიყვარული (იგულისხმება პერსონაჟის განცდები ფრანგი ივეტა ვენეზისადმი), ოღონდ ეს იმგვარი გრძნობაა, ადამიანს, რომ ცხოვრების აზრს შეაცნობინებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ავტორის ბიოგრაფიული დეტალია და ამიტომაცაა განსაკუთრებულად საინტერესო მკითხველისთვის დღეს. ნახსენები პერსონაჟი გარესამყაროში მიმდინარე ამბების პასიური აღმქმელი როდია; იგი ესწრაფვის მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ გაიაზროს, გონებით განჭვრიტოს ამ მოვლენათა შინაარსი; შეიქმნას საკუთარი პირადი გამოცდილებით შემოწმებული შეხედულება გარემოზე, ადამიანისა და საზოგადოების რაობაზე.

ამასთან ერთად, მკითხველს საშუალება ეძლევა, თვალი მიადევნოს ხსენებულ პერსონაჟს, ისეთ მძიმე დროს, როცა გონება გათიშულია და ინსტიქტიღა ფხიზლობს, როცა ნამდვილი და ზმანეული ერთმანეთს გადახლართვია.

ამ მხრივ საგულისხმოა ეპიზოდი, რომელშიც ჟუკევილიდან ლტოლვილი ხსენებული პერსონაჟი, ღამით მთვარის შუქზე ვიორის ხეობაში მიიკვლევს გზას. გამძაფრებული განცდების ფონზე გერმანელი მდევარი ელანდება და, ერთი პირობა, „სულმოკლეობასაც“ იჩენს, ტყვედ ჩავარდნისა და შესაძლო წამების შიშით თავის მოკვლასაც აპირებს. ამ ეპიზოდში მწერალი ახერხებს სიტყვებით გადმოსცეს თითოეული ნიუანსი, სულის მცირედი მიმოხრაც კი. ჩვენ წინაშეა პერსონაჟი, რომელიც მკითხველისთვის ვლინდება სამივე განზომილებით, ვიცით, რას გრძნობს მისი სული, რას განიცდის სხეული, რას იაზრებს გონება... მწერლის ეს ერთგვარი დაუნდობლობა ისევ და ისევ მისი ხასიათის მთავარი ნიშან-თვისებითაა განპირობებული - მკითხველთან მხატვრული სინამდვილეც კი შელამაზების გარეშე მიიტანოს. მთელი რომანის განმავლობაში, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ ეპიზოდში, ალექსანდრე კალანდაძე გამუდმებით გვახსენებს, რომ გმირებად არ იბადებიან, არადა თითქოს, სხვა რამეს გვიქადაგებდნენ აქამდე იდეოლოგიური მამები, რომ ჩვენ ყველანი უპირობო გმირები ვიყავით, დაუმარცხებელი გმირები, რომლებიც ხმამა-

ღალი შემახილების ფონზე ვუწვებოდით მტრის ტანკებს: „ზა როძინუ, ზა სტალინა“. მკითხველი პირისპირ რჩება სინამდვილესთან ვიორის ხეობაში, ისიც კომისართან ერთად გადის მძიმე სულიერი ბროლის გზას, ბოლოს კი ხვდება, რომ გმირობა უშიშარობა კი არა - შიშის დაძლევაა. ეს შეიძლება უდავო, არაერთგზის გამეორებული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საბჭოთა ლიტერატურას ისევე, როგორ მთელ იმპერიულ რეალურ გარემოს, მართავდა პათეტიკურობა, რაზეც უარს ამბობს ავტორი. სწორედ ესაა მისი უმთავრესი ღირსება.

რომანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი ჟუკოვილის ტრაგედიის გმირი ვანო ბეროშვილია. ცხოვრებაში ჩუმი და შეუმჩნეველი სოფლელი ბიჭი, განსაცდელის ჟამს ისეთ სულიერ ძალასა და მოსაზრებულობას იჩენს, ხალხის წიაღიდან, ხალხის შუაგულიდან ამოზრდილებს რომ ახასიათებთ.

მოულოდნელად გამოჩენილი მტრის დასახვედრად გასაოცარი სისწრაფით აწყობს, ხელმძღვანელობს თავდაცვას. მომხდურის პირისპირ მდგარი, ჯოჯოხეთურ ორომტრიალში მოქცეული ფეხს არ იცვლის ადგილიდან, ტყვიამფრქვევის ცეცხლით გზას უღობავს ალყის შემორტყმის მსურველ მოწინააღმდეგეს, რომ უკანდახევა დაფაროს, უიარაღო ქალებსა და ბავშვებს სამშვიდობოს გასვლის შესაძლებლობა მისცეს. საკუთარი სისხლის ფასად იხსნის იგი არაერთ თანამებრძოლის სიცოცხლეს. ბოლომდე საბრძოლო პოზიციაზე დარჩენილს, მძიმედ დაჭრილს გერმანელები იგდებენ ხელთ. საშინელი წამების მიუხედავად მაინც ვერ ახერხებენ მის გატეხვას. ამ ამბის მოწმე ფრანგი მოხუცი ქალი ყვება: „სიტყვა რა არის, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ნეტავ, რომელმა დედამ გაზარდა ამისთანა რკინის კაცი!“ [კალანდაძე, 1969, 237].

უნდა აღინიშნოს, რომ ბეროშვილის სახის მნიშვნელობა განახევრდებოდა, მწერალს რომ ფაქტობრივი სიმართლე მხატვრული სიმართლის დონემდე ვერ აემაღლებინა. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენ წინაშე თანთადანობით იხსნება და ვითარდება გმირის ხასიათი. ავტორი ჯერ მის პორტრეტს გვიხატავს და ამისთვის კარგად იყენებს ომის დაუნდობლობასა და სისასტიკეს. პერსონაჟს ვხედავთ იმ დროს, როცა ძმადნაფიცის, კობა ხაბაზიშვილის, ჯერ კიდევ თბილ ცხედართან უსიტყვო ფიცს დებს, მტრის ჯავრს არ შეგაჭმევინებთო: „დევის ნაგლეჯი იყო. ჩოხასავით აკვალთულ, თხელ ფარაჯაში გასასროლად მომზადებულ ისარს ჰგავდა. გულ-მკერდი ისე ჰქონდა ჩამოსხმული, გეგონებოდა ტინის პერანგი აცვიაო... სახე გასციებოდა და თვალებიდან

ცეცხლი უკვესავდა. ცრემლი დიდი ხანია გამშრალი ჰქონდა ყველას. ბეროშვილი დაიხარა, ტუჩი მოიკვნიტა, ძმადნაფიცს პერანგის საკინძე მოახია, სისხლში გაჟღინთა და ჯიბეში ჩაიდო. ეს რაღაც შემაძრწუნებელი ფიცი იყო. ბიჭებმა უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს. ეს უბედური ადამიანები განუყრელად დააძმობილა ათასგვარმა ტანჯვა-წამებამ, ტყვეობამ მეგობრობის რაღაც ნაზი და მგრძნობიარე კავშირი დაბადა. ყველა ერთ ტაფაში იწვოდა, ფერდი ფერდზე ჰქონდათ გაყრილი და ერთმანეთის სიყვა-რულში წამწამი დაენაყათ....“ [კალანდაძე, 1969,53].

მცირე პათეტიკური ტონი, რომელიც ახლავს ამ ეპიზოდს ვერაფერს აკლებს ავტორის მთავარ სათქმელს, მას მკითხველამდე ზუსტად მიაქვს ის განცდა, რომელიც ასე მრავლად აღწერილა მსოფლიო თუ ქართულ ლიტერატურაში და არაერთგზის გამეორდება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს - ესაა უდროოდ მოსული სიკვდილის განცდა, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეძლებ გაუძლო, როცა ამქვეყნად ყოფნის მთავარ დანიშნულებას გაიაზრებ. მთხრობელს, ავტორს, გარკვეული დროის განმავლობაში ბეროშვილის გვერდით ყოფნა უხდება; აკვირდება, ეცნობა ამ კაცის ბუნებას; თანდათან უფრო მეტად იზიდავს ეს გულდახურული, სიტყვაძუნწი ადამიანი. უყვარდება კიდეც, რადგან მასში განუსაზღვრელ ენერგიას და „გაშმაგებას“ შეიცნობს, სწორედ ამიტომ შინაგანად უყოყმანოდ, და უშურველადაც, სცნობს მის უპირატესობას.

ეს შინაგანი შეცნობა გარეგნულად კრძალვის თავისებური მამაკაცური ფორმით ვლინდება. ავტორი პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის ანალიზს მიმართავს, რითაც ააშკარავებს მისი ხასიათის დედაძარღვს: „მას შეეძლო მხოლოდ ზიზღი, ან სიყვარული, მხოლოდ მტრობა, ან მეგობრობა, მხოლოდ სიკვდილი ან სიცოცხლე; მისთვის ორგანულად აღარ არსებობდა შუალედები. მას დიდი ხანია გაშრობოდა ცრემლი, დიდი ხანია დადუმებოდა ენა, ეს იყო დახშული ხანძარი, დაგუბებული ქარიშხალი, მთვლემარე ვულკანი, რომელიც შეუცნობელ რიდსა და მოწიწებას იწვევს, მას მარტო იმიტომ კი არ უნდოდა გაქცევა, რომ ცუდად ექცეოდნენ, რომ შიოდა, სწყუროდა. არა! ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო ადამიანური ღირსების ძახილი!“ [კალანდაძე,1969,127].

მთხრობელი შემზადებულია ბეროშვილისგან მამაცურ საქციელს მოელოდეს, მაგრამ ბრძოლის ყველაზე კრტიკულ ჟამს საკუთარი თვალით ნანახი მაინც განაცვიფრებს, ამიტომ აღმოხდება გაკვირვების წამოძახილი: „ნუთუ, დასაჯერებელია,

რომ ასეთი განკითხვის ჟამს ამისთანა რამეზე (მოსახლეობის აწიოკებისგან გადარჩენაზე) ფიქრობს?...“ [კალანდაძე,1969,196]. მოვლენების უშუალო მოწმის ეს გაკვირვება კიდევ უფრო მეტად არწმუნებს მკითხველს პერსონაჟის საქციელის სიმართლეში.

მწერალი ერთ შტრიხსაც აღნიშნავს, რაც ხელშესახებად გამოკვეთს ბეროშვილის, როგორც კონკრეტული ადმიანის ინდივიდუალობას. ჟუკევილში რომ რიარია შეიქმნება, ბრძოლის თადარიგით გართულ ბეროშვილს, აქამდე ნიადაგ გულჩათხრობილს და კრიჭაშეკრულს, შუბლი ეხსნება, სახეზე მომეტებული სიხალისე ეხატება, რითაც ყველასგან გამოირჩევა კიდეც. მთხრობელს თან უხარია, თან უკვირს ეს ყოველივე... რა თქმა უნდა, ბეროშვილს ისა ჰგვრის სიხარულს, რომ მტრის ჯავრის ამოყრის ჟამი დადგა, მაგრამ კარგად ვიცნობთ მის ბუნებას და ვერ ვიტყვით, რომ იმ ჯურის კაცია, შურისძიება სისხლით ტკბობის სადისტურ ინსტინქტს უღვიძებდეს. შურისძიება მისთვის უფრო ღირსების საკითხია, ზნეობრივი ვალია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ აწიოკება ელის უდანაშაულო, უმწეო ხალხს; ამ ხალხის ბედი რომ ახლოს მიაქვს გულთან ბეროშვილს, არაერთხელ საქმით დაამტკიცა. მაშ, რა არის ამ სიხარხულის მიზეზი?

აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი პერსონაჟის, ხაზაზიშვილის დახვრეტის სურათი. ისიც, რომ ამ ხნიდან მოყოლებული ბეროშვილი კიდევ უფრო გულჩახვეული გახდა. აქვე ვეცნობით მთხრობელის განცდებსაც.

თუ კი მთხრობელს, „აღმაშფოთებელი უსამართლობის“ შემყურეს საკუთარი უძლურების შეგრძნებამ თავის თავისადმი „უზომო ზიზღი“ აგრძნობინა, რაღა უნდა ეგრძნო ბეროშვილის მსგავს მონოლითური ბუნების ადმიანს, ვისთვისაც უცხო იყო შინაგანი წინააღმდეგობანი?

მას ეუცხოება საკუთარი თავი, მაგარამ ჟუკევილში, მტერთან პირისპირ შებმისას, როცა შეუძლია თავი არ დაზოგოს თანამოძმეებისა და უიარაღო ქალების, ბავშვების გამო, იგი კვლავ პოულობს შინაგან სულიერ ჰარმონიას. ვფიქრობთ, სწორედ ამ სიხარულმა მოიცვა იგი ხსენებულ ეპიზოდში და არა მხოლოდ შურისძიების უბრალო შესაძლებლობამ.

დაბოლოს, მწერალი აშიშვლებს გმირის საქციელის საწყის იდეას. იგი წერს: „მუდამ ის იყო, რაც იყო და აზრად არ მოუვიდოდა ყოფილიყო თავის თავზე უფრო მეტი, თუნდაც ერთი მოჩვენებითი შტრიხით შეევსო თავისი თვითმყოფობა. მან არ

იცოდა მტრობა, არ შეეძლო ნამდვილი სიძულვილი, უყვარდა ყველა და მაშინაც, როცა გაცოფებული ტყვიამფრქვევით სიკვდილს თესდა ან საკუთარი ხელით ახრჩობდა მისთვის სრულიად უცხო ვინმეს, ისეთივე გრძნობით ექომაგებოდა ადამიანთა შორის სიყვარულს, როგორც ბოროტი ადამიანებისგან დაბრიყვებულ ბავშვებს ან პირუტყვის მწვალებელთა მიერ გატანჯულ ცხოველებს ესარჩლება შემთხვევითი გამვლელი...“ [კალანდაძე,1969,267]. ვანო ბეროშვილს ისე ჩინებულად ესმის კაცურკაცობის არსი და ისე პირნათლად აღასრულებს ამ ვალს, ბევრ ნაფიც ჰუმანისტს შეშურდებოდა. ამ ყველაფრის სათავე კი მის ბუნებაშია, მისთვის ორგანულია სიკეთე. ამ პერსონაჟით ქართული ხასიათი იკვეთება იკვეთება, ჩვენ ყოველთვის საკუთარი ქვეყნის სიყვარული გვამოძრავებდა და არა მტრის სიძულვილი, სწორედ ამიტომ შეძლო ხალხმა და ქვეყანამ არაერთი ძნელბედობის დაძლევა და გადატანა. ავტორმა კარგად იცის, რომ განსაცდელმა შეიძლება ბეჩავი, არაფრით გამორჩეული ადამიანი აქციოს ერთ დღეს გმირად, მაგრამ არსებობენ გმირად დაბადებულნი და ბეროშვილს სწორედ ამ უკანასკნელთა რიგს მიაკუთვნებს თამამად. ვანო ბეროშვილის პერსონაშჟით მწერალმა შექმნა მოძმეთათვის, კაცური ღირსებისათვის თავგანწირული ბუნების მქონე ადამიანის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი განზოგადებული სახე.

ჟუკევილში მომხდარი ამბები კომპოზიციურ ფუნქციასაც ასრულებს. ეს თავისებურ კვანძის შეკვრად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწორედ აქედან ეძლევა დასაბამი მთავარ მოქმედ პირთა ნათლად გამოკვეთილ მისწრაფებას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოიხელთონ, დაასამარონ ბეროშვილისა და ხაბაზიშვილის ცოფიანი მკვლელები, ბოროტების სიმბოლოდ დასახული ფაშისტები – ბაიდინგერი და ჰიმელბლაუ.

ვიდრე ამას მიაღწევენ, ვნებათაღელვისგან ვერ დაცხრებიან. ეს მათი სულიერი მისწრაფება, მიზანდასახულობა, სიუჟეტურად კრავს რომანში განვითარებულ ამბებს ტულუზის გათავისუფლებამდე, როცა ბაიდენგერისა და ჰიმელბლაუს „სისხლით მოთხვრილი სახეები“ სიმბოლურად ჩაექანება უფსკრულს, მიწის პირისაგან აღიგვება. მწერალს უდავოდ გამოსდის ამა თუ იმ პერსონაჟის არსებაში შენიშნოს და წარმოაჩინოს იმგვარი სულიერი თვისება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ახლობელსა და დასამახსოვრებელს ხდის პერსონაჟს. მაგალითად, შავანტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორყოფილი („სწავლულიც“ ამიტომ შეარქვეს მეტსახელად), რომელსაც პირველად ჟუკევილში მოვკარით თვალი. დიდხანს მხოლოდ მკრთალ

სილუეტად რჩება. მაგრამ... ქართველ თანამებრძოლებთან ერთად იგი ავტომობილით უახლოვდება პარიზს, გათავისუფლებულ პარიზს... და უცებ ჩვენ თვალწინ იდგამს სულს, ასე ვთქვათ, მკვდრეთით აღდება. ეს დინჯი, დარბაისელი კაცი მშობლიური პარიზის კვლავ ხილვისას ბავშვივით აფოფინდება. ომისგან გაუბედურებულს, ცოლ-შვილის დამკარგველსა და თავად დახეიბრებულს, უნუგეშოდ დავარდნილს, სულის სიღრმეში მაინც შერჩენია წმინდა, ხალასი აღტაცების უნარი და ამას პარიზთან შეხვედრა გამოამჟღავნებინებს. ეს ქალაქი მას ცოცხალი არსებასავით უყვარს, რომლისადმიც თითქმის რელიგიური მოწიწებითაა გამსჭვალული. სწორედ ამ განსაკუთრებულობით გვამახსოვრებს თავს ეს პერსონაჟი.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანში კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი სათქმელია. მაგალითად, ჩვენ არაფერი გვითქვამს ფრანგი ხალხის სოციალური ყოფის ამსახველ სურათებზე, რომლებიც ძირითადად რანტიე ემილ ბლანშასა და ძველი მაღაროელის, პოლ ვენიზეს, ოჯახების შეპირისპირებით იხატება ნაწარმოებში. არ შევხებივართ ომისდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც უმთავესად ნაჩვენებია ერთი მხრივ, ფრანგი კომუნისტების: ანჟოს ად გრანიეს, მეორე მხრივ, დეგოლელების - მაიორ როშარისა და ფორესტიეს - ურთიერთშეპირსპირებით. რაც შეეხება ენასა და სტილს, ნაწარმოები ხატოვანი ქართულითაა შექმნილი. ავტორი ნანახსა და განცდილს მოგვითხრობს შინაგანი მღელვარებით, ერთგვარი პათოსითაც, ოღონდ გულწრფელად და არასდროს გადადის ყალბ პათეტიკაში.

§3. „დღეები ბრესტის ციხე - სიმაგრეში“

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვში გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მწერალთა მოთხრობების კრებული, რომელსაც უძღვის საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, საბჭოთა კავშირის მარშალ ვ.ი.ჩუიკოვის წინასიტყვაობა. მიმოიხილავს რა მასალებს, იგი წერს: ამ ნაწარმოებებში ავტორები თავისებურად, უშუალობით, გულწრფელად, ნათლად და გასაგებად გვიამბობენ ომზე, თანამებრძოლ მეგობრებზე. ომის ქარცეცხლში ნაჭედი სიტყვა კი არასოდეს ხუნდება, დიდხანს ცოცხლობს და, რაც წლები გადის, მით უფრო გამძლეობა ემატება.

კრებული იხსნება ალექსანდრე კალანდაძის მოთხრობით „ალგებრის მასწავლებელი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს მწერლის მოკლე ბიოგრაფია. სხვათა შორის, აქ ნათქვამია: ბევრისთვის, თვითონ კალანდაძის ახლო ნაცნობებისთვისაც საკვირველი იყო, როდესაც რადიოთი შეიტყვეს, რომ მას, როგორც სამამულო ომის გმირს, პოლონელ პარტიზანთა თანამებრძოლს, ბრესტის ციხე - სიმაგრის დამცველს, ეძებდნენ პოლონელი მოსწავლეები. თვითონ კალანდაძე იმთავითვე როდი შეგვეხმიანა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა წიგნი - „დღეები ბრესტის ციხე - სიმაგრეში“, რომანი, რომელიც პოლონელ იატაკქვეშეთელთა საბრძოლო თანამეგობრობას მიუძღვნა.

ალექსანდრე კალანდაძე, ყოფილი მასწავლებელი, იმჟამად ოცდახუთი წლის ოფიცერი, მათთან ერთად იბრძოდა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევის შემდეგ. კალანდაძისთვის დამახასიათებელია უფრო სხვათა საქმეთა წარმოჩენა, ვიდრე საკუთარ თავზე საუბარი.

„დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“ 1961 წ. გამოქვეყნდა და მასში სამამულო ომის უმნიშვნელოვანესი ბრძოლები აისახა. რომანის გამოქვეყნებას საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ინტერესი მოჰყვა, იმდენად, რამდენადაც ეს ნაწარმოები იმ ხალხის ბრძოლას, თავგანწირვას და გამარჯვებას ასახავდა, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ იშუშებდა ომის იარებს.

აქ აღარ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად დოკუმენტური სანდოობით გამოირჩეოდა აქ აღწერილი მოვლენები, რადგან უკვე არაერთხელ ვახსენეთ, რომ ავტორი თავად იყო ამ ყველაფრის მონაწილე. წიგნში ნაჩვენებია ბრესტის სიმაგრის პერიპეტიები. რომანის მთვარი პერსონაჟის პროტოტიპი თავად ავტორია. ამიტომაცაა, თხრობა სულისშემძვრელი დეტალბით აღსავსე. გადმოცემულია ცხოვრების უმძიმესი გზა, რომელიც ერთი მხრივ, რეალური ფიზიკური სირთულეების წინაშე აყენებს ადამიანს და მეორე მხრივ, ეს არის სულის წრთვნა.

ვფიქრობთ, ამ რომანის ერთ - ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერც გადაჭარბებას, ვერც პათეტიკას, ვერც დითირამბებს, ასე დამახასიათებელს იმდროინდელი ტექსტებისთვის, რომლებიც დიდი სამამულო ომის შესახებ იქმნებოდა.

მისი პერსონაჟების უმრავლესობა რეალური ადამიანები იყვნენ, რომლებთან ერთადაც გამოიარა „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“. დღეს, რა თქმა უნდა, აღარც ერთი მათგანი აღარ არის ცოცხალი, ამ ტექსტის წყალობით კი თანამედროვე მკითხველს შეუძლია მხატვრულად გადმოცემული პირუთვნელი სიმართლე წაიკითხოს იმ პერიოდზე, რომელზეც დღესაც კი არ არსებობს საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, ვის მხარეს იყო სიმართლე.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ბრესტის ციხე-სიმაგრეს საკმაოდ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ტექსტში აღწერილია ბრესტის სიმაგრეში გამართული უმძიმესი შეტაკებები, (დაახლოებით შვიდი შეტევა იქნა მოგერიებული), რომლებსაც ციხე-სიმაგრის დამცველთა თითქმის ნახევარი შეეწირა.

ტრილოგიის შემადგენელი ეს რომანი კიდევ უფრო მეტად დოკუმენტური ხასიათისაა, ვიდრე „მაკიზარებთან“ ან „პიასტის ნამუხლარზე“.

ალექსანდრე კალანდაძე დეტალურად აღწერს საომარ სტრატეგიებს და ვითარებებს. ეს იყო მებრძოლთა სიცოცხლეშივე, მათ მიერ დიდი თავგანწირვის ფასად მოპოვებული გმირობის ილუსტრირება.

ადამიანის ჩვენება უმძიმეს ვითარებაში, ათასგვარი განსაცდელის პირისპირ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა ქართულ ლიტერატურაში და ამ მხრივ ალექსანდრე კალანდაძის ტექსტები საკმაოდ დიდი მონაპოვარია, იმდანად, რამდენადაც ომის ტრაგიკული მხარე დრამატული ვითარების აღწერას, ნაირგვარი ხასიათების შექმნას საჭიროებს. ისევე, როგორც ტრილოგიის სხვა რომანებში, აქაც ალექსანდრე კალანდაძისთვის უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ, რის ფასად ინარჩუნებენ მისი პერსონაჟები ადამიანურ თვისებებს, ან პირიქით, როდის და რა ვითარებაში კარგავენ მას.

ვკითხულობთ ტექსტს და ვხვდებით, რომ ბრესტი არ იყო მხოლოდ ციხე-სიმაგრეა, როგორც ჩანს, აქაურობა იმდენად ცოცხალია ჯერ კიდევ მწერლის მოგონებებში, როდესაც იქმნება ტექსტი, რომ იგი უფრო მეტად იმის ჩვენებას ცდილობს მკითხველისთვის, რა სულიერი ძალა ესაჭიროებოდა შეტევების მოგერიებას, თორემ ფიზიკური ძალის დემონსტრირება ამ ომში, როგორც ვიცით, ხან ერთ მხარეს ხდებოდა და ხან მეორე მხარეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ტექსტი შესაძლოა არ გამოირჩეოდეს მაღალმხატვრული ღირებულებებით, უფრო სწორად, არ იყოს ალექსანდრე კალნდაძის, როგორც მწერლის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოხატულება, მაგრამ აქვს უდავო ღირსება, - ეს არის დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში. ისიც უნდა ითქვას, რომ „მწვანე შტო“, „პიასტის ნამუხლარზე“ და „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“ მთლიან სურათს ქმნის მეორე მსოფლიო ომში შექმნილ ვითარებაზე.

ტექსტი გვაცნობს მხატვრულ პერსონაჟებად ქცეულ რეალურ გმირებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს თავიანთი სიმართლე, ღირსება და მათ უკან მყოფი სახლ-კარი.

ასე რომ, „დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში“ ის ტექსტია, რომელიც თანამედროვეობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მას შემდეგ, რაც დავშორდებით მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებს, მას შემდეგ, რაც თანდათან მოგვაკლდება ამ პერიოდის ცოცხალი მემატიანეები. ეს წიგნი დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორიაში პირუთვნელი, შეულამაზებელი სიმართლის დამადასტურებლად. ამის თქმის შესაძლებლობას კი ალექსანდრე კალანდაძის შეუვალი ავტორიტეტი იძლევა, რომელიც არასოდეს ტყუოდა ქართველი საზოგადოებისა და თავისი მკითხველის წინაშე.

თავი III

ქართული ისტორიული რომანის ძირითადი მახასიათებლები

ქართული ისტორიული რომანის განვითარებაზე მსჯელობისას 70–იანი წლები, ჩვეულებრივ, ახალ საფეხურად მოიაზრება. ეს ფაქტი არაერთხელ აღნიშნულა ქართველი ლიტერატურათმცოდნეების მიერ (გ. მერკვილაძე, შ. ჩიჩუა, გ. გაჩეჩილაძე, რ. მიშველაძე, ს. სიგუა, გ. გვერდწითელიდა სხვ.) ლიტერატურული პროცესის განვითარების ობიექტური მონაცემების, ისტორიული რომანის ფორმების, პრობლემური, სტილური თავისებურებების გათვალისწინებებით. აღნიშნულ პერიოდში „...ჩვენს მწერლობაში მომძლავრდა არა მხოლოდ რომელიმე ეპოქის, ისტორიული პიროვნების, ან ფაქტისადმი ინტერესის ტენდეცია, არამედ ისტორიის ფილოსოფიური გააზრების, მსოფლიო ისტორიულ ოჯახში ეროვნული და პიროვნული საზრისის ძიების ტენდენციაც“ [გაჩეჩილაძე გ., 1982, გვ.23].

ისტორიული რომანის მეტამორფოზებთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე საგულისხმო ასპექტი:

1) ერთი მხრივ, გვაქვს ტრადიციული ისტორიული რომანი, რომელიც განაგრძობს, ან ახლებურად ავლენს იმ თვალსაჩინო ტრადიციებს, რომელთა შექნასა და დამკვიდ-რებაზე ქართული ისტორიული რომანისტიკის დარგში თავის დროზე იზრუნეს ვ. ბარნოვმა, კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, შ. დადიანმა, ალ. ქუთათელაძემ და სხვებმა; სწორედ ამ ტრადიციების ერთ-ერთ გამგრძელებლად მოვიაზრებთ ალექსანდრე კალანდაძეს, რომლის ისტორიულ რომანებს 70-80-იან წლებში გაეცნო ქართველი მკითხველი.

2) მეორე მხრივ, გაჩნდა რომანები, რომელთაც მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ ისტორიულს; არატრადიციულ ისტორიულ რომანში აშკარად იჩინა თავი რიგმა თავისებურებებმა (ჟანრულმა, თემატურმა, პრობლემატურმა). ამ ტიპის რომანებში ისტორიული რეალიები მინიმუმამდეა დაყვანილი; ისტორია – მხოლოდ და მხოლოდ შესაფერისი ფონია წარსულის ნიღაბქვეშ დღევანდელობის მნიშვნელოვანი პრობლემების, დროის დიალექტიკური კავშირის წარმოსაჩენად .

ტრადიციული ისტორიული რომანების ციკლს განეკუთვნება 1977 წელს ალექ.

კალანდაძის მიერ გამოქვეყნებული „ნეიშნის ფიციც.“

ტრადიციული ისტორიული რომანის ერთ-ერთ სახედ ვგულისხმობთ ისტორიულ-ბიოგრაფიულ რომანებსაც, რომელთა განვითარებას საფუძველი დაუდეს კ. გამსახურდიამ („გოეთეს ცხოვრების რომანი“), ლ. ასათიანმა („ცხოვრება აკაკი წერეთლისა“), ვ. ჭელიძემ („ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“), ნ. აგიაშვილმა („სერვანტესის ცხოვრება“), ალექსანდრე კალანდაძემ რომანებით – „გარდამოხსნა“ (ი. ჭავჭავაძეზე), „შარავანდედი“ (სოლომონ დოდაშვილზე) და სხვ.

აღნიშნულ ნაწარმოებებში დაძლეულია ე. წ. „ბიოგრაფიული სიმშრალე“ და პიროვნების ცხოვრებისეული გზა წარმოდგენილია ფართო ხილვის ასპექტში. სწორედ ეს ტრადიცია განავითარეს 70-80–იან წწ-ში ს. ჭილაიამ, თ. მაღლაფერიძემ, ე. მაღრაძემ, ო. ჩხეიძემ, რ. ჩხეიძემ და სხვებმა. ამავე პერიოდში ქართული ისტორიული ინტუიციის გამძაფრების შედეგია ისტორიული რეალიებით აღსავსე რომანი - ქრონიკის გაჩენა, რომელმაც უჩვეულო ინტერესი გამოიწვია მკითხველებში. აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნდა ვ. ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, თ. ნატროშვილის „მაშრიყიდან მაღრიბამდე“, ლ. სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“.

რაც შეეხება არატრადიციულ ისტორიულ რომანს, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არ იწვევს კამათს ის ფაქტი, რომ ორი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ლიტერატურული პროცესის ერთ–ერთ წამყვან ტენდენციად იქცა ისტორიული რომანის ინტენსიური განახლება და გამრავალფეროვნება, გაჩნდა „ახალი ტიპის რომანები“, რომელთა მიკუთვნება ერთმნიშვნელოვნად ისტორიული რომანის ჟანრისთვის ძნელდება.

მაინც რა არის ნიშნეული არატრადიციული რომანისათვის?

1) უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მწერლების (ო. ჭილაძე, ჭ. ამირეჯიბი, თ. ბიბილური) რომანების დანიშნულება არა შორეული წარსულის სურათების ილუსტრირებული ასახვაა, რასაც ძირითადად შემეცნებითი–ინფორმაციული ფუნქცია აკისრია, არამედ ისტორიული მოვლენების ფილოსოფიური, ზნეობრივი გააზრება, დროის დიალექტიკური კავშირის ჩვენება. ამ რომანებში აისახება თანამედროვეობის საჭირბოროტო საზოგადოებრივი და ესთეტიკური პრობლემები. ამიტომ ხშირად არატრადიციული ისტორიული რომანი უფრო ახლოს დგას თანამედროვეობასთან, უკეთ ასახავს არსებულ პრობლემებს.

2) თუ ტრადიციული ისტორიული რომანის ავტორები ისტორიოგრაფიისათვის ცნობილ გმირებს ანიჭებენ უპირატესობას, მათზე აგებენ თხრობას, არატრადიციული ისტორიული რომანის ავტორები ამათ გვერდით (ხშირად კი მათ გარეშეც) ქმნიან ფიქტობრივ პერსონაჟებს (როგორც მთავარს, ასევე – მეორეხარისხოვანს).

3) არატრადიციულ ისტორიულ რომანში ქართველი მწერლები მათ მიერ წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად ხშირად მიმართავენ კაცობრიობის სოციალურ-ზნეობრივი გამოცდილების საგანძურს: მითებს, ლეგენდებს, იგავებს.

ქართველ მწერალთა ინტერესი მითოლოგიისადმი, უპირველეს ყოვლისა, იმით შეიძლება აიხსნას, რომ მითებმა შემოგვინახეს ის ეთიკური ფასეულობანი და არქეტიპები, რომელთაც გაუძლეს საუკუნეებს და გადარჩნენ სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის გზაზე.

შეუძლებელია წარმოვადგინოთ ისტორიული რომანის განვითარებისა და შესწავლის ერთიანი, თუნდაც სქემატური სურათი, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ორი სხვადასხვა პოზიცია, რომელიც მეტ-ნაკლებად იჩენს თავს ისტორიული რომანების ავტორებთან: ერთი მხრივ, ეს არის ერთგულება ისტორიული ფაქტებისადმი და, მეორე მხრივ, თავისუფალი თხზვა „ისტორიულ“ თემაზე.

ცნობილია, რომ ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების საკითხმა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიიქცია ფილოსოფოსთა ყურადღება. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ აღნიშნავდა, რომ პოეტის დანიშნულებაა, განსხვავებით ისტორიკოსისაგან, არა იმის თქმა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, არამედ იმისა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მისივე აზრით, ისტორიკოსი და პოეტი იმით როდი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთი მათგანი ლექსად წერს, მეორე კი – არა; სალექსო ზომითაც რომ გააწყო ჰეროდოტეს თხზულებანი, ისინი მაინც ისტორიულნი იქნებიან. არისტოტელეს აზრით, განსხვავებას მათ შორის შეადგენს მოვლენისადმი მიდგომა: „პოეზიის საგანი – უფრო ზოგადია, ისტორიისა კი – ერთეული“ [არისტოტელე, 1944, 27].

ჰეგელის აზრით, ისტორიული მასალა იყოფა პროზაულად, რომელიც მეცნიერების კვლევის სფეროს განეკუთვნება და პოეტურად, რომელიც ხელოვნების შთაგონების საგანი ხდება. ისტორიულ მეცნიერებას, მისი აზრით, არა აქვს უფლება უგულვებელყოს პროზაული დამახასიათებელი თვისებანი მის მიერ წარმოდგენილი

მასალის შინაარსში, ან გადააქციოს ისინი სხვა სახედ – პოეტურად. მეცნიერი ვალდებულია გადმოსცეს ის, რაც არის, და სწორედ ისე, როგორც არის. მან უნდა „გადახარშოს“ გონებაში ისტორიული ფაქტები და არ უნდა განავითაროს ისინი შემოქმედებითად. ამიტომ, როგორც არ უნდა ეცადოს იგი, რომ თხრობის შინაგანი სიმძიმე გადაიტანოს მის მიერ დეტალებში გადმოცემულ გარკვეულ მოვლენაზე, რომელშიც ჩანს ეპოქის სული, ხალხის ნება, იგი მაინც იძულებულია ყველაფერი დაუშვას ისე, როგორც იგი არსებობს თავის გარეგნულ შემთხვევითობაში, დამოკიდებულებაში.

ჰეგელი განასხვავებს ერთმანეთისაგან ისტორიული ფაქტების მეცნიერულ განზოგადებას და ისტორიული მოვლენების, ხასიათების მხატვრულ ტიპიზაციას. იგი ანალიტიკურად განიხილავს ისტორიული წარსულისადმი შემოქმედის დამოკიდებულების საკითხს, ისტორიული მასალების წაკითხვისას წარმოქმნილი დროის დისტანციის დაძლევის პრობლემას.

ისტორიული რომანის თავისებურების განსაზღვრისას ამოსავალი პრინციპი ის უნდა იყოს, რომ ისტორიული რომანი, უპირველეს ყოვლისა, არის რომანი და შემდეგ ისტორიული, ე. ი. თუ მას გავმიჯნავთ „უბრალოდ რომანისაგან“, მაშინ დომინანტური გახდება უფრო თემატური მაჩვენებელი, ვიდრე – ჟანრობრივი. ამდენად, ისტორიული რომანისათვის ჟანრის დარქმევა ისეთივე პირობითია და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით მიუღებელი, როგორც სათავგადასავლო, სამეცნიერო-ფანტასტიკური ან ყოფითი ჟანრის ცალკე გამოყოფა. ისტორიული რომანის მრავალფეროვანი თხრობითი ფორმების სახეობრივი სპეციფიკა განისაზღვრება არა მათი ჟანრობრივი „მიწერით“, არამედ თემატური „შედგენილობით“, ანუ ცხოვრებისეული მასალის თავისებურებით, რომელიც ამოღებულია ისტორიული წარსულიდან და საფუძვლად უდევს ნაწარმოებს.

მეცნიერებმა არაერთხელ მიუთითეს ისტორიული მოვლენების მითოლოგიზაციის ფაქტებზე. მაგრამ ამ რომანების ისტორიზმი არა ისტორიული სინამდვილის გახსნაშია, მითოლოგიური ფანტასტიკის საფუძველზე, არამედ პრობლემატიკის ისტორიულ მნიშვნელობასა და აქტუალობაში.

70-80-იან წლებში რომანის განვითარების ერთ-ერთი ტენდეციაა ისტორიულ

დოკუმენტებზე, ისტორიულ მოვლენებზე დაყრდნობით, გარკვეული ეპოქის, ერის ცხოვრების „კრიტიკული პერიოდების“ ასახვა.

მწერალმა ალექსანდრე კალანდაძემ ქვეყნის ცხოვრების სწორედ მწვავე, საკვანძო მომენტების ასახვის კურსი აირჩია. მისთვის ისტორია თავისთავადი, ობიექტური მოცულობაა, რომელსაც საკუთარი შინაარსი აქვს, მაგრამ მას მწერალი იღებს გარკვეული რაკურსით – რამდენად გამოსადეგია ისტორიისათვის ესა თუ ის პერიოდი, ისტორიული პიროვნება იმ ზნეობრივი პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც ჩვენს თანამედროვეობასაც აწუხებს. რომანის უმთავრესი ამოცანა სწორი არჩევანის გაკეთებაა, ისეთი გმირის წარმოჩენაა, რომელიც გრძნობს პასუხის-მგებლობას თავისი ერისა და ისტორიის წინაშე.

ინტენსიური შემოქმედებით მუშაობა და მხატვრულ-ლიტერატურული პრო-დუქტიულობა გამოავლინა მწერლამა, როდესაც ერთიმეორეს მიყოლებით შექმნა სამი დიდტანიანი რომანი სხვადასხვა თემაზე. თანაც ისეთ თემებზე, რომელბიც მოითხოვს საქმის მაქსიმალურად ზუსტ ცოდნას, თითოეული მჭიდროდ არის დაკავშირებული ეპოქის უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო პრობლემებთან. „მაკიზარებთან“, „მწვანე შტო“, „ნეიშნის ფიცი“ სხვადასხვა სახის მასალას საჭიროებდა. ამ ნაწარმოებთა შესაქმ-ნელად ფართო ერუდიცია, ცოდნა უნდა ჰქონოდა ავტორს, რომ ეს განსხვავებული დროისა და მიმართების მოვლენები რეალისტურად გააზრებული და მაღალ-მხატვრული გემოვნებით გადმოეცა.

ალექსანდრე კალანდაძის „ნეიშნის ფიცმა“ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მწერალმა რომანში წამოჭრა ეროვნული თვითშეგნებისა და პირადი ზნეობის ურთიერთობის დიდი პრობლემა. ერთი მხრივ, როგორც ეროვნულ-პატრიოტული სულის საოცარი სიმტკიცის გამოვლენა სასტიკი განსაცდელის ჟამს და, მეორე მხრივ, როგორც ახალი ძალის ზნეობრივი გმირობის მაგალითი. ამ პლანს ქმნის ისტორიის გაკვეთილებისადმი განსაკუთრებული, გამახვილებული გრძნობა.

მწერალი ირჩევს ქვეყნის ცხოვრებიდან იმ პერიოდს, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ერის ცხოვრებაში და კვლავაც მოითხოვს განვლილის დაკვირვებით კვლევას თანამედროვე და მომავალი ცხოვრების გეზის შემოწმების გზით. ავტორი მიზნად ისახავს ქართველი ერის ცხოვრებაში ერთ-ერთი „კრიტიკული პერიოდის“ ჩვენებას, მის სიღრმეში ჩაწვდომას.

§1. „ნეიშნის ფიცი“

საქართველოს ისტორიის XVIII საუკუნის მოვლენებს ასახავს ალექსანდრე კალანდაძის რომანი „ნეიშნის ფიცი“. XVIII ს-ის ბოლოს დოკუმენტურად გაფორმდა და დაკანონდა წინა საუკუნეებში (XVI–XVII) ჩასახული და მომწიფებული ეროვნული პოლიტიკის ორიენტაცია, რომელმაც არსებითი მნიშვნელობა იქონია ეროვნული ცხოვრების მომავალზე მომდევნო საუკუნეებში. XVI საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას განსაზღვრავდა აღმოსავლურ-მაჰმადიანური დესპოტიზმისაგან განთავისუფლების მისწრაფება. ქართველი პოლიტი-კოსები ევროპასთან კავშირით იმედოვნებდნენ ქვეყნის დაწინაურებას, გაერთიანებასა და მიტაცებული მიწა-წყლის შემოერთებას. ამ მიმართებით, XVIII ს-ის დასაწყისიდან არაერთი მცდელობაა დიპლომატიური კავშირის დამყარებისა საფრანგეთთან, იტალი-ასთან და ძლიერდება მიდრეკილება რუსეთისაკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ევროპული ორიენტაცია იმთავითვე ბევრად უფრო ფართო შინაარსს ატარებდა, ვიდრე ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაა. პოლიტიკური ორიენტაცია თავისთავად გულისხმობდა კულტურულ ორიენტაციასაც. XVIII საუკუნეს – „განმანათლებელთა საუკუნეს“, „გონების საუკუნეს“ უწოდებენ ევროპაში. რუსეთი პეტრე I-ის რეფორმების შემდეგ მტკიცედ დაადგა ევროპული ცივილიზაციის გზას. ამიტომ კურსი ევროპისაკენ, რუსეთისაკენ, შინაგანად შეგრძნობილი, ღრმად გააზრებული ორიენტაციაც იყო. ეს არის „ნეიშნის ფიცის“ პრინციპულად ახალი ისტორიული კონცეფცია, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში აშკარად წარმოჩნდება.

რომანში მრავალი პრობლემაა წამოჭრილი, რომელთაგან ერთი რომელიმე მთავარის გამოყოფა ჭირს: მაღალზნეობრიობა თუ ანტიმორალი, ქვეყნისა და ხალხი-სადმი ერთგულება თუ ღალატი, ბოროტება და სისასტიკე თუ სიკეთის ქმნა, ტირანია თუ ჰუმანიზმის იდეები. რომანის ზნეობრივი კრედოა ჰარმონიულობისაკენ სწრაფვა, უსაზღვრო რწმენა სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებისა.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შემობრუნების ევროპულ-რუსული ორიენ-ტაცია მოითხოვდა მტკიცე ხელისუფლებას, ბრძოლასა და მსხვერპლს, თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანა ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. თეიმურაზის, ერეკლესა და ანტონის I-ის სახელმწიფოებრივ-კულტურულმა მოღვაწეობამ ხელსაყრელი ნიადაგი მოამზადა დასახული მიზნის მისაღწევად, რაც შესანიშნავადაა ნაჩვანები ამ რომანში.

„ნეიშნის ფიცს“ ორი მთავარი გმირი ჰყავს: კახეთში, ნეიშნის ველზე სამუდამო ფიცით შეკრული ორი ჭაბუკი ნათესავი, შემდგეგ ორი დიდი ქართველი მამულიშვილი, ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე და კათალიკოსი ანტონ ბაგრატიონი. ამ ორ გმირს, ჩვენი აზრით, ერთანაირი სიმძიმით აწევთ მხრებზე რომანის სიუჟეტში გაშუქებული ეპოქალური მოვლენების სიმძიმე.

და მაინც, თუ რომანს ჰყავს ერთპიროვნული გმირი,- ეს ანტონ ბაგრატიონია. საქართველოს ისტორიაში მე-18 საუკუნე ერთი ყველაზე რთული, პოლიტიკური ქსელით დახლართული პერიოდია. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში მარტო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის უბრალო მაძიებელთა ჩამოთვლაც კი გრძელ სიას შეადგენს. რომანში სწორედ ეს ურთულესი პოლიტიკური ბრძოლები, სხვადასხვა მიზნით შეპყრობილ ფეოდალთა არეულობის, ქიშპობის გაუთვალისწინებელი ქაოსი, სიბნელით მოცული მრავალი ტრაგედია ნათლად და საინტერესოდაა გადმოცემული.

ანტონ კათალიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა რამდენადმე ბურუსით იყო მოცული. ყოველ შემთხვევაში, მანამდე არ გვქონდა რაიმე მსგავსიც კი, „ნეიშნის ფიცის“ დონეზე რომ გადაგვიშლიდა ამ ტრაგიკული ადამიანის ურთულეს შინაგან სამყაროს, მისი მოღვაწეობის სიდიადეს, ნიჭის უნიკალობას, მის დიდ როლს საქართველოს კულტურული განვითარების გზაზე. ანტონ ბაგრატიონის ლიტერატურული ღვაწლი, მისი „სამი შტილის“ თეორია, სარწმუნოებრივი კონცეფციები და ენობრივ-ლიტერატურული პოზიციები, სამწუხაროდ, ხშირად არასწორი ინტერ-პრეტციებითაც გვეწოდებოდა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ნეიშნის ფიცით“ ნათელი გახდა მრავალი ეპოქალური საიდუმლო, ერთი ყველაზე რთული საუკუნის არაერთი უცნობი ისტორიული ფაქტი, რომელიც, როგორც ავტორიც აღნიშნავს უფრო მეტად ბნელია და იდუმალი, ვიდრე მასზე ადრეული ეპოქები. ამაში ვხედავთ რომანის უაღრესად დიდ შემეცნებით მნიშვნელობას. ალექსანდრე კალანდაძემ შეძლო მომავალი თაობისთვის, დაინტერესებული მკითხველისთვის დაეტოვებინა განსხვავებული სურათი, უფრო მეტიც, მხატვრული ტექსტი საშუალებას იძლევა თითოეულმა მკითხველმა უკვე არსებული გაბატონებული შეხედულებებისგან დამოუკიდებლად გააანალიზოს, შეაფასოს მოვლენები და თავად გამოიტანოს დასკვნები.

ახალი დროის მოთხოვნათა სულისკვეთებით დანახულ და გააზრებულ წარ-

სულს მუდამ ახლავს განუმეორებელი კოლორიტი, ცხოველმყოფელობა. მით უფრო, თუ წამოჭრილი პრობლემები ისტორიულიცაა და სადღეისოც, თუ ერის თვითშეცნობას ემსახურება, გარდასული მოვლენებისადმი იმგვარ მიდგომას გამოხატავს, რომელიც დღევანდელობასთან დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას. ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება სწორედ „ნეიშნის ფიცი“.

ალექსანდრე კალანდაძემ პრობლემათა ფართო, ღრმა გააზრებით მიზნად დაისახა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სერთაშორისო მოვლენების ამოხსნა, ჩვენება, რომლებიც თავიანთ მოთხოვნებს კარნახობდნენ მე-18 საუკუნის ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს.

„ნეიშნის ფიცი“ ასახავს ეროვნული გადაშენების საფრთხეს, რომელიც მე-18 საუკუნემ თავს დაატეხა საქართველოს. შემაშფოთებელია ის სცენები, რომლებშიც ნაჩვენებია გაუთავებელი, გამანადგურებელი შემოსევები, თავდასხმები, ხალხის ძარცვა, გარეშე თუ შინაური მტრის თარეში.

რეტროსპექტულად რომანი უფრო ადრეულ ამბებზეც იძლევა წარმოდგენას, მაგრამ უშუალო მოქმედება იწყება ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლით, ოსმალთა გაბატონებით, „ქართლის ჭირით“, იმ მძიმე ვითარების წარმოჩენით, რომელიც ირანზე პეტრე დიდისა და ქართველთა ერთიანი ლაშქრობის ჩაშლამ გამოიწვია.

რომანში იგრძნობა შინაფეოდალური ბრძოლის სირთულე, გაერთიანების სიძნლეები. ვრწმუნდებით, რომ ერთიანობის აღდგენით საქართველოს შეეძლო თავი დაეღწია განსაცდელისთვის. სამწუხაროდ, ეს არ ხერხდებოდა შინა აშლილობის გამო, რაც სართო მდგომარეობის განუყოფელი ნაწილი იყო, რაც მანამდეც არაერთხელ მომხდარა ჩვენში.

შთამბეჭდავია ქსნისა და არაგვის ერისთავების, ამილახვრების, ქართლ-კახეთის სამეფო კარის წარმომადგენელთა ინტრიგებისა და ულმობელი ომების სურათები. რომანში ეროვნული, რაციონალისტურ-განმანათლებლური იდეოლოგია უპირისპირდება აღმოსავლურ მაჰმადიანურ ჰედონიზმს, პატრიარქალურ ჩამორჩენილობას, თეოლოგიურ დოგმატიზმსა და რელიგიურ მისტიციზმს.გამოდიან რა „განათლებული აბსოლუტიზმის“ მეთაურებად, ერეკლე და ანტონი ჭეშმარიტი ცოდნის გადამწყვეტ წყაროს - გონებას სცნობენ, ენერგიულად იღწვიან მეცნიერებისა და ევროპული წესრიგის დასამკვიდრებლად. რაც არ უნდა გასაკვირი ჩანდეს, აღმოჩნდა, რომ იმ

ძნელბედობის ხანაში აზრის განვითარების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა ისევ და ისევ ევროპული იდეოლოგიის ნაწილად მოიაზრებდა საკუთარ თავს, ამის დასადას-ტურებლად საკმარისი იქნება გავიხსენოთ ე.წ. განმანათლებლებლის ეპოქა და მათი მოღვაწეობა იმდროინდელ ევროპაში (კანტი და ა. შ.).

ასე რომ, შესაბამისად, რომანშიც გამოვლინდა მოვლენათა ურთიერთ-დაპირისპირებულობა. ორი ბანაკის ურთიერთდევნა, დაბეზღებები, პოლიტიკური ინტრიგები, დაჯგუფებები, კოცონები სიონთან და სვეტიცხოველთან, ატოდაფე, მკვლელობები და დაპატიმრებები, დემონსტრაციული მსვლელობანი თბილისსა და მცხეთაში, ცხარე დებატები საეკლესიო კრებებზე, მძაფრი პოლემიკა სემინარიის პაექრობებზე, სისხლისმღვრელი შეტაკებები იდეურ მოწინააღმდეგეთა შორის.

ფაქტია, ავტორი ობიექტურად წარმოგვისახავს სავარაუდო სინამდვილეს, რა თქმა უნდა, მხატვრული ტექსტი უმეტესწილად ისტორიულ მასალებს ეყრდნობა და აქ მხოლოდ მცირე ადგილი რჩება სუბიექტური დამოკიდებულებებისათვის თვით ავტორს. არადა, ჩვენს ლიტერატურულ ისტორიას ახსოვს ფაქტების სრული შეცვლა-დამახინჯებით შექმნილი ლიტერატურული ტექსტები, რამაც არასასურველი შედეგე-ბი მოგვიტანა შემდგომ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ნეიშნის ფიცის“ ავტორსაც ადანაშაულებდნენ მიკერძოებულობაში და ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, დასკვნებს კი ისევ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შემოგთავაზებთ.

სწორედ ზემოთქმული ფონის გათვალისწინებითაა შექმნილი მეფის მოძღვრის - ზაქარიას სახე - სქოლასტიკოსი, დოგმატიკოსი, პატრიარქალიზმის ბურჯი, მეცნიერე-ბის მტერი, პოლიტიკაში სეპარატიზმის მედროშე და გაერთიანების სასტიკი მოწინააღმდეგე... მისი სახის შექმნით ალექსანდრე კალანდაძემ მხატვრული დამაჯე-რებლობით გაშიფრა გაჩაღებული ბრძოლების იდეოლოგიურ-პოლიტიკური შინაარსი, ცხადყო დიპლომატიური ორიენტაციის სირთულე, დაგვანახა მისი იდეურ-სულიერი სარჩული. დემონურ ენერგიას პროგრესის ნათელი და კეთილი სული დაუპირისპირა. კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იმ დროს ევროპული, შესაბამისად რუსული ორიენტაცია უფრო მეტს ნიშნავდა ქვეყნისთვის, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. უპირველეს ყოვლისა, მისი აზრით, ეს იყო სწრაფვა ცივილიზაციის გზაზე არსებობის უზრუნველყოფისკენ.

„ნეიშნის ფიცის“ ღირსება, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ პატარა კახისა და ანტო-

ნის მონუმენტური მხატვრული სახეებია, რომელთა ცხოველმოყოფელობას მათი ისტორიული როლის ახლებული გაგება და ლიტერატურული ხორცშესხმა განაპირობებს.

რომანის ეროვნული ოპტიმიზმის მოდელი გულისხმობს ძლიერი ნებისყოფის ისტორიულ პიროვნებებში ერის გაუტეხელობის, უშრეტი ენერგიისა და სიცოცხლისუნარიანობის განსახიერებას. ამიტომ შთამბეჭდავად ირეკლება ხალხი, როგორც ისტორიის მთავარი გამოხატულება.

სახეების გამოკვეთის ხელოვნება, პერსონაჟთა შინაგან სამყაროში წვდომის უნარი მწერალს საშუალებას აძლევს წარმოგვიდგინოს მეფეთა, კათალიკოსთა და ფეოდალთა უაღრესად ინდივიდუალური ხასიათები, ზოგჯერ ეროვნული იდეალებისადმი ერთგულების და ზოგჯერ - პირად ამბიციებს გადაყოლის ფაქტები.

რაც შეეხება ერეკლეს, მისი სახე ჩამოყალიბებულია თეიმურაზ მეორესთან შეპირისპირების გზით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზ მეორე რომანში ერთგვარი ირონიული აქცენტირებითაა წარმოდგენილი. თხრობა იმგვარი მანერით მიმდინარეობს, რომ მკითხველს მხედველობიდან არ რჩება მისი ხასიათის სუსტი მხარეები. თითქოს მას არც ვაჟკაცობა აკლია, არც სიბრძნე, არც ნიჭი, არც ზნეობრივი სიწმინდე, მაგრმა აშკარა ხდება, რომ კრიტიკულ მდგომარეობაში, განწირულობის ჟამს, ქვეყანას უფრო ენერგიული, გამჭრიახი, დიდი ნებისმყოფის მქონე სარდალი და პოლიტიკოსი სჭირდება.

აი, პატარა კახი კი, რომანშიც და ხალხის მეხსიერებაშიც, უმეტესად საქართველოს ერთიანობაზე, დამოუკიდებლობაზე, გაძლიერებასა და კულტურულ დაწინაურებაზე სახალხო ოცნებისა და იმედის სახეა. მან დაიმსახურა, რომ მისი სიტყვა და საქმე ირწმუნონ.

ჩვენს მწერლობას, მეთვრამეტე საუკუნის ფოლკლორით დაწყებული, ერეკლეს მხატვრული გამოსახვის უდიდესი ტრადიცია აქვს, რაც რომანისტს, ალბათ, გარკვეულ სირთულესაც უქმნიდა. თუმცა, ეს სიძნელეები გადალახულია გმირის შინაგანი სამყაროს წარმოჩენით. მეფეს ალექსანდრე კალანდაძის რომანშიც მომხიბვლელობას მატებს ის გაუგონარი სიმამაცე, რომლითაც დაიმახსოვრა უბრალო ხალხმა, ქვეყნის ბედ-იღბალზე, უბრალო ხალხზე ზრუნვით. ამიტომაა „ნეიშნის ფიცშიც“ ჩვენ წინაშე ერეკლე ხასიათის იმ მთავარი თვისებების მატარებელი, რომლითაც შემოგვინახა იგი ისტორულმა მეხსიერებამ.

ცნობილი ფაქტია, ილია ჭავჭავაძე ქართული მწერლობის ერთ ძირითად ამოცანად მიიჩნევდა „ისტორიული გმირების წამოყენებას საფლავებიდან“, მათი სამაგალითო საქმეების მხატვრული სიტყვით გაცოცხლებას.

რომანს ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ეძღვნება არა მარტო საყოველთაოდ აღიარებულ ისტორიულ პიროვნებას, არამედ მიჩქმალული და უსამართლოდ დავიწყებული დიდი ეროვნული მოღვაწის, მეცნიერისა და მწერლის ხსოვნას. აქ ობიექტურადაა წარმოდგენილი ანტონ ბაგრატიონის ღვაწლი - თითქოს ალ. კალანდაძის ხელით ესხმება ხორცი ილიას სიტყვებს, რომ ანტონ კათალიკოსის პიროვნება დიდ მნიშვნელობას შეიძენდადა ღირსეულ ადგილს დაიჭერდა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა.

შეუმჩნევლად, დროის რაღაც გაურკვეველ მონაკვეთში მოხდა საოცარი გაუგებრობა, ამ მოღვაწის სახელი, რომლის ღვაწლს უდიდეს შეფასებას აძლევნდნენ ი. ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ს.მესხი, დ.ჩუბინიშვილი, ა.ხახანაშვილი,მთელი პროგრესული პრესა („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „თეატრი“, „კვალი“ და სხვ.), შემდეგში უსამართლოდ იქნა მივიწყებული. შალვა ნუცუბიძის თქმით, მართალია, უკანასკნელ დროს ჩვენმა მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს ჭეშმარიტების აღსადგენად, მაინც ვვარაუდობთ, რომ დიდი მეცნიერის, მოღვაწის, შემოქმედის პიროვნება მთელი სისრულით, სიცხადით პირველად მაინც ალექსანდრე კალანდაძის რომანში წარმოსდგა. ანტონის მხატვრული სახის შთამბეჭდაობა და ხალხურობა იმითაა საინტერესო, რომ მის ბედში ქვეყნის ბედია განსახიერებული. მისი ხასიათი გახსნილია დიდი ისტორიული მოვლენების მიმოქცევასა და ეჭვებით აღსავსე მტანჯველ შინაგან ბრძოლაში.

ანტონ I-ის მამულიშვილურ-ეთიკური მრწამსი გამოვლინდა სამშობლოს ერთინობისათვის თავის შეწირვის ისეთ ფაქტში, რომელიც საყოველთაო მაგალითად უნდა ქცეულიყო. ქართლის ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ მეფე ერეკლეს სასარგებლოდ, ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ხელი აიღო მემკვიდრეობის უფლებაზე. ასეთი ფაქტებით, როგორც ვიცით, არ ვართ განებივრებული და სწორედ აქაა რომანის კრედო, ასეთი თავგანწირვა ავლენს პიროვნების ხასიათს, საღ, რაციონალისტურ აზროვნებას, ცხოვრებაში კეთილი საწყისის დაჟინებულ ძიებას. ეს ისტორიული ფაქტია, რომელსაც ვერ წაუვალთ. ამ კონკრეტული საქციელის სხვადასხვა

მოსაზრებით ახსნა, რაც ხშირად გვსმენია, არ იქნება მართებული, რადგან ფაქტი რჩება ფაქტად - ეს იყო პიროვნება, რომელმაც საკუთარი ნების საფუძველზე თქვა უარი კანონიერ ძალაუფლებაზე, არ გამოდგება არგუმენტად ის, რომ მას კათალიკოსის არცთუ ნაკლებმნიშნველოვანი და შესაძლებლობების მიმნიჭებელი ადგილი ეკავა.

უმთავრესი, რასაც ანტონმა ზნეობრივი იდეალის ძიებაში მიაღწია, რაც ყველაზე ძვირფასია, რასაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უერთგულა, - ეს არის ერეკლესთან ფიცმტკიცობა, ერის საკეთილდღეოდ მეცნიერების, განათლების, კულტურის სამსახური (ამ შემთხვევაში ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ რამდენად ობიექტური და მართებული იყო მისი მიდგომები, ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში შეფასებები არაერთგვაროვანია და ეს ბუნებრივიცაა). ანტონის თავდადება და ბრძოლა ნათელი მაგალითი იყო მისი თანამედროვეებისთვისაც. აღმოსავლურიდან რუსულ-ევროპულ ორიენტაციაზე გადასვლა სულიერი კულტურის სფეროშიც ისეთივე რთული და მტკივნეული პროცესი იყო, ისეთივე სიძნელეებს აწყდებოდა, როგორც პოლიტიკური ორიენტაციის ახალი კურსი.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტრილოგიის პირველი წიგნი, ისევე როგორც დანარჩენი ორი, უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ქართული ლიტერატურისთვის, რომელსაც სათანადო ყურადღება დღეს ნაკლებად ექცევა, არადა დაგვეთანხმებით, რომ მასში ასახულ უმთავრეს პრობლემას, ქვეყნის განვითარების გზების ძიებას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ის კი არადა, დღესაც ვდგავართ იმავე პრობლემების წინაშე, როგორც მაშინ, თუ უფრო მწვავედ არა. ამიტომ, ვფიქრობთ, მართებული იქნება, „ნეიშნის ფიცს“ კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს ქართველი საზოგადოება, როგორც საკუთარი ისტორიულ-მხატვრული განვითარების განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ეს შეფასება რომ ობიექტურია, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს თუნდაც ის, რომ რომანის გამოქვეყნებისთანავე გაჩნდა არაერთგვაროვანი შეფასებები და დამოკიდებულებები, დაგვეთანხმებით, უმნიშვნელო მოვლენა ამგვარ რეაქციას ნაკლებად გამოიწვევდა ჩვენს საზოგადოებაში.

ალექსანდრე კალანდაძე ისტორიულ სინამდვილეს ჭვრეტდა არამარტო როგორც მწერალი, რომელსაც მიზნად დაუსახავს მშვენიერი ფორმა მოუნახოს სათქმელს, ნამდვილ ისტორიულ პირთა და თავისი ფანტაზიით შექმნილ გმირთა დიალოგებს, ნააზრევსა და ნაფიქრს, არამედ როგორც სწავლული მეცნიერი განიხილავდა გამოკვლევით, აწრთობდა და სამზეოზე ისე გამოჰქონდა გარდასული დროის ამბავი.

ავტორს კარგად ესმის ისტორიული პროცესის ისტორიული ხასიათი, ამიტომ მოვლენები წარმოდგენილია, როგორც ცხოვრების განვითარების კანონზომიერება. თავისებურად გაიაზრებს იმ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც მის ისტორიულ რომანებში ვითარდება. ვფიქრობთ, დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს ორიენ-ტაციის საკითხს. მწერალი ცდილობწამოსწიოს გაძლიერებული ურთიერთობა ჩრდი-ლოეთიდან მოახლოებულ ერთმორწმუნე ქვეყანასთან – რუსეთთან, როგორც საქარ-თველოს გადარჩენის ერთადერთი და უალტერნატივო გზა.

მიგვაჩნია, როგორც ყველა ჭეშმარიტმა პატრიოტმა მწერალმა, გადაწყვიტა ეჩვე-ნებინა, ბნელეთიდან თავდახსნის ერთადერთი სწორი, ერთადერთი მართალი გზა. ამავე დროს, მწერალმა გვიჩვენა, როგორ უნდა გაისარჯოს კაცი, როცა მოყვარეს უჭირს, როგორი თავდადება მართებს ერთ ადამიანს მეორესათვის, როგორ საჭიროა თანადგომა განსაცდელის ჟამს, თანადგომა გაჭირვებასა და უბედურებაში.

ხშირია ავტორის უკან სვლები. იგი ერევა თხრობაში, არღვევს სინამდვილის ზუსტი,ობიექტური გამოხატვის გზას. რომანში ფსიქოლოგიური შინაარსი ყოველ-თვის გადაწეულია უკანა პლანზე. მწერალი ხატავს თავის გმირთა შინაგან სამყაროს, ამარტივებს ხალხის ფსიქოლოგიას. ჩვენი აზრით, თანამედროვე მწერლობამ უნდა გვიჩვენოს მაღალი პატრიოტული შეგნების მატარებელი ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა, ადამიანები, რომლებიც ქმნიან ყველანაირ ღირებულებებს.მწერალი, ისევე როგორც მთელი ერი, ერთდროულად ცხოვრობს წარსულის გრძნობით, აწმყოს შემოქმედური შეგნებით და მომავლის იმედით... და რარიგ შორეულ წარსულსა და მომავალს არ უნდა ეხებოდეს ნაწარმოები, მისი ეპიცენტრი მაინც თანამედროვეობაშია.

ალექსანდრე კალანდაძე არა მარტო ნიჭიერი მწერალი, არამედ ბრწყინვალე მოქალაქე და დიდი მამულიშვილია. სრულიად ახალი თემა ლიტერატურაში არ არსებობს, ყველაფერი უკვე დიდი ხანია, რაც ითქვა და სწორედ მწერლის დამსა-ხურებაც ის არის, რომ ნაცნობ სიუჟეტებს უდგება ახალი კუთხით და განსაკუთ-რებული ფერებით ხატავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ალექსანდრე კალანდაძემ არ მიაგნო „ხელუხლებელ თემებსა“ და არ შექმნა წარსულის დიდი ეპოპეა.

ერთმნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ პერსონაჟებს მათი ავტორივით ფანატი-კურად უყვართ საქართველო. მისი აზრით არიან ერები, რომლებიც წარსულს ვერ დაივიწყებენ. ისინი ძველ გამარჯვებას თუ მარცხს ისევე განიცდიან, როგორც ახალსა

და მოუშუშებელს. ასეთ ერთა შორისაა ქართველი ერიც, ამიტომ არის იგი დაინტერესებული ისტორიული ბელეტრისტიკით და დიდი გულისყურით ეკიდება მას.

§2. ,,შარავანდედი“

ალექსანდრე კალანდაძის ტრილოგიის წიგნი - „შარავანდედი“ სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. ეს რომანიც, მხატვრულობის მიუხედავად, დოკუმენტურობით გამოირჩევა, რაც, რა თქმა უნდა, აღარც არის გასაკვირიალექსანდრე კალანდაძის მკითხველისთვის. როგორ გაგრძელდა ქვეყნის ყოფა - ცხოვრება „ნეიშნის ფიცის“ შემდგომ, აქ იკითხება. ფაქტია, ამ მოღვაწის მიმართ ინტერსი ავტორს შემთხვევით არ გამოუხატავს, დოდაშვილი ღარიბ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოახერხა იმ დროისთვის სათანადო განათლების მიღება და საკუთარი ადგილის დამკვიდრება ქართული აზროვნების განვითარებაში. 1827 წელს პეტერბურგის უნივერსტეტი ფილოსოფიის მაგისტრის წოდებით დაამთავრა. ამავე პერიოდში შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „ლოგიკა“. 1828 წელს იყო „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი, მისივე დაარსებულია ამავე გაზეთის სალიტერატურო ნაწილი.

დოდაშვილი იყო კეთილშობილთა სასწავლებლის პედაგოგი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი. „აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი და ერთგულნი თანმეშრომელნი, შემწენი და მფარველნი“ - წერდა იგი, სწორედ ეს იმედი იყო მისი მოღვაწეობის საფუძველი მეფის რუსეთის იმპერიაში. ...და, რაც მთავარია, 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე და იდეოლოგი საქართველოში შექმნილმა ვითარებამ მაღალი იდეალების მქონე სოლომონ დოდაშვილზე შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი შეძრწუნებული წერს იონა ხელაშვილს: „ვერცა ერთსა ვიხილავ თანამემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას ცდილობენ დღიურად... არა არის მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება... არა არს სიყვარული სწავლის და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულვილი და მტერობა... არა მოყვარენი არიან შრომის, უკანონოდა და უწესოდ და ფრიად შერევნილად მდგომარეობენ... რაი

ვყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია, არა არი ღონე და საშუალება...“ ხოლო სხვა წერილში იმავე იოანე ხელაშვილს სწერს: „გუშინ ჟამსა განთიადისასა თბილისში მიწა ისე იძრა, რომ ყველა გააღვიძა და ლოგინიდან წამოყარა, მაგრამ „გაღვიძება ესე“ მხოლოდ ფიზიკური იყო. სულიერად ქართველებს ისე ღრმად სძინავთ, რომ ვშიშობ, მათ ვერანაირი მიწისძვრა ვერ გამოაღვიძებსო, მაგრამ, საბედნიეროდ, სოლომონ დოდაშვილმა მოძებნა ღონე და საშუალება ქართველთა ეროვნული გამოფხიზლებისათვის, იგი მიხვდა, რომ ამისთვის საჭირო იყო თავგანწირული შრომა და ბრძოლა. იმ დღიდან დაპატიმრებამდე - ციხეებამდე და გადასახლებამდე - სოლომონს დარჩენილი აქვს 5 წელი. ამ ხუთ წელიწადში მან შეუძლებელი შეძლო - მოახერხა ჯერ კიდევ შემორჩენილი, მაგრამ გაბნეული ინტელექტუალური ძალების შემოკრება, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლა და ამით ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ამოძრავება. თუმცა, სამწუხაროდ, ვერ გადაურჩა სასჯელს და გასახლებას. გარდაიცვალა ჭლექით, ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი წერილის ფრაგმენტები იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ უშუალოდ ეხმიანება ალექსანდრე კალანდაძის ტრილოგიის ხაზს. „შარავანდედის“ მთავარი პერსონაჟი სოლომონ დოდაშვილი „გარდამოხსნის“ უშუალო წინამორბედია. ჩაძინებული საზოგადოება, ილია ჭავჭავაძემ გადაიბარა და მისი „გამოფხიზლების“ მისიაც წარმატებით შეასრულა. ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი, რომელმაც გააერთიანა ეს რომანები ტრილოგიაში.

რომანის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „გარდამავალი ეპოქის რთული მოვლენების ფონზე, განსხვავებული ხასიათის ადამიანთა ურთიერთობებში თავისებურად მჟღავნდება პიროვნებისა და ისტორიული ვითარების პირისპირდგომა, პატრიოტული მსხვერპლის შარავანდედი, გამორჩეულობის ტრაგიზმი, უდროობისა და მედროვეობის სოციალური შინაარსი და ფსიქოლოგია“ [კალანდაძე,1981,3].

ფაქტია, ეს ნაწარმოები სწორედ ამ კუთხითაა განსაკუთრებით საინტერესო თანამედროვე მკითხველისთვის, ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ერთ-ერთი უმძიმესი ეპოქა, წინააღდეგობრივი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მოვლენები და პიროვნებები. ნიშანდობლივია, რომ ალექსანდრე კალანდაძე ახერხებს თავი გაართვას არც თუ ისე იოლ ამოცანას, შექმნას ისტორიული მოვლენებით ნასაზრდოები დამაჯერებელი მხატვრული რეალობა. აქ მკითხველის ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ

მთავარი პერსონაჟი, არამედ ისინიც, ვის გარემოშიც უწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა სოლომონ დოდაშვილს.

„შარავანდედში“ გარკვევით იგრძნობა საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება, რომ სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე არსებითი გავლენა დეკაბრისტების იდეოლოგიამ მოახდინა. თუმცა, თანამედროვე გადმოსახედიდან ფაქტია, რომ დეკაბრისტების „იდეური გავლენა“ მხოლოდ სოციალური საკითხებით ამოიწურებოდა. არასერიოზული იქნება იმის უარყოფა, რომ დოდაშვილისთვის უმთავრესი პრიორიტეტი ეროვნული საკითხი იყო.

რომანი სწორედ ამ მოვლენების ასახვით იწყება, მკითხველი ეპიცენტრში მყოფ ახალგაზრდას ეცნობა, რომელიც სულით და გულით დარწმუნებულია, რომ მათი ბრძოლა უკეთესობისკენ შეცვლის ქვეყნის მდგომარეობას.

ავტორი, ყოფითი სცენების ფონზე ხსნის დოდაშვილის გმირს, სწორედ ასეთი იყო იგი თანემედროვეთა მოგონებებში, თუმცა დოკუმენტური სიზუსტის მიღმა მწერალმა მომავალ თაობას ამ საზოგადო მოღვაწის საინტერესო სურათი დაუტოვა. ვკითხულობთ დამაჯერებელი ტონით აღსავსე ტექსტს და ვენდობით ავტორს, რომ „ამ ბინაში სოლომონი თავს ცუდად არ გრძნობდა, რადგან მარტო იყო და არავინ აწუხებდა. მართალია, ბელეტაჟი და სარდაფი მსახურებსა და ხიზნებს ეკავათ. ხოლო გაუშალაშინებელი ფიცრებით მიშენებულ, კრამიტის სახურავიან ჩარდახებში ათასგვარი საკუჭნაო და სახელოსნო იყო მოთავსებული, მაგრამ ეს კარგა მოზრდილი ოთახი ისეთ ადგილას იმყოფებოდა, რომ გარეშე მყოფთა შორეული ფუსფუსი ართუ ხელს უშლიდა სიამოვნებასაც ჰგვრიდა მარტოობის მოყვარულ მდგმურს“ [კალანდაძე, 1981,17], ან კიდევ მაგალითად ამ რამდენიმე წინადადებაში ნათლად ვხედავთ საზოგადოებრივ მოღვაწეს, რომლისთვისაც უმთავრესი სულიერი საზრდო მისი შემოქმედება იყო: „სოლომონს განუმეორებელ ბედნიერებას ჰგვრიდა, ენერგიით ავსებდა და ძალას უღვიძებდა ახალი ხელნაწერებისა და, კიდევ უფრო, დაუწერელი ქაღალდის ცქერა“ [კალანდაძე,1981,18].

ვეზიარებით იმ განცდას, რომელიც მასწავლებლის და მეგობრის დაკარგვამ მოუტანა: „დოდაშვილს არ შეუმჩნევია, როდის დაემშვიდობნენ მეგობრები. ახლა, როცა გამოფხიზლდა, მძაფრად იგრძნო, როგორ მოსწყურებოდა მარტო ყოფნა. კარგა ხანს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. ათასი ფიქრი უტრიალებდა. დღევანდელ

დანისლულ შთაბეჭდილებებში ილარიონ დობრომისლოვის სახე ამოდიოდა...

სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში რომ ასწავლიდა. მერმე, მანვე თბილისის სასულიერო სემინარიაში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად, იქიდან სიღნაღის სკოლაში მიიწვია მასწავლებლად.

დაქირავებულ ბინაში ერთად ცხოვრობდნენ. მეორე წელს მოძღვარი და მეგობარი ხელში ჩააკვდა. რაც კი ებადა, ანდერძით სულ სოლომონისთვის დაეტოვებინა...“ [კალანდაძე,1981,15].

ვხედავთ მის უკომპრომისობას ბატონიშვილებთან ურთიერთობაში:

- „მაშ, ბატონიშვილები სტყუიან?
- პირველ ხანებში დიდად კმაყოფილი ბრძანდებოდით და მეც მოგენდეთ, ვითარცა მეფის ძესა!
- არ მიყვარს დაუნახავი და თავქედი ხალხი!
- მოიწვიეთ, ვინც გნებავთ, გამოიძიეთ, რა ვასწავლე, როგორ ვასწავლე! გაიგეთ, თუ რამ დავაკელი, თუ არადა, რაისთვის მკადრებთ ესრეთ სიტყვებს!“

[კალანდაძე,1981,21].

რომანში აღწერილია ყველა ის მოვლენა და პერიპეტია, რომელიც თავს გადახდა დოდაშვილს თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე პეტერბურგსა თუ თბილისში. ტექსტის დაწვრილებით განხილვა, ამ შემთხვევაში, არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, მოგვყავს მხოლოდ ის ნიშანდობლივი მონაკვეთები, რომელშიც ნათლად ჩანს გმირის სულისკვეთება.

ტექსტის უმთავრესი ნაწილი ეთმობა 1832 წ. შეთქმულებისთვის მზადებას, მის ჩაშლას, შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. დოდაშვილის გვერდით ვხედავთ, იმ დროის სხვადასხვა წარმომადგენელს იქნება ეს ალექსანდრე ჭავჭავაძე, იონა ხელაშვილი, იასე ფალავანდიშვილი, სენკევიჩი, იმპერატორი, პუშკინი თუ მაიკო ორბელიანი. პერსონაჟებს შორის გამართული ყოფითი დიალოგებით ალექსანდრე კალანდაძე არაერთ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აწვდის მკითხველს და ამას ყოველგვარი ზედმეტი პომპეზურობის გარეშე აკეთებს, მაგალითად, თუ როგორ და რა ვითარებაში მომწიფდა თბილისში უნივერსტეტის გახსნის იდეა ჯერ კიდევ ამ პერიოდში:

„სენოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს! - თქვა პუშკინმა. - ამის საბუთი უფალი დოდაევი და მისი მოწაფეები არიან! ოცნება ბევრი გვაქვს - გული გადააშლევინა სოლომონს ინტიმურმა საუბარმა. - თბილისის უნივერსიტეტზე ვფიქრობთ!

–მშვენიერი ოცნებაა!“ [კალანდაძე,1981,254].

ავტორი ახერხებს მისი თანამედროვე მკითხველი იმ შორეული მოვლენების უშუალო თანამონაწილედ აქციოს, უფრო მეტიც, მისი ფანტაზია იმ ფარულ დინე-ბებში, შინაგან წინააღმდეგობებში გვახედებს, რომლებითაც აღსავსე იყო იმდროინ-დელი ადამიანების ყოფა. მაგალითად, მოვიყვანთ ტექსტიდან ერთ თითქოს უმნიშვნელო დეტალს, რომელიც მკითხველს თავისებურ წარმოდგენას უქმნის ისეთ მნიშვნელოვან მოღვაწეზე, როგორიც ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო. რომანში ვკითხულობთ: ,,განრისხებულმა პასკევიჩმა რაევსკი სამსახურიდან დაითხოვა, მის ნაცვლად კახეთის ჯარის სარდალი ალექსანდრე ჭავჭავაძე დანიშნა და უბრძანა დაუყონებლივ მიეღო ნიჟეგოროდის პოლკი.

რაევსკისადმი თანაგრძნობის ნიშნად, ჭავჭავაძემ თავი მოიავადმყოფა და პოლკის გადმობარებაზე უარი თქვა.

ამან პასკევიჩი ისე გააცოფა, რომ ალექსანდრეს თავშეუკავებელი წერილი გაუგზავნა: შენს მოვალეობებს არ ასრულებ, უწესოდ იქცევი, რასაც იმპერატორს შევატყობინებო.

შეურაცხყოფილმა ჭავჭავაძემ სამსახურზე უარი თქვა და თადარიგში გავიდა“ [კალანდაძე,1981,255].

ამ მცირე მონაკვეთში კარგად ჩანს ის რთული ვითარება, რომელშიც იმყოფებო-და იმდროინდელი საზოგადოება და ყოველი გადაწყვეტილება და მოქმედება პიროვ-ნული ღირსების საკითხი იყო.

საბოლოო შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ „შარავანდედი“ ტრილოგიის საინტერესო ნაწილია, თუმცა მხატვრული ღირებულებით შეიძლება ნაკლები მნიშვნე-ლობის მქონე, ვიდრე „გარდამოხსნა“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მისი არქონა დიდი დანაკლისი იქნებოდა ამ ეპოქის მხატვრული სურათის შესაფასებლად. ამ პერიოდით დაინტერესებული მკითხველისთვის ეს ტექსტი დოკუმენტურობისა და მხატვრუ-ლობის შეზავების კარგ მაგალითს წარმოადგენს. რაც შეეხება ენას, უნდა ითქვას, რომ

რომანს ერთგვარი არქაულობა დაკრავს, რაც თანამედროვე გადმოსახედიდან შეიძლება ართულებდეს კიდეც ტექსტის აღქმას, მაგრამ უპირობოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალექსანდრე კალანდაძე, როგორც ავტორი, გვერდს ვერ აუვლიდა ეპოქის თავისე-ბურებას, რომელიც განსაკუთრებით ნიშანდობლივად აისახებოდა იმდროინდელ სამეტყველო ენაში, ბუნებრვია, თანამედროვე ქართულით ამეტყველებული ს. დოდაშვილი ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა მკითხველისთვის.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ლიტერატურა ვალში არ დარჩენილა ისეთი მნიშვნელოვანი მოღვაწის წინაშე, როგორიც სოლომონ დოდაშვილია და ეს ალექსანდრე კალანდაძის დამსახურებაა. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ეს სამი წიგნი ერთი მთლიანობაა, ქვეყნის ცხოვრებაა სამ მნიშვნელოვან ეტაპად დაყოფილი, უნდა ყოფილიყო „ნეიშინის ფიცი", რომ „შარავანდედისა" და „გარდამოხსნის" ჟამი დამდგარიყო ჩვენი ერის ცხოვრებაში. ვფიქრობთ, ალექსანდრე კალანდაძემ სათაუ-რებში გააცხადა ისტორიული ყოფის სიმბოლურობა.

§3. ,,გარდამოხსნა"

„გარდამოხსნა" ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. იგი ტრილოგიის მესამე წიგნია (მანამდე იყო „ნეიშნის ფიცი" და „შარავანდედი").

ნაწარმოების („გარდამოხსნა") ისტორიული ჩარჩოების წარმოსადგენად საკმა-რისია ითქვას, რომ მასში ასახულია მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრება 30 - იანი წლებიდან 1905 – 1907 წწ რევოლუციების ჩათვლით, ჩვენი ისტორიის ის ხანა, რომელ-ზედაც მოდის გამათავისუფლებელი მოძრაობის სამივე პერიოდი.

მწერალმა ყურადღება შეაჩერა ყველაზე მწვავე პრობლემებზე, ყველაზე ტრაგიკული პერიოდის ქართველ მოღვაწეებზე. აღსანიშნავია, რომ „გარდამოხსნაში" ასახული მოვლენებისგან არცთუ ისე დიდი დრო გვაშორებს. ალექსანდრე კალანდაძის ბოლო ორი რომანი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში წარმოაჩენს რუსთთან შეერთების ტრაგიკულ მოვლენებს. ამავე დროს იმასაც გვაჩვენებს, რომ ახალმა დრომ ბევრი საზრუნავი გაუჩინა ქართველ ხალხს. ერთი მხრივ, ქვეყნის გაერთიანება, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხის საწარმოო, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის საერთო პროცესში ჩაბმა და, მეორე მხრივ, ყოველგვარი წინსვლის შემაფერხებელი ბატონყმობა. თვითმპყრობელური იმპერიის ბიუროკრატიული აპარატი

ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა. ძირშივე სპობდა თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისკენ მისწრაფებებს, ერების ასიმილაციის პოლიტიკა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ არსებობას, მათს ენებს. ამას ემსახურებოდა ჩინოვნიკური იერარქია: არმია, პოლიცია, რეაქციული პრესა, რელიგია, საიდუმლო სამსახურის ფართო ქსელი.

როგორც „შარავანდედში“, ისე „გარდამოხსნაში“, იგრძნობა თვითმპყრობელობის პოლიტიკისადმი შეურიგებლობა, ეროვნული ინტერესების დასაცავად შემართება და ამავე დროს, მოწინავე რუსი ადამიანებისადმი, რუსული კულტურისადმი პატივისცემა, ამ ურთიერთობების შედეგები და პერსპექტივები.

ალექსანდრე კალანდაძემ რთული იდეურ-მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად აირჩია ისტორია, რომელიც ცოცხალი სინამდვილით განასახიერა ეპოქის ყველაზე გამოჩენილ ადამიანთა თავგადასავალში, აქ პიროვნების ბედი ერწყმის ქვეყნისა და ხალხის ბედს. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორი საუკუნის ისტორიაში ვისზე, რომელ ისტორიულ პიროვნებაზე შეაჩერებდა რომანისტი ყურადღებას. რაკი ეს იყო ამ ნიშნით შერჩეული ტრილოგია - პირველი წიგნი ანტონ კათალიკოსს მიეძღვნა, მეორე - სოლომონ დოდაშვილს და ამის შემდეგ, ლოგიკურობიდან გამომდინარე, მესამე ილია ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ პიროვნებაში განსხეულდა ის ეპოქა მთელი თავისი უარყოფითით და დადებითით, დღეს უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საუკუნე და ეს საქართველო ი. ჭავჭავაძემ შექმნა, უპირველესად, საკუთარი შესაძლებლობების ხარჯზე და თანამოაზრეთა თანადგომით.

ეს გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, სიფრთხილეს და სიზუსტეს აკისრებდა ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანის ავტორს. ნაწარმოებს მთლიანად უნდა გაეცოცხლბინა ეპოქის წინამძღოლის პირადი, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრება. ამათან ერთად, უნდა ეჩვენებინა, რა იყო ჩვენი წარსულის, ჩვენი ხასიათის სიმტკიცე და სად, რაში ვლინდებოდა მისი სისუსტე.

„ისტორია აწმყოს თანაშემწეა, - ამბობს „გარდამოხსნის“ მთავარი გმირი, - ჰაერივით გვჭირდება კარგი ძველის მოგონება და მომავლის იმედი. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გამოუცნობია, უნდა ჩავწვდეთ მისი თითოეული წვრილმანის საიდუმლოებას“ [კალანდაძე,1982, 211].

როგორც თვითონ ავტორს განუცხადებია პირად საუბრებში, ილიას სიყვარულმა გააბედვინა მას დიდი ერისკაცის სახის შექმნა, არც ის დაუმალავს, რომ აშინებდა ტვირთი, რომლის გოლგოთაზე ატანაც გადაწყვიტა.

ავტორს ბიოგრაფიული მასალა საშუალებას აძლევდა სიუჟეტური ხაზი კონკრეტულ ფაქტებზე აეგო, მიუხედავად ამისა, რომანში მწერალი იშვიათად როდი მიმართავს ფანტაზიას. მის მიერ შექმნილი სახეები და ეპიზოდები დამაჯერებელი და მხატვრულად მოტივირებულია. ორგანული წარმოსახვის უნარზე მიგვითითებს ლირიკული წიაღსვლები, რაც უდავოდ ამდიდრებს ლიტერატურულ პანოს, უფრო საინტერესოს და ჰარმონიულს ხდის მხატვრულ ქსოვილს.

საყოველთაოდ ცნობილი პიროვნების მხატვრული სახის შექმნა ორმაგად საპასუხისმგებლო და რთული საქმეა, როცა ასეთ საქმეს ჰკიდებ ხელს, არ უნდა შემოიფარგლო მხოლოდ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ფაქტებითა და სურათებით, მითუმეტეს, თუ საქმე ილიას დონის მოღვაწეს ეხება.

„გარდამოხსნა“ შეიცავს ღრმა, საფუძვლიან ანალიზს, დამაჯერებლობას, გარეგნულ პეწს. აქ უკუგდებულია მაღალფარდოვნება, გაზვიადებული სიტყვა. რომანის გმირები უბრალო ენით ახერხებენ ჩანაფიქრის გადმოცემას. რომანი უწინარეს ყოვლისა იმით არის საყურადღებო, რომ აქ თავმოყრილი ფაქტები უტყუარი და სანდოა. მნიშვნელობა ენიჭება მორჩილ და დამყოლ სიტყვას. ყურადღებას იპყრობს თხრობის ინდივიდუალური, გამოკვეთილი მანერა, რაც მეცნიერის, ლიტერატორის გულდინჯ შრომასა და დაკვირვებას ეფუძნება. უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა საფუძვლიანი აღწერა აღრმავებს და ავსებს ფაბულის მაგისტრალურ ხაზს. ჩანს, რომანზე მუშაობისას ალექსანდრე კალანდაძე განსაკუთრებით დაინტერესდა, რა იყო შედარებით უცნობი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში. ავტორის დამოკიდებულება ვლინდება ყველა ნიუანსში, მხატვრული გამოხატვის მეთოდში, გმირისადმი კეთილგანწყობილებასა და უსაზღვრო სიყვარულში. ეს სიმპათიები კი საწყისს სინამდვილისადმი ავტორის ობიექტურ დამოკიდებულებასა და გულწრფელობაში ვლინდება.

„გარდამოხსნის“ ავტორს სიახლე შემოაქვს ისტორიული მოვლენების შეფასებაში. ზედმიწევნით კეთილსინდისიერად, ფაქტებზე დაყრდნობით გვთავაზობს დიდი პიროვნების ცხოვრების ამსახველ ფაქტებს. აქვე ხაზგასმით გვინდა გამოვარჩიოთ

განსაკუთრებული დამოკიდებულებით წარმოჩენილი ილიას ბავშვობა. ამ მხრივაც რომანმა ხელშესახები გახადა ჭავჭავაძის სახე. იგი საშუალებას გვაძლევს შევიგრძნოთ ილია, როგორც არა მხოლოდ დიდი ეროვნული მოღვაწე, არამედ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ავტორმა ღრმად ჩაგვახედა მის პირად ცხოვრებაშიც, რითაც ილიას სახეს განსხვავებული ხიბლი შესძინა და მიუხედავად იმისა, რომ „გარდამოხსნა“ ბიოგრაფიული რომანია, იგი სცილდება ცნების ვიწრო გაგებას. რომანი მიზნად ისახავს ისტორიული და ფსიქოლოგიური სიმართლით აღადგინოს ილიას სახე, ამ გზით მიაღწიოს მისი ხასიათის ახსნას და დამკვიდრებას მკითხველის წარმოდგენაშიც.

არცთუ ისე დიდი მოცულობის წიგნში, ბობოქარი საუკუნის ფონზე გაშუქებულია ჩვენი წარსულის უძლიერესი პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა, სოციალურ-ეროვნული იდეოლოგია, მისი სარბიელის ყოველი მონაკვეთი, თითოეული ნაბიჯი. ვხედავთ, რა განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ილიას მოღვაწეობას ეროვნული არსებობის შესანარჩუნებლად, „ქართველობის დაცემული ვინაობის“ აღსადგენად. თვალწინ გვეშლება ლეგენდა, ერთანეთში გადახლართული კონფლიქტებით, მტრობაზე, შურსა და სიძულვილზე აღმოცენებული წინააღმდეგობებით და დაბრკოლებებით.

ესაა მონუმენტური ფიგურა, უწინარეს ყოვლისა, მოაზროვნე და შემოქმედი, რომელიც ფლობს საკაცობრიო კულტურისა და მეცნიერების მონაპოვარს. მაგრამ შეუპოვრად ახორციელებს მწყობრად ჩამოყალიბებულ მრწამსს, რომლის შინაარსს ადამიანის ბედნიერებისთვის, სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა და ზრუნვა წარმოადგენს.

ალბათ, ვერ დავასახელებთ მეორე ქართველ მოღვაწეს, რომელსაც ილია ჭავჭავაძესავით მჭიდრო კავშირი ჰქონოდა რუსულ კულტურასა და ლიტერატურასთან, რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობასთან; აღზრდით, განათლებით, იდეურ-პოლიტიკური შეხედულებებით თუ პირადი ურთიერთობებით. ამ მხრივ „გარდამოხსნის“ მთავარი გმირი წარმოჩენილია მთელი ცხოვრების განმავლობაში - პეტერბურგის უნივერსიტეტში, „სოვრემენიკის“ გარემოცვაში, ბელინკის ნაწერებს დაწაფებული. ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძე არაფერს ალამაზებს მისი ბიოგრაფიიდან, ეს იყო მაშინდელი ყოფა და ვითარება, რომელსაც ვერ შევცვლით. რომანისტს არ ავიწყდება პიროვნების საერთო წარმოსახვაში რა როლი აკისკრია პირად ცხოვრებას, ხასიათის

თვისებებს. ავტორს არც ამ მძიმე ამოცანის ეშინია, რომ ილია წარმოგვიდგინოს, როგორც მოკვდავი ადმიანი და მოგვიახლოვოს მთელი სიდიადით და ამავე დროს, ადამიანური სისუსტეებით. დაგვანახოს იგი ოჯახურ გარემოში, სიყვარულში, სამეურნეო დავიდარაბაში, ფულის ანგარიშიანობაში. ამით კი არ შეასუსტოს, პირიქით უფრო მეტად აამაღლოს მისი პიროვნება. ალ. კალნადაძის რომანში პირველად ვეცნობით ილია ჭავჭავაძის საბანკო მოღვაწეობის ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლის ტრაგიკულ პერიპეტიებს, მის გარშემო გაჩაღებულ ინტრიგებს, მეფის „ოხრანკის" ხელის ფათურის მწარე შედეგებს, დამღუპველ გავლენას, რომელიც ორი საუკუნის მიჯნაზე „საბანკო კონფრონტაციას" მოუხდენია ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობაზე. აქვე დავძენთ, რომ ეს სფეციფიკური დეტალებიც დაწერილია საქმის ცოდნით, მხატვრული ტაქტითა და ზომიერებით. არაერთ სიახლეს შეიცავს იმდროისათვის ილია ჭავჭავაძის ხასიათის ამოსაცნობად და მაშინდელი ვითარების გასარკვევად.

ავტორი მოგვითხრობს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებზე, ბატონყმობაზე, „საგლეხო რეფორმაზე". კავკასიის, ყირიმის 1877 -1878 წლების ომებზე, თაობათა დაპირისპირებაზე, ქართული ენის, მწერლობის, ჟურნალისტიკის განვითარების არსებით მოვლენებზე, ხალხოსნებზე, რომლებსაც პრინციპული კავშირი აქვს ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. მდიდარ ინფორმაციას ვიღებთ ისტორიის ამ ვრცელ მონაკვეთზე, ვგრძონთ ადგილობრივ კოლორიტსა და ტენდენციებს, რადგან რომანში უხვადაა დროის კონკრეტულ-ისტორიული შინაარსი, ცხოვრებისეული პროცესების არსებითი ნიშნები. ავტორს ხორცი შეუსხამს კონფლიქტური ხასიათებისთვის. ამ ყოველივეს ახერხებს გამოგონების სითამამითაც, ფაქტების შერჩევითაც და ისტორიულ-საარქივო მასალებზე დაყრდონობითაც.

რომანის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ავტორს ხანგრძლივად, ღრმად და ყოველმხრივ აუწონ-დაუწონია მის ხელთ არსებული მასალა. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში, მეტ-ნაკლებად ილიას ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ყველა ისტორიული პირი გვხვდება, მწერალს შემოჰყავს გმირები, რომლებიც, მართალია, ისტორიულად ცნობილნი არ არიან ჩვენთვის, მაგრამ ისტორიული არიან ხასიათით, ეპოქის ბუნებისადმი შესატყვისობით, აზროვნების, ყოფისა და მეტყველების თავისებურებებით. ისინი ორგანულად ერწყმიან ნაწარმოების საერთო შინაარსს,

აღრმავებენ, ამდიდრებენ წარმოდგენას ცნობილ ამბებსა და მოვლენებზე. ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ ცხოველმყოფელობას საფუძვლად უდევს თითოეული მათგანის თავგადასავლის კავშირი რომანის მთავარ გმირებთან და სიუჟეტთან.

გამონაგონი სახეები მწერალს შესაძლებლობას აძლევს მთლიანი სულისკვეთების შესაბამისად წარმოაჩინოს ეპოქის ფონის გამოსაკვეთად აუცილებელი შტრიხები. გააფართოოს მოქმედების არე, ამით უჩვეულო, მოულოდნელ, მაგრამ ტიპურ გარემოებებში გამოავლინოს ი.ჭავჭავაძის ადამიანურ-მოქალაქეობრივი, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, პატრიოტული მოღვაწეობის ნიშან-თვისებები. ფანტაზია ფაქტობრივი მასალის ღრმა ცოდნითაა ნასაზრდოები და ამიტომაცაა ორგანული და ბუნებრივი. ცნობილი მოსაზრებაა, რომ მწერალმა ისტორია საკუთარი შეთხზულითაც, უნდა გაამდიდროს, რომელსაც ისევ ისტორიაზე დააფუძნებს და გამოიყვანოს იგი თვით მოვლენათა მიმდინარეობიდან. თამამი გამონაგონი არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ შუქს ჰფენს ისტორიულ ფაქტებს.

სიუჟეტი აგებულია ეპოქალური მოვლენების თანმიმდევრობით და არა უშუალოდ ბიოგრაფიულ ქარგაზე. ტექსტის კითხვისას ჩვენ იმ ეპოქის შუაგულში აღმოვჩნდებით და თითქოს დიდი ხნის შემდეგ გვეძლევა შესაძლებლობა, შევესწროთ სიკეთისა და ბოროტის ჭიდილს, ზნეობრივი ტვირთის, მისი აღიარების, გააზრებისა და ზიდვის სიმძიმეს.

რომანი კიდევ ერთხელ მხატვრული სიმძაფრით გვიდასტურებს იმას, რაც ისტორიამ გვაჩვენა, რომ ილიას გზა ვერ იქნებოდა ია-ვარდით მოფენილი და ბოლოს იყო ეკლის გვირგვინიც. აზრის ნათელსაყოფად მოვიყვანთ განსაკუთრებით მტკივნეულ ეპიზოდს, ერთ მონაკვეთს რომანიდან, ილიასა და ზოგადად, ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ამ ორი ადამიანის დაპირესპირება იქცა იმ ეპოქის ტრაგედიად, მით უფრო, რომ მაჩაბელმა უცნაურად დაასრულა სიცოცხლე. რომანში ვკითხულობთ: „გადმოიღო სუფთა ფურცელი და გაафთრებით დაიწყო განმაქიქებელი წიგნის წერა, რომელსაც სათაურად უწოდა „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა"... ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა, რათა გვირგვინი აეხადა კერპისათვის... ანგარიშობდა უყაირათოდ დახარჯულ თანხებს. იხსენებდა სადაც რამ ცუდი გაეგონა ილიაზე... როდის დააგვიანა ილიამ, როდის გააცდინა სამსახური, ვინ არ მიიღო, რამდენი აცდევინა, რამდენ კრებას არ დაესწრო... ილია, საერთოდ, არსად არაფერს არ

აკეთებს, ტყუილად იღებს ხელფასს... წერდა... გაახსენდებოდა, რომ ილიამ იცოდა მტრობა, მაგრამ არ იცოდა ზიზღი და სიძულვილი“ [კალანდაძე, 1982, 424]. ეს მცირე ეპიზოდიც საკმარისია იმის წარმოსაჩენად, თუ რაოდენ მძიმე იყო ილიასთვის მის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი. ფაქტია, ჩვენ ვიცით, მას ჰყავდა მტრები, რომლებიც ძირშივე არ ეთანხმებოდნენ მის შეხედულებებსა და იდეოლოგიას, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე იყო ყოფილი მეგობრებისა და თანამებრძოლების დაპირისპირება. ამ მონაკვეთს განსაკუთრებულ სიმძაფრეს, როგორც უკვე ვთქვით, ისიც მატებს, რომ ივანე მაჩაბელი არ იყო რიგითი ადამიანი ქართველი საზოგადოებისათვის. სულ რამდენიმე წინადადებაში გამოჩნდა, რამდენად ეფექტურად ასახა ეს დაპირისპირება ავტორმა, ისე, რომ აქ არც ვანო მაჩაბელი დაკნინდა მკითხველის თვალში, მას დარჩა თავისი სიმართლე, მაგრამ უდავოდ ისევ მისივე პირით ითქვა უმთავრესი, რომლითაც აღემატებოდა ჭავჭავაძე თანამედროვეებს და იმსახურებდა ავტორის სიმპათიას: „ილიამ იცოდა მტრობა, მაგრამ არ იცოდა ზიზღი და სიძულვილი“ [კალანდაძე, 1982, 424].

ჭავჭავაძის სახე გამოკვეთილია დროის ძირეულ მოვლენებთან დაკავშირებით, იმ პრინციპის შესაბამისად, რომ დიდი ადამაინის ისტორია კაცობრიობის ღირსეულ ისტორიას აცოცხლებს. ბუნებრივია, მწერალს საგანგებო ინტერესი გამოუჩენია ილიას იდეურ-ინტელექტუალური და ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესისადმი. ახალი არსებითი ეპიზოდებით გაუმდიდრებია მისი ყრმობის წლები. დამაჯერებლად დაუხატავს ოჯახური და საზოგადოებრივი გარემო, დედ-მამის, და-ძმების, ახლობელთა სახეები. სათანადოდაა წარმოდგენილი გიმნაზიის პერიოდი, მაშინდელი სწავლა-აღზრდის მანკიერებანი.

ამასთან, უნდა დავძინოთ, მწერალი დოკუმენტურ მასალას არ დახარბებია, იდეურ-მხატვრული ამოცანების შესაბამისად ფაქტები მუნწად და თავშეკავებულად შეურჩევია. გაუთვალისწინებია ისიც, რომ პიროვნების საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება განუყოფელია. ამიტომ ჩვენ ვხედავთ ჭავჭავაძეს შემოქმედებითი მუშაობისას, ცხარე პოლემიკაში, რედაქციებში. „ბანკობიადის“ რთულ ვითარებაში, დუელებსა და დემონსტრაციებზე, ოჯახში, პირველი სიყვარულის განდობისას, ეჭვსა და ყოველდღიურობაზე ზრუნვისას, მწვავე კონფლიქტებში ფიქრსა და ტანჯვასთან მარტო დარჩენილს. ამ მხრივ ავტორს სერიოზულ სიძნელეს უქმნის ის გარემოება, რომ ილია

ჭავჭავაძე ახლობელია თითოეული ჩვენგანისთვის, ყველას გვაქვს გარკვეული მოსაზრება. რაც მთავარია, ეს ძვირფასი სახელი დიდი ხანია შარავადნედით და ხელუხლებელი სიდიადით არის შემოსილი.

„გარდამოხსნის“ ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მხატვრული ტაქტით, ხელოვანის სითამამით შეძლო შეექმნა დიდი შემოქმედისა და მამულიშვილის, ხალხის სულიერი წინამძღოლის ობიექტური დამაჯერებლობით აღსავსე სახე. „გარდამოხსნა“ გვიჩვენებს, რა მემკვიდრეობა მიიღო ილია ჭავჭავაძემ, მისმა თაობამ, რით გაამდიდრეს, რა დონეზე აიყვანეს და დაგვიტოვეს. ეს კი საუკეთესოდ ავლენს ერისკაცის დამსახურების სიდიადეს.

რომანში დიდი ადგილი ეთმობა სტუდენტობის პერიოდს, მამულის სამსახურისთვის მზადების წლებს. ეპოქის დიდ მოვლენებზე თხრობას ცვლის, ავსებს გემოვნებით შერჩეული თაობათა ბრძოლის, ბატონყმური სიანამდვილის, ქართული პრესის ისტორიის, ეროვნულ დაწესებულებათა მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. აქვე გადმოცემულია ილიას თითქმის ყველა მხატვრული ტექსტის შექმნის ისტორია, გახსნილია დიდი მწერლის მუშაობის თავისებურებები, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სპეციფიკა.

„გარდამოხსნის“ ერთ-ერთი მთავარი მხატვრული მონაპოვარი მაინც ადამიანთა მრავალფეროვანი ხასიათების შექმნაა. უპირველესად ეს არის თვითონ ილია ჭავჭავაძის და ოლღა გურამიშვილის მომხიბვლელი, შთამბეჭდავი და ზნეობრივი სახეები, რომელთა სრულყოფას ხელს უწყობს მათი მშობლების, ნათესავ - მეგობრების, თანამედროვე მოღვაწეთა ლიტერატურული ორეულები. ჩვენი აზრით, ილიას შინაგანი ბუნების გახსნაში მწერლისთვის დიდი სამსახური გაუწევია ოთარაანთ ქვრივის ხასიათს. რომანში მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული გამოგონილ პერსონაჟებს. მოვლენების ახლებური გააზრება, გაშუქება, რომლითაც ეპოქა და ადამიანები გვესახებიან წარმოუდგენელი იქნებოდა გიგლა და სტეფანე დუდარელების, დორას, ნატუსიას, კარლო ვარდენიძისა და სხვა გამოგონილ პერსონაჟების გარეშე. გარკვეული სოციალურ-ეთიკური ტენდენციების მიხედვით, მათ გარშემო ლაგდებიან და ინვივიდუალურ ელფერს აძლევენ ცალკეული ისტორიული პერსონაჟები.

ამ მხრივ რომანის კულმინაციას წარმოადგენს ილიას ცხოვრების უკანასკნელი ათწლეული, რომელიც მეექვსე ნაწილშია ასახული. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი აქაც უაღრესად გულახდილი და მართალია ისტორიისა და მკითხველის წინაშე. სჯერა, რომ შელამაზება, გადაკეთება, მიფუჩეჩება საზიანო და შეუფერებელია ეპოქისთვის. მშობლიურ მიწაზე, დღისით-მზისით, თანამემამულეთა ხელით მოკლულ იქნა ერის წინამძღვარი, ამ გაუგონარ მკვლელობას მიზეზებიც რთული და საოცარი ჰქონდა. მწერალი ცდილობს ამოიცნოს ადამიანთა ურთიერთობის საიდუმლოებანი, კონფლიქტის მიზეზები. იგი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ისტორია, მით უფრო, ისტორიული რომანი, სამართლიანი მსჯავრმდებელიცაა, დოკუმენტური მასალა, საბუთები, გაუგონარი ტრაგედიის არსის ნათელსაყოფადაა მოხმობილი.

ტექსტში დამაჯერებლადაა აღდგენილი 1905-1907 წლების რევოლუციის სურათები, პოლიტიკური დემონსტრაციები, შეიარაღებული გამოსვლები, დამუხტული განწყობილება. მწერალს ამ პერიოდში შემოჰყავს ახალი პერსონაჟი, რომლის ილიასადმი დამოკიდებულებაში, მისი თანამებრძოლების სიტყვასა და საქმეში მჟღავნდება მათი იდეური პოზიცია.

ავტორს მხედველობიდან არ რჩება დაბნეული ეგოისტები, პოლიტიკანები, თვითმარქვიები, ავანტურისტები, რომლებიც რევოლუციას პირადი ინტერესებისთვის ასდევნებიან, სახალხო მოძრაობას ჭუჭყივით აჰკვრიან. რომანში ჩნდება ახალი მკაფიო ტიპი - მერყევი, ბნელი ძალების განსახიერება მეჩამურე, რომელიც სათანადო წარმოდგენას გვიქმნის მედროვე ბედის მაძიებლებზეც.

სინამდვილის სურათის ასეთ რთულ ფორმაში წარმოსახვა ავტორს საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს დამკვიდრებულ შაბლონს და დინამიკური სიუჟეტის, ჭეშმარიტების ძიების პათოსით გადმოგვცეს განუმეორებელი ტრაგედიის ახალი, დამაჯერებელი ახსნა. თვითმპყრობელობამ, რომელსაც რომანში ჟანდარმერიის გენერალი დუდარელი განასახიერებს, შეძლო დასაყრდენი ეპოვა, თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა მერყევი პირები და საქმე მათი ხელით შეესრულებინა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გადმოსახედიდან გაჩნდა ილიას მკვლელობის მოტივების ახალი ვერსიები, რომელთაგან ზოგი მისაღები შეიძლება იყოს და ზოგს არგუმენტაციაც აკლდეს. დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე საქართველოს ავტონომიის საკითხს შეეწირა და ამ საქმეში ერთნაირად

მონაწილეობდნენ, როგორც მეფის რუსეთის წარმომადგენლები, ისე ასპარეზზე ახლად გამოჩენილი ბოლშევიკური იდეების პროპაგანდისტები, მათ შორის მოიაზრება ე.წ. მესამე დასი, სტალინი და სხვა. ჩვენთვის ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებში, ალექსანდრე კალანდაძე, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ აშკარა მინიშნებებს იძლევა. ამ კუთხით დაკვირვებული მკითხველის თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ მისთვის, როგორც უბადლო მკვლევარისთვის უკვე მაშინ იყო ცნობილი ზოგი გარემოება. ტექსტში ვკითხულობთ: „ორმოცდახუთი წელი ელოდა ამ დღეს და ახლა, როცა უკანასკნელი საიდუმლო განკარგულებები გასცა და მეჩამურე სათანადო დავალებებით გაისტუმრა, სტეფანე დუდარელი ილაჯგაწყვეტილი მიესვენა ტყავგადაკრულ სავარძლის საზურგეს. ყველაფერი გაკეთდა, რათა ფაქტი მთელი სისრულით გამოვიყენოთ. ისინი მოიშორებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, მემამულეს, სახელმწიფო საბჭოს წევრს. ჩვენი გზა ბუნდოვანი რჩება. ყველა ვარაუდისთვის ვიტოვებთ ალიბს. სამარადჟამო ეჭვების თავდებია. თვით ყოვლად შემძლე ღმერთმა ინება, ერთად გვეკეთებინა ეს საქმე“ [კალანდაძე,1982, 609].

ვფიქრობთ, მოცემული აბზაცი სათანადოდ ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოგამოთქმულ მოსაზრებას. ალექსანდრე კალანდაძემ ტექტში დატოვა ერთგვარი შეტყობინება მომავალი თაობებისთვის, რადგან დაგვეთანხმებით, აქ მოყვანილი ფრაზები, აშკარა მინიშნებებს შეიცავს, იმაზე, რომ ავტორი ყველაფერს ჯერ კიდევ არ ამჟღავნებს ხმამაღლა, ჯერ არ დამდგარა სათქმელის ბოლომდე გამჟღავნების ხანა, მაგრამ ამ მონაკვეთის ქვეტექსტი იმთავითვე აჩენდა შეკითხვებს, რომელსაც თანდათანობით ახლა ეცემა პასუხი.

ალექსანდრე კალანდაძის ვრცელ ისტორიულ ტრილოგიაზე შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ იგი საყურადღებო მოვლენაა ქართულ ისტორიულ რომანისტიკაში, თუნდაც იმით, რომ პირველად წარმოაჩენს ქართველი ინტელიგენიციის ცხოვრებას ახალი ეპოქის ორასი წლის განმავლობაში, გვიჩვენებს მისი დიდებული წარმომამდგენლების სულიერ, ინტელექტუალურ, პოლიტიკურ-ეროვნულ სახეს; გაჯერებულია ფაქტებით, დოკუმენტური მასალით, დაკვირვებებით, საკუთარი ნააზრევით; გადახალისებულია წარმოდგენა ცალკეულ მოვლენებზე.

ტრილოგიის მხატვრული ღირებულებების შესაფასებლად საკმარისია ითქვას, რომ გაცოცხლებულია მრავალი ისტორიული პირი, შექმნილია ბევრი ახალი მხატვ-

რული სახე, პორტრეტი, არაერთი სიტუაცია, ეპიზოდი, დეტალი განსხვავებული ეპოქებისა და სოციალური წრის ადამიანთა ცხოვრებისა.

ავტორის მხატვრული ხერხების ფლობასა და მის მრავალფეროვნებაზე სათანადო წარმოდგენას იძლევა თუნდაც ილიას ნაწარმოებთა გამოყენება რომანის დასაწყისში (იგულისხმება „გარდამოხსნა“).

ამ სამი ისტორიული რომანის ღირსება ისიცაა, რომ გამსჭვალულია ოპტიმიზმით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიის თითქმის ყველაზე ტრაგიკული მოვლენებია ასახული, ოპტიმიზმის წყარო ავტორის სწორი ისტორიულ-ესთეტიკური კონცეფციაა, ხალხის ისტორიული როლის გაგება, ცხოვრების განვითარების, მისი ძირითადი ტენდენციების კანონოზმიერებათა წარმოჩენაა.

თავი IV

„მწვანე შტო“და ქართული სალიტერატურო კრიტიკა

ლიტერატურა ადამაინთა ცხოვრებაში გმირებით მოვიდა. გმირები იყვნენ მისი პირველი დიდი პერსონაჟები, გმირის ქებას ამბობდა ლექსი თუ პოემა, ლეგენდათუ ტრაგედია. ისინი ხალხის სულისკვეთებისა და მისწრაფების, სამო-მავლო იდეალის გამომხატველნი იყვნენ, ისინი განასახიერებდნენ ოცნებას ადამი-ანზე, მის ამაღლებულ გრძნობებზე.

ერთმანეთს ენაცვლებიან ზებუნებრივი თუ მიწიერი გმირები, ბუნების ძალთა წინაშე ქედუხრელნი, მტერთა დამმარცხებელნი, სილამაზით სრულქმნილნი და, ამასთან ერთად, ზნეობრივად ამაღლებულნი, განწმენდილნი და სპეტაკნი. ხალხს მუდამ სჭირდება მისაბაძი იდეალი, რომელიც ამაღლებულსა და მარადიულ ფასეულობებს აზიარებს. ამგვარი გმირები ცხოვრებიდან მოდიან ლიტერატურაში, ზოგჯერ ნამდვილად არსებულნი და კონკრეტულნი, ზოგჯერ კი მრავალ გმირულ სახეთაგან ერთ იერსახედ გამოკვეთილნი და განზოგადებულნი.

ადამიანთა მოქმედებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხასიათი განსაზღვრავს. ხასიათების გახსნა იყო და რჩება ხელოვნების ერთ-ერთ ამოცანად. ხშირად ნაწარმოების საბოლოო სახეს ხასიათების სიძლიერე-სისუსტით აფასებენ. თუ ხასიათი იკრებს თავის თავში ყველა პირობას და გულისხმობს იმ მიზეზს,რომელმაც წარმოშვა ხასიათი, მაშინ ის მწერლის ნიჭის სანდო საზომია. არის შემთხვევები, როდესაც ხასიათს თვითმიზნური ფუნქცია აკისრია, მწერალი ამის გასამჟღავნებლად შემდეგ პოულობს სათანადო სიტუაციას. მაშინ ხასიათი ერთ-ერთი და არა ერთადერთი საზომია ნაწარმოების შესაფასებლად.

XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს ჩვენი მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის მთელ რიგ ნაწარმოებებში გამოჩნდა შეუფარავი სინამ-დვილე, გაბედულად გაისმა აღშფოთებული სინდისის ხმა. ყოველივე ეს - მძაფრი კრიტიკა, მხილება და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ძიება - სწორ პოზიციებს, დადებითი საწყისებისა და ტენდენციების გამარჯვების პერსპექტივას ემყარებოდა.

მწერლმა ალექსანდრე კალანდაძემ მხატვრულ სფეროშიც მოსინჯა კალამი. რაც უნდა ითქვას, უდავოდ იღბლიანი გამოდგა: შექმნა მრავალპლანიანი რომანი „მწვანე

შტო“, რომელშიც მშვიდობიანი ცხოვრებაა წარმოსახული, მაგრამ განა მართლა მშვიდობიანია ალექსანდრე კალანდაძის მიერ დანახული ჩვენი ცხოვრების 50-იანი წლები? რომანის მთავარი გმირის ბრძოლა ომის შემდგომ წლებშიც გრძელდება, რადგან ბევრს ისევ ჯიუტად გასჯდომია ძვალსა და რბილში მომხვეჭელობის სურვილი. რომანის გმირს, მამუკა ტარსანიძეს, სწამს, რომ მისი მოვალეობაა წინ აღუდგეს ამ მეშჩანურ ფილოსოფიას, რომელიც რომანში ბიბონის მიერ არის გაცხადებული: „არქიტექტურაც, ფერწერაც, ტრიგონომეტრიაც იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ კაი პური ვჭამოთ!“ [კალანდაძე, 1979,105].

ეს თითქმის ინფანტილური, უწყინარი, ღიმილისმომგვრელი ფილოსოფიაა იმ ბოროტების სათავე, რაც დღესაც ემჩნევა ჩვენს საზოგადოებას, რაც ყოველი კეთილი ნების ადამიანის შეშფოთებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ამიტომაც იბრძვის რომანის გმირი ასე გაშმაგებით, ბევრისთვის გასაკვირადაც კი, ვისაც მიაჩნია, რომ ომის მძიმე წლების შემდეგ სწორედ ამ მარტივი და მისაღები „კაი პურის ჭამის“ ხანა დადგა.

რომანის გმირსაც, მამუკა ტარსანიძესაც, მათთან ერთად ავტორსაც ღრმად სწამთ, რომ მათი მოვალეობაა წინ აღუდგნენ ამ ფილოსოფიის ბოროტ ნაყოფს. ასე რომ, ბრძოლა კეთილის გამარჯვებისათვის ომის შემდგომაც გრძელდება. ამით ერთგვარი ხიდი იდება „მწვანე შტოსა“ და ალექსანდრე კალნადაძის წინა რომანებს შორის. ეს ხიდი რომ შეუმჩნეველი და გაუაზრებელიარ დაგვრჩეს, ავტორი პირადაპირაც მიგვანიშნებს მასზე. მთელი რომანის განმავლობაში მამუკა ტარსანიძეს სდევს აჩრდილი, და მარტო აჩრდილი კი არა, ვალმოხდილი მებრძოლის რწმენის, სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად მოხმობილი მოგონებები და ფიქრები.

მწერალი იკვლევს არამარტო განცდის რაგვარობას, გაცილებით მეტი აქვს ნათქვამი, ვიდრე პირველი წაკითხვით ამოვიკითხავთ. რაიმეს თუ ტოვებს, სულ-ერთია, ეს გამოტოვებული მაინც იგრძნობა. მწერალს გვერდი აუვლია, რისი გამოტოვებაც შეიძლებოდა. დაუტოვებია, რაც განცდილის მკითხველთან მიტანაში დაეხმარებოდა, რათა გვეგრძნო, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა.

რომანში აირეკლა დროის სიმართლე, ჭეშმარიტების ძიების წყურვილი, პატიოსნების, კაცთმოყვარების, საზოგადოებრივი ინტერესების პატივისცემა.

განახლებასა და აღორძინებას კარგი დასაბამი მიეცა. მწერალი აქტიურად

ჩაება მოვლენათა მსვლელობაში, გამოეხმაურა სიახლეთა დაბადებას, ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ბიძგებს. შეუძლებელი იყო, იგი არ ყოფილიყო თავის მომავალ გმირთა შორის, მათთან არ ჰქონოდა ცოცხალი, ინტენსიური ურთიერთობა. მხილების სიმძაფრით გამსჭვალული პასაჟები ელოდნენ გადამწყვეტი, სწორი პასუხის გამოტანას. ეს რომანი სწორედ საჭირბოროტო საკითხებს მწვავედ აყენებს, სინამდვილის ფაქტებს კარგად გვაწვდის და სწორადაც აანალიზებს. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში გაისმა მწერლის ხმა, ახლოს მივიდა, პასუხისმგებლობა იკისრა ამაზე, გამოვიდა სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი, გასაქანი მისცა პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს. ამიტომ ეს რომანი გვიპყრობს სწორედ საჭირბოროტო საკითხების მწვავედ დაყენებით, სინამდვილის ცოდნით, მათი სწორი ანალიზის უნარით.

მწერალმა კარგად იცოდა, რომ აქტიური პრობლემატიკისაგან განრიდება, ორჭოფულ პოზიციაზე დგომა არ შეიძლებოდა. ეს ნიშნავდა რესპუბლიკაში შექმნილი საერთო მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროდან გამოთიშვას.

რომანის პერსონაჟები წინააღმდეგობრივები, არასტანდარტული ხასიათისანი არიან. ამიტომ მათი მოქმედების ამოცნობა წინასწარ ძნელია. მათ ხასიათში ბევრია დროისმიერი. მწერალმა იცის, რითი ცხოვრობს თანამედროვე ადამიანი, რა საზრუნავი, რა კაეშანი, სიხარული და ტკივილი გააჩნია, რა იდუმალი ძვრები მიმდინარეობს საზოგადოების წიაღში. მან შეისწავლა ანტიფსიქიკა. დეფორმირებული ხასიათები ამ რომანში ანტიფსიქიკას ატარებენ. ისინი არ ემორჩილებიან კანონებს. თითქოს აუჯანყდნენ ნორმას - საუკუნოვანს, შეულახველს.

ცხადია, ეს პროცესი ერთბაშად არ მომხდარა. ავტორმა ისედაც მძიმე სიტუაციაში მოხვედრილ გმირს, რის გამლებასაც თავისთავად დიდი სულიერი სიმხნევე სჭირდება, ომის ქარცეცხლში განვლილი გზიდან საშინელი ტვირთი გამოაყოლა. მამუკამ მშვენივრად იცის, როგორ მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. ამიტომ მისი სინდისი არამცთუ სუფთაა, ნათელიც კია, მაგრამ ომის მიერ სიკვილით წალეკილ დროსა და სივრცეში მისი ზოგი ნაკვალევიც წაიშალა და ახლა დროდადრო გაიახლებს ამ საქმეთა გამჩხრეკი ეჭვების ჩასაძიებლად. ბედის და ვაჟკაცური ბუნების

გამო (რადგან ზოგი დეტალი გამხელა არ სურს), მამუკას საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება სჭირდება.

მწერალმა ომის ქარცეცხლში გამოვლილ გმირს ახალი, მძიმე ტვირთი დააკისრა, იგი თამამად უპირისპირდება იმ გარემოს, სადაც პატიოსან კაცს სუნთქვა გასჭირვებია, სადაც შემოქმედთა ნაცვლად „საქმოსნებს" დაუპყრიათ პოზიციები. ეს არის შეუპოვარი რწმენისა და ნებისყოფის მქონე მებრძოლი კაცის, ერთგვარი ზნეობრივი მაგალითი.

„მწვანე შტომ" გადაგვიშალა ახალ მიმართებებში, ხლართებსა და განზომილებებში თავისებურად დანახული და გააზრებული სისხლსავსე ცხოვრება. ეს რომანი ინტერესს იწვევს ხასიათების არაჩვეულებრივი სიმდიდრითა და რეალურობით. მწერალი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ პლანში სვამს პიროვნების მთლიანობის აქტუალურ საკითხებს. მამუკა ტარსანიძეს უმოქმედობასთან შეურიგებლობა ამოძრავებს, არა უკმაყოფილება, არამედ დაუკმაყოფილებლობა. აქ ყურადღების ცენტრშია ზნეობრივი აქტიურობის პრობლემა. ეს ხასიათი საყურადღებოა პიროვნების ღირსების გამძაფრებული შეგრძნებით, უკიდურესი პრინციპულობით, შეუპოვრობით. მასში ვლინდება ზნებორივი ლიბერალიზმისადმი შეურიგებლობა. იგი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია, რთული ბიოგრაფიით, ინტელექტით, გამახვილებული სულიერი რეაქციით, შემოქმედებითი ბუნებით, ქცევისა და აზროვნების მანერით. ჩვენი ვარაუდით, ეს პერსონაჟი ხასიათის დეტალებს სწორედ ტექსტის ავტორისგან იძენს, არ შეიძლება შეუმჩნეველი დაგვრჩეს მისი ავტორთან მსგავსება უკომპრომისობისა და შეუვალობის თვალსაზრისით, სწორედ ასე ახასიათებენ თანამედროვეები ალექსანდრე კალანდაძეს. ავტორი არ მოერიდა მხატვრულად რთულ გზას. შექმნა მწვავე, მიმზიდველი სიუჟეტი, იპოვა დაძაბული კონფლიქტები, შეთხზა იდეურ-შინაარსობრივად რთული ფაბულური კონსტრუქცია.

ძირითად თემას ქართველ არქიტექტორთა და მშენებელთა ცხოვრება წარმოადგენს. დედაქალაქის გადაშენიანების მტკივნეული საკითხი, გარდასული ომის მძიმე დღეების გამოძახილი, ეჭვისა და ნდობის დაპირისპირება, ადამიანის პიროვნული ღირსების გადასაწყვეტად, ადამიანის ბედი წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში, სიყვარული და ოჯახი, მეშჩანური ყოველდღიური ყოფა - ეს საკითხთა ის წრეა, რომლებიც მხატვრულადაა გადაწყვეტილი არქიტექტორთა და მშენებელთა ცხოვრების ფონზე.

შეიძლება, ავტორს არ დავეთანხმოთ ზოგიერთი პერსონაჟის მხატვრულ სიმართლეში (დოროთე, შანშე, გერკნეული), ზოგი ხასიათი არასრულყოფილად მივიჩნიოთ (ფიდო ცებულაძე), ზოგიც გადაჭარბებულად (სალომე), ზოგჯერ სიუჟეტური ქარგის გაშლისას მხატვრული მოტივირების ხელოვნურობაც შევნიშ-ნოთ (მამუკასა და ცისანას დამეზობლება ბაბინესთან, ფიდოს ინტიმური ურთიერ-თობა თეონასთან და ა.შ.).

რომანის გამოსვლისთანავე არც დადებით და არც უარყოფით კრიტიკას არ დაუგვიანებია. აქვე გვინდა მოვიხმოთ თამაზ წივწივაძის წერილი „მამრობითი პარტნიორის ვნებანი" რომელსაც ალექსანდრე კალანდაძე უწოდებს „პასკვილს". თ. წივწივაძის წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ციტატა კრიტიკული წერილე-ბის კრებულიდან „გემოვნების კრიტიკა": „კრიტიკის სიმწვავეზე მტკიცე თვალსაზ-რისი არ გამაჩნია. ზოგჯერ თანამედროვეთა დიდი ნაწილი მჯღაბნელები მგონია და ლიტერატურიდან მათ გაძევებას მოვითხოვ." კრიტიკის ბრალია, რომ არ არსე-ბობს ზღვარი „დიდ ლიტერატურასა" და „კონიუქტურას შორის" [კალანდაძე,1976,133].

„არავის მოეჩვენოს, მოტანილი ციტატებით პატივცემული მწერლის ლიტერა-ტურულ შეხედულებათა რევიზიას ვაპირებდე... გაჩნდა იდეა, თვალი მიმედევ-ნებინა ერთი და იმავე პიროვნების - ლიტერატურის მკვლევრისა და მწერლის ნამოღვაწარისათვის. უფრო ზუსტად, გამეგო, როგორ ეხმარება მწერალს პროფე-სიონალი კრიტიკოსის ჩვევები და ცოდნა - სრულყოს საკუთარი ნაწარმოები [მიშველაძე, 1977, 9].

ალექსანდრე კალანდაძე საპასუხო წერილში - „სიტყვა ეძლევა აგული მელიმონაძეს" - თავშივე აღნიშნავს: „ერთი სიტყვა მაინც რომ იყოს მართალი, თავის წაღუნვა აჯობებდა, მაგრამ ამ ცილისწამებებს ხედავთ? ისიც ხომ გესმით, მათი უყურადღებოდ დატოვება რას მოასწავებს! პასუხი თუ არ გავეცი, შეიძლება, უარესი იქნეს... საკამათო და საპოლემიკო რა გვაქვს, მე მინდა დავანახო მკითხ-ველს, რომ პასკვილში თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიცრუეა, და მერმე მკითხ-ველმა გადაწყვიტოს, რა ან ვინ აიძულებს ადამიანს, ასეთი საქციელი ჩაიდინოს" [კალანდაძე,1977,8].

მწერალი კრიტიკოსის მიერ ეპიგრაფად არასწორად, ამონაგლეჯებად მოტა-ნილ ციტატას აბათილებს: „ჩემს „გემოვნების კრიტიკაში" რამდენიმე პერსონაჟი

კამათობს ლიტერატურის საკითხებზე. ისინი, მეტწილად, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამენ. პასკვილანტი მათ მოსაზრებებს, სადაც რომელი დასჭირდება, მე მომაწერს. ჩემს „დიალოგებში“ კრიტიკოსი ამბობს: „კრიტიკის სიმწვავეზე მტკიცე თვალსაზრისი არ გამაჩნია. ზოგჯერ თანამედროვეთა დიდი ნაწილი მჯღაბნელები მგონია და ლიტერატურიდან მათ გაძევებას მოვითხოვ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ გენიოსებსა და რიგითებს შორის გაუვალი უფსკრული არაა და, ბოლოს და ბოლის, ყველას შეუძლია ის ერთი ნაბიჯი ბეწვის ხიდი გადალახოს. ვინ იცის, იქნებ, შესძლონ! მაშ, იარონ, ხელი რატომ შევუშალოთ! ლიტერატურული პროცესი არც მხოლოდ წარმატებებისაგან შესდგება და არც მხოლოდ მარცხისაგან“...[კალანდაძე,1977,9].

პასკვილანტმა ასი პროცენტით დაამახინჯა აზრი, უკუღმა შეაბრუნა წარმოდგენილი თვალსაზრისი და ისე გამოიყვანა, თითქოს, ავტორი თანამედროვე მწერლების დიდი ნაწილის ლიტერატურიდან გაძევებას მოითხოვდეს. ამასთან, მკითხველს არათუ გაუმხილა, რომ ეს თვალსაზრისი „გემოვნების კრიტიკის“ ერთ-ერთ პერსონაჟს ეკუთვნის, არამედ დამახინჯებულ ამონაწერს მსხვილი შრიფტით წააწერა: „ალექსანდრე კალანდაძე“.

რა ვუწოდოთ ასეთ პირს: კრიტიკოსი თუ ცილისმწამებელი?

კრიტიკოსი ბრძანებს: „შეიძლება მისაყვედურონ, დასაწყისშივე ზედმეტ სიმკაცრეს ვიჩენ ავტორის მიმართ, მაგრამ არა მგონია, ასევე იფიქროს პატივცემულმა მწერალმა. მას ამ საკითხზე, როგორც შევიტყვე, მწყობრად ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია. მხოლოდ პედანტს სჩვევია, არავის ყური არ უგდოს და ყოველგვარი შესწორება უარყოს. ნიჭიერი თავმდაბლად მოისმენს ქებასაც და კრიტიკასაც. წიგნის ავტორი, ბუნებრივია, ნიჭიერ მწერლად მიმაჩნია, სხვა შემთხვევაში, მასთან საუბრის სურვილი არ მექნებოდა“ [კალანდაძე,1976,134].

თამაზ წივწივაძეს მამუკა ტარსანიძეზეც საკუთარი, განსხვავებული მოსაზრებები აქვს: „მამუკა ტარსანიძე, რომანის მთავარი გმირი,“ ოცდათხუთმეტი წლის ტანასხლეტილი კაცი... ისეთი აცეკვებული ნაბიჯებით შევიდა ორსართულიანი შენობის კარგად მოვლილ ეზოში, რომ უდარდელი ჭაბუკი გეგონებოდათ“. ეს ავტორისეული დახასიათებაა. სხვები ასე არ ფიქრობენ. მაგალითად, ფილიმონ ანესაძეს, სახელოსნოს დირექტორს, მიაჩნია, რომ „ეს გაცვეთილი, წელმოტეხილი

კაცი რაღაცაში გამოგვადგებაო“. დაახლოებით ასეთივე აზრისაა ინსტიტუტის დირექტორი აგათონ სუთიძე: ,,არქიტექტურა შორს წავიდა, მისთვის მხარის გასწორება ძალღონე გამოლეულ კაცს გაუჭირდებაო“.

ერთ პიროვნებაზე აზრთა ამდენმა სხვადასხვაობამ დამაფიქრა და შევეცადე მამუკა ტარსანიძის ასაკი დამედგინა!...“ [მიშველაძე, 1977, 10].

მწერალი კრიტიკოსის არც ამ მოსაზრებებას იზიარებს:

„აღფრთოვანებულია თავისი მიხვედრილობით: „ცხრა მეტია შვიდზე“! ციცინოს ასაკის გამოანგარიშებას მოჰყვება ბუღალტრის თვითკმაყოფილი ლაზღანდარობა: „ომის პერიოდში ქვეყანას სასმელ-საჭმელი უჭირდა, ამიტომ, იქნება, ციცინო ტანად არ გაზრდილიყო, თორემ ასაკი, როგორც მშვიდობიან წლებში, ისე მოემატებოდა“

„ვერ უყურებთ, თამაზ წივწივაძის აზრით, არსებითია არა ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპები, არამედ არითმეტიკულ-ბუღალტრული მაჩვენებლები.

დასაწყისშივე დიდი გულმოდგინებით „არკვევს“, რომ მამუკა ორმოცდახუთი და არა ოცდათხუთმეტისაა. გაოცებული რჩებით, რა შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია ამ სფეროში. დავუშვათ, რომ მომდევნო გამოცემაში გავასწორეთ ეს „არითმეტიკული შეცდომები“. მაშასადამე, არავითარი ნაკლი აღარ დარჩება. ...პასკვილანტი ხუმარა ყოფილა?!“...[კალანდაძე,1977,9].

„რა სიბრძნე და სიღრმე უნდა იპოვოს იმ პირმა, რომელსაც ჰგონია, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერი ოქმის სიზუსტით უნდა იყოს გადმოცემული, ვინც თითოეული სიტყვისათვის სრული ბუღალტრული ანგარიშის ჩაბარებას ითხოვს. შეგვირცხვენია ამისთანა „კრიტიკოსთან“ აგურის ქარხნის შესამოწმებლად გაგზავნილი რევიზორ-ბუღალტერი! მისი აზრით, არავითარი ფარული ხაზი, არავითარი ქვეტექსტი არ უნდა იყოს ნაწარმოებში...

ყველაფერი, რაც ესთეტიკურ-ლიტერატურული მეთოდით ხელოვნების ღირსებად ითვლება, არითმეტიკულ-ლიტერატურული მეთოდით მიუტევებელი ცოდვაა. ეჭვიც არ ეპარება, რომ ნაწარმოების ყველა პერსონაჟი ანგელოზს უნდა ჰგავდეს...[კალანდაძე,1977,10].

ეს კრიტიკული ფრაგმენტები იმის ნათელსაყოფად მოვიხმეთ, რომ ალექსანდრე კალანდაძე, როგორც კრიტიკოსი და როგორც მწერალი, არასდროს არღვევს უმთავრეს წესს, ობიექტურობით და პირუთვნელობით შეაფასოს მოვლენები, როგორც სხვისი,

ისე საკუთარი ნააზრევი. ამ შემთხვევაში, ვის მხარეს იყო სიმართლე არაა ძნელი მისახვედრი. სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ თამაზ წივწივაძე არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელმაც ვერ შეძლო სუბიექტურობისგან აერიდებინა თავი ალექსანდრე კალანდაძის შემოქმედების შეფასებისას.

ჩვენ თანდათანობით გამოვთქვამთ საკუთარ მოსაზრებებს რომანზე, რომე-ლიც გვაფიქრებს რთულ ცხოვრებისეულ საკითხებზე, პიროვნების ბედზე რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. მაინც რატომ დაატეხა მწერალმა ასეთი მწარე განსაცდელი თავის გმირს? იქნებ, იმიტომ, რომ ესეც ცხოვრების სიმართლეა. იქნებ იმის ნათელსაყოფადაც, რომ ნამუსიანი კაცის გზა, ომშიც და ომის გარეთაც, მხოლოდ სიძნელეებზე გადის, მღელვარე და შფოთიანია. იქნებ იმიტომაც, რომ დროთა კავშირები დაეძებნა და თავის რომანისათვის ცხოვრების დინების თვალსაზრისით მწყობრი ხასიათი მიეცა. ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია, თუმცა დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება სარისკოა.

ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას: მამუკა ტარსანიძის სახეს მძიმე ტვირთმა სხვა ნათელი დაადგა. არა მოწამეობრივი, თუმცა არც უამისობაა, რაკიღა ჩვენი თანა-გრძნობა ასკეცდება ამ არამცთუ უდანაშაულო, პირიქით, ბოლომდე ვალმოხდილი კაცის მიმართ.

მამუკა ტარსანიძეს ცხოვრების მიზნად მეომრის ბიოგრაფიის უმწიკვლობის დასადასტურებლად გარჯაც ეყოფოდა. აკი კიდეც მოეძალება ამგვარი ფიქრები სულიერი აშლილობის ჟამს: „უცებ მთელი ძალით იგრძნო, რომ ერთადერთი მიზანი რჩებოდა ამქვეყნად: თავისი უდანაშაულობის, პატიოსნების დამტკიცება, თავის მართლება. ერთ დროს უსაზღვრო იყო ოცნებები. ახლა კი, თურმე, ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: დაემტკიცებინა, რომ თავისი სინდისის, სიტყვისთვის არასოდეს უღალატია... კმარა ეს მიზანი? ღირს ამისათვის სიცოცხლე?“ [კალანდაძე, 1979, 228]. კიდეც კმარა და კიდეც ღირს, მაგრამ მხოლოდ სხვებისთვის, არა ტარსანიძისთვის. მას არ აკმაყოფილებს თავისი პატიოსნების დამტკიცებისთვის დახარჯული ცხოვრება. ამიტომ ირწმუნებს თავს: „ისევ დავთესავ დასეტყვილ ყანას“ [კალანდაძე, 1979, 229].

მისი ძალა სწორედ საკუთარი თავის დაძლევაშია. მოქმედების, მოღვაწეობის, სიკეთის თესვის, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის დაუმცხრალ ჟინშია, საკუთარი

სიცოცხლის სხვათათვის დახარჯვის წყურვილშია. ამიტომაც დააბიჯებს ამ მწარე განცდებს მორეული, ტანჯული კაცის ბედნიერი გამომეტყველებით „ჩქაფანა განმწმენდელ წვიმაში". მას არ აშინებს რეალური საფრთხე, რომ ახალი ბრძოლის წამომწყებს ძველი მოთავებული უნდა გქონდეს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს რომანის გმირი რაღაც ზებუნებრივი ნიჭით და ძალით იყოს დაჯილდოვებული, ძლიერი, გამორჩეული. პიროვნების მხატვრული სახის შექმნის დროს, ჩვენში არცთუ იშვიათად კარგავდნენ მწერლები რეალობის შეგრძნებას. ამ საბედისწერო მეჩეჩზე გარიყვას „მწვანე შტო" იმიტომ გადაურჩა, რომ ავტორმა იგი არ დააშორა სინამდვილეს.

მისი და ფილიმონ ანესაძის დაპირისპირება სრულიად რეალური და ბუნებრივია თუ გავიხსენებთ ქვეყნის იმდროინდელ ყოფას. კარგად ვიცით, რომ საბჭოთა იმპერიისთვის ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო კორუფცია და პროტექცია. ეს ვლინდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით შესამჩნევი ეს მოვლენები მისი არსეობობის ბოლო პერიოდში გახდა. სხვა მანკიერებებთან ერთად იმპერია სწორედ ამან დაღუპა. სახლემწიფოზე მეტად მნიშნვლოვანი გახდა პირადი კეთილდღეობა. ასე რომ, ალექსანდრე კალანდაძე რომანში იმდროინდელ მწარე რეალობას ასახავს, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არც დღევნადელობისთვისაა უცხო.

რაც უფრო მძაფრია ფილიმონისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგობა, მით მეტია მამუკა ტარსანიძის მიზანსწრაფვა: ფორმით, შინაარსით, ტრადიციულის გათვალისწინებით ახლის დანერგვა ქართულ არქიტექტურაში. ეკონომიურობის გარეშეც მისთვის არ არსებობს სრული არქიტექტორული ნაგებობა, რასაც ფილიმონ ანესაძის ჯგუფის წევრები დაუდევრად უარყოფენ, არც შინაარსისა და ფორმის სრულყოფაზე იწუხებენ თავს, კმაყოფილდებიან უგემოვნო, უღიმღამო პროექტების შექმნით.

„მწვანე შტოში" ძირითადი არა ტარსანიძის პირადი ტრაგედია, არამედ პიროვნების ტრაგედიაა. ზოგან ეს ომით გამოწვეული ტრაგედიაა. ტარსანიძეს დრო წაართვა ომმა. მისნაირი ადამიანები დაფასებას და განდიდებას არ ითხოვენ. მათ შეგნებული აქვთ, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს ქვეყნის საკეთილდღეოდ. იგი ძლიერი და ამასთანავე, უაღრესად ცოცხალი სახეა. თუმცა მას უშეცდომოდ არ უვლია. მწერალი,აშკარად, მთელი გულით თანაუგრძნობს გმირს, მაგრამ სულაც არ ცდილობს წაუყრუოს იმ ადამიანურ ეჭვებს, რომლებიც გმირს არცთუ იშვიათად მოეძალება. ეს

ყოველივე აქ იმიტომ კი არ არის გამხელილი, რომ ამით მეტი ცოცხალი ფერი დაედოს სახეს. ეს უბრალოდ ყველა ჩვეულებრივი ადამიანის, ძლიერისა და სუსტის, ბუნებრივი მდგომარეობაა, იმ განსსხვავებით, რომ თუ ერთნი დაჰყვებიან მათ და ვერ უძლებენ იოლ ცდუნებას, მეორენი მათი დაძლევით კიდევ უფრო იკრებენ რწმენას არჩეული რთული გზის სისწორეში. ტარსანიძეს არაერთხელ მოეძალება მტანჯველი ფიქრი, იმდენად, რომ უკიდურეს სასოწარკვეთილებმადეც კი მიდის: „მაშ, ვისთვის, რისთვის გიტვირთია ეს ტანჯვა, მარტოობა, უტეხობა, შეურიგებლობა, სიფიცხე, ეს ავარდნა და ჩავარდნა?... რა გინდა? ვისზე უკეთესი ხარ? განა ყველაფერი სიცოცხლით და სიცოცხლეში არ იზომება? როცა აღარ იქნები, რა მნიშნველობა აქვს, რას იტყვიან შენზე? მაშ, მიდი ეახლე ფილიმონს! ბოდიში მოუხადე! ხო ხედავ, რა დღეში ხარ! ნახველი გახრჩობს! შეიძლება აი, აქვე წაგსკდეს სისხლი და გათავდე! მეუღლეც დაგისნეულდა! დედას, ძმიშვილს შველა სჭირდება! აღიარე, რომ იდიოტი ხარ.... რომ ყველაფერი ახია! ყოველი ადამიანი თავისი მდგომარეობის ღირსია და არავინ სიბრალულს არ იმსახურებს [კალანდაძე, 1979, 188].

ეს წამიერი, თუნდაც დროდადრო გამჟღავნებული სულეირი მერყეობა და ეჭვები უნდა ეპატიოს ტარსანიძეს, რადგან კონტრასტი მასა და ირგვლივმყოფებს შორის მართლაც დიდია, ერთბაშად თვალშისაცემია. სხვებმა შემწყნარებლობით, შეგუებით, მოთმინებით მოიწყვეს ცხოვრება, მამუკას კი უკიდურესი გაჭირვების-თვის ვერ დაუღწევია თავი. მას ოჯახსა და ახლობლებზე ფიქრი უმღვრევს გონებას და აფიქრებინებს, რომ ყოველივე ამის მოგვარება თითქოს უმტკივნეულო კომპრო-მისებით მისთვისაც შეიძლება, მაგრამ კარგად იცის, რომ ეს მცირე დათმობების გზა ნელ-ნელა დააქანებს დაღმართზე, მერე კი თავს იმ ჭაობში ამოაყოფინებს, რომლის შმორის სუნიც გულს ურევს.

ეს მტანჯველი ეჭვები, სკეპსისი ზოგჯერ ძვირადაც უჯდება და ისეთი საქციე-ლისკენ უბიძგებს, რომლის გამართლებაც შეუძლებელია. თუმცა მწერალი ამ ყოველი-ვეს არ ერიდება. ჩვენ ვხედავთ, რომ ტარსანიძე მზადაა უდრტვინველად აიტანოს ყველა საზღაური ჩადენილი შეცდომის გამო. გოჩასგან (რომანის პერსონაჟი) განსხვავებით, რომელსაც ვერაფერი გაუგია, მკითხველმა იცის, რატომ შეუბრუნა ხელი მამუკამ ჩაჩხიაურს. უკიდურესი გაჭირვების გამო იაფად მოკიდებს ხელს იმ საქმეს, რომელიც ჩაჩხიაურის მიკვლეული იყო და საბოლოოდ ვერც ეს კომპრომისი აპატია საკუთარ თავს.

რომანის დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ „მწვანე შტო“ ნოვატორული რომანია, ავლენს რა მხატვრულ-გროტესკულ სპეციფიკას, ეხება ხელოვნების, ფსიქოლოგიის საკითხებს. მასში ასახულია მრავალმხრივ საგულისხმო პერიოდი. ალექსანდრე კალანდაძემ ერთმანეთს დაუპირისპირა მართალი, ჯანსაღი, მებრძოლი იდეებით შეიარაღებული ადამიანები და ვითარებით გათამამებული მედროვეები.

რომანის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება არქიტექტურის თემით, ის თანაბრად ეხება ყველა წრეს, ყველა სფეროს, მწერალი მეტი გაბედულებისკენ მოგვიწოდებს, რადგან ოსკარ ვაილდის თქმისა არ იყოს, „არც ერთ არა ურჩსა და მონას ამქვეყნად არაფერი ფასეული არ შეუქმნია“.

გზასაცდენილებს მხატვრული ლიტერატურა რაღას უშველის, მაგრამ „მწვანე შტო“ იმ ნაწარმოებთა რიგს უდავოდ განეკუთვნება, რომელსაც შეუძლია ზნეობრიობაზე და მარადიულ სიმართლეზე დაგვაფიქროს.

ალექსანდრე კალანდაძის ამ რომანში ხედვის, დაკვირვების არეალი ფართოა და ტევადი. თუმცა მწერალს ყურადღება გამახვილებული ტარსანიძის მოქმედებასა და განცდებზე აქვს, ეს არ ზღუდავს ცხოვრების მრავალმხრივი სურათების წარმოსახვაში, მრავალ-რიცხოვანი პერსონაჟების შემოყვანში. ამიტომ ვხვდებით, მასში 50-იანი წწ-ის თბილისური ყოფის უამრავი საინტერსო და ნიშანდობლივი მხარეა გაცოცხლებული.

ავტორის პოზიცია საგრძნობია მაშინაც, როცა იგი გროტესკული შტრიხებით ხატავს უარყოფით პერსონაჟებს, დასცინის მათს მეშჩანურ ყოფას, მათს ვიწრო, შეზღუდულ გრძნობებს. საკმაოდ დეტალურადაა დახასიათებული თითოეული მათგანი პორტრეტულადაც და ფსიქოლოგიურადაც. მწერალი სატირიკოსის თვალით გვიხასიათებს უარყოფით პერსონაჟებსა და სიტუაციებს. „მეშჩანური ოჯახები მხოლოდ გარეგნულად თუ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგი დაშაქრული ფრაზებით ინიღბება, ზოგი - მართლისმთქმელის პოზით ავყიაობს. სხვაობა მათ შორის არ არის, ჭაობში დაბუდებულან და ყველას თავისკენექაჩებიან. არსანიძე ადვილი ჩასათრევი არ აღმოჩნდა, ამიტომ შეიძულეს და სდევნიან - გვიზიარებს თავის მოსაზრებებს კრიტიკოსი [გვერდწითელი, 1985, 104].

თავი V

ალექსანდრე კალანდაძე - მკვლევარი

ალექსანდრე კალანდაძე XX საუკუნის იმ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა რიგს განეკუთნება, რომელთა შემოქმედება, ფიქრი, ტკივილი ამოიზარდა საქართველოს სინამდვილიდან. ძნელია მოიძებნოს ერის სულიერი ცხოვრების ესა თუ ის სფერო, რომელსაც ალექსანდრე კალანდაძე არ შეხებოდეს.

თვალს თუ გადავავლებთ მის მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან, რომლის ნაფიქრალი და ნააზრევი ყურადღებას იქცევს სიახლითაც და პრობლემატურობითაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი კრიტიკული ნააზრევი. მეცნიერი აღიარებს კრიტიკის რევოლუციურ ბუნებას. მისთვის მიუღებელია კრიტიკის დატვირთვა, შეზღუდვა რაიმე პრინციპებით, რადგან შემოქმედება თავისუფალი პროცესია და მას განვითარების შინაგანი კანონები აქვს.

ალექსანდრე კალანდაძე ორიგინალური, თვითმყოფადი ფილოსოფიური ხედვის მკვლევარია. იგი თანაბარი ინტერესით უღრმავდება როგორც თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, ასევე საუკუნეების მიღმა არსებულ მწერალთა შემოქმედებით ნაღვაწს.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მკვლევრის ნაფიქრალსა და ნააზრევში გამოიკვეთა ორი ხაზი, ორი მიმართულება - ლიტერატურის ისტორია და ლიტერატურული კრიტიკა.

ვიდრე განვიხილავთ ალექსანდრე კალანდაძის ცალკეულ წერილებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ერთნაირი ძალით ავლენს ცოდნას ყველა ლიტერატურულ ჟანრში - ნარკვევში, ლიტერატურულ პორტრეტში, ესკიზში, პუბლიცისტურ წერილსა და რეცენზიაში. მისი წერილებით, სადავო საკითხების გარკვევასთან ერთად, ვეცნობით ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების გზას.

წიგნში „კრიტიკა, პოლემიკა“ ავტორი განიხილავს და აფასებს თანამედროვე პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებას. აზოგადებს ესთეტიკურ-ლიტერატურულ დაკვირვებებს მწერლის შრომაზე, ხელოვნების ფსიქოლოგიისა და მხატვრული ოსტატობის პრობლემებზე.

ალექსანდრე კალანდაძის, როგორც კრიტიკოსისა და ლიტერატორის მოღვაწეობის წლები საბჭოთა კავშირის პერიოდს ემთხვევა. ამიტომ მისი შემოქმედების შესწავლისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რამდენად განმსაზღვრელი იყო იმდროინდელი რეჟიმის მიერ განხორციელებული ცენზურა, ვინ ვინ და ალექსანდრე კალანდაძემ, რომელმაც თავის თავზე იწვნია მეორე მსოფლიო ომი, ტყვეობა, კარგად იცოდა საბჭოთა კავშირის ბნელი მხარეები. მას, როგორც გამორჩეული ალღოს და საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანს ესმოდა, რომ საჭირო იყო საქმის უხმაუროდ კეთება. საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას აშკარად შეიმჩნევა, რამდენად ოსტატურად ცდილობს მკვლევარი ქართული ლიტერატურის ისტორია ისე მიიტანოს მკითხველამდე, რომ ძლიერთა ამა ქვეყანისათა გაღიზიანება არ გამოიწვიოს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია სათქმელმა ადრესატამდე მიაღწოს. ამიტომ მისი კრიტიკული წერილების უმრავლესობას ერთგვარი ალეგორიული ხასიათი დაჰკრავს, უკეთესად რომ ვთქვათ, ცდილობს ქვეყნის ისტორიას „გაუუცხოვდეს“, ისე აღწეროს, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არ ხდებოდა შორეულ წარსულში და რომ ეს, მისი მხრიდან, მხოლოდ ფაქტების აღნუსხვაა და მეტი არაფერი. იგი ერთ -ერთი პირველთაგანია, ვინც თავს უყრის, განიხილავს და საკუთარი შეხედულებების მიხედვით ადგილს უჩენს მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე მეტ - ნაკლებად მნიშვნელოვან ყველა ლიტერატურულ პროცესს, იქნება ეს პერიოდული ჟურნალ-გაზეთები თუ ინდივიდუალური მწერლები და პოეტები (ზოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ზოგი - ნაკლებად). ვფიქრობთ, მისი ნაშრომები დღემდე იმით ინარჩუნებს აქტუალურობას, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა, შექმნილიყო მთლიანობის ამსახველი სურათი. ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძე თავდაუზოგავი შრომის შედეგად მანამდე არსებულ ფრაგმენტულ ინფორმაციებს, მწირ ცოდნას, უყრის თავს და საზოგადოებას საკუთარი ხედვით გამდიდრებულს აწვდის.

შეგვიძლია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ მის მიერ შექმნილმა „ქართული ჟურნალისიტიკის ისტორიამ“ დიდი ამაგი დასდო ამ დარგს და მათს წარმომადგენლებს. ფაქტია, რომ ამ ნაშრომის გაცნობის გარეშე დღემდე შეუძლებელია ჟურნალისტიკის ცოდნაზე რამე პრეტენზია ჰქონდეს ვინმეს.

ამავე რანგის და მნიშვნელობისაა „გვაქვს საგანძური“. მასში განხილულია თითქმის ყველა გამორჩეული მოღვაწის შემოქმედება, ლიტერატურული ტრადიციები, მიმართულებები: კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი. დავით და იოანე ბაგრატიონის, სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ივ. კერესელიძის, გიორგი ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, რაფიელ ერისთავის, ლავრენტი არდაზიანისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მოღვაწეობა.

ეს არასრული ჩამონათვალიც საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, რამდენად მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს დატოვებული მომავალი თაობებისთვის ალექსანდრე კალანდაძეს. ფაქტია, რომ მისი შეხედულებები საფუძვლად დაედო შემდგომი პერიოდის კვლევებს. ამჯერად განვიხილავთ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან რამდენიმე წერილს. „ლიტერატურულ ტრადიციებში“ ავტორი ქართული კალსიციზმის საინტერესო განმარტებას გვთავაზობს, იგი აღნიშნავს: „ეკლექტიზმი საერთოდ დამახასიათებელი იყო კლასიციზმისათვის, ხოლო, განსაკუთრებით, ქართული კლასიციზმისთვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს მხარე შესამჩნევი ხდება მისი დაქვეითების დროს, როცა, „გარდამავალი პერიოდის“ სპეციფიკის გამო, კულტურასა და, კერძოდ, ლიტერატურას, სხვადასხვა მიმდინარეობათა, ერთმანეთის საწინააღმდეგო შენაკადთა შეყრით გამოწვეული აშკარა აჭრელება ეტყობა. შეუძლებელია ნაირფეროვანი ეწოდოს იმ კონგლომერატს, რომელსაც ერთი მხრივ, ეროვნულ კლასიკური ლიტერატურის ტრადიცია, უშუალო კლასიცისტური მემკვიდრეობა, სენტიმენტალიზმისა და ადრეული რომანტიზმის ელემენტები ჰქმნიდა, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლურ, მაჯამურ-ვარდ-ბულბულიანური და აშუღური მოლექსეობის დანალექით იყო შეზავებული. ლიტერატურა თითქოს კარჩაკეტილი კასტების ოხშივარით სუნთქავს, მაგრამ ამ ქაოსშიც ჩანს, რომ საუკუნის პირველი მეოთხედის მთავარი სტილი წინადებურად კლასიციზმია. ანტონის მოწაფეები და მიმდევრები არა მარტო ფიზიკურად არსებობენ, არამედ სულიერი ცხოვრების სადავეებიც ხელთ უპყრიათ“ [კალანდაძე, 1979,7].

ამ მცირე მონაკვეთშიც კი აშკარაა, ალექსანდრე კალანდაძის ობიექტური ალღო. იგი ზუსტად ახასიათებს იმდროინდელ ლიტერატურულ მდგომარეობას და სწორ შეფასებას აძლევს მას, რაც არაერთხელ გამეორდა შემდგომი პერიოდის კრიტიკოსთა

შეფასებებშიც. მისი თუნდაც რამდენიმე ეპითეტი „აღმოსავლურ, მაჯამურ-ვარდ-ბულბულიანური“ (ვფიქრობთ, ამ ეპითეტის საავტორო უფლება კრიტიკოსს ეკუთვნის), ან კიდევ სიტყვა - „ქაოსი“, „კასტები“ ადვილად გადმოსცემს ავტორის, როგორც კრიტიკოსის დამოკიდებულებას აღნიშნული პერიოდის მიმართ. აღსანიშნავია, რომ იგი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს ანტონ კათალიკოსს, მის მოღვაწეობას და გავლენას შემდგომდროინდელ ქართულ ლიტერატურაზე. ისიც ფაქტია, რომ დღეს ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა თითქმის მივიწყებულია კრიტიკოსებისა და ლიტერატორების მიერ. ამის მიზეზად შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ქართველმა კრიტიკოსებმა და ლიტერატორებმა ამოწურეს ეს ფიგურა, თუმცა ალექსანდრე კალანდაძის წერილების კითხვისას იგრძნობა თუ რამდენად საინტერესო და მრავალმხრივ მოღვაწესთან გვაქვს საქმე. ჩვენი აზრით, თუ კი მომავალი თაობა ოდესმე მიუბრუნდება ამ ადამიანს, მისთვის ფასდაუდებელი სწორედ ალექსანდრე კალანდაძის შეფასებები იქნება. მკვლევარი ახერხებს, რომ ობიექტური სურათი დაუტოვოს მკითხველს კაცისა, რომელმაც გავრცელებული აზრის მიხედვით, ერთგვარად „შეაფერხა“ ლიტერატურული წინსვლა. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მოვიხმობთ კიდევ ერთ ამონარიდს, რომელშიცალექსანდრე კალანდაძე საინტერესოდ ხსნის მიზეზებს: „ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საუკუნის დასაწყისიდან, ანტონისა და ბესიკის კლასიცისტურმა ჟანრებმა და ფორმებმა (ოდა, ეპიტაფია, მიძღვნა, იამბიკო, აკროსტიხი, ანბანთქება) ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვა ქართულ პოეზიაში, რაც პოეტური ენერგიის თანდათანობითი მოდუნებისა და კრიზისის ნიშნად იქცა. საგრძნობლად მომრავლდა ცივი, მოსაწყენი სატრფიალო მიძღვნები და ბუნების სურათები.

მოგვიანებით, ბუნდოვანებისაკენ სწრაფვა ეპიგონებთან აზროვბრივ აფსურდამდე მივიდა; პათეტიკურ-რიტორული ტონი - პეციოზურ ღვარჭნილობამდე; პირობითობა სქოლასტიკაში გადაიზარდა; გრძნობა გაცვთა მოშაქრულ სიყალბედ იქცა; სიბრძნე გონებამახვილობამდე დანამცეცდა; პოეზია შინაარსისგან დაიცალა, მოწყდა ცოცხალ ენას, ყოველდღიურობას, თემატურად გაღატაკდა, გაშაბლონურდა. ანტონისა და ბესიკის იამბიკოები ბრმა მიმბაძველებმა მოდად გამოაცხადეს, მოდად ქცეული ლიტერატურა კი გამომშრალი ჭურჭელია და მიმბაძველებს ხელთ შერჩათ გამოფიტული ფორმა, სიტყვათა თვითმიზნური თამაში, რის ბიძგსაც ანტონი, ბესიკი, დიმ. ბაგრატიონი და სხვა წინამძღვრები იძლეოდნენ“ [კალანდაძე, 1979, 8]. ვფიქრობთ,

მსგავსი შეფასება და მოვლენის ყოველმხრივი ანალიზი ბევრ თანამედროვე მკვლევარს შეშურდება, ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე კალანდაძე ზუსტად ხსნის მიზეზს, რამ გამოიწვია ლიტერატურული დეგრადაცია. მისი აზრით, ეს ყველა-ფერი არა საკუთრივ ამ მოღვაწეთა სისუსტის გამომხატველი, ანდა ვთქვათ, ანტონ კათალიკოსის უშუალო დანაშაულია (უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურულ წრეებში ზოგიერთს სწორედ ამ ბრალდების გამო ჰყავს ათვალწუნებული იგი), არამედ მხოლოდ უნიჭო მიმბაძველობის შედეგი. სწორედ ამაში გამოიხატება ალექსანდრე კალანდაძის განსაკუთრებულობა - მან უტყუარი შეფასება მისცა მოვლენას, რომ ამ ყველაფერმა გამოიწვია - „პოეტური ენერგიის თანდათანობითი მოდუნება“, მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა, ყოველგვარი ზედმეტი ახსნა-განმარტებებისა და წიაღსვლების გარეშე, მაგრამ ვფიქრობთ, იშვიათი და მნიშვნელოვანი. ამასთან მისი შემდეგი ფრაზა, ჩვენი აზრით, ერთგვარი აქსიომა უნდა იყოს თანამედროვე კრიტიკოსებისთვისაც - „მოდად ქცეული ლიტერატურა კი გამომშრალი ჭურჭელია“ - მივუსადაგოთ იგი ნებისმისმიერ დღეს მოძალებულ ვაილიტერატურას, მის წარმომადგენლებს და შედეგიც არ დააყოვნებს, ზუსტად განვსაზღვრავთ არსებული დეგრადაციის მიზეზს.

საინტერესოა ალექსანდრე კალანდაძის შეხედულებები „რომანტიზმის“ და მისი წარმომადგენლების შესახებ, ამ საკითხზე მას საკმაოდ ბევრი აქვს ნამუშევარი, „რომანტიზმში“ („გვაქვს საგანძური“) და „განმანათლებლობის სათავეებთან“ („გემოვ-ნების კრიტიკა“) მკვლევარი აღნიშნავს, რომ მიმდინარეობის უტყუარი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია და ამდენად, პირობითი ხასიათი აქვს. ვფიქრობთ, მისი ეს შეფასება მნიშვნელოვანია.

დღესაც ლიტერატორთა და კრიტიკოსთა უდიდესი ნაწილი ეთანხმება ალექსანდრე კალანდაძისეულ დამოკიდებულებას, ასე ვთქვათ, იმეორებს მას. ფაქტია, რომ მიმდინარეობების ზუსტი განსზღვრა არ არის იოლი განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ე.წ. ქართულ რომანტიზმს ეხება. შეიძლება ითქვას, ალექსანდრე კალანდაძე არ იზიარებს თავის თანამედროვე შეხედულებებს და წერს: „ამჟამად ქართული რომანტიზმის აღმოცენება-განვითარების საფუძვლად მიაჩნიათ ძველი ქართული მწერლობის ტრადიციები, ევროპისა და საქართველოს საზოგადოებრივ - პოლიტი-კური ცხოვრების თანხვდომის მომენტები და ეს ახალი დროის უშუალო ლიტერა-ტურული კონტაქტები. ხშირად პირდაპირი ხაზებიც გაჰყავთ ჰაგიოგრაფიული

მწერლობიდან რუსთაველამდე, დავით გურამიშვილამდე, ნ. ბარათაშვილამდე, რაც შინაგანი კავშირის პრინციპული არსით სწორია, მაგრამ ვერ იძლევა ახალი ლიტერატურული მოვლენის, ახალი ესთეტიკური თვისობრიობის სრულ ახსნას, რადგან ეს სიახლე არა მსგავსების, განმეორების, არამედ განსხვავების ტრადიციების შემოქმედებითი გარდაქმნა - ათვისების ნაყოფია" [კალანდაძე, 1976, 239-240].

შედარებით გვიანდელ ნაშრომში „გვაქვს საგანძური", ავტორი იმეორებს ზემოგამოთქმულ მოსაზრებას, ციტირებასაც კი მიმართავს, ამავე საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „რომანტიკული", „რეალისტური", „კლასიცისტური", „სენტიმენტალური", ადამიანის ბუნების თვისებებია და შეგვიძლია მის განვითარებას თვალი გავადევნოთ საუკუნეთა მანძილზე, ფოლკლორშიც, ძველ მწერლობაშიც, მაგრამ ამას ძალიან ცოტა კავშირი აქვს რომანტიზმის, როგორც სტილის შესწავლასთან. უნდა ვეძიოთ ბობოქარი ან მწუხარე სულის წყაროები, თორემ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის ფიქსირებას, სად გვხვდება რომანტიკოსი მწერლის ესა თუ ის გამოთქმა ან მხატვრული სახე. ყოველივე ეს მხოლოდ საშენი მასალაა შემოქმედისთვის, არსებითია, რა ფუნქციას ასრულებს იგი სხვადასხვა შემთხვევაში, ვინ რა სულისკვეთებით იყენებს მათ. ერთი და იგივე გამოთქმა („საშენი მასალა") რომანტიკოსმაც შეიძლება გამოიყენოს, რეალისტმაც, სენტიმენტალისტმაც და თანამედროვე მწერალმაც. ყველაფრის სათავე შემოქმედის სულია, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულებაა და არა ძალად მოგონილი „წყაროები". ამ თვალსაზრისით, შემომქმედი პიროვნების ფსიქოლოგია მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე „ფოლკლორის რომანტიკული სული". ამ ბოლო დროს მოდად იქცა პარალელები „ეკლეზიასტესთან", რომელიც ეროვნული წყარო კი არ არის, არამედ კოსმოპოლისტური დოგმაა; ზოგიერთი „ქართულ რომანტიზმს" „შუშანიკის წამებიდანაც" იწყებს" [კალანდაძე, 1956, 80].

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე კალანდაძე არ იზიარებს იმ მიდგომას, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა იმ პერიოდში და აქტუალურობას არც დღეს კარგავს. პირობითად მას შეიძლება სასულიერო მწერლობის ნაკადი ვუწოდოთ საერო ლიტერატურაში. რიგი ცნობილი და უდავოდ საინტერესო მეცნიერები, მათ შორის რევაზ სირაძე, გრ. ფარულავა და სხვ., განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართულ თანამედროვე ლიტერატურაში იმ გავლენას, რომელიც სასულიერო

მწერლობამ იქონია საეროზე; ამავე კუთხით განიხილავს და ეძიებს პარალელებს „ვეფხისტყაოსანსა“ და სასულიერო მწერლობის ტექსტებს შორი ბატონი კორნელი კეკელიძე („ქართული ლიტერატურის ისტორია“) უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა ავტორებმა და მათმა ნაშრომებმა განსაკუთრებული გავლენა იქონიეს ლიტერატურული მოვლენების შეფასებაზე, თუმცა აღსანიშნავია ბატონი ალექსანდრე კალანდაძის მინიშნება, რომ მხოლოდ ცალკეული მხატვრული სახეების გამეორებებით და პარალელებით არ არის მართებული ლიტერატურული მოვლენების შეფასება. დაგვეთანხმებით, ტენდენცია, რომელსაც ჯერ კიდევ წლების წინ უწოდა ალექსანდრე კალანდაძემ მოდური, დღეს უკვე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხვდება... თითქმის ყოველი მეორე მკვლევარი ცდილობს პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაშიც კი ქრისტიანული ლიტერატურის გავლენები ეძიოს და იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაძალადევი დასკვნებია, რომლებიც ახალს ვერაფერს მატებს მეცნიერებას. ერთი შეხედვით, ალექსანდრე კალანდაძე მკაცრ შემფასებლად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ მან სწორად განსაზღვრა ის მოსალოდნელი გადაჭარბებული მიდგომები,რომლებიც დღეს გვხვდება. ამიტომ ფაქტია, რომ გასაზიარებელია მისი, როგორც კრიტიკოსის ხედვა ამა თუ იმ მიმდინარეობის შეფასებისას, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანის - როგორიც რომანტიზმია. მისი აზრით: „ქართული რომანტიზმის არსი, ძირითადად, იმ პერიოდშია საძიებელი, როდესაც ის წარმოიშვა და დამკვიდრდა, როგორც ლიტერატურული მიმართულება. ყოველივე ეს კი თავისებურად მჟღავნდება ისტორიული პიროვნების ფსიქოლოგიაში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებას, მწერლობას მუდამ თან სდევდა რომანტიკული სული, განწყობილება. იგი, ისევე როგორც სენტიმენტალური, კლასიცისტური, რეალისტური და სხვა განწყობილება დამახასიათებელია ყველა ეროვნების ადამიანის ბუნებისთვის და ყველა ეპოქისთვის, სხვანაირად, ვერც ხელოვნებაში იპოვიდა დასაყრდენს. ყველაფრის სათავე და პირველწყარო თვით სოციალური, ისტორიული ადამიანის ბუნებაა, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულებაა. უამისოდ შემოქმედებასთან არც გვექნებოდა საქმე. როცა სტილზე, მიმართულებაზე ვმსჯელობთ, ცხადია, არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ამ გრძნობის და სულის მისწრაფების გამოხატულებას ზოგადად, არამედ გამოხატვის სტილისტურ-ლიტერატურულ საშუალებათა სისტემის

შეპირისპირებას ერთი მხრივ, საწყის ფორმებსა (წყაროები) და მეორე მხრივ, მიმართულებად, სტილად ჩამოყალიბების შემდეგ, მაგალითად, სტილისტურ დეფინიციას. კრიტიკოსი გვთავაზობს მეტად საინტერესო დასკვნას, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას: „რომანტიზმი წარმოიშვა გაბატონებულის მიმართ წინააღმდეგობის სულისკვეთებით, იგი ანტითეზაა, ამიტომ სწორი არ იქნება, ყოველივე არსებულის გავლენის ან ანარეკლის „სულიერი მონობის“ რაიმე კვალის ძიება. პირიქით, საძიებელია სულიერი აბობოქრების მიზეზები ყველა სფეროში, მაშასადამე, არა მხოლოდ ის, რაც გავლენას ახდენდა, არამედ უწინარეს ყოვლისა, სწორედ ის, რაც პროტესტს, აბობოქრებას იმსახურებდა“ [კალანდაძე, 1956, 81-82].

ვფიქრობთ, რომ მის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა ეხმიანება ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს - ნიკოლოზ ბარათაშვილს, თუმცა ეპითეტი საუკეთესო, რა თქმა უნდა, სათანადოდ ვერ გამოხატავს ამ პოეტის განუსაზღვრელ მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში. დღეს უკვე განმტკიცდა შეხედულება, რომ ბარათაშვილი არ ერგება რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის კლასიკურ ნორმებს. ალბათ, სწორედ ამას გულისხმობს ალექსანდრე კალანდაძე, როდესაც გვირჩევს, აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ რომანტიზმი, როგორც მოვლენა, უპირველესად ანტითეზაა და ამის საუკეთესო გამოვლინება არის „მერანი“.

თუმცა, ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძე არც საყოველთაოდ აღირებულ დებულებას უარყოფს ამ მიმდინარეობის განმარტებისას: „ქართულ რომანტიზმზე სავსებით შეიძლება გავავრცელოთ აღიარებული დებულება, რომ ეს მიმართულება აღმოცენდა აწმყოთი უკმაყოფილების ნიადაგზე, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყანაში, ამ უკმაყოფილების მიზეზი იყო სოციალური, ეთიკური ან პირადი ხასიათისა. ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაში ის ეროვნული იმედგაცრუების ნიადაგზე აღმოცენდა. ეროვნული პრობლემის სირთულე, გარკვეული წრეების ტრაგიკული განცდა გახდა აწმყოთი უკმაყოფილების საფუძველი“ [კალანდაძე, 1956, 93].

რაც შეეხება „რომანტიზმის“ ცნობილ წარმომადგენლებს - ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მათს შემოქმედებას, - ცელკეული წერილები აქვს მიძღვნილი. განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევრის შეხედულებები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვი-

ლი“ ვკითხულობთ: „ცისკრის“ 1852 წლის მეოთხე ნომერი ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია, იმით, რომ აქ საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგა ნ. ბარათაშვილი. პოეტის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ დაიბეჭდა ოთხი ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. აგრეთვე თვით რედაქტორის, გ. ერისთავის მიძღვნითი ლექსი: „ თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“. ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ ავტორი სამართლიანად აღნიშნავს: „ზოგიერთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა ბეჭდვა ჟურნალმა მეოთხე ნომრიდან დაიწყო, ამასთან, ნომერი იხსნება არა მისი პოეტური მარგალიტებით, არამედ სხვა ავტორთა ნაწარმოებებით, კერძოდ, მას წინ უსწრებს ელ. წერეთლის და დ. მაჩაბლის სუსტი ლექსები. ნ. ბარათაშვილის ციკლს არავითარი წინასიტყვაობა არ ახლავს (მაშინ კი მას უდავოდ ესაჭიროებოდა საზოგადოებასთან წარდგენა), ლექსები დაბეჭდილია უხეში კორექტორული შეცდომებით, აქა - იქ აზრის გამოტანაც შეუძლებელია, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს მათს მხატვრულ აღქმაზე. ლექსებს ავტორის სახელი, რატომღაც სხვადასხვაგვარად აქვს მიწერილი: „თ. ნ. ბა.“ „თ. ნ. ბარ.“, „თ. ნ. ბარათოვი“ [კალანდაძე, 1968, 2].

წერილიდან ეს ვრცელი ამონარიდი იმის საილუსტრაციოდ მოვიხმეთ, რომ ალექსანდრე კალანდაძის დაკვირვებულ თვალს არ გამორჩენია ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები, მათი დაფიქსირება კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნულ ვითარებაზე, რომ ყველაფრის მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღიარება რთულად და რამდენიმე წლის დაგვიანებით, ილია ჭავჭავაძის დამსახურებით მოხდა. იგივე დეტალები გვიქმნის წარმოდგენას იმდროინდელ პრესაზე, კერძოდ, ჟურნალ „ცისკარზე“ , მის რედაქტორზე, მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ზემოხსენებული წერილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ფასდაუდებელ ცნობებს იძლევა იმის შესახებ თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ეცნობოდა ბარათაშვილის შემოქმედებას ქართველი საზოგადოება. დასახელებულია ყველა გამოცემა და რედაქტორი, რომლებიც ერთ-ერთი პირველი აქვეყნებდნენ მის ნაწარმოებებს. ალექსანდრე კალანდაძე ჩვეული სკულპულოზურობით, დეტალურად აღწერს ვითარებას. ფაქტია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის უპირობო „პატრონად“ მასაც ილია ჭავჭავაძე მიაჩნია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, აღწეროს სხვა ადამიანების ღვაწლი: „ი.

კერესელიძის „ცისკარი“ დიდი გულმოდგინებით აგროვებდა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს და ცენზურასთან მკაცრი ბრძოლით ახერხებდა მათ დაბეჭდვას. აქ გამოქვეყნდა პირველად პოემა „ბედი ქართლისა“, „მერანი“, „შევიშრობ ცრემლსა“, „ხმით მშვენიერით“, თვალები“, „ნაპოლეონი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „საყურე“.... ეს ნაწარმოებები იბეჭდებოდა რუბრიკით: „ნ. ბარათოვის ლექსებიდამ“. ბეჭდვა დაიწყო 1858 წ. მეორე ნომრიდან. ი. კერესელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ბარათაშვილის ლექსების პოპულარიზაციაში, გამოვლინებასა და გადარჩენაში“ [კალანდაძე, 1956, 245].

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე კალანდაძეს ყურადღების მიღმა არ რჩება თითქმის არავინ, ვისაც რაიმე სახის წვლილი მიუძღვის ქართული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის აღმოჩენასა და დაფასებაში, რაც თავის მხრივ, მას, როგორც ობიექტური, კეთილისინდისიერი და უტყუარი ლიტერატურული ალღოს მქონე მეცნიერს ახასიათებს. ჩვენს ამ მოსაზრებას ამყარებს მეცნიერის მიერ მოწოდებული კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც ამავე წერილში ვეცნობით, სრული სურათის შესაქმნელად მოვიყვანთ შედარებით ვრცელ ამონარიდს: „დიდი ინტერესი გამოიწვია „კრებულში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო ბარათების დაბეჭდვამ; ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ ჩვენში ეს ლიტერა-ტურულ-ეპისტოლარული მასალის გამოქვეყნების პირველი შემთხვევა იყო, არამედ იმითაც, რომ წერილები შუქს ჰფენდა პოეტის რომანტიკულ სულიერ სამყაროს და, რაც მთავარია, მისი მხატვრული შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო წერილების გამოქვეყნების თაოსნობა ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ოთხი ბარათის დედნები მას თავის დის - ლიზას (ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლის) საოჯახო არქივში უპოვნია და სიძისგან გამოქვეყნების ნებართვაც მიუღია (როგორც ჩანს, არც მთლად ადვილად). 1872 წლის 9 დეკემბერს „კრებულის“ მაშინდელ რედაქტორს, კ. ლორთქიფანიძეს, ი.ჭავჭავაძე სწერდა: „ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორ კარგად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. რასაკვრიველია, რომ ჩვენგან გაკიცხულ ასოებს არც ნ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს, მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. გთხოვ, მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა

გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი, ნ. ბარათაშვილისგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა ქართული ენისა და მწერლობის მოყვარემა. ვისაც ესმის, რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, - იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების გამომცემელსა“ [კალანდაძე, 1956, 249].

ეს ამონარიდი, ჩვენი აზრით, თვალნათელი ილუსტრაციაა ალექსანდრე კალანდაძის მუშაობის მანერისა და სტილისა. მას თითქმის არასდროს არ გამორჩება არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და მოვლენა, როდესაც ხელს ჰკიდებს რაიმე საკითხის შესაწავლას, უპირველესად ეყრდნობა უტყუარ ფაქტებს და უმრავლეს შემთხვევაში ეს ფაქტები მისი დამსახურებით ნახულობს დღის სინათლეს, თუნდაც ეს შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას მოიცავს ამ პოეტის მემკვიდრეობით დაინტერესებულთათვის. მკვლევარი შთამომავლობას უტოვებს სრულ ისტორიას თუ როგორ გაეცნო ავტორის პირად წერილებს საზოგადოება, ვინ და რა დოზით მიიღო ამ საქმეში მონაწილეობა, რითი და რატომ იყო გამორჩეული ეს მოვლენა ქართული ლიტერატურის ისტორიაში და რაც მთავარია, ამ ეპიზოდის ერთ-ერთი მთავარი გმირი ისევ და ისევ ილია ჭავჭავაძეა, რომლის შემოქმედებისა და ცხოვრება-მოღვაწეობის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ალექსანდრე კალანდაძე იყო.

ამ ვრცელი, საინტერესო, ინფორაციულობით დატვირთული წერილის დასკვნით ნაწილში ვეცნობით ბარათაშვლის კალანდაძისეულ შეფასებას: „ნ. ბარათაშვილმა პირველმა მისცა ჩვენს პოეზიას პუბლიცისტური სიმახვილე; თავი დააღწია პოლიტიკურ რომანტიზმს და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რეალიზმს, როგორც საზოგადოებრივ აზროვნებაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში. რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, - „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „მერანი“- ერთი იდეური რიგის საეტაპო ნაწარმოებებია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. ორივე შთაგონებულია შორეული მომავლის სამსახურის აზრით: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს. ამრიგად, შემოქმე-დებითი ხასიათით, საზოგადოებრივ-პრაქტიკული მოღვაწეობით, მსოფლ. გაგებით ნ. ბარათაშვილი მკაფიოდ განასახიერებს პროგრესული რომანტიზმიდან რეალიზმზე

გადასვლის პროცესს. ...ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ეროვნული მოტივი და კონცეფცია თითქმის უცვლელად გადმოვიდა სამოციანელთა შემოქმედებაში" [კალანდაძე, 1956, 287-288].

ალექსანდრე კალანდაძის მიერ ამ ვრცელ წერილში მოპოვებული და თავმოყრილი ისტორიულ - ფაქტობრივი მასალა დღემდე არ კარგავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც თუნდაც მეორეული წყარო მწერლის შემოქმედებისა და რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის შემდგომი შესწავლისას. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დღეს მის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება გადაფასდეს, ფაქტია, თანამედროვე მკვლევრები გვერდს ვერ აუვლიან ალექსანდრე კალანდაძის მიერ გაწეულ შრომას.

წიგნში „გვაქვს საგანძური" ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემის, ჟურნალ „ცისკრის" ისტორიას და საფუძვლიანად მიმოიხილავს მისი განვითარების ეტაპებს.

„კულტურულ-ლიტერატურული ვითარება 50-60-ია წწ-ში"- ვკითხულობთ - „50-იან წლებში მკაფიოდ იკვეთება საზოგადოებრივ - პოლიტიკურად და ლიტერატურულად განსხვავებული ორი ხანა: 1850-1855, როცა საქმეებს მეფისნაცვალი ვორონცოვი განაგებს და ლიტერატურაში დრომოჭმული მიმართულებები განაგრძობენ ბატონობას - ამ ხანას შეგვიძლია „გიორგი ერისთავის „ცისკრის" ხანა ვუწოდოთ და ყირიმის ომისა და ვორონცოვის გაწვევიდან 60-იანი წლების დასაწყისამდე, როცა რეალიზმი აქტიურად უპირისპირდება დრომოჭმულ ლიტერატურულ მიმართულებებს და თანმიმდევრულად იბრძვის გაბატონებისთვის. ეს ივანე კერესელიძის „ცისკრის" ხანაა" [კალანდაძე, 1956, 291].

ვფიქრობთ, მსგავსი დაყოფით ალექსანდრე კალანდაძე ისევ და ისევ არ ღალატობს მისთვის დამახასიათებელ აზროვნების მანერას, რომლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფორმაა სიზუსტე, ერთი შეხედვით, ამ პირობითი დათარიღებით კრიტიკოსმა მთავარი განსხვავების დაფიქსირება განიზრახა. იგი წერილში დეტალურად განიხილავს ამ ჟურნალის განვითარების ეტაპებს, გამოჰყოფს ორ პერიოდს და ძირითად განსხვავებას რედაქტორსა და საერდაქციო კოლეგიის დამოკიდებულებებში ხედავს.

წერილში მკითხველი დეტალურად ეცნობა ყველა ნაბიჯს ჟურნალის დაარსებიდან განვითარების ბოლო ეტაპამდე. მის მიერ მოწოდებული ცნობები ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა და ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როგორც კონკრეტულად ჟურნალ „ცისკრის“ ისტორიით დაინტერესებულთათვის, ისე ზოგადად მათთვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული პრესის განვითარების ეტაპები და ის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც განაპირობა და განსაზღვრა ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრება.

აღსანიშნავია, რომ ლექსანდრე კალანდაძე ყოველგვარი ლირიკული გადახვევების გარეშე აღნუსხავს ფაქტებს, მკითხველისთვის აშკარა ხდება, რომ პერიოდული გამოცემის წამოწყებაც კი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე და ძლიერთა ამა ქვეყანისათა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული რუსეთის იმპერიაში. წერილში ვხვდებით რამდენიმე საინტერესო ცნობას, მაგალითად, ვკითხულობთ: „1851 წ. თებერვალში, უთუოდ, წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ გიორგი ერისთავმა ნებართვის მისაღებად განცხადება მიართვა მეფისნაცვალს.

ვორონცოვი ნასიამოვნები და კმაყოფილი იყო გიორგი ერისთავისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობით, თეატრის მიღწევებით „კეთილშობილთა“ ლოიალობით, რამაც ხელი შეუწყო ნებართვის მიღებას.

უკვე ორიოდე დღის შემდეგ, 12 თებერვალს, მ. ვორონცოვი კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს ა. ჩერნიშევს სწერდა: „თავადმა ერისთავმა სურვილი გამოთქვა თბილისში გამოსცეს ქართულ ენაზე სალიტერატურო ჟურნალი წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, „ცისკრის“ სახელწოდებით. მას განზრახული აქვს ამ ჟურნალში დაიბეჭდოს ქართული, რუსული და უცხოური სიტყვიერება, აგრეთვე ცნობები სოფლის მეურნეობის, მეცნიერების და ხელოვნების შესახებ. ეს წინადადება მით უფრო სიამოვნებით მივიღე, რომ საქართველოში არ გამოდის არცერთი გამოცემა ქართულ ენაზე.“

ასეთი მტკიცე შუამავლობის წყალობით, საქმე გაუჭიანურებლად გადაწყდა 1851 წლის მარტში თბილისში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ნებართვაც მოვიდა [კალანდაძე, 1956, 292].“

როგორც ვხედავთ, ეს ამონარიდი სავსეა დეტალური ინფორმაციით, ალექსანდრე კალანდაძე ჩვეული მანერით აღწერს ვითარებას და შეფასების თვალსაზრისით

მხოლოდ, თითქოს შეუმჩნეველი კომენტარებით კმაყოფილდება ერთი-ორგან. მისი ჩართვა აღწერისას - „ვორონცოვი კმაყოფილი იყო“ - ზუსტად გადმოსცემს მისი, როგორც კრტიკოსის სათქმელს, მოვლენების ანალიზის უზუსტეს უნარს. ისტორიამ დაადასტურა, რომ მეფისნაცვლის კმაყოფილება განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის ბედს დიდი ხნის განმავლობაში და ალექსანდრე კალანდაძე, როგორც პირუთვნელი შემფა-სებელი, საკუთარ მკითხველს საშუალებას არ აძლევს ყურადღება მოადუნოს და ვორონცოვის „კეთილშობილი საქმეები“ მის უანგარო სიყვარულს მიაწეროს. ამასთან ამ სამი სიტყვით ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის, დღესაც ახერხებს დააფიქროს მოაზროვნე მკითხველი და ანალიტიკური აზროვნებისკენ უბიძგოს, უფრო მეტიც, სრული სურათის შესაქმნელად არც იმის გახსენება იქნებოდა ურიგო, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ, მას თავად ისევ და ისევ იმპერიის, ოღონდ ამჯერად უკვე საბჭოთა იმპერიის საზღვრებში უწევდა ცხოვრება და მოღვაწეობა, ამიტომ იგი თითქოს შემთხვევით, ყოველგვარი ხაზგასმის გარეშე, აკეთებს კომენტარს, რომელიც უპირვე-ლესად მიესადაგება მისი მოღვაწეობის ეპოქასაც და უცილოდ, დაემჩნეოდა თუნდაც მისსავე წერილებს, (იმპერიისა და მათი ბელადების ქება-დიდება) რადგან კარგად იცოდა, რომ ეს „კმაყოფილება“ ჯერ კიდევ ბევრ რამეს განსაზღვრავდა მის დროშიც.

გიორგი ერისთავის, როგორც რედაქტორის, მოღვაწეობის შეფასებისას იგი მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს კი არ ეყრდნობა, არამედ მკითხველს ჯერ მისივე თანამედროვეების მოსაზრებებს აცნობს და მხოლოდ ამის შემდეგ გვთავაზობს საკუთარ შეხედულებას: „მან ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ი. მეუნარგიას სიტყვით: „გ. ერისთავის დამსახურება ქართული მწერლობისა და საზოგადოების წინაშე ის იყო, რომ, როგორც რედაქტორმა, სინათლეში გამოიწვია ბევრი უცნობი და კერძო ადგილებში მწერლები და მათი ნაწერების დაბეჭდვით ზოგიერთს გასართობი საკითხავი მისცა და ზოგიერთს სურვილი აღუძრა ლიტერატურული შრომისა.

გ. ერისთავის „ცისკარმა“ დიდი როლი ითამაშა ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში. უდავოდ სწორი იყო ივ. კერესელიძე, რომ გ. ერისთავის „ცისკარმა“ აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს: გ. ერისთავი რომ არ ყოფილიყო, აქამდის დაძინებული ვიქნებოდით“ ილია და აკაკი ღირსეულად აფასებდნენ გ. ერისთავის „ცისკარს“, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ არ დავინახოთ და არ ავხსნათ მისი პრინციპული ნაკლოვანებები. განა

ფაქტი არაა, რომ ჟურნალში სრულებით არ არსებობს პუბლიცისტიკა, ლიტერატურული კრიტიკა, ორიგინალური პროზა, და ა.შ [კალანდაძე, 1956, 293-294].

ამ შემთხვევაშიც ავტორის განცხადების სიმკაცრის განმსაზღვრელი პირობა ობიექტურობაა, ამავე მიზეზით სთავაზობს მკითხველს ყოველივე ზემოთქმულის განმსაზღვრელ მიზეზებსაც: „მატერიალური მდგომარეობა, მასალის ნაკლებობა და მაღალ საზოგადოებასთან კეთილი ურთიერთობის შენარჩუნების სურვილი რედაქტორს საშუალებას არ აძლევდა კრიტიკულად შეერჩია შემოსული ნაწარმოებები, ბეჭდავდა ყველაფერს, რასაც მოუტანდნენ ან გამოუგზავნიდნენ, - ის კი არა, გავლენიანი პირები არც კითხულობდნენ, მოეწონებოდა თუ არა მას ნაწარმოები. დავით დადიანი იოსელიანს ზუგდიდიდან სწერდა: „ამასთანავე გიგზავნით ერთისა ვინმეს მიერ წარმოდგენილსა ლექსშაირებსა, გთხოვთ მისცეთ მყისვე მიღებისთანავე რედაქციასა შინა „ცისკრისა“ აღსაბეჭდუელად უსათუოდ“ [კალანდაძე, 1956, 295].

სათანადო სიზუსტით შერჩეული საარქივო მასალების გამომზეურებით ალექსანდრე კალანდაძე ასე თუ ისე სრულ სურათს გვიხატავს იმ ვითარებისა, რომელშიც უწევდა მოღვაწეობა და რედაქტორობა გიორგი ერისთავს. სხვათაშორის, რამდენიმე სახასიათო პორტრეტს ქმნის და უტოვებს მკითხველს თავისი წერილების საშუალებით. განასაკუთრებული ეფექტურობით იყენებს ავტორი ი. მეუნარგიას მასალებს, როგორც ჩანს, იგი მისთვის საკმაოდ ავტორიტეტული წყაროა, არა მხოლოდ როგორც ფაქტების ზუსტი აღმნუსხავი, არამედ, როგორც ობიექტური შემფასებელიც, სწორედ ამიტომ ეთანხმება მის შეფასებებს უმრავლეს შემთხვევაში და მოვლენების ანალიზისას ხშირად იმოწმებს, იშველიებს მის შეხედულებებს, როგორც ამ შემთხვევაში: „ითვალისწინებდა რა ჟურნალის ნაკლსა და ღირსებას, გ. ერისთავის ბიოგრაფი და მკვლევარი ი. მეუნარგია 1884 წელს სამართლიანად მიუთითებდა, რომ „ცისკარს“ არ ჰქონდა ახლანდელი ჟურნალის ხასიათი... პირველი ნომერი მისი ჟურნალისა ის პირველი კენჭი იყო, რომელიც დაგუბებულ წყალში გადავარდნილა და რომლისგანაც მთელი წყლის ზედაპირი მოძრაობაში მოსულა... თანამედროვე კითხვებს არ ეხებოდა... მაგრამ რა უნდა ექნა ჩვენს რედაქტორს, რომ ადათი არ იყო ამ კითხვებზე საზოგადო ლაპარაკისა? [კალანდაძე, 1956, 295].

საბოლოოდ, ავტორი აღნიშნავს, რომ 50-იანი წლების გიორგი ერისთავის „ცისკარი“ მხატვრული ნაწარმობებით მაინცდამაინც მდიდარი არ იყო, მაგრამ

ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: ერთი ის, რომ პირველი ფართო მასშტაბის ლიტერატურული გამოცემა იყო, ხოლო მეორე, როგორც თავისი დროის სულიერი ცხოვრების სარკე, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მაშინდელ, და საერთოდ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ ინტერესებზე, ლიტერატურულ გემოვნებაზე, მწერლობის სტილსა და მიმართულებებზე, ტრადიციებსა და სიახლეებზე, ინტელექტუალური ცხოვრების ტენდენციებზე.

დეტალურად განიხილავს ავტორი ე.წ. მეორე - ივ. კერესელიძის პერიოდს. წერილში აღნიშნულია, რომ ეს უკვე იყო თვისობრივად სრულიად განსხვავებული გამოცემა, იმდენად, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრით, ჟურნალისთვის სახელ-წოდების შეცვლაც კი ჰქონიათ გადაწყვეტილი, მაგრამ გარემო პირობების გამო ჟურნალმა იგივე სახელწოდება შეინარჩუნა. ალექსანდრე კალანდაძე არც იმ ვითარებას ივიწყებს, რომლის გამოც დაიხურა გიორგი ერისთავის გამოცემა, არც იმას, რა სირთულეების გადალახვა მოუწიათ მისი აღდგენისთვის, რადგან ავტორის თქმით, მისმა შეჩერებამ საკმაო გავლენა იქონია იმდროინდელ საზოგადოებაზე: „ჟურნალისა და თეატრის მოსპობამ საზოგადოებაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა; თავი იჩინა გულგატეხი-ლობამ, ეროვნულმა პესიმიზმმა, ინტელიგენციის დიდ ნაწილს დეპრესია დაეუფლა“ [კალანდაძე, 1956, 350].

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი გამოცემის თანმდევ მოვლენებს, პირველ ნომერში გამოქვეყნებულ რედაქტორის სიტყვას, ეპიგრაფს, - ეს ყოველივე მას შემდგომი მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად ესაჭიროება: „დადგა დიდი ხნის ნანტრი დღე, 1857 წლის იანვარში გამოვიდა ცენზურის მიერ ნებადართული ივანე კერესელიძის „ცისკრის“ პირველი ნომერი, რომელიც ჯერ კიდევ 1856 წელს 12 სექტემბერს ყოფილა მზად. ჟურნალს, რომელსაც მოწინავე საზოგადოება აღტაცებით შეხვდა, ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა სიტყვები ზირაქის წიგნიდან: „თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.“ ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება რედაქტორის საპროგრამო ლექსით, რომელშიც საკმაოდ სწორად არის შეფასებული საქართველოს, ქართული კულტურის არსებული მდგომარეობა და გაბედულად, მკაფიოდ არის გადმოცემული პოეტი - რეტაქტორის მიზანი; ... „ხალხსა, რომელსაც ლიტერატურა აქვს გაჩაღებული მონობის დროს, -

წერდა დიმ. ჯანაშვილი, - ის არასდროს არ დაეცემა, მაგრამ თუ ლიტერატურა არ აქვს ხელში ჩავარდნის ჟამსა, ძლიერ ჩქარა დაიღუპება და თუ ამნაირს მდგომარეობას სისაწყლეც ზედ დაემატა, იმის დამხობას ეჭვი აღარ აქვს. ეს ყველაფერი ნიშნები ხალხისა და ენის დამხობისა ეხლა ჩანს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში... მაგონდება ზღაპრის კაცი, რომელსაც წალდი ჩაუვარდა წყალში და ცულიც ზედ მიაყოლა, რადგანაც წალდი დამეკარგა ამისთვის ცულიც არ მქონდესო... თვით რედაქტორმა სახალხო ინიციატივის, ეროვნულ-საზოგადოებრივი თაოსნობის პროპაგანდა თავისი ჟურნალის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გამოაცხადა, - „ყველაფერში მთავრობას ხომ არ უნდა ვუყუროთ პირში?“ - აი, ამ პროპაგანდის ამოსავალი დებულება“ [კალანდაძე, 1956, 353-354].

ამ ამონარიდში კარგად ჩანს ალექსანდრე კალანდაძის, როგორც მკვლევრის, ერთ-ერთი მთავარი მიზანდასახულობა - აღწეროს ვითარება, რომელსაც იმდროინ-დელმა მოღვაწეებმა სათანადოდ აუღეს ალღო, ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა, რომ ალექსანდრე კალანდაძე რედაქტორის სიტყვების გარდა იმოწმებს დიმიტრი ჯანაშვილის სიტყვებსაც, რადგან მასში გადმოცემულია ის მთავარი პრობლემა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით ვერც ერთ ეპოქაში. ისიც ფაქტია, რომ თავადაც სწორედ ამ მოსაზრებას იზიარებს, როგორც მწერალი და კრტიკოსი, მის მიერ მოხმობილი მასალები, იქნება ეს სხვადასხვა შეფასება, თუ ფაქტობრივი მასალები, ერთგვარ კავშირს ქმნის აწმყოსა და მომავალს შორის. ალექსანდრე კალანდაძეს შესწევს უანარი, მის წინაშე არსებული ზღვა მასალიდან არსებითი და მნიშვნელოვანი მიიტანოს მკითხველამდე და ამასთან, არ გამორჩეს არც ის დეტალები, რომლებიც განსაზღვრავს საერთო სურათს.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ,მეცნიერს ეს ყოველივე სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევს, საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, რომ მას, როგორც მკვლევარს არ ახასიათებს ე.წ. „ზეპირი“, „უსაფუძვლო“ ვარაუდები, სწორედ ეს ხდის მის ნაშრომებს განსაკუთ-რებულად მნიშვნელოვანს. ყურადსაღებია ალექსანდრე კალანდაძის შემდეგი მოსაზრება: „ამრიგად, თერგდალეულებისათვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენითა და ადგილობრივი ცხოვრების წინსვლის შედეგად წარმოშობილ პროგრესულ პატრიოტულ ძალებზე

დაყრდნობით, ივ. კერესელიძემ საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივ ინიციატივაზე დამყარებულ, არაოფიციალურ, უსუბსიდიო ქართულ ჟურნალისტიკას; ეროვნული კულტურის განვითარების მეტად მძიმე პირობებში გაბედულად აღმართა აღორძინე-ბის, განახლების, ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულების დროშა“ [კალანდაძე, 1956, 355].

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე კალანდაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას „ცისკრის“ განვითარების მეორე ეტაპს და მისი რედაქტორის ამ საქმეში დამსახურებას ანიჭებს, რადგან მიიჩნევს, რომ ასე შემზადდა ნიადაგი თერგდალეულებისა და მათი ასპარეზზე გამოსვლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვეული ობიექტურობით განიხილავს იმ ერთგვარ დაპირისპირებასაც, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და მის თაობას ჰქონდა მოძველებული მიდგომებისადმი, ისიც ესმოდა, რომ ერთი ხელის მოსმით ვერ გათავისუფლდებოდა ჟურნალი. ეს კი გამოიხატებოდა „კლასიციზმის“საგრძნობი გავლენით „ცისკარზე“.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ალექსანდრე კალანდაძე ხაზგასმით აღნიშნავს სარედაქციო კოლეგიის აქტიურ მოღვაწეობას და დეტალურად განიხილავს მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას: „ივ. კერესელიძის „ცისკარში“ ერთნაირი აქტივობით მონაწილეობდნენ სხვადასხვა კუთხის ქართველნი. ჟურნალი საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა და თანაბრად აშუქებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებას, იგი, შეიძლება ითქვას, სრულიად საქრთველოს პირველი ბეჭდვითი ორგანო იყო და მან უსათუოდ დიდი როლი შეასრულა საერთო ეროვნული შეგნების გამომუშავებასა და განმტკიცებაში“ [კალანდაძე, 1956, 385].

მკვლევრის ეს შეფასება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დღესაც, რადგან ამდენი წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალურობას ისევ და ისევ ობიექტურობის გამო. ეს ყოველივე კი, ავტორის თქმით, სხვა ფაქტორებთან ერთად დიდწილად იმანაც განაპირობა, რომ: „ივ. კერესელიძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მდაბიო მკითხველის მოთხოვნებს. ჟურნალს მეტი ტირაჟით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომ-წერთაგან ჰქონდა დაკვეთილი და ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ ურიგებდა ხალხს. ასევე უფასოდ აგზავნიდა ჟურნალს შორეულ, მთიან და თურქთაგან დაპყრობილ მესხეთ-აჭარაში (სადაც მან, სხვათაშორის, 1869 წელს არალეგალურად იმოგზაურა). ის ნომრები, რომლებშიც დ. ჭონქაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა

აქტუალური ნაწერები იყო გამოქვეყნებული, ორმაგი სამმაგი ტირაჟით გამოდიოდა“ [კალანდაძე, 1956, 386].

ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძე თანმიმდევრულად აღწერს იმ სწორად დაგეგმილ რედაქტორულ პოლიტიკას, რომელიც ივანე კერესელიძის სახელს უკავშირდება, რაც ერთი მხრივ, ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებს ასახავს და მეორე მხრივ, დღესაც მიგვანიშნებს,რის დანაკლისს განიცდის 21-ე საუკუნის ჟურნალისტიკა. სწორედ ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა მატებს მის კვლევებს ხიბლს.

საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამ ჟურნალთან დაკავშირებულმა წერილმა, რადგან მკითხველი აუცილებ-ლად იგრძნობს თავად ავტორის დამოკიდებულებასაც, მართლაც სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ივანე კერესელიძის ჟურნალს, იგი მაინც სამუდამოდ დარჩებოდა ქართული ჟურნალისიტიკის ისტორიაში, თუნდაც მხოლოდ ერთი პუბლიკაციით: „1861 წლის აპრილის ნომერში, ივ. კერესელიძემ უშენიშვნოდ დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის საპროგრამო წერილი - „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედ“ [კალანდაძე, 1956, 398]. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ალექსანდრე კალანდაძის დონის მეცნიერს არ დარჩებოდა ყურადღების მიღმა.

წიგნში „გვაქვს საგანძური“ალექსანდრე კალანდაძე უყურადღებოდ არ ტოვებს დღეს უკვე ქართულ ლიტერატურაში თითქმის მივიწყებულ რამდენიმე სახელს, მათ შორის რაფიელ ერისთავს, დანიელ ჭონქაძეს და ლავრენტი არდაზიანს. ეს მასალები საინტერესოა იმ ინფორმაციულობის გამო, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მკვლევრის მიერ შექმნილი რომელიმე წერილი.

ჩვენი ვარაუდით, ალექსანდრე კალანდაძის შეფასებები, რომელსაც დღეს დარწმუნებული ვართ, უკვე ნაკლებად იცნობენ, იზიარებენ ქართველი ლიტერა-ტორები და კრიტიკოსები, ყურადსაღებია, რადგან თითოეული მათგანი დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას, როგორც მწერალი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების ტექსტების ავტორი. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მივიწყება, მხოლოდ დროებითი მოვლენაა და ქართველი საზოგადოება ისევ მიუბრუნდება მათს ნააზრევს, რაშიც სათანადო მეგზურობას ალექსანდრე კალანდაძის წერილები გაუწევს სხვა მკველვარებთან ერთად.

ერთ-ერთი ასეთი დღეს მივიწყებული მწერლის შესახებ ვკითხულობთ: „ლავ. არდაზიანი ტრაგიკული პიროვნებაა. ტრაგიკულია უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურული ბედით. უზომო ამაგი მიუძღვის მშობელი ერის, მშობლიური მწერლობის წინაშე. გვიანდერძა უკვდავი რომანი: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. დაგვიტოვა მთელი სამყარო, რომელსაც ვერაფრით შევცვლით და ვერ გავიმეტებთ. ვერ გავიმეტებთ იმიტომ, რომ სხვა მის გვარი არ გაგვაჩნია. ჩვენი ვალია მოვუაროთ, დავიცვათ და ავხსნათ იგი.

კაცს, რომელსაც ასეთი სიყვარულით, ასეთი გულითადობით, ასეთი ნაღდი ფერებით გვიხასიათებს მისი უმცროსი მეგობარი აკაკი წერეთელი, თანამედროვეებმა, ცხვირაწეულმა ახალგაზრდებმა გული ატკინეს, უფრო მეტი მოსთხოვეს, ვიდრე იმ დროს შეიძლებოდა, ვიდრე მას შეეძლო, არ დაუფასეს ღვაწლი, „ნებაყოფლობით“ განდევნეს ასპარეზიდან, წესიერი ნეკროლოგიც ვერ გაიმეტეს. ეს არის შთაგონებული, დიდი ნიჭით დაჯილდოებული მამულიშვილი. მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ არ დაგვეკარგა ის საინტერესო ეპოქა, გადაგვერჩინა ის ძვირფასი პორტრეტები და სურათები. ნუ ვიუკადრისებთ, ის არის ჩვენი ბალზაკი, ფლობერი და გონჩაროვი“ [კალანდაძე, 1956, 448].

როგორც ჩანს, მკვლევარს არც აქ უღალატა მისთვის დამახასიათებელმა უტყუარმა ალღომ, წინასწარ განჭვრიტა ლავრენტი არდაზიანის, როგორც მწერლის ბედი და მომავალ თაობას ერთგვარ გაფრთხილებად დაუტოვა წერილი მის შესახებ, ვინ იცის იქნებ, ისევ ოდესმე კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს ქართველი მკითხველი ალექსანდრე კალანდაძის დამსახურებით.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ილია ჭავჭავაძეს, რაც სრულიად ბუნებრივია. ოღონდ, ამ შემთხვევაში ალაქსანდრე კალანდაძე გამორჩეულ ინტერესს იჩენს მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის მიმართ. წერილი აერთიანებს ქვესათაურებით გამოყოფილ დაახლოებით 200 - გვერდიან მასალას.

ავტორი მიმოხილვას „ცისკრის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის პირველი გამოჩენით იწყებს: „ჩამორჩენილ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის ასეთი შეხლა-შემოხლა დღითი დღე მწვავდებოდა, კლასიცისტები და სენტიმენტალისტები „ცისკარში“ ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ. როცა, სწორედ ამ დროს 1861 წლის მეოთხე ნომერში, გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვა“ - ქართული რეალიზ-

მის ლიტერატურული მანიფესტი, პირველი დასაბუთებული სიტყვა, როგორც კლასიციზმის, ისე სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც საბოლოოდ უნდა აღეგავა მათი ნაშთები და გზა გაეწმინდა ახალი მიმართულებისთვის. ი. ჭავჭავაძის აღნიშნული წერილი და მისი მომდევნო „პასუხი“ გვიჩვენებს, რომ ავტორს ღრმად ესმოდა ჩვენს ლიტერატურაში კლასიციზმის და სენტიმენტალიზმის აღმოფხვრის აუცილებლობა და იცოდა, რომ ამ მიმდინარეობებს შორეული და საკმაოდ მყარი სათავე ჰქონდა ქართულ მწერლობაში.ილია ჭავჭავაძის პირველი წერილი („ორიოდე სიტყვა“...) უმთავრესად, სენტიმენტალიზმის კრიტიკას შეიცავს და ეს სავსებით გასაგებია, რადგან, როგორც ვნახეთ, სენტიმენტალიზმი, რომელიც რეალიზმის ელფერით გამოდიოდა და ეუფლებოდა „ცისკარს“, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა ახალი სტილისთვის; ამასთან, რეალიზმის პოზიციებიდან სანტიმენ-ტალიზმის კრიტიკა, ცხადია, კლასიციზმის უარყოფასაც ნიშნავდა. ილიას მიერ რომ სენტიმენტალიზმის კრტიკას შემთხვევითი ან აზსტრაქტული ხასიათი კი არა აქვს, არამედ უშუალოდ ქართული მწერლობის განვითარების აქტუალურ ამოცანებს ეხმიანება იქიდანაც ჩანს, რომ იგი არაერთგზის მიუთითებს ჩვენს ლიტერატურაში სენტიმენტალიზმის აღორძინების ნიშნებზე: „კარამზინის უბედური ლიზა“... რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენს „ცისკარში“, სარდ. მესხიშვილმა გადმოთარგმნა „სენტიმენტალური სკოლის მწერალი მარმონტელი“, „ახლა კაზლოვი გადაუთარგმნია თავად ერისთავს“, „უმაგისოდაც სენტიმენტალურ მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში“ [კალანდაძე, 1956, 456-457].

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი სათანადოდ არის წლების მანძილზე შეფასებული და ამის მიუხედავად, გამორჩეულ ინტერესს იმსახურებს ალექსანდრე კალანდაძის დამოკიდებულება ამ ყოველმხრივ გამორჩეული მოღვაწის საქმიანობისადმი, რადგან მისი ეს მხარე დღემდე ინარჩუნებს საზოგადოების ინტერსს, დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა, კრიტიკის ისტორია წარმოუდგენელია მის გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდრე კალანდაძის ნაშრომები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირად ციტირებადია, როცა საქმე ეხება ილიას, როგორც გამომცემელსა და პუბლიცისტს. ფაქტია, რომ იგი პირველივე გამოჩენისთანავე იქცა იმ მამოძრავებელ ძალად, რომელმაც მთლიანად შეუცვალა გეზი და მიმართულება საზოგადოებრივ აზროვ-ნებას, მაგრამ ეს არ მომხდარა ისე მარტივად, როგორც ეს დღევანდელი გადმოსახე-

დიდან ჩანს. სწორედ ამ ყოველივეს ნათელყოფს კალანდაძის თანმიმდევრული კვლევა-ძიება.

ავტორის აზრით, ისევ და ისევ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს უკავშირდება იმ დრომოჭმული ტრადიციების უარყოფა, რომელმაც საკმაოდ დიდხანს შეაფერხა ქართული ლიტერატურისა და პრესის განვითარება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს, რომ შალვა ერისთავის თარგმანის განხილვა ი.ჭავჭავაძისათვის მხოლოდ საბაბი იყო სენტიმენტალური სტილის წინააღმდეგ გამოსასვლელად და, მის საპირისპიროდ, რეალიზმის პრინციპების მსჯელობას.

მწერილის ანტისენტიმენტალური პათოსი, ერთდროულად, პროგრესულ-რომან ტიკულიცაა და მისგან გამომდინარე - რეალისტურიც. ეს, სხვათაშორის, ცალკეული მწერლებისადმი დამოკიდებულებაშიც მჟღავნდება. ავტორი იმოწმებს ილიას სიტყვებს: „სენტიმენტალური, ყალბი, ყალბი გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარმაზინი“ [კალანდაძე, 1956, 459].

ილია ჭავჭავაძის აზროვნების დამახასიათებელი მანერა, მისი დაუნდობელი კრიტიკულობა ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადმოსცა ალექსანდრე კალანდაძემ და მისი შეფასებები და კომენტარები განსაკუთრებით იმითაა, საინტერესო, რომ იგი ერთ-ერთი საუაკეთესო მცოდნეა კრტიკის ისტორიისა, რომლის მთავარ შემქმნელად, როგორც სხვა არაერთი მიმართულებისა თავისი პერიოდის საქართველოში, ისევ და ისევ ილია ჭავჭავაძეა. თუ კი ვინმე გვყავს ილიას საუკეთესო მცოდნე და შემფასებელი, მათ რიგებში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ალექსანდრე კალანდაძეს, რადგან იგი არამხოლოდ შესაშური დეტალურობით იცნობს ილიას მოღვაწეობას, არამედ იცნობს მისეულ გამოხატვის ფორმებს, მის მიერ გაკეთებული შეფასებები და დასკვნები მკითხველს საშუალებას აძლევს ამოიცნოს ილიას, როგორც პიროვნების შინაგანი მუხტისა და იმ გარემო პირობების ერთობლიობა, რომელმაც განსაზღვრა კიდეც დღეისთვის ცნობილი მოვლენების განვითარება.

ჩვენი მოსაზრების გასამტკიცებლად მოვიყვანთ ალექსანდრე კალანდაძისეულ მორიგ შეფასებას: „ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად ანსხვავებს სენტიმენტალურ და რომატიკულ გრძნობას, მათი გამოხატვის მანერას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რომანტიზმის დამკვიდრების დროს, არამედ კრიტიკული რეალიზმის

სტილის ჩამოყალიბებაშიც. გრძნობისა და აზრის დაწვრილმანების, პასიური მეოცნებეობის წინააღმდეგ მიმართული ილიას წერილი სამაგალითოდ წარმოგვისახავს გმირულ ეპიურ პოეზიას, ენერგიამოჭარბებული პერსონაჟების შეურიგებლობას გარე სამყაროსთან, ცხოვრების ისტორიულ გაგებას, ხალხურობას და ეროვნულობას, - და ეს არის ის ნიშანსვეტები, რომლებიც პროგრესულ რომანტიზმსა და რეალიზმს ერთმანეთთან აკავშირებს. ეს არის სიტყვა, რომელიც რომანტიზმის კრიტიკას უნდა ეთქვა სენტიმენტალიზმისა და კლასიციზმის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვერ თქვა, რადგან ჩვენში რომანტიკული კრიტიკა არ არსებობდა“ [კალანდაძე, 1956, 460].

მიჰყვება რა, ნაბიჯ-ნაბიჯ ილიას პუბლიცისტიკას, მის დაუნდობელ ბრძოლას, საილუსტრაციოდ მოჰყავს ამონარიდი ილიას წერილიდან, რომელშიც იგი ჩახრუხაძის შესახებ საუბრობს. შემდგომი მსჯელობისთვის ნაშრომში მოვიყვანთ, როგორც ხსენებულ ამონარიდს ისე, ალექსანდრე კალანდაძის ანალიზს: „ეს საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტია - წერდა ილია. - აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამცთუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა. ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგამს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახარუხისა! აბა, ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა, ახსნებენ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც გვგონია, ფიქრათაც არა ჰქონია, ამისთანა დიდების იმედი“ [კალანდაძე, 1956, 463].

ამ ამონარიდს მოჰყვება ალექსანდრე კალანდაძის ვრცელი შეფასება, იმისა, თუ რა მოტივი ამოძრავდებდა ილიას, როდესაც ასეთი სიმკაცრით გადასწვდა ჩახრუხაძის ნაწარმოებს: „აღნიშნულ წერილში არის ერთი ადგილი“ - წერს ალექსანდრე კალანდაძე - „სულ რაღაც ნახევარი გვერდი, სადაც ავტორის კლასიციზმის სასიცოცხლო ნერვს სწვდება და აშიშვლებს, მისი კონსერვატიზმის თითქმის ამომწურავ დახასიათებას გვაძლევს. ეს არის ჩახრუხაძის განქიქება. ბევრს უკვირდა და დღესაც უკვირს, რატომ მაინც და მაინც ჩახრუხაძეს ეცა ახალგაზრდა კრიტიკოსი, და ისიც, ასე დაუზოგავად,

მაგრამ თუ გავიხსნებთ ზემოთქმულს, რომ ქართული კლასიციზმის მესვეურებმა ჩახრუხაძე თავიანთ საამაყო წინამორბედად გამოაცხადეს, ანტონ პირველმა, ის რუსთაველზე მაღლა დააყენა და მისი შემოქმედება კლასიცისტური გემოვნების ნორმად აქცია, მაშინ არა თუ აქტუალურად და ბრძნულად მივიჩნევთ ილიას გამოსვლას, არამედ გავვოცდებით კიდეც, რა კარგად სცოდნია მას ქართული ლიტერა-ტურის ისტორია, და იმ დროს, როდესაც სათანადო წყაროები თითქმის უცნობი იყო, რა გონებამახვილურად გამოუცვნია ქართული კლასიციზმის სათავეები. ილია გმობს მხატვრული აზროვნების შეზღუდულობას, ფორმალისტურ კოპწიაობას, რიტორულ მეტყველებას, ღვლარჭნილ სტილს, რომელიც ხელს უშლიდა ლიტერატურაში ხალხური ნაკადის შემოჭრას და ბორკავდა შემოქმედის ფანტაზიას. მას არ მოსწონს ჩახრუხაძე, რადგან მის ნაწარმოებში ვერ ხედავს უშუალობას, ნათელ წარმოსახვას, შინაგან ცეცხლს, ამაღელვებელ ემოციებს. მას ვერ აკმაყოფილებას ეს მშრალი, უსულგულო, გონივრულად მოწესრიგებული სამყარო, სადაც ყველაფერი მეტისმეტად გაპრიალებული, პედანტურად დალაგებული და მორთულ-მოკაზმულია. ზიზღს ჰგვრის ჩაბნელებული, ირაციონალურ-მისტიკური ლაბირინთები, რომლებშიც გზის გასკავლევად მკითხველმა თავი უნდა იმტვრიოს. რეალისტს, რომლისთვისაც უბრა-ლოება, სინათლე და გამჭვირვალობა სტილის უძვირფასესი თვისებებია, ორგანულად ეუცხოება აღზევებული ტონი, პათეტიკა და რაღაც კასტურ-სალონური მანერა; ... ახალგაზრდა მწერალს, რომელსაც ლიტერატურის ამოცანად ძლიერი საზოგადო-ებრივი ტკივილების ასახვა, ცხოვრების მანკიერებათა მხილება მიაჩნია, ვერ მოუთმენია კლასიცისტური აბსტრაქტულობა, თემატური სიმწირე, და „მაღლა ფრენა“; ჩახრუხაძის პოემაში ის ვერ გრძნობს ეპოქის სულს, ხალხის ყოფას, კონკრეტულ გარემოს; ყოველივე ეს მისი რწმენით, გარეგნულ ეფექტს, ბუტაფორიას, უმიზნო, „ზედშესრულებს“ შეუწირავს. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ისტორიული და, თუნდაც ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით რამდენად სწორი იყო ჩახრუხაძის ამგვარი შეფასება. საინტერესო ის არის, რომ ყველაფერი ეს ილიას კლასიციზმის კრიტიკად, მის დაგმობად მიაჩნდა და ამას ძალიან დიდ როლს ანიჭებდა“ [კალანდაძე, 1956, 464-465].

ეს ამონარიდი ერთ-ერთი უიშვიათესი შემთხვევაა, რომელიც გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ალექსანდრე კალანდაძე უპირობოდ არ ეთანხმება ილიას მიერ

გამოთქმულ მოსაზრებას, ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფრაზა - „ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს .... რამდენად სწორი იყო ჩახრუხაძის ამგვარი შეფასება“ - აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევარი უტყუარი ალღოთი გრძნობს, რომ ილიამ ჩახრუხაძე მიზანში სრულიად გარკვეული მიზეზებით ამოიღო და ეს იყო არა იმდენად მისი პოეტურ შესაძლებლობებში დაეჭვება, (თუმცა არც უამისობაა) არამედ ჩახრუხაძის, როგორც მოვლენის მსხვრევა, მისი აზრით, ეს იყო ზუსტი გათვლა - ილიას უნდა უარეყო წინამორბედებისგან შექმნილი კულტი, რასაც ლოგიკურად მოჰყვებოდა კიდეც კლსიციზმის, როგორც გაბატონებული მიმართულების პოზიციების შერყევა.

შემოდგომ ქვეთავში - „სალიტერატურო ენის პრობლემა 60-იან წლებში“ - ალექსანდრე კალანდაძე მიმოიხილავს რა იმდროინდელ ვითარებას, აღწერს ილია ჭავჭავაძის და მისი თაობის დაპირისპირებას, მათ მიერ გატარებულ რეფორმებს, ასკვნის,რომ „სამი შტილის“ უკუგდება ამოწურავდა ახალი თაობის იმდროინდელ ენობრივ პროგრამას. ილიამ ენის განვითარება დაუბრუნა თავის ბუნებრივ დინებას, რომელსაც მე-18 ს-ში მექანიკურად მოსწყვიტა ანტონმა. „მაღალი შტილისთვის“ ხელოვნური ენის გამოგონებით. მისი აზრით, ეს იყო კრტიკული რეალიზმის გამარჯვება ანტირეალისტურ მიმართულებებზე.

ავტორი დეტალურად განიხილავს ილია ჭავჭავაძის ჟურნალისტურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას 60-70-იან წლებში. ამ პერიოდის პირველ გამონათებად სამართლიანად მიაჩნია მას „საქართველოს მოამბე“, რომელსაც ილიას აქტიურობითა და მეცადინეობით ჩაეყარა საფუძველი. ჟურნალის შეფასება საკმაოდ მაღალი დონისაა, ალექსანდრე კალანდაძე თამამად აცხადებს, რომ : „საქართველოს მოამბეში“ ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან, ეს ენციკლოპედიურობა ორგანულად შედუღებულია პრობლემათა მეცნიერულ გაშუქებასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ფორმით, ისე შინაარსით „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა იდგა იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის მოწინავე პუბლიცისტიკის დონეზე“ [კალანდაძე, 1956,518]. ამ ყოველივეს კი ალექსანდრე კალანდაძე შემდეგნაირად ხსნის: „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტიკა გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, ჰუმანურობით, გმობს ბოროტებას, ამორალიზმს. სამშობლოს სიყვარული, მისი ძალების და მისი მომავლის რწმენა აქ

შედუღებულია თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის, რეაქციონერთა და ლიბერალთადმის სიძულვილთან [კალანდაძე, 1956,519].

ალექსანდრე კალანდაძე განიხილავს, თითქმის ყველა მნიშვნელოვან წერილს, ლექსს თუ მოთხრობას, რომელიც „საქართველოს მოამბით" გაიცნო მკითხველმა. უმთავრესად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ნიმუშები, სწორედ ამ გამოცემაში იბეჭდება პირველად „პოეტი", „აჩრდილი" (ნაწილი), „კაკო ყაჩაღი" (ნაწილი). აღწერს ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც არაფრით ეპუებოდა ილია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გარკვეულ დათმობებზე წასვლაც უწევდა.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ილიას პოემას - „მეფე დიმიტრი თავდადებული" (გამოქვეყნდა „ივერიაში") და ვფიქრობთ, აქაც გარკვეული წინასწარი ჩანაფიქრით. მისი თქმით, ამ პოემის გამოქვეყნებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებაში და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ავტორი განიხილავს რამდენიმე წერილს ილიას პოემის წინააღმდეგ. მაგალითად მას მოჰყავს, რეცენზენტ ალექსანდრე სარაჯიშვილის შეფასება,რომელსაც „დიმიტრი თავდადებული" უცნაური გმირი ჰგონია, თუმცა გვერდს ვერ უვლის ილიას პოეტურ შესაძლებლობებს და აღიარებს მის გამორჩეულობას. ავტორის თქმით, „კიდევ უფრო უპრინციპო და მიუღებელი ხასიათი ჰქონდა გ. თუმანიშვილის გალაშქრებას „დიმიტრი თავდადებულის" წინააღმდეგ: „ გადაიკითხეთ „დიმიტრი თავდადებული" და მიბრძანეთ, რაა ის ახალი აზრი, რომელსაც ის გამოთქვამს... აქ ძლიერი გმირობა არ არის" [კალანდაძე, 1956,520]. სასიხარულოა, რომ თუმანიშვილის, სარაჯიშვილისა და სხვათა პრიმიტიულ, არალიტერატურულ და ტენდენციურ წერილებს ჯეროვნად წინ აღუდგნენ ჭეშმარიტად ნიჭიერი, ერუდირებული კრიტიკოსები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ვოლსკის, ალექსანდრე ჭყონიას კრიტიკულმა ანალიზმა გზა გაუკაფა „დიმიტრი თავდადებულს", ცხადყო პოემის მაღალი იდეურობა და მაღალმხატვრულობა, ბიძგი მისცა პატრიოტული ისტორიული თემატიკის შემდგომ წინსვლას.

პოემის ირგვლივ გამართული პოლემიკის განხილვით ალექსანდრე კალანდაძე მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიდის, რომ ეს იყო არა იმდენად პოემისა და მისი მხატვრულობის დაწუნება, რამდენადაც გალაშქრება ავტორის - პირადად, ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეოლოგიის წინააღდეგ, რაც დღეს უკვე გასაკვირი აღარავისთვი-

საა, სწორედ ამ იდეოლოგიას შესწირეს იგი ფიზიკურადაც.

მიუხეადავად იმისა, რომალექსანდრე კალანდაძე განიხილავს ილიას თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოების გამოქვეყნებას პერიოდულ პრესაში, იქნება ეს „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „მგზავრის წერილები“, „კაცია ადამიანი?!“ თუ სხვ. განსაკთრებულად მნიშვნელოვან ყურადღებას ილიაზე როგორც კრიტიკოსზე აჩერებს და წერს: „საქართველოს მოამბე“ ხშირად განიხილავდა ლიტერატურული კრიტიკის, ეთიკის საკითხებს. ჟურნალი ცდილობდა დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ კრიტიკა და ლანძღვა ძალიან შორს არიან ერთმანეთზედა, რომ კრტიკის მიზანი არც ძაგება და დაცინვაა: ის არის დარიგება, შეცდომის ცხადად ჩვენებაა“ [კალანდაძე, 1956,637]. ამ თვალსაზრისით გამორჩეულად მიიჩნევს წერილს - „საქართველოს მოამბეზედ“ - აღნიშნავს,რომ ჟურნალის პირველ გვერდებზე არ დაბეჭდილა, მაგრამ ცხადია, საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა, ახალი თაობის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მანიფესტს წარმოადგენდა. ვარიანტული ფრაგმენტები გვარწმუნებს, რომ ილია ხანგრძლივად (ორი სამი წელი) მუშაობდა ამ სტატიაზე და მასში უაღრესად ლაკონურად, ზოგადი დებულებების სახით აქვს გადმოცემული მისი თაობის შეხედულება - მისწრაფებანი: „აზრის სიღრმით, ფილოსოფიური განზოგადებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმახვილითა და თემის შესაბამისი სიმახვილით ამ წერილს ბადალს ვერ ვუპოვით იმდროინდელ და წინმსწრობ ქართულ ჟურნალისტიკაში“ [კალანდაძე, 1956,638].

წერილის დასკვნით ნაწილში ავტორი განიხილავს „ივერიის“ პერიოდს, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ილიას რედაქტორობით გამოდიოდა. ალექსანდრე კალანდაძე აღნიშნავს, რომ გამოცდილებამ თვით ილიასაც კი შესძინა განსხვავებული თვისებები და რაც მთავარია, კიდევ უფრო მეტი სიმკაცრე და პრინციპულობა, ისინი მას არც მოღვაწეობის დასაწყისში აკლდა, მაგრამ „ივერიაში“ განსხვავებული მასშტაბები მიიღო, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა 80-იანი წლების იმპერიაში. ამ დროს განსაკუთრებით იმძლავრა წნეხმა და ცენზურამ, ალექსანდრე კალანდაძე ხაზგასმით აღნიშნავს: „ცენზურის კანონების სიმკაცრეს ემატებოდა „ივერიის“ ცენზორ ლუკა ისრაილოვის პიროვნული თვისებები - კარიერისტობა, ლაჩრობა, შეზღუდულობა“ [კალანდაძე, 1956,654].

ალექსანდრე კალანდაძეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია არც ერთი მნიშვნე-ლოვანი მოვლენა, რომელიც ივერიაში ილიას მოღვაწეობას უკავშირდებოდა, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდი-ნარეც ის არის, რომ, მკვლევრის აზრით,„ივერიის“ ისტორიული ღვაწლია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაჩქარდა ერთიანი ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება, რაც პასუხობდა ეპოქის ეკონომიკურ - პოლიტიკურ მოთხოვნებს. ცხოვრების საუკუ-ნეობრივმა კარჩაკეტილობამ, კუთხურობამ, პარტიკულარიზმმა დაღი დაასვა ეროვნულ შეგნებას. ფელეტონში „ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“, ილია მწარე ირონიით გადმოგვცემს, რომ გორის სემინარიაში ეროვნული შემადგენლობით მოსწავლეთა რაოდენობა ასე განუსაზღვრავთ: იმერლები - თორმეტნი, ინგილო - ორი, გურული - ორი, ფშავნი - ორნი და ა.შ.

„მხურვალედ გამოეხმაურა „ივერია“ მოძმე აფხაზეთის ტკივილებს, ომით გამოწვეულ სასიკვდილო საფრთხეს, რაინდულად დადგა მის გვერდით, ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ თავიდან აეშორებინა საშიშროება. საკმარისია ჩავათვალიეროთ „ნახული და გაგონილი“, ქვესათაურები: სოხუმი და აფხაზეთი, აფხაზეთი უაფხაზე-ობდა, ახალნი მცხოვრებნი აფხაზეთისა, აფხაზეთის სიმდიდრე, რა ეჭირვება აფხაზეთს? რათა დავრწმუნდეთ როგორ ზრუნავდა მოწინავე საქართველო თავის მოძმეებზე, როგორ ესმოდა აფხაზეთის ჭირ-ვარამი და საჭიროებანი. კარგადაა ცნობილი, როგორ იღწვოდა „ივერია“ ახალშეერთებული აჭარის ბედნიერებისთვის“ [კალანდაძე, 1956,657].

ვფიქრობთ, ეს ამონარიდი ერთ-ერთი ნიშვნელოვანი ტექსტია იმისთვის, რომ კიდევ უფრო კარგად დავინახოთ და აღვიქვათალექსანდრე კალანდაძის, როგორც კრტიკოსის, მწერლის და რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნის შვილის, დამსახურებები.

„გვაქვს საგანძური“ - უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში გამოსული წიგნია (რაც ერთი შეხედვით დაუჯერებლად შეიძება მოგვეჩვენოს კიდეც ამ გადმოსახედიდან, რადგან ძნელად შეხვდებით მსგავსი თანამედროვეობის აღქმითა და აქტუალურობით აღსავსე ტექსტებს). ალექსანდრე კალანდაძის ეს განაცხადი, განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება ჩვენთვის საჭირბოროტო საკითხებზე იმ დროს, რომელიც რამდენიმე ათწლეულის განმავლო-ბაში დაუძლეველ პრობლემად, დაკარგულ ტერიტორიებად, ათასობით ლტოლვილად

და ტკივილად გვექცა, წარმოუდგენელი შორსმჭვრეტელობაა, მწერლის ეს უნარი სხვა ნაშრომების განხილვის დროსაც გამოვლენილა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია ის გამბედაობა, რომელსაც ავტორი იჩენს აღნიშნული საკითხის წამოწევით. ვკითხულობთ ამონარიდებს ილიასდროინდელი „ივერიიდან", რომელსაც კიდევ ერთხელ გვიმეორებს ალექსანდრე კალნდაძე და ვხვდებით, რომ იგი ილიასთან ერთად საუკუნეების მიღმიდან გვაფრთხილებს, რომ ეს საშიშროება განსაკუთრე-ბულადაა მოახლოებული და მეტი ყურადღების გამოჩენა გვჭირდება.

ვაი, რომ არ შემცდარა. მკითხველს იმ ნაღმის არსებობა შეახსენა საბჭოთა რეალობაში, რომელიც საჭიროებისთანავე აამოქმედა ბოროტების იმპერიამ და საკმაოდ წარმატებითაც. ეს ყოველივე კი შეუმცდარად იგრძნო ალექსანდრე კალანდაძემ და რაკი აღარც ილია იყო სადმე, აღარც მისი „ივერია" და თერგდალე-ულები, მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებიდან გამომდინარე (და იგი უპირველესად ყოველთვის იყო მოქალაქის განსახიერება მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქ-მედებით ამ სიტყვის სრული გაგებით) საკუთარ თავზე აიღო, კიდევ ერთხელ შეეხსნებინა ჩვენთვის ეს ამბავი. ფაქტია, რომ ამ მონაკვეთში განსაკუთრებული ლიტერატურული ღირსებების წარმოსაჩენად არ იბრძვის ალექსანდრე კალდანდაძე. მისი უმთავრესი დანიშნულებაა შეფარვით, მაგრამ მაინც გვითხრას, რომ ყურადღე-ბით ყოფნა გვმართებს, რომ წამზომი ჩართულია და კაცმა არ იცის, როდის ამოქმედდება. სამწუხაროა, რომ ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გვაქვს საგანძური" ალექსანდრე კალანდაძის ერთ-ერთი უმნიშვ-ნელოვანესი კრებულია.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალს ყურადღების მიღმა არ რჩება მე-19 საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი.

წერილებს ახასიათებს განსაკუთრებული ინფორმაციულობა და ანალიტიკუ-რობა. განხილულია 50–60-იანი და 70–80-იანი წლების პრესა და იმდროინდელ მოღვაწეთა ცხოვრება- შემოქმედება. ამ წიგნში წარმოგვიდგება ალექსანდრე კალანდაძე, როგორც შესაშური კრიტიკული ალღოს მქონე მეცნიერი, რომელმაც კოლოსალური შრომის შედეგად ეტაპობრივად შექმნა ნაშრომები ამ პერიოდის ქართული ჟურნალისტიკის განვითარების შესახებ. მისთვის დამახასიათებელია გადმოცემის სადა სტილი, მშვიდი, გაწონასწორებული ტონი, რომლითაც, ვფიქრობთ, თავადვე იძლევა

პუბლიცისტისა და კრიტიკოსის საუკეთესო მაგალითს. ამასთან, მისი წერილები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მეცნიერს არამხოლოდ საკითხის ღრმა ცოდნა, არამედ ანალიზისა და შეფასების განსაკუთრებული უნარი მოეთხოვება. ისიც ფაქტია, ალექსანდრე კალანდაძე, როგორც შემოქმედი, სრულად აკმაყოფილებს, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმებს: პირველი, მისი ნაშრომები ეტაპობრივი მნიშვნელობისაა და მეორე, ინარჩუნებს აქტუალობას. ეს არის ავტორი, რომლის შეხედულებებსა და მოსაზრებებს გვერდს ვერ აუვლის ქართული ჟურნალისტიკით და კრიტიკის ისტორიით დაინტერესებული ვერც სამეცნიერო წრის წარმოამადგენელი და ვერც უბრალო მკითხველი.

ალექსანდრე კალანდაძეზე, როგორც კრიტიკოსსა და პუბლიცისტზე საუბრისას, ვფიქრობთ, გამორჩეულად საინტერესოა ის წერილები, რომლებშიც იგი საკუთარ კრიტისოკსებს სცემს პასუხს. ასეთი არაერთი ყოფილა თავის დროზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე კალანდაძის არც მხატვრული შემოქმედება და არც მისი კრიტიკული ნააზრევი არ ყოფილა ყოველთვის ერთმნიშნველოვნად მისაღები. ის კი არადა, მისი რომანები უფრო ხშირად კრიტიკის საგნად ქცეულან, ვიდრე დაფასებისა. ასეთი ბედი ხვდა წილად „ნეიშნის ფიცს", რომლის შეფასებებიც არაერთგვაროვანი იყო რომანის პრობლემატურობიდან გამომდინარე.

განსაკუთრებით მძაფრი ხასიათის გახლდათ აკაკი ბაქრაძის წერილი „პანეგირიკის სიცივე" - ჩვენ მიერ დასახელებული ავტორი ქართულ თანამედროვე კრიტიკოსებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია, ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ინტელექტითა და ობიექტურობით, ამიტომ მისი კრიტიკული წერილი რომანზე აუცილებლად მიიპყრობდა დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას და, რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენასაც მოახდენდა შემდგომ შეფასებებზე. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე კალანდაძის პასუხი „ახირების ზვარაკად". ფაქტია, ჩვენ ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ კალანდაძე შეფასებისას თავისუფალია ყოველგვარი სუბიექტურობისგან, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსის თანმიმდევრულობასა და ობიექტურობას არც ამ შემთხვევაში ღალატობს, ამასთან, აქაც მისთვის ჩვეულ ხერხს იყენებს, მხოლოდ აკაკი ბაქრაძის ტექსტზე დაყრდნობით აკეთებს ანლიზსა და შეფასებებს, რაც მთავარია, სრულ სურათს აწვდის მკითხველს, შესაძლებელს ხდის მთლიანი კონტექსტის გააზრებისა.

თუმცა არც ერთგვარად ხისტ შეფასებებს ერიდება, მაგალითად, წერილში ვკითხულობთ: „როცა ა. ბაქრაძე ერეკლეს გაფეტიშებაზე, „სწორი განსჯის დაკარგვაზე", „კულტზე" მსჯელობს, გგონიათ გუშინდელ გაზეთებს ვკითხულობთ XX ს-ის სახელმწიფო მოღვაწეებზე. მოვლენებისადმი არა ისტორიული მიდგომა იქამდეც მიდის, რომ XVIII ს-ის საქართველოს დასახასიათებლად გაბრიელ გარსია მარკესს იმოწმებს: „მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას. მაგრამ ყოველთვის ხომ არ ნიშნავს, რომ მთავრობის სამსახური სამშობლოს სამსახური არაა. მაშინ, როცა მოგვეპოვება ერეკლეს თანამედროვე მოღვაწის, იასე ბარათაშვილის დღიურში ასეთივე შინაარსის მყუდრო ჩანაწერი სწორედ ერეკლე მეფეზე: „ჯერ ქვეყნის ერთგულება იყო და მერე მეფისა".

როგორც ხედავთ, მაშინდელი ქართული სააზროვნო კულტურა არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა! ერეკლეს ქება ანტონსა და სხვა თანამემამულეებს რად ჩავუთვალოთ ცოდვად, როცა მისი ქება-დიდებით სავსე იყო ევროპისა და რუსეთის პრესა, როცა მას ხოტბას ასხამდნენ ფრიდრიხ დიდი, ეკატერინე მეორე, ნადირ შაჰი, ვოლტერი?! ეტყობა, იმ საზომით არ ხელმძღვანელობდნენ, რომელიც ა. ბაქრაძეს მოუმარჯვებია [კალანდაძე,1980,201].

ალექსანდრე კალანდაძის აშკარა ირონიული ტონი, რომელიც არ გამორჩება მკითხველს, ნაკლებად იწვევს გაღიზიანებას, რადგან ისევ და ისევ არგუმენტირებულად დასაბუთებულია მისი სათქმელი. რთულია შეედავო ავტორს ამ შეფასებაში, რაც არ უნდა სუბიექტურ მიდგომად და საკუთარი შემოქმედებითი ქმნილების დაცვად მოგვეჩვენოს მისი ეს პოზიცია. აქვე განმარტავს აკაკი ბაქრაძის მიდგომის საფუძველსაც: „შეუწყნარებლობა წითელ ზოლად გასდევს კრიტიკოსის წერილს, ანალიზის ადგილს წინაპართა და თანამედროვეთადმი ულმობელი დამოკიდებულება იჭერს. ანტონის სიტყვებს რომ ეხება, ა. ბაქრაძე სულ უადგილოდ აცხადებს: „არავის არ უტარებია ქართლი ზურგით... იგი თვითონ ატარებდა და დღესაც ატარებს ბევრ უღირსს"... „ნეიშნის ფიცში" - წერს აკაკი ბაქრაძე - ანტონი - ემსახურება არა სამშობლოს, არამედ ქართლ-კახეთის მეფეს." თუ კრიტიკოსის პათოსს გავიზიარებთ, გამოდის, რომ არც ერეკლე ემსახურება სამშობლოს. ა. ბაქრაძე ასეც გვაგრძნობინებს: „ქართლი უამრავ ჭირ-ვარამს გამკლავებია ერეკლემდეც და ერეკლეს შემდეგაც - განაგრძობს ის, - მას ერეკლეზე უფრო დიდი პიროვნებანი უშვია და შობს" [კალანდაძე,1980,202].

„პანეგირიკის სიცივეში“ კი ვკითხულობთ:“ ცოტად თუ ბევრად ცნობილ ისტორიულ პირზე ყოველ მკითხველს თავისი წარმოდგენა აქვს. ხშირად მკითხველისა და ავტორის შეხედულება ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მკითხველს აღიზიანებს და აფიქრებინებს, რომ არასწორად დაინახა მავანი და მავანი ისტორიული პიროვნება, არაზუსტად აისახა ისტორიული მოვლენები. ამიტომ მსჯელობისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, რამეთუ შეუძლებელია იმის ზუსტი, შეუცდომელი წარმოდგენა, აღწერა, ასახვა, თუ რა იყო წარსულში, როგორი იყო ესა თუ ის პიროვნება, ანკი როგორ უნდა აღვწეროთ უცდომელად, როცა არ ვიცით, რანაირი ზნე და ჩვეულება ჰქონდა, როგორ ჭამდა და სვამდა, როგორ იქცეოდა ახლობლებსა და უცნობების წრეში, მექალთანე იყო თუ ასკეტურად თავშეკავებული, ენაწყლიანი და ხუმარა თუ სიტყვაძუნწი და ბრაზიანი. მარტოსული იყო თუ მეგობრებში ტრიალი უყვარდა. სად პოულობდა შვებას - ბუნების წიაღში თუ ადამიანთა საზოგადოებაში. ერთი სიტყვით, იმდენი საიდუმლოს ცოდნაა საჭირო, რომ არათუ გარდასულ ეპოქაში მცხოვრები და მოღვაწე კაცის, არამედ თანამედროვის, თითქოს კარგად ნაცნობი პიროვნების სრული დახასიათებაც კი არ ძალგვიძს. ამდენად, ჩემი აზრით, საკითხი ასე უნდა დავსვათ – რამდენად საინტერესო, საყურადღებო, ღრმა და მიმზიდველია მწერლის წარმოდგენა ისტორიულ პირზე“ [ბაქრაძე,1981,125].

როგორც ვხედავთ, ეს არის საკმაოდ დამაფიქრებელი, გამაფრთხილებელი, სერიოზული თავდასხმის მიმანიშნებელი შესავალი, მთელი წერილი ამ სტილში გრძელდება.

დამაჯერებელი, გამაბათილებელი პასუხებით იქცევს ყურადღებას ალექსანდრე კალანდაძე: „...კრიტიკოსი ცნობილ ისტორიულ პირებზე თავის სიმპათია-ანტიპათიას გვიზიარებს. „ერეკლე ჩამორჩენია დროს, შეგნების ამაღლება-განვითარებას... ალღოს ვეღარ უღებს. განათლებული საქართველოს აბსოლუტური მონარქიის შექმნის საქმე წინ რომ წავიდეს, უკვე აუცილებელია ერეკლეს გზიდან ჩამოცილება. ტახტი სხვას უნდა მიეცეს. მაგრამ ეს ფიქრი მკრეხელობად ითვლება. ერეკლე უკვე გაფეტიშებულია. უმისობა ქვეყნის დაქცევად მიაჩნიათ... გაფეტიშებამ დაუკარგა ერეკლეს უტყუარი ინტუიცია და სწორი განსჯის უნარი. იგი გადააქცია საკუთარი ავტორიტეტის მონად...“ ასეთი შეხედულებისაა ა. ბაქრაძე მეფე ერეკლეზე, რომელიც ჩემი რომანის მთავარი გმირია. ამჯერად მხედველობაში აქვს ერეკლეს

მოღვაწეობის ბოლო ოცწლეული, მაგრამ უკეთესი აზრისა არც ადრეულ ერეკლეზეა..

კრიტიკოსი არანაკლები ანტიპათიითაა განწყობილი ანტონ კათალიკოსის მიმართ, რომელიც აგრეთვე ჩემი რომანის მთავარი გმირია. ამ ანტიპათიის მიზეზიც ერეკლეა...“ [კალანდაძე,1980, 187].

აკაკი ბაქრაძის ლიტერატურულ გემოვნებაზე, ერუდიციასა და განათლებაზე ბევრი გვსმენია და წაგვიკითხავს. ჩვენ მხოლოდ მოკრძალებულ მოსაზრებებს გამოვთქვამთ.

აკაკი ბაქრაძის დასახელებულ წერილში ვკითხულობთ: ,,ალექსანდრე კალანდაძის მიერ დახატულ კათალიკოს ანტონ პირველს და მეფე ერეკლე II, პატარა კახს, „ნეიშნის ფიცში“ ვრცელი ადგილი უჭირავს... აბდულა-ბეგი, რომელ-მაც ერეკლეს სისხლი გაუშრო, ანტონის ძმა იყო... სულიერი ტანჯვისა და ტკივილის ბეწვის ხიდზე იარა ანტონ კათალიკოსმა სიკვდილამდე.

ახლა ვნახოთ, როგორ აისახა „ნეიშნის ფიცში“ ანტონის სულის მოძრა-ობა.ძმების - ანტონისა და აბდულა-ბეგის დიალოგს არაბუნებრივი ელფერი აქვს. პათეტიზმი სჭარბობს და აკლია გულითადობა... აბდულა-ბეგის სიტყვები - ვარ მაჰმადიანი და არ მწამს ცხოვნება და წარწყმედა - ძნელი დასაჯერებელია. ადამიანს ასეთი სიტყვები რომ ათქმევინო, ამას სათანადო გარემოების შექმნა სჭირდება. ისე მკითხველი ვერ დაიჯერებს. ასეთი სიტუაცია კი მათი საუბრის შედეგად არ შექმნილა. ვერ ირწმუნებს კიდევ იმიტომ, რომ აბდულა-ბეგმა იცის, ვის ელაპარაკება, ძმასა და კათალიკოსს. მისი მომდურება კი, არც ძმობისა და არც საქმის თვალსაზრისით აბდულა-ბეგისათვის ხელსაყრელი არ იყო. გარდა ამისა, აბდულა-ბეგი ერეკლეს ებრძვის, რადგან მიაჩნია, რომ მან ქართლის ტახტი უკანონოდ მიითვისა და არა ქვეყანას, რომლის კანონიერ მფლობელად თავის თავს თვლის“ [ბაქრაძე,1981,127].

ალექსანდრე კალანდაძე კვლავ თავგამოდებული იცავს საკუთარ ნაშრომს: „მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ეთიკური და ლიტერატურული საქციელია ნაწარმოების მხატვრული სინამდვილის წინასწარი იგნორირება. ასეთ შემთხვევაში, თავისთავად ცხადია, როგორიც იდეაფიქსია, ისეთივეა კრიტიკოსის ემოციური დამოკიდებულება ნაწარმოების ამბებისა და პერსონაჟებისადმი. დასკვნები ანა-ლიზს კი არ ემყარება, არამედ ა. ბაქრაძეც არ მალავს, რომ წიგნის გადაფურცვ-

ლამდეა გამოტანილი. „ერეკლეს ფეტიშიზმის ინერცია დღესაც არსებობს. იგი აირეკლა „ნეიშნის ფიცშიც“. რაღა თქმა უნდა, ერეკლეზე ასეთი შეხედულების პატრონს ისტორიული წყაროებით დადასტურებული დამსახურებანიც „ცივ პანეგირიკად“ მოეჩვენება. ერეკლე გაფეტიშებული იყო, ერეკლეს დამხობაზე „ფიქრი მკრეხელობად ითვლებოდაო“, თითქოს არ ვიცოდეთ, რომ გამეფებიდან სიკვდილამდე წუთით არ შეწყვეტილა ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებები.

საქმე რომ მხოლოდ ჩემს რომანს შეეხებოდეს, იქნებ სიტყვაც არ დაგვეძრა, მაგრამ ყურადღებას ითხოვს სალაღობო კილო იმ პრინციპული მოვლენათა გადაფასებისა, რომელთაც ცოცხალი მნიშვნელობა ჰქონიათ, აქვთ და ექნებათ ჩვენი ეროვნული ფსიქიკის, ისტორიულ-პოლიტიკური საზრისის, გრძნობისა და აზრის სიჯანსაღისათვის“ [ალექსანდრე კალანდაძე,1980, 188].

აკაკი ბაქრაძეს რომანიდან მოჰყავს ასეთი ამონარიდი: „დასამშვიდებლად მეფობისა და აღრეულობის დასაცხრომლად მიიღე ზომა მტკიცე, ჰქმენი, რაიცა არს საქმნელი. აჩვენე ძალი და ძლიერება შენი! გმართებს აქ გმირობა. დუმილი შენი და სისუსტე აძლიერებს მტერთა შენთა, დაეც ზარი და მეხი შიშისა“ [კალანდაძე,1977, 275].

ციტატას მოსდევს აკაკი ბაქრაძის კრიტიკა: „ამ პათეტიკურ შეძახილში ქვეყნის ბედისადმი ზერელე უფრო ჩანს, ვიდრე მასზე ზრუნვა და ფიქრი. ავტორმა კი ის სწორედ ზრუნვის უტყუარ ნიშნად წარმოგვიდგინა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რომანისტის ტენდენცია წინასწარ არის განსაზღვრული. ამ ტენდენციას მდგომარეობის ობიექტური აღწერით კი არ გრძნობს მკითხველი, არამედ ავტორის პირდაპირი დახასიათებით, - ჯერ ერთი, აბდულა-ბეგი „ველური აღტკინებით გაჰყურებს ხანძარს“, მეორეც, ერეკლე მას აბდულას ეძახის. ამ კალამბურით ავტორი თავის დამოკიდებულებასაც გამოხატავს. რაკი ერეკლეს ებრძვის, ცხადია, სულელი და ველურია. ასე მარტივად წარმოდგენა აბდულა-ბეგისა და ერეკლეს კონფლიქტისა ამცირებს არა მარტო აბდულა-ბეგს, არამედ ერეკლესაც. აქ უფრო რთულად იყო საქმე. ეს კონფლიქტი გამოხატავდა მაშინდელი საქართველოს მესვეურთა სახელმწიფოებრივ შეგნებას“ [ბაქრაძე, 1981, 130].

კრიტიკოსი კვლავ რომანიდან იმოწმებს სათანადო ადგილს და წერს: „რომანის მიხედვით ალექსანდრე აქტიურია, შემტევი, ანტონი კი ქედმოხრილი,

მორიდებული, დაშინებული. რომანისტი წერს: „არ იცოდა რა ექნა, რა პასუხი გაეცა ტახტის მაძიებლისათვის“. კი, მაგრამ სად არის კაცი, მოღვაწე, რომლის ურყევი პრინციპია – „ერთი ერი! ერთი სახელმწიფო! ერთი ეკლესია! ერთი მეფე!!“ თუ ამ კრიტიკულ სიტუაციაში სიმტკიცემ უღალატა, შეეშინდა და ვერ ამაღლდა ჩვეულებრივ ფილისტერზე. რაკი ალექსანდრესაგან დავალებულია, იძულებულია, პირში წყალი ჩაიგუბოს და გაჩუმდეს, რომ არ აწყენინოს, ყველაფერზე ყასიდად თავი უკანტუროს თანხმობის ნიშნად. თუ ასე იქცევა, მაშინ ანტონი საკმაოდ სულმდაბალ კაცად გამოიყურება. პრინციპს მაშინ უნდა დაცვა, როცა გიჭირს... თუ ანტონი მართლაც ერთგულია თავისი პრინციპის, რატომ ერთხელ მაინც არ სცადა განემარტა ალექსანდრესათვის, დაერწმუნებინა იგი, მაშინდელ პირობებში რა სჯობდა საქართველოსათვის. მართალია, ანტონი საქართველოდან გაძევებულია, უსამართლოდ დასჯილი და გულნატკენია, მაგრამ ის ანტონი, რომელიც ალექსანდრე კალანდაძეს უნდა დახატოს, პირადულს ვერ დააყენებდა მამულის საქმეზე მაღლა... დიალოგში ანტონი უფრო თავისთავზე მზრუნველ კაცად მოჩანს, ვიდრე ქვეყვის ბედზე გადაგებულ პიროვნებად“ [ბაქრაძე,1981,134].

„რაკი პატივცემულ აკაკი ბაქრაძეს ჩემი რომანი საკუთარი იდეების პოლი-გონად დასჭირვებია, სრულებით არ აინტერესებს მისი საერთო ჩანაფიქრი, სიუჟეტი და კომპოზიცია, ჟანრის სპეციფიკა და სტილი, ეთიკური და სოციალური პრობლე-მები, ხასიათები და ანტურაჟი, ეძებს მხოლოდ იმას, რაც მის წინასწარ განზრახვას მიესადაგება, - აზათილებს კრიტიკოსის მოსაზრებებს რომანის ავტორი... წერილი საკმაო მოცულობისაა იმისათვის, რომ ავტორი რომანის არსებით მხარეებს შეხებო-და, თუ ლიტერატურულ ანალიზს არა, ისტორიულ განხილვას მაინც მოველოდით, რადგან, თუ რომანი არა, ისტორიული სინამდვილე მაინც იძლევა ღრმა ანალიზისა და საფუძვლიანი ძიების შესაძლებლობას... ვითარება გადმოცემულია ჰერმეტულად (ეს მეთოდია!)

განა წარმოსადგენია, ა.ბაქრაძემ თუნდაც ჩემი წიგნიდან არ იცოდეს, რომ აბდულ-ბეგთან ერეკლეს შეტაკება ჩვეულებრივი შინაომი კი არ იყო, არამედ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა საქართველოს ეროვნული გადარჩენისთვის?!... სასწორზე იდო დიდი საქმე. გარდა აბდულ-ბეგის დედისე-ული ნათესავებისა, ქართლიც ერთსულოვნად ერეკლეს ამოუდგა მხარში.და აი,

კრიტიკოსი თითქმის ტუქსავს ანტონს იმის გამო, რომ ერეკლეს ერთგულია და თათრებს არ მიემხრო („ანტონს სიკერპით სწამს ერეკლეს სიმართლე“)“ [კალანდაძე, 1980,190]

აკაკი ბაქრაძეს კვლავ ალექსანდრე კალანდაძისაგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს: „ანტონმა გააფეტიშა არა იდეა, არამედ პიროვნება. პიროვნების გაფეტიშება კი ყოველთვის იწვევს იდეის მარცხს, რადგან აღარ ხდება პიროვნების საქციელის და მოქმედების განსჯა. ადამიანები ბრმად ემორჩილებიან, მიჰყვებიან ავტორიტეტს და არა განსჯის შედეგად მიღებულ ლოგიკურ დასკვნას. ანტონი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ შეამჩნია მისგან კერპად გადაქცეული ერეკლე როგორ გახდა დაბრკოლება.

ამ აზრმა შეიძლება ცხარე კამათი გამოიწვიოს. ეს არ იქნებოდა ურიგო, რადგან ერეკლეს ფეტიშიზმის ინერცია დღესაც გრძელდება. იგი აირეკლა „ნეიშნის ფიცშიც“. მივუზღოთ ყველას დამსახურებისამებრ, წარსულის მოღვაწე იქნება იგი თუ აწმყოსი. ნურც ნურას დავაკლებთ და ნურც ნურას მივუმატებთ. მაგრამ უპირველესად დავინახოთ ადამიანი თავისი ღირსებითა და ნაკლით, რამეთუ ჯერ არ არსებულა პიროვნება უცდომელი და უცოდველი.

შალვა ნუცუბიძე ამბობს: „ანტონი არც ნიჰილისტურ დამცირებას და არც პათეტიკურ განდიდებას არ საჭიროებს“. იგივე ითქმის ერეკლე მეორეზეც. ალექსანდრე კალანდაძემ არ გაითვალისწინა ის, რომ პანეგირიკული განდიდება და ნიჰილისტური დამცირება საბოლოოდ ერთნაირ შედეგს იძლევა. ხელიდან გვეცლება ადამიანი და გვრჩება სქემა“ [ბაქრაძე,1981,136].

„ანტონის დასაკნინებლად კრიტიკოსი აკად.შ.ნუცუბიძის ერთ ციტატასაც იშველიებს (თუმცა, ამ ციტატის პათოსიც თავის დროზე ანტონის დაკნინება კი არა, აღიარება იყო), მაგრამ ვერ ამჩნევს იქვე შ.ნუცუბიძის ძირითად დებულებას: „XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსის ყურადრებას იპყრობს ორი მოაზროვნე - სულხან-საბა ორბელიანი და ანტონ ბაგრატიონი“.

კრიტიკოსი უთუოდ არ იცნობს ანტონის მემკვიდრეობის შესწავლის უკანასკნელ მონაპოვრებს (აკად. ა. ფრანგიშვილი, აკად. რ. დვალი, პროფ. ვ. პარკაძე, პროფ. ა. როგავა და სხვ.), რომელთა მიხედვით, ანტონი საქართველოში მეცნიერების მთელი რიგი დარგების მამამთავრადაა აღიარებული (ფიზიკა, ფსიქოლოგია, ენათ-

მეცნიერება, პედაგოგიკა და ა.შ.)“ [კალანდაძე,1980,195]. ისევ და ისევ დასაბუთებულად უმტკიცებს საკუთარ სიმართლეს კრიტიკოსს კალანდაძე.

აკაკი ბაქრაძის აზრით: „რომანის მიხედვით კი, ანტონ კათალიკოსი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე მეორის ჩრდილია. მეფის ნების ბრმა აღმსრულებელია. ამასთანავე, მინიშნებულია ისიც, ანტონი სინდისის ქენჯნას განიცდის. ეს მაუწყებელია იმისა, რომ იგი სულის სიღრმეში ზოგჯერ არ ეთანხმებოდა ერეკლეს, მაგრამ ვერც წინააღმდეგობის გაწევას უბედავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი ან სუსტი ხასიათის კაცი იყო, ან მისი ნებისყოფა დათრგუნული იყო და ნების თავისუფალ გამოვლენას ვერ ახერხებდა. ასეთ პირობებში ადამიანი ყოველთვის გაორებულია. გაორებულ კაცს კი უცოდველი კეთილშობილების შენარჩუნება არ შეუძლია. პირიქით,იგი უფრო ხშირად ცოდვას სჩადის, ვიდრე მადლს“ [ბაქრაძე,1981,138].

კრიტიკოსი თავის მოსაზრებებს ამყარებს ალექსანდრე კალანდაძის ნარკვევიდან „ქართული კლასიციზმი, ქართული სენტალიზმი“: „ანტონი ყოველმხრივ ხელს უწყობდა საქართველოში რუსეთისა და საფრანგეთის ტიპის განათლებული აბსოლუტიზმის განმტკიცებას. ანტონის „სპეკალი“ განათლებული აბსოლუტიზმის ტრაქტატია“. ამ დებულებას აქ არ გავიხსენებდი, რომ „ნეიშნის ფიცში“ არსებითად ამ აზრის მხატვრული საშუალებებით ჩვენებას არ ისახავდეს მიზნად. თუ მართლა განათლებული აბსოლუტიზმის ბაირახტრი იყო ანტონი, ერთხელ მაინც უშუალოდ ანტონის სიტყვებით დადასტურებულიყო ეს რომანში. ერთხელ მაინც ანტონისა და ერეკლეს საუბარში დაგვენახა, როგორ წარმოედგინათ მათ საქართველოს ერთიანობა. ამ მიზნით რა კეთდებოდა? ამისთვის მარტო შეთქმულთა დათრგუნვა არ კმაროდა. საჭირო იყო და აუცილებელი სათანადო ეკონომიკური და იდეოლოგიური ბაზისი. ამ მიმართულებით რას ფიქრობდა ანტონი? სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხი რომანში არ არის. ის, რომ ანტონი სკოლების გახსნაზე ზრუნავდა, სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, ამის პასუხი არ არის. სკოლა და მეცნიერება სჭირდება ყოველ სახელმწიფოს, სულერთია, რა პრინციპითაც უნდა იყოს იგი აშენებული. განათლებული აბსოლუტიზმის იდეოლოგიას თავისი მკაფიოდ გამოხატული კონკრეტულობა ჰქონდა. ჩემი საყვედური ამ კონკრეტულობის უქონლობას გულისხმობს.

შეიძლება მკითხველმაც გაიკვირვოს და რომანისტმაც, მაგრამ, ჩემი აზრით, როგორც ქართლ-კახეთის ერთიანობისათვის მებრძოლი, გამოგონილი პერსონაჟი ჭონოპორტე უფრო საინტერესოა, ვიდრე ისტორიული პირი ანტონ კათალიკოსი“ [ბაქრაძე,1981,139-140].

„გულსატკენია, - ბრძანებს ალექსანდრე კალანდაძე, - რომ კრიტიკოსი იმას კი არ განიხილავს, რაც ნაწარმოებშია, არამედ რასაც თვითონ თხზავს. როცა კრიტიკოსს თავისი საკუთარი საქმე აქვს და ნაწარმოები სრულებით არ ადარდებს.

ანტონის „სულმდაბლობისა“ და „უნებისყოფობის“ „მტკიცებას“ რომ იწყებს, აკაკი ბაქრაძეს უხვად მოაქვს თავისივე საწინააღმდეგო ამონაწერები, რადგან ავიწყდება, სხვა ადგილზე პანეგირიკს რომ გვწამებდა.

საინტერესოა ხერხები, თორემ ყველა დამახინჯებული ფაქტის აღნუსხვას ვინ აუვა“ [კალანდაძე,1980,203].

„აკაკი ბაქრაძე არც იმაში ბრძანდება მართალი, თითქოს გოლასა და თაფლოს ამბავი „ჯაყოს ხიზნებიდან“ აგვეღოს. ცნობა, რომელიც ამ სიუჟეტურ ხაზს ქვა-კუთხედად დაედო, ორასი წლით ადრეა დადასტურებული. ამ სიუჟეტის იდეა, შინაარსი და მორალი მემატიანის ცნობითა და „ნეიშნის ფიცის“ საერთო სულისკვეთებითაა განპირობებული,“ [კალანდაძე,1980,204]. კვლავ მოძღვრავს მწერალი კრიტიკოსს.

აკაკი ბაქრაძე კვლავ მკაცრად აკრიტიკებს რომანის ავტორს: „მწერალმა ამ ისტორიული ტრაგედიის მონაწილეების სულში უნდა ჩაიხედოს. მათი ტკივილი, ტანჯვა, ვნებანი დღის სინათლეზე გამოიტანოს, საუკუნეების მტვერში მიმქრალი ცეცხლი დღევანდელობისათვის მწველი და ახლობელი გახადოს.

სამწუხაროდ, „ნეიშნის ფიცში“ ისტორიის მიერ ბოძებული ეს მასალა სათანადო და შესაფერისი ფსიქოლოგიურ-ემოციური სიღრმითა და დამაჯერებლობით გამოყენებული არ არის. ხაზი პუნქტირით არის გავლებული“ [ბაქრაძე, 1981,142].

მწერალი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ აკაკი ბაქრაძე უპატივცემულოდ იხსენიებს არა მარტო ერეკლეს, ანტონსა და მათ თანამოაზრეებს, არამედ, საერთოდ, იმ საუკუნეთა ყველა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს: „არა! უსამართლობაა, იმ შავ დღეში ჩავარდნილ მოღვაწეებს ასე განურჩევლად „მეფუკები“ ვუწოდოთ! მერედა ვინ არიან ეს „მეფუკები“? გიორგი XI, ვახტანგ VI, არჩილი,

სოლომონი, თეიმურაზი თუ ვახტანგ მეექვსის ელჩი სულხან-საბა ორბელიანი? ნუთუ სამშობლოს ინტერესები მართლა აღარ არსებობდა?...თუ ყველა ავანტიურისტი იყო, თუ „მეფუკების“ ტიპური ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა, მაშინ რაღა აზრი აქვს ისტორიას, კვლევა-ძიებას, რომანებს. საბედნიეროდ, იმ „მეფუკებისაგან“ ზოგი დიპლომატიური მისიით მიდიოდა,ზოგი ქვეყნის ბედის შესამსუბუქებლად სწირავდა თავს, ზოგიც დატყვევებული იყო.

ახირების ზვარაკად სანუკვარი სიწმინდეები ხომ არ მიგვაქვს სამსხვერპლოზე?!“ [კალანდაძე,1980,206].

ასე ამთავრებს აკაკი ბაქრაძის საწინააღმდეგოდ მიმართულ საპასუხო წერილს „ახირების ზვარაკად“ ალექსანდრე კალანდაძე. ამ წერილზე შედარებით ვრცლად შევაჩერეთ ყურადღება, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი რომანის დაცვისას უფრო მეტი იყო შანსი, რომ როგორც კრიტიკოსს, ალექსანდრე კალანდაძეს სისუსტე და არაობიექტურობა გამოეჩინა, თუმცა ეს არ მომხდარა, რადგან ამჯერადაც მხოლოდ და მხოლოდ ზოგადად ჯანსაღი კრიტიკის უპირატესობას, ობიექტურობასა და მკვეთრი ანალიზის უნარს ავლენს.

ალექსანდრე კალანდაძის მეცნიერული ღვაწლის შესახებ საუბრისას ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი კოლოსარული ნაშრომი ხუთტომეულის სახით, რომელიც დღემდე ფასდაუდებელია - „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. ეს იყო მრავალწლიანი ნაშრომი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დარგის შექმნასა და განვითარებას. მასში შესწავლილი და დაწვრილებით განხილულია მეცხრამეტე საუკუნის პერიოდში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ჟურნალ-გაზეთი, მათი სარედაქციო პოლიტიკა თუ მიმართულება. მეცნიერი განიხილავს არამარტო მხოლოდ მნიშვნელოვან პუბლიკაციას, არამედ თითოეულ თანამშრომელს, რომელიც იბეჭდებოდა იმ პერიოდის ამა თუ იმ პერიოდიკაში, გარდა ამისა, დეტალურად აქვს შესწავლილი ფსევდონიმების საკითხი. თანამედროვე გადასახედიდან ეს ყველაფერი გამზადებულ საარქივო მასალას წარმოადგენს, როგორც მკვლევართათვის, ისე უბრალოდ დაინტერესებული მკითხველისთვისა.

ნაშრომის II ტომი მთლიანად ჟურნალ „ცისკარს“ ეძღვნება. ინტერესიდან გამომდინარე, მოვიხმობთ სარჩევის მხოლოდ მცირე ნაწილს: „დაარსება, სახელწოდება, პროგრამა, სტურქტურა, რედაქტორი, რედაქცია, პერიოდულობა, ტირაჟი, ფასი,

გავრცელება, ხელისმომწერი და მკითხველი, ტექნიკური გაფორმება, სტამბა, ცენზურა“ ...როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, მაგრამ ნათლად ასახავს, რა კატეგორიის მეცნიერთან გვაქვს საქმე. რთულია მოიძებნოს ამ პერიოდში მსგავსი თანამედროვე მიდგომებით შესრულებული საქმეები. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქმის ცოდნა ყველა ეპოქაში ერთნაირად იყო საჭირო და ამასთან, ასე შესრულებული სამუშაო დიდხანს გაუძლებს დროს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ალექსანდრე კალანდაძისეული მუშაობის მეთოდი. იგი დეტალურად აღწერს ვითარებას და მხოლოდ ამ ყოველივეზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა. ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი, მეცნიერის მიერ გამოტანილმა დასკვნებმა საფუძველი დაუდო შემდგომ შეფასებებსაც.

ივანე კერესელიძის „ცისკართან“ დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „აქ განსაკუთრებით საყურადღებოა კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების დააარსება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ საქმეში უკვე მხარს უჭერს გრ. ორბელიანი, რომელმაც სწორედ იმ დროს ფულადი სუფსიდიის მიღებაც მოახერხა მთავრობისგან. 1860 წელს შემოღებულ იქნა მოკლე ცნობების ბეჭდვა რუბრიკით: „გამოკრებილი“, რომელშიც საინტერესო, პოლიტიკური და მეცნიერული ინფორმაცია ქვეყნდებოდა. აქა - იქ გვხვდება რუბრიკები: „საბიბლიგრაფიო ნაწილი“, „ქრონიკა“, „ნაკაზმი“ და სხვა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ უკვე 1857 წლის ნოემბრიდან ჩამოყალიბდა სატირისა და იუმორის რედაქციის სამიმართულებო განყოფილება „სალაყბო ფურცელი“ [კალანდაძე,1984,25].

ავტორის ეს შეფასებები შესაძლებლობას გვაძლევს ყურადღება მივაქციოთ არსებითსა და მნიშვნელოვანს, როგორც კრიტიკოსის, მისი ინტერესის მიღმა არ რჩება, ფაქტები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჟურნალის ძირითად მახასიათებლებს, ავტორი ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენებს, როგორ ხდებოდა ჟურნალისტიკის, როგორც დარგის ჩამოყალიბება და განვითარება. ფაქტობრივად, მის მიერ ხაზგასმული ყველა საკითხი არსებითი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა შემდგომი ეტაპებისთვის.

აღსანიშნავია, ალექსანდრე კალანდაძის მკვეთრი დამოკიდებულება, ზოგადად ჟურნალის, როგორც მოვლენის შეფასებისას, იგი ხასგაზმით აღნიშავს, რომ გამოცემას,

რა თქმა უნდა, არაერთი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ის იყო, როგორ ახერხებდა რედაქტორი და ავტორთა ჯგუფი ჟურნალისტიკის, როგორც დარგის განვითარებისთვის საჭირო უმთავრესი პრინციპების დაცვასა და გატანას. ალექსანდრე კალანდაძე აღნიშნავს: „ემყარებოდა რა, მახვილგონივრულ ჟურნალისტიკურ ხერხს, რედაქტორი არასდროს არ რჩებოდა ნეიტრალური, მიუკერძოებელი, პასიური. მკითხველისთვის, ამა თუ იმ ფორმით გასაგები ხდებოდა მისი სახელმძღვანელო აზრი. პეტრე ბაქრაძის წერილისთვის დართულ შენიშვნაში, რომელიც ქებით იხსენიებდა ივანე კერესელიძის პროგრესულ-რადიკალურ სტატიას - „რამდენიმე აზრი კენჭისა“, რედაქტორი იუწყებოდა, - გავიგეთ ჩვენს წინააღმდეგ კრიტიკული წერილის დაწერას აპირებენ თურმე და შინებიათ, არ დაგვიბეჭდავსო; ამაო შიშია; პირადად ჩემს წინააღმდეგ დაწერილ სტატიებსაც გამოვაქვეყნებთ და პასუხსაც გავცემთო. ამ საშუალებით, ჟურნალი, სხვათა შორის, ხელს უწყობდა დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნების შემუშავებას. „ვავითარებთ რა საზოგადოსა ცხოვრებასა, - ვკითხულობთ ერთ წერილში, - გონებასა ჩვენსა არა ჰმართებს არაოდეს მონება და მორჩილება სხვისა ჰაზრთა... უკეთუ წარმოგვიდგენენ სხუათა და სხუათა ჰაზრთა, აღვირჩივეთ, რომლისაცა ჯერ არს... ეს ტაქტიკა (საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვის ორიგინალური ფორმა. განპირობებული იყო იმ ძირითადი ამოცანის შინაარსით, რომელიც ისტორიამ ივ. კერესელიძეს და მის ჟურნალს დააკისრა. რედაქტორმა კარგად იცოდა, რომ უსახსრო, ათვალისწუნებული, პირველი ქართული საზოგაოდებრივი პერიოდული გამოცემის მეთაურს, ისტორიამ ვალად არგუნა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა ეს ჟურნალი და ამით შემდგომი პროგრესის საფუძველი შეექმნა“ [კალანდაძე,1984,43-47].

დღევანდელიდან გამომიდნარე, ჩვენთვის კიდევ უფრო ყურადსაღებია ის აქცენტები, რომლებსაც ავტორი აკეთებს, რადგან თანამედროვე ბეჭდურმა გამოცემებმა დაკარგეს ის არსებითი მახასიათებელი, რომელიც უდავოდ უნდა ჰქონდეს, თუკი რაიმე სახის პრეტენზია აქვს სამომავლო განვითარებაზე, ამიტომ ალექსანდრე კალანდაძის მიერ გაკეთებული ეს შეფასება, რომ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას არც თუ ურიგოდ გაართვა თავი ურთულეს პერიოდში, შეიძლება ითქვას, პირდაპირი მინიშნებაა იმ მოვალეობებზე, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს თითქმის აღარ სრულდება, ამიტომ, ჩვენი აზრით, ალექსანდრე კალანდაძის,

როგორც კრიტიკოსისა და შემფასებლის ტექსტები არათუ კარგავს მნიშვნელობას, არამედ უფრო მეტ ხარისხს იძენს ამ საქმით დაინტერესებულთათვის და ქართული ჟურნალისტიკის გულშემატკივართათვის. აღსანიშნავია მისი უპირობო ობიექტურობა, რომელიც ისევ და ისევ ფაქტებს ემყარება, იგი არ ერიდება გავრცელებული, უდავო ჭეშმარიტებად აღიარებული შეფასებების გადაფასებას და საკუთარი აზრის დაფიქსირებას და წერს: „გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს, ივ. კერესელიძე იოლად დამყოლი, სხვათა გავლენის ქვეშ მყოფი, უნებისყოფო რედაქტორი ყოფილიყოს; სინამდვილეში ზემოაღნიშნული ტაქტიკური პოზიციის შესაბამისად იგი საკმაო პრინციპულობით, დამოუკიდებლად და მტკიცედ ხელმძღვანელობდა ჟურნალს. თუ ხელისუფლების, ცენზურის პირდაპირი ჩარევის ან „მაღალი საზოგადოების“ ისეთი ზემოქმედების ფაქტებს მხედველობაში არ მივიღებთ, როცა საქმე ეხებოდა „ცისკრის“ ყოფნა - არყოფნას“ - ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ალექსანდრე კალანდაძე მოიხმობს, ჩვენი აზრით, საინტერესო ფაქტს და წერს: „ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია „ცისკრის“ რედაქტორის საოცრად პრინციპული დამოკიდებულება გრ. ორბელიანის მიმართ. გრ. ორბელიანი ივ. კერესელიძის მეგობარი და შვილის ნათლია იყო (არა გვგონია, რომ ეს ფაქტი ნაკლებ საგულისხმო და ყურადღებამისაქცევი ყოფილიყო საქართველოში ოდესმე, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნეში - ხაზი ჩვენია) ხოლო იმ პერიოდში კი, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ ინფანტერიის გენერალი გრ. ორბელიანი ჯერ მეფისნაცვლის, ხოლო მერმე თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე იმყოფებოდა.1861 წლიდან გრ. ორბელიანს, რომელიც რეაქციული, დიდგვაროვანი მემამულეების პოზიციებს გამოხატავდა, და წვრილი აზნაურობის ლიბერალურ-პროგრესული ფრთის მეთაურ დიმ. ყიფიანს შორის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა წინამძღოლის არჩევასთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. თუმცა, „ცისკრის“ რედაქტორს დიმ. ყიფიანთან კარგი პირადი ურთიერთობა არ ჰქონდა, თავიდანვე გადაჭრით დაუჭირა მას მხარი, თავისი ჟურნალი, ფაქტობრივად, ამ ჯგუფის ტრიბუნად აქცია, უკომპრომისოდ ჩაერია სარჩევნო ბრძოლაში და ეს კამპანია რადიკალური იდეების პროპაგანდისთვის გამოიყენა წინააღმდეგ გრ. ორბელიანისა და მისი ჯგუფისა [კალანდაძე,1984,51].

ამ ეპიზოდის ასახვით ალექსანდრე კალანდაძე პირუთვნელად იცავს რედაქტორის ობიქტურობას, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ჟურნალი ერთ-ერთი მხარის

ტრიბუნად იქცა, არც იმას ერიდება, ხაზი გაუსვას, რომ რედაქტორი პირადი დამოკიდებულების შესაბამისად იქცეოდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, თანამედროვე გადმოსახედიდან შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ მკითხველს, რომ მის ამ საქციელს არა პირადი კავშირები და ანგარიშები ედო საფუძვლად, არამედ ობიექტური სიმართლე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ამ საკითხზე ასეთი დეტალური საუბარი ნაკლებმნიშვნელოვანიცაა, ერთი შეხედვით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ორი გარემოება, ერთი - ალექსანდრე კალანდაძე არგუმენტირებულად აბათილებს ივანე კერესელიძის შესახებ დამკვიდრებულ უსამართლო შეხედულებას და მეორე, ამ დამოკიდებულებით იცავს უმთავრეს პრინციპს - ამგვარი მოვლენების შეფასებისას საჭიროა ვეყრდონებოდეთ ფაქტებს და არა გადმოცემებსა თუ ლეგენდებს, სხვათა შორის, მას, როგორც მახვილი თვალის მქონე მკვლევარს, არც მსგავსი მოვლენები რჩება ყურადღების მიღმა, როდესაც წერს: „სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კიდევ ბოგინობს ანეკდოტებზე, ეპიგრამებსა და ძველ პოლემიკურ მითქმა - მოთქმაზე დაფუძნებული კურიოზული შეხედულებანი“ [კალანდაძე,1984,53].

მიუხედავად იმისა, რომ ციტატას სრული სახით მოვიხმობთ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ალექსანდრე კალანდაძის ეს შენიშვნა დღეს განსაკუთრებითაა ყურადღება გასამახვილებელი, იმიტომ, რომ თითქოს უნდა მოგვეშალა ეს ყოვლად მიუღებელი მანერა, მაგრამ დღევანდელი ქართული პრესა მხოლოდ მსგავს გადმოცემებსა და ვარაუდებზეა დაფუძნებული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, როგორ აგრძელებს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთი წარმომადგენელი ამავე გზას... „ზოგიერთი მკვლევარი მიმართავს არა უშუალოდ წყაროებს, არამედ ცხარე პოლმიკის პროცესში ცალკეულ მოწინააღმდეგეთა მიერ გამოთქმულ მწვავე და უმრავლეს შემთხვევაში, დაუსაბუთებელ შეხედულებებს. ზოგიერთი ავტორი ჭეშმარიტებად თვლის აკაკი წერეთლის სალაღობოდ ნათქვამ სიტყვებს,თითქოს, რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს ივ. კერესელიძესთვის მოეწეროთ, ჟურნალის მიმართულება არ მოგვწონსო და რედაქტორს ეპასუხნოს, კარგი, აქამდე ხმელეთით ვგზავნიდი, აწი მიმართულებას შევუცვლი და ზღვით გამოგიგზავნითო. დასანანია, რომ მარტივ ადამიანებს პოეტური სილაღე პირდაპირი მნიშვნელობით ესმით და ერთადერთი ქართული ჟურნალის რედაქტორს, დიდ ეროვნულ მოღვაწეს, რომლის მსგავსითაც

ყოველ ერს შეუძლია იამაყოს მთელი ჩვენი კულტურის მაშინდელ მესვეურს, თავის გართობის მიზნით, უმეცარ ადამიანად, თითქმის ბრიყვად სახავენ და ეს იმ დროს, როცა ივ. კერესელიძე ჟურნალ-გაზეთების, პრესის იდეური მიმართულების შესახებ ქართულად დაბეჭდილი პირველი წერილების ავტორია“ [კალანდაძე,1984,36].

სამწუხაროდ, ამ მონაკვეთში აღწერილ ისტორიას დღესაც არაერთხელ მოკრავთ ყურს, როგორც უდავო ჭეშმარიტებას. ჟურნალის მნიშვნელობის, მისი რედაქტორის დამსახურებების და ნაკლოვანებების შესახებ საუბრისას ალექსანდრე კალანდაძე მხოლოდ საკუთარ შეხედულებსა და დასკვნებს არ ეყრდნობა და ესეც უპირველესად იმას მიუთითებს, რომ მისი კრიტიკული ნარკვევების უმრავლესობა ანალიტიკური მუშაობის ნაყოფია და არა პირადი შეხედულებების დემონსტრირება.

ქვეთავში „ხელისმომწერი და მკითხველი“ ავტორი საუბრობს ჟურნალის სამიზნე აუდიტორიის შესახებ და საინტერესო ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს რა ისტორიულ კონტექსტს, საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე. ვფიქრობთ, ეს მასალა დღეს დოკუმენტურობის თვალსაზრისით განსა-კუთრებული მნიშვნელობისაა, ამასთან ასახავს კონკრეტულ ვითარებას, რომლის გარეშეც გამოტანილი დასკვნები ვერ იქნებოდა სრულყოფილი. აშკარაა, რომ თანამედ-როვე მკითხველს აღარაფერი აქვს საერთო ივ. კერესელიძისეული ჟურნალის მკითხველთან, მაგრამ ამაში სათანადო წვლილი სწორედ პირველ თაობებს მიუძღვით. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ პერიოდის რედაქციებმა და რედაქტორებმა ჩამოაყალიბეს ქართველი საზოგადოება მკითხველად, ვფიქრობთ, სწორედ ეს აზრია ხაზგასმული ქვეთავში: „ცისკრის“ რედაქცია და ავტორები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამ ჩამორჩენილი მკითხველებისთვის. როგორც მასწავლებელი სკოლაში ახალმოსულ მოწაფეს უხსნის თითოეული საგნისა და სიტყვის მნიშვნელობას, ასევე „ცისკრის“ თანამშრომლები. თითქმის ყოველ ცნებას ანბანური წესით განუმარტავდნენ თავიანთ მკითხველებს. „საინტერესოა არა მარტო ამ სიტყვების ჩამოთვლა, რომელთა ახსნას რედაქცია აუცილებლად თვლიდა, არამედ ის გულუბრყვილო პედაგოგიური ხერხიც, რომლითაც ეს განმარტებები იწერებოდა. მაგალითად: „აქცია რა არისო, რომ მკითხავ, ჩემო თეიმურაზ, აკი გითხარი, წიგნები და ჟურნალები იკითხე, თორემ ქვეყანა შენ წინ გაგისწრებს და შენ დარჩები მეთქი“, ამას მოჰყვება „აქციის“ განმარტება, რასაც ჟურნალის სამი გვერდი უკავია.... ცხადია, ეს

„მკითხველამდე დახრა“ „ცისკარს“ უარყოფით დაღს აჩნევდა, მაგრამ მისი გამოვლინებები, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარი საანეკდოტო მასალად იყენებს, (მაგალითად: „კრიტიკა არის პატივი ლიტერატურული ხნულისათვის“) როგორც ვხედავთ, რედაქტორისა და ავტორების ჟურანალისტურტალანტზე უფრო მეტყველებს, ვიდრე უმეცრებაზე“ [კალანდაძე,1984, 81-81] .

ხელისმოწერთა შესახებ საუბრისას ალექსანდრე კალანდაძე დეტალური სიზუსტით ასახავს იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს მოჰყავს მეტ-ნაკლებად ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი,რომელშიც ასახულია „ცისკრის“ გამოცემასთან დაკავშირებული ურთულესი პრობლემები, მისი გულშემატკივრები და მოწინააღმდეგეები.

„გარდა იმისა, რომ რედაქტორი განუწყვეტლივ მოგზაურობდა საქართველოს ყველა კუთხეში ხელისმომწერთა მოსაპოვებლად, მას სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის მკითხველებთან, დროდადრო უგზავნიდა მათ დაბეჭდილ შეხსენების ფურცლებს. ასეთი ფურცელი შემონახულია კირ. ლორთქიფანიძის არქივში, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამია: „გთხოვთ დიდის ვედრებით, არ მოაკლოთ კვლავ თქვენი ძვირფასი შემწეობა და ინებეთ ხელის მოწერა მომავალის წლისათვის. ამასთანავე მოგართმევთ განცხადებასა და კვიტანციას.

წასახალისებლად ხელისმომწერებს უფასოდ ეგზავნებოდათ „ცისკრის“ მიერ გამოცემული წიგნები. (სხვათა შორის ამ ბოლო დროს, სწორედ იმავე პოლიტიკას მიმართა ქართული ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობამ წიგნების დამატებით, ასე რომ, ყველაფერი ისევ და ისევ კარგად დავიწყებული ძველი აღმოჩნდა, მეთოდმა ისევ გაამართლა-ხაზი ჩვენია).

საზოგადოების დაინტერესების მიზნით სისტემატურად ქვეყნდებოდა „მაცდუნებელი“ ანონსები: „შევუდექით ბეჭდვას ჩინებულის ფრანცუზის მწერლის ალ. დიუმას რომანისა „მონტე ქრისტო“ და ა. შ“ [კალანდაძე,1984,97].

ეს და სხვა მრავალი დეტალი, რომელიც ყურადღების მიღმა არ რჩება მკველვარს სათანადო წარმოდგენას გვიქმნის იმდროიდელ ვითარებაზე და, რაც მთავარია, სამომავლო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ცალკე ქვეთავი ეთმობა იმდროინდელ ცენზურას, რომლის გათვალისწინების გარეშეც საკითხის სრულყოფილად გააზრებაზე საუბარი წარმოუდგენელია. დღეს უკვე სიახლეს არ არის, რა მძიმე ვითარებაში უწევდათ იმ დროს მოღვაწეობა, თუმცა

ალექსანდრე კალანდაძე ზოგადად კი არ აღწერს ვითარებას, არამედ ამ შემთხვევაშიც დოკუმენტური მასალით ამყარებს მას. ამ მხრივ ეს ქვეთავი განსაკუთრებით საინტერესო მასალას იძლევა დაინტერესებულთათვის, ქვეთავის თითქმის ყველა აბზაცი ინფორმაციული ხასიათისაა, მაგალითად, ცენზორების შესახებ ვკითხულობთ: „ცისკრის" ცენზორები იყვნენ: 1857 -1861 წწ-ში - ეფრემ ალექსი-მესხიშვილი; 1861-1867 წწ-ში - ივ. ყაითმაზოვი; 1871-1873 წწ-ში - ა.პ. მაქსიმოვიჩი. განსაკუთრებით აუტანელი ყოფილა ივ. ყაითმაზოვი" [კალანდაძე,1984,118].

ამ ლაკონურ აბზაცში გადმოცემულია სრული ინფორმაცია და ამავე დროს, შეფასებაც. სხვაგან კი ვხვდებით ავტორის კომენტარს: „ცისკარი" პირველი ქართული პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც თავგანწირული იბრძოდა ჯოჯოხეთური საცენზურო პირობების წინააღმდეგ და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას მოითხოვდა. რედაქციამ კარგად იცოდა, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება საერთო პოლიტიკური თავისუფლების შემადგენელი ნაწილია და მისი მოპოვება მხოლოდ ბრძოლით შეიძლება" [კალანდაძე,1984,119].

გვინდა შევნიშნოთ, რომ ალექსანდრე კალანდაძის ეს განაცხადი დღეს თითქოს არანაირ განსაკუთრებულ გაბედულებას არ შეიცავს, სიახლეს რომ თავი დავანებოთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავტორს თავადაც არანაკლები ცენზურის პირობებში უწევს მასალების გამოქვეყნება, ამის კვალი, რა თქმა უნდა, ემჩნევა ამ გამოცემებს, რომელზედაც დღეს ვსაუბრობთ, არაერთგან შევხვდებით ციტატებს მარქსის ან ლენინის შრომებიდან, ასე რომ, ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ჩვენ მივიღეთ იმ დროისთვის საკმაოდ დიდი გაბედულების მქონე განაცხადი, ასე ვთქვათ, მიმართულება, რომლის, ფაქტობრივად, მოპოვებაც სულ მალე მოინდომა შემდგომმა თაობებმა საბჭოთა საქართველოში. ეს იყო აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, გარდაუვალი რეალობა იყო, მაგრამ ამ რეალობას შემზადება სჭირდებოდა, აზროვნების მიმართულების შეცვლა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და გამომხატველი იყო ალექსანდრე კალანდაძე, თანაც ამას ყოველგვარი ყალბი პათოსურობის გარეშე ახერხებდა, რასაც ადასტურებს კიდეც ჩვენ მიერ მოხმობილი ტექსტი.

ავტორი ვრცლად საუბრობს ქვეთავში „ფსევდონიმები". ამ მხრივ საკმაოდ დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული. ჩამოთვლილი, შესწავლილი და განხილულია ორმოც-

დაათამდე ფსევდონიმი, რომლებიც ამ საკითხით დაინტერესებულთათვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ყოველ მათგანზე დეტალურად არ შევჩერდებით. განვიხილავთ, ჩვენი აზრით, რამდენიმე მნიშვნელოვან მათგანს, აქ საუკეთესოდ გამოვლინდა ალექსანდრე კალანდაძის კრიტიკული ალღო, ამასთან, ყურადსაღებია ფსევდონიმისა და მისი პატრონის ავტორისეული შეფასებაც. „მოლაყბეს“ შესახებ ვკითხულობთ: „ქართულ ლიტერატურაში არც ერთ ფსევდონიმს არ გამოუწვევია ასეთი ცნობისმოყვა-რეობა და აზრთა სხვადასხვაობა; ამ ფსევდონიმის განსაკუთრებული საიდუმლოება ბევრისმეტყველია. იგი იმ დროზე მოგვითხრობს, როცა მძიმე დაბრკოლებებთან ბრძოლაში მკვიდრი საფუძველი ეყრებოდა ქართულ ჟურნალისტიკას, ქართულ რეალისტურ ლიტერატურას. მოლაყბე ამ ბრძოლის მედროშე იყო - რეალისტური კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მამამთავარი“ [კალანდაძე,1984,148].

სწორედ ასეთი შეფასებიდან გამომდინარე შევჩერდით ამ ფსევდონიმზე და მასთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევა - ძიებაზე. ავტორი საუბრობს იმ მცდარ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც ამ ფსევდონიმის მიღმა მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიხ. თუმანიშვილს მოიაზრებდა. ეს მოსაზრება არგუმენტირებულადაა გაბათილებული და ამასთან მკველვარი დარწმუნებით, ისევ და ისევ ფაქტებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „მოლაყბე მხოლოდ ივ. კერესელიძის ფსევდონიმია“ [კალანდაძე,1984,182].

შემდგომ ქვეთავებში ავტორი დაწვრილებით საუბრობს თანამშრომლებზე, რომელთა შესახებ არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მკითხველს, ასევე საინტერესო ქვეთავია „ანონიმები“. ცალკე ქვეთავი ეთმობა - „პუბლიცისტიკას“, რაც ბუნებრვია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სფერო ალექსანდრე კალანდაძის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ყოველთვის, განხილულია „ცისკარში“ წარმოდგენილი პოეტური და პროზაული ნიმუშები და ისინიც ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი. შეფასებულია სალიტერატურო ენა, განხილულია ჟურნალის დახურვის მიზეზები და იმდროოისთვის არსებული ვითარება.

„ჟურნალისტიკის ისტორიის“ III ტომში განხილულია „საქართველოს მოამბე“, შესავალ სიტყვაში ჟურნალის შესახებ ვკითხულობთ: „ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში „საქართველოს მოამბემ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამ ჟურნალის საუკეთესო ტრადიციები დაედო საფუძვლად

ქართული კულტურისა და მეცნიერების მთელს შემდგომ წინსვლას. ეს ჟურნალი გახდა 60-იანი წლების მოწინავე იდეების ცენტრი. მისი მოღვაწეობა, ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვდრეობა ყველაზე მკაფიო დადასტურებაა თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამისა და იდეური მრწამსისა. ბევრი რამ, რითაც ამაყობს ჩვენი ლიტერატურა „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. ილია ჭავჭავაძის რევოლუციურ-დემოკრატიულმა მისწრაფებებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ „ცისკარში“ გაიელვეს, „საქართველოს მოამბეში“ ფართო ასპარეზი ჰპოვეს. თანამედროვეთა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს იყო „პირველი ევროპული ხასიათის ჟურნალი ჩვენში“, რომელმაც ნათელყო საერთოდ პრესის დიდი როლი ხალხის ცხოვრებაში“ [კალანდაძე,1985,5].

ამ შეფასებიდან გამომდინარე, აშკარაა ავტორის დამოკიდებულება ჟურნალის მიმართ, აღნიშნულია ის სამუშაოც, რომელიც ამ ტომში შევიდა. სარჩევი ამ შემთხვევაშიც შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია, სტილი აქაც იგივეა, განხილულია გამოცემის ორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები, ფსევდონიმები, ცალკეული ავტორები (მათ შორის რომანტიკოსები და ილია ჭავჭავაძე) და მათი დაბეჭდვა-გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხები, იმდროინდელი ლიტერტუ-რული კრიტიკის ნიმუშები, საბავშვო ლიტერატურა და მისი ადგილი „საქართველოს მოამბეში“, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი იდეები პუბლიცისტიკაში და ბოლოს, გამოცემის სიძნელეები და დახურვის მიზეზები. ამავე ტომში შედის მასალები „ჟურნალი კრებულის“ შესახებ.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ განსაკუთრებულ მოვლენად მიაჩნია ავტორს და მისი ეს დამოკიდებულება სრულებითაც არ არის გასაკვირი, მაგრამ ალექსანდრე კალანდაძე არც ამ შეფასებებისას ღალატობს თავის პრინციპს, ყოველი მოსაზრება, მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტური მასალებით გაამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს მკითხველს დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა, საინტერესოა ისიც, რომ მოყვანილი აქვს ჟურნალის თანემდროვეთა არა ერთი მოგონება და შეფასება, რაც კიდევ უფრო ღირებულს ხდის შემდგომში გამოტანილ დასკვნებს.

მკითხველი ეცნობა ნიკო ყიფიანის, გიორგი თუმანიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, იონა მეუნარგიას და სხვათა გამოხმაურებას, სწორედ ამ უკანასკნელის გადმოცემის შემდეგ - „მეშჩანურ წრეებში“ ხმა გაუვრცელებიათ - „საქართველოს მოამბეზე“ - დემოკრატიჩესკი ჟურნალი გამოვიდაო,“ - გვთავაზობს ავტორი საკუთარ საინტერესო

შეხედულებას და ამ გამოცემის უმნიშვნელოვანეს შეფასებას, რომელსაც შეუძლებელია დღესაც არ დავეთანხმოთ: „საქართველოს მოამბე“ ჩვენში სრულიად ახალი სახის გამოცემა იყო. რუსეთში, როგორც ცნობილია, იმ დროს უკვე დამკვიდრებული იყო ე.წ. „სქელი ჟურნალი“. მანამდე ყოველთვიური გამოცემები მხოლოდ მხატვრულ-ლიტე-რატურულ და, ნაწილობრივ, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა. 60-იან წლებში ჟურნალის სახე შეიცვალა: მას შესაძლებლობა მიეცა გამოხმაურებოდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს. ადრინდელ განყოფილებებს შეემატა ახალი: „პოლიტიკური მიმოხილვა“, „შინაური მიმოხილვა“, „საზოგადოებრივი ცხოვ-რება“. ლიტერტურულ-საზოგადოებრივი ფელეტონი, წერილები პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. საზოგადოებრვი ცხოვრების განვითარების შედეგად „სქელი ჟურნალის“ ეს ნიშნები 60-იანი წლების დასაწყისში „ცისკარსაც“ დაეტყო, მაგრამ მეტად მკრთალად. 1861 წლამდე იგი, ამ მხრივ, პოლევოის „მოსკოვსკი ტელეგრაფისა“ და ნადეჟდინის „ტელესკოპის“ ფარგლებს არ გასცილებია. „საქართველოს მოამბით“ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ნამდვილი გარდატეხა, ძირეული შემობ-რუნება დაიწყო“ [კალანდაძე,1985,6-7].

აქვე მოვიხმობთ, ჩვენი აზრით, ჟურნალის საეტაპო შეფასებასაც: „ეს იყო პირველი ქართული გამოცემა, რომელიც ნირშეუცვლელად მიჰყვებოდა დასახულ გზას და არავითარ ანგარიშს არ უწევდა განებივრებული მკითხველის ჭირვეულობას; ქართველი ხალხის ეს პირველი მებრძოლი ორგანო მთელი პრინციპულობით ერკინებოდა ყოველგვარ რუტინას, მონურ ქედმოხრას და მორჩილებას. იგი ქართველი ახალგაზრდობის ვაჟკაცური სულით სუნთქავდა.

„საქართველოს მოამბის“ ნომრები დღესაც გვხიბლავს და უთუოდ ყველა თაობას მოხიბლავს თავისი ჭაბუკური ენერგიით, რევოლუციური პათოსით, თმააგონებელი რწმენით, შემართებით და ჭეშმარიტი მებრძოლის თავდაჯერებით. მარკოზის სახარებიდან ამოღებულ შთაგონებასაც, რომელიც „საქართველოს მოამბის“ ყდაზეა წაწერილი, განახლების სული დატრიალებს: „ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოა ზაფხული“ [კალანდაძე,1985,10].

ეს ვრცელი ამონარიდი, რამდენიმე კუთხითაა ჩვენთვის საინტერესო, ალექსანდრე კალანდაძესთან დაკავშირებით საუბრისას, ამ შემთხვავაში ავტორი

ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აკონკრეტებს კიდეც მიზეზს, ამასთან, აქვეა აღნიშნული, ჩვენი აზრით, ერთი მნიშნველოვანი კომენტარი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა, თუ რა მოთხოვნებს უყენებ- და ალექსანდრე კალანდაძე მაღალი დონის ჟურნალისტიკასა და პრესას, ვფიქრობთ, ამ მოსაზრების გათვალისწინება დიდად წაადგებოდა დღევანდელი ქართული პრესის წარმომადგენლებს. ალექსანდრე კალანდაძე აბათილებს დღეს გავრცელებულ შეხედულებას, რომ ტელევიზია და პრესა მხოლოდ იმას ქმნის, რისი მოთხოვნაცაა ხალხში, შეიძლება ის ამას აკეთებდეს კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ მეტი შეუძლია და, რაც მთავარია, მოეთხოვება. სწორედ იმიტომ, რომ „საქართველოს მოამბე“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე - „არავითარ ანგარიშს არ უწევდა განებივრებული მკითხველის ჭირვეულობას“ შედგა კიდეც პირველი ქართულ - ევროპული ხასიათის ჟურნალი თავის დროზე. და ბოლოს, ისევ ამავე ამონარიდიდან ალექსანდრე კალანდაძე არ ეპუება საბჭოთა ეპოქას და მის საამებლად არ ჩქმალავს ფაქტებს, სწორედ ამიტომ მიაქცევინებს მკითხველს განსაკთრებულ ყურადღებას ჟურალის წარწერაზე სახარებიდან, ფაქტია, ამას აკეთებს არა პირდაპირი პროპაგანდის გზით, ეს მას არ ახასიათებდა, მაგრამ აკეთებს ისევ და ისევ მისთვის ჩვეული ანალიზითა და შეფასებით, რომელიც აუცილებლად დაგამახსოვრდებათ - „განახლების სული დატრიალებს“ - ავტორის მიერ გაკეთებული კომენტარი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საუკეთესო განმარტებაა ამ სახარებისეული ფრაზის დანიშნულებისა.

ავტორი ასახავს იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც უწევდა ქართულ პრესას არსებობა და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი გამოცემა გმირობის ტოლფასი იყო: „ქართველი მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა მძიმე, უმადური და დაუფა-სებელი შრომა იყო; ესეც თავის ბეჭედს ასვამდა ჩვენი მწერლობის განვითარებას. ქართული ჟურნალის რედაქციას თანამშრომელთათვის ჰონორარის გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა.

რაკი ჟურნალს დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა და მისი არსებობა მთლიანად ხელისმომწერთა თანხაზე იყო დამოკიდებული, რედაქტორი იძულებული ხდებოდა, ზოგიერთი უნიჭო და ჩამორჩენილი მთხზველისთვის ანგარიში გაეწია და მისი კალმის ნაყოფისთვის ჟურნალის ფურცლებზე ადგილი დაეთმო. ლიტერატურის ამ მოტრფიალეებს თავიანთი თაყვანისმცემლებიც ჰყავდათ და

მათთვის უარის თქმა ხელისმომწერთა საგრძნობი ნაწილის ჩამოშორებას გამოიწვევდა.

მაშინდელი განებივრებული ავტორები, რომელთაც ქართული ჟურნალისთვის რისამე დაწერა დიდ მოწყალებად მიაჩნდათ, პირად შეურაცხყოფად იღებდნენ, თუ მათი ნაწერი არ დაიბეჭდებოდა და არავითარ სისაძაგლეს არ ერიდებოდნენ ჟურნალის დასაღუპავად. ამ ნიადაგზე „შეურაცხყოფილი ავტორები“ შურისძიების ათასგვარ საშუალებას მიმართავდნენ [კალანდაძე,1985,21].

ეს გახდა კიდეც „ცისკრის“ დახურვის ერთ-ერთი მიზეზი. ამიტომ ალექსანდრე კალანდაძე ხაზგასმით აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის ალღოსა, უნარიანობას და წერს: „ასეთ პირობებში იმ მიმართულების ჟურნალის დაარსება და შენარჩუნება, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა განზრახული განსაცვიფრებელ ენერგიას, ცოდნას, ნიჭს და თავდადებას მოითხოვდა“ [კალანდაძე,1985,22].

აქვე გვაწვდის გამოცემის წარმატების მისეულ ახსნასაც: „მის წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ იგი ბრწყინვალედ იცნობდა რუსეთის მოწინავე ჟურნალისტიკასა და ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას; გათვალისწინებული ჰქონდა ის სიძნელეები, რომლებიც წინანდელი ქართული გამოცემების ნაკლოვანებებს იწვევდა, კარგად ერკვეოდა სამშობლო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დეტალებში და მთელი თავისი მოსამზადებელი მუშაობაც ამ ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად გაშალა“ [კალანდაძე,1985,23].

აქვე მიუთითებს მეორე მნიშვნელოვან და ჩვენი აზრით, გადამწყვეტ ფაქტორსაც, არგუმენტად კი პეტრე უმიკაშვილის წერილს მოიხმობს, რომელიც თავის მხრივ საინტერესო მასალას წარმოადგენს ამ საკითხით დაინტერესებულთათვის: „უპირველესი ფაქტორი, რომელსაც ილიამ საქმის დასაწყისშივე ყურადღება მიაქცია, იდეურ თანაგრძნობათა და თანამებრძოლთა წრის შექმნა იყო. მისი რწმენით ახალი ჟურნალი ამ წრეს უნდა დაყრდნობოდა. ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართული ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ უმჯობესია ამის თაობაზე მოვუსმინოთ პ. უმიკაშვილს, მით უმეტეს, რომ უმიკაშვილის ეს წერილი თვითონ ილიას დავალებითაა დაწერილი.

პ. უმიკაშვილი წერს: „ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ლიტარატურის იმ მხარეს, რაც ლიტერატურას აძლევს დიდს ღონესა და შეადგენს სხვა უპირველესთ საჭიროებას: ეს საჭიროებაა: შერთება ლიტერატორებისა და არალიტერატორებისა

მწერლობის წინ წაყვანისთვის, გავრცელებისათვის, გამდიდრებისათვის...

რაკი ახალ საფუძველს უნდა დამყარებოდა ჩვენი მწერლობა და მწერლები, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა, რომ სხვა მხრითაც ჟურნალი ისევ იმ საფუძველზე ყოფილიყო, ესე იგი, მთელი შრომა ჟურნალისა ერთ კაცს გაეწია. ეს ორივე მხარე ერთმანეთთან არის შეკავშირებული და ამის გამო ჭავჭავაძეს უნდოდა შეეერთებინა რამდენიმე კაცის შრომა ერთადა, ისე იმ გვარად, როგორც რუსეთში და ევროპაში შრომობენ ჟურნალ-გაზეთისათვის... ამგვარად, რამდენიმე კაცი ერთად აპირებდა მუდმივ შრომასა. ამგვარად ჟურნალს გარს უნდა მოხვეოდნენ ლიტერატურის კეთილმოღვაწენი და ერთმენთის შემწეობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულ ხარისხზედ" [კალანდაძე,1985,23-24].

უმიკაშვილის წერილის ციტირებით ალექსანდრე კალანდაძე მკითხველს აწვდის ავთენტური მდგომარეობის სურათს, რადგან ამ ვითარებაში გარკვევის გარეშე შექმნილი წარმოდგენა არ იქნებოდა სრულყოფილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკის უბადლო მცოდნე, იმ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებმაც განსზღვრა ი.ჭავჭავაძის, როგორც ნოვატორი რედაქტორის წარმატება.

ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება „საქართველოს მოამბის" გამოცემასთან დაკავშირებული განცხადება, მოიხმობს, როგორც ფაქტობრივ მასალას.

შემდგომ ნაწილში ყურადღება ეთმობა „საქართველოს მოამბეში" ფსევდონიმების საკითხს, როგორც ჩანს, ეს მასალა იმთავითვე არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა ქართველ კრიტიკულ საზოგადოებაში, ამიტომ ალექსანდრე კალანდაძე ვრცელ მსჯელობას უთმობს, მაგალითად, „ღაღანიძის" ფსევდონიმს, რომელიც მისი აზრით, საბოლოოდ დასაბუთდა კიდეც, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა. ვფიქრობთ, ზაქარია ჭიჭინაძესთან ამ საკითხის ირგვლივ არსებულ პოლემიკას ცოტა არ იყოს დიდ დროს უთმობს ავტორი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიზეზი არა იმდენად საკუთარი ავტორიტეტის დაცვაა, რამდენადაც საკითხის ირგვლივ საბოლოო მართებული გადაწყვეტილების გამოტანა. ისიც ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძის მიერ ჩატარებული კვლევები ზოგადად ფსევდონიმების ირგვლივ, წარმოადგენდა მეცნიერულ სიახლეს და ძირითადად დღესაც მისი მიგნებებით და დასკვნებით ხელმძღვანელობენ ამ საკითხით დაინტერესებული პირები.

აქვე მოყვანილია ცნობები ისეთი ავტორების შესახებ, რომლებსაც დღეს უკვე

ნაკლებად იცნობს მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ვიწრო პროფილით დაინტერესებულთათვის ალექსანდრე კალანდაძემ ამ მხრივაც მნიშვნელოვანი მასალა შეაგროვა და დატოვა. იგი ცალ-ცალკე განიხილავს ისეთ ავტორებს და მათ შემოქმედებას, რომლებიც იმ დროს იბეჭდებოდნენ „საქართველოს მოამბეში“, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს: სულხან ბარათაშვილი და მისი „საქართველოს ისტორია“, დავით ყიფიანი, რომელმაც 1862 წელს ვაჟთა კერძო პანსიონი დაარსა თბილისში, ავტორი ამ ფაქტთან დაკავშირებითაც დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს განაცხადს, პეტრე ნაკაშიძე, ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კალანდაძე ხაზს უსვამს ნაკაშიძის ნოვატორულ საქმიანობას „საქართველოს მოამბეში“ და წერს: „პეტრე ნაკაშიძის ნარკვევი (სამგზავრო წერილები) ფართოდ გამიზნული თხზულების დასაწყისია. ავტორს განზრახული ჰქონია, მოგზაურის შთაბეჭდილებების საბაბით, გადმოეცა ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. სამწუხაროდ, ჟურნალმა მხოლოდ „პირველი წიგნის“ გამოქვეყნება მოახერხა. პირდაპირი ცნობა, თუ რატომ არ დაიბეჭდა მომდევნო ნაწილები („წიგნები“) არ მოგვეპოვება. არ ვიცით, გამოგზავნა თუ არა ავტორმა ეს წერილები თბილისში და, თუ გამოგზავნა, რა ბედი ეწია მათ... ეს „ტურისტული მარშრუტი“ დიდად საყურადღებოა, რადგან მასში მთავარი ადგილი უკავია იტალიასა და პოლონეთს, ე.ი. იმ ქვეყნებს, სადაც 60-იან წლებში გაჩაღებული იყო ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა და საითკენაც გული მიუწევდა ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს.

პეტრე ნაკაშიძე რომ ჟურნალის კონკრეტულ დავალებას ასრულებდა უეჭველია. თვითონვე სწერს ილიას: „მინდა ჩემი მოგზაურობა შენს „მოამბეს“ ვუამბოო. ქართული პრესის ისტორიაში იგი პირველი კორესპონდენტია, რომელიც ცოცხალ, ორგინალურ რეპორტაჟს გზავნის უცხოეთიდან“ [კალანდაძე,1985,99].

ასე რომ, ბუნებრივია, ალექსანდრე კალანდაძის მიერ დათმობილი განსაკუთრებული ყურადღების მიზეზიც იყო ახალი სიტყვა ქართულ ჟურნალისტიკაში და ფაქტია, რომ მისი დონის მკვლევარსა და მეცნიერს ეს ამბავი არ გამორჩებოდა. ასევე ვიღებთ ინფორმაციებს მიხეილ ყიფიანის, ლევან ჯანდიერის, გრიგოლ ორბელიანის, ესტატე მაღალაშვილის, გიორგი ჩიქოვანისა და სხვათა მოღვაწეობის შესახებაც.

შემდგომ თავში განხილულია მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ამ ჟურ-

ნალში ქვეყნდებოდა. აღწერილია სტამბის ვითარება, იმდროინდელი ცენზურა, მის მიერ შექმნილი დაბრკოლებები და მასთან ბრძოლის ილიასეული მეთოდები, ეს ყოველივე სრული სურათის შექმნას უწყობს ხელს და იმ პერიოდის ჟურნალისტიკით დაინტერესებულ პირებს აწვდის საინტერსო მასალას და არამხოლოდ, რადგან აქაც, როგორც ყველგან, ალექსანდრე კალანდაძე გვაწვდის პროფესიონალურ ანალიზს და შეფასებებს.

ნაშრომის IV ტომში განხილულია ჟუნალისტიკით განვითარების შემდგომი ეტაპები. ჟურნალი „მნათობი" და „ივერია". პრინციპი იგივეა, როგორიც წინა ტომებში, - განხილული გამოცემის ისტორია, მასში შემავალი მასალა, ავტორები, სარედაქციო კოლეგია, ცენზურა და ა.შ.

ალექსანდრე კალანდაძე ვრცელ მასალას გვაწვდის „მნათობის" რედაქტორის, ნიკო ავალიშვილის როგორც ბიოგრაფიულს, ისე მისი მოღვაწეობის შესახებ. ნაშრომში მასზე ვკითხულობთ: „საზოგადოების აღტაცება გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული კულტურის ასპარეზი იმ დროს მწვავედ განიცდიდა საქმიანი, ენერგიული, პრაქტიკული, მოღვაწეების ნაკლებობას. მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით საყვედურს - ვყაყანებთ, ვლაპარაკობთ, გეგმებს ვადგენთ, საქმის გამკეთებელი, განმხორციელებელი კი არავინ არისო. ნ. ავალიშვილში თანამემამულეებმა უმალ იგრძნეს სწორედ ეს პრაქტიკული მოღვაწეობის უნარი, ენთუზიაზმი და ენერგია" [კალანდაძე,1986,33].

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟურნალის საქმიანობას განსაკუთრებით აფერხებდა ცენზურა, მოყავს რა რამდენიმე მაგალითი: „მოგვიანებით დაწერილ ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში ნიკო ავალიშვილი ამბობს: „იმ დროს ცენზურა მძვინვარებდა ჩვენში და ეს ბევრს უშლიდა ჩვენს მწერლობაში მკაფიოდ აზრის გამოთქმას. ბევრი წერილი, მეტადრე საჟურნალო (პუბლიცისტური - ა. კ.), წითელი მელნით დაუნდობლად მახინჯდებოდა ან სულაც ესალმებოდა ქვეყანას".

აქედან გამომდინარე ასკვნის, ამ მძიმე ვითარებამ იმდენად დააზარალა ჟურნალი, რომ რთულია უტყუარი შეფასებების გამოტანა გამოცემის იდეოლოგიური მიმართულების შესახებ, მოგვყავს მისივე ციტატა: „ამ ვითარებაში შეუძლებელია ჟურნალ-გაზეთის მიმართულებაზე ანონსების, სარედაქციო პროსპექტების, ოფიციალური პროგრამისა და თუნდაც საპროგრამო წერილების მიხედვით ვიმსჯელოთ,

რადგან პროგრამები შეიცავდა ტრაფარეტულ, სავალდებულო დოგმებს, რის გარეშეც ხელისუფლება ნებას არ დართავდა, ხოლო დაბეჭდილი მასალის შინაარსი და იდეური კურსი აფართოებდა კიდეც ოფიციალური პროგრამის ჩარჩოებს.

აქედან გამომდინარე, „მნათობის“ მიმართულებაზე პასუხი უნდა მოგვცეს არა მარტო გამოქვეყნებული მასალის პირდაპირმა განხილვამ, არამედ ხელნაწერებთან შეჯერებამ, პარალელურ ორგანოებთან შედარებამ და ავტორთა ჩანაფიქრის ამოშიფვრამ. ამასთან, პუბლიცისტური მასალა საძიებელია ჟურნალის ყველა განყოფილებაში“ [კალანდაძე,1986,46].

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „მნათობისა“ და მისი რედაქტორის დამოკიდებულებას ქართულ თეატრთან, რაკი ეს იყო კიდევ ერთი ასპარეზი ქართული აზროვნების განვითარებისათვის იმ პერიოდში. კრიტიკოსი ამგვარ შეფასებას აძლევს მის საქმიანობას: „მაშასადამე, ნიკო ავალიშვილი საგანგებო ყურადღებას აქცევდა თეატრის პატრიოტულ, მორალურ, განმანათლებლურ, მამხილებელ როლს და ყოველივე ამას მაშინ ჰქონდა როგორც ზოგადი თეორიული მნიშვნელობა, ისე წმინდა პროპაგანდისტული მიზანიც – საზოგადოებრივი აზრის მომზადება ქართული თეატრის აღდგენის სასარგებლოდ... „მნათობმა“ ქართული თეატრის მნიშვნელობა პირველსავე ნაშრომებში მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს, თეატრი ქართული ენის დაცვის ბურჯად გამოაცხადა. „თეატრი აუცილებელია ქართველი ხალხის გონების განსავითარებლად, ზნეობის გასაფაქიზებლად, აზროვნების ასამოძრავებლად და ყველაზე უმეტესად კიდევ, ენის შესანარჩუნებლად“ [კალანდაძე,1986,210].

ამ შემთხვევაში ალექსანდრე კალანდაძე ხაზს უსვამს სწორად მართული სარედაქციო პოლიტიკას, რომ იგი არ იზღუდება მხოლოდ ვიწრო პუბლიცისტური მიმართულებებით და მონაწილეობას ღებულობს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და პოპულარიზაციაში, ისიც ფაქტია, რომ ეს ყოველივე ისევ და ისევ ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, ამასვე აკეთებს „ჟურნალისტიკის ისტორიის“ ავტორიც, რომელიც, მიუხედავად ეპოქის მიერ შექმნილი ვითარებისა, როდესაც სრულიად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ქართული ეროვნული ღირებულებების ხაზგასმა, გვერდს არ უვლის მათ, ხარკს არ უხდის იმპერიას.

ამავე პრინციპით საგანგებოდ აღნიშნავს, შემდეგ საკითხსაც: „რედაქციას კარგად

ესმოდა მხატვრული მეტყველების სპეციფიკა და, როგორც ქართული ენის საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი, ნ. ავალიშვილი თავის კრიტიკულ წერილებში მიუთითებდა არა მარტო გრამატიკულ შეცდომებს - რომ „ქართულ ნაწერში ფეხს იკიდებს“ ბარბარიზმები, პროვინციალიზმები და სხვა, არამედ მსჯელობდა ენის ჟანრობრივ თავისებურებებზე, ეროვნულ, კუთხურ, პროფესიულ კოლორიტზე“ [კალანდაძე,1986,237].

დღევანდელი გადმოსახედიდან ავტორის ეს შენიშვნა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რადგან თანამედროვე პრესა და მედია ყველაზე უფრო მეტად სცოდავს ქართული ენის წინაშე, ეს აღარვისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, ამიტომ სასურველია, ამ კუთხითაც გავითვალისწინოთ ალექსანდრე კალანდაძის, როგორც პროფესიონალის დამოკიდებულებები.

საინტერსოა, ალექსანდრე კალანდაძის მოსაზრება ჟურნალის დახურვის უმთავრეს მიზეზთან დაკავშირებით: „პოლემიკის გამწვავებამ „მნათობის“ ჩარხი უკუღმა დაატრიალა. ანტ. ფურცელაძესა და რედაქციის დანარჩენ წევრთა შორის განხეთქილება წარმოშივა, რამაც სულ მალე, ჟურნალიც გადაიყოლა. თითქმის შესრულდა „დროება - კრებულის“ წინასწარმეტყველება - ანტ. ფურცელაძე „მნათობს“ შეიწირავსო [კალანდაძე,1986,238].

საბოლოოდ, ალექსანდრე კალანდაძე საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ჟურნალს: „ამრიგად, „მნათობმა“ დიდი გამოცოცხლება და სიახლე შეიტანა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ყველა სფეროში, ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, წამოჭრა და საკუთარი თვალთახედვით გააშუქა ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, გაამდიდრა ჩვენი ხალხის სულიერი მემკვიდრეობა ისეთი ნაწერებით, რომლებიც არასოდეს დაკარგავენ ისტორიულ მნიშვნელობას.

„მნათობმა“ სერიოზული წვლილი შეიტანა ჩვენი ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკის, მწერლობის განვითარებაში, მტკიცე გზაზე დააყენა ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული ქართული თეატრი, სათავე დაუდო ქართულ რეალისტურ თარგმანს“ [კალანდაძე,1986,239].

გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე კალანდაძის ეს შეფასება სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენონ თანამედროვეობაში რედაქტორებმა და ქართულ

პერიოდიკას მთავარი ფუნქცია დაუბრუნონ, სწორედ ეს არის ალექსანდრე კალანდაძის შეფასებების განსაკუთრებულობა, იგი არასდროს კარგავს აქტუალურობას.

წიგნის შემდეგ ნაწილში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემა, როგორიც ილია ჭავჭავაძის „ივერია" იყო. პრინციპი მეორდება. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რამდენიმე დაკვირვება, რომელსაც წარმოადგენს ალექსანდრე კალანდაძე ჟურნალისტიკის განვითარების თვალსზრისით, ეტაპები, რომლებიც ამ პერიოდში გაიარეს, როგორც ზოგადად ქართულმა გაზეთებმა, ისე მათმა რედაქტორებმა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს დღევანდელობისთვისაც საინტერესო, მაგრამ იმ დროისთვის აშკარად ნოვატორულ მიდგომაზე, რომელიც „ივერიის" რედაქციაში გამოჩნდა: „მკითხველებსა და თანამშრომლებთან ცოცხალი ურთიერთობის დასამყარებლად რედაქტორმა შექმნა საგანგებო განყოფილება „ივერიის" ფოსტა, რომელშიც ქვეყნდება მოურიდებელი, ხშირად მკაცრი განაჩენი შემოსულ მასალებზე. „უფ. მოგლეჯილაძეს: „თუ ადამიანს ჰკიცხავთ, მისი საბუთი, საქმე და ნამოქმედარი გვაუწყეთ... ლანძღვას ჩვენს გაზეთში ადგილი არა აქვს." ი. ჯ. ს.: თქვენი წერილი უსარგებლოდ დიდია... თქვენ მარტო წერილით არ გიცნობთ, თქვენი ღვაწლი ცნობილი გვაქვს, პასუხზე არ დაგვემდუროთ და თქვენი შრომა ამის გამო არ მოგვაკლოთ..." [კალანდაძე,1986,257-258].

ვფიქრობთ, ალექსანდრე კალანდაძემ ამჯერადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს მოჰფინა ნათელი, - ეს იყო მიდგომა, რომელიც წარმატებით შეეძლო გამოეყენებინა მთელ შემდგომ ჟურნალისტიკას, როგორც სწორად წარმართული კომუნიკაციის მაგალითი.

ავტორი ვრცლად ეხება „ივერიასთან" დაკავშირებულ პრობლემებს. მას ნაშრომში მოხმობილი ამ საკითხზე უკვე არსებული მნიშვნელოვანი კვლევები, მათ შორის ნოდარ ტაბიძის, გუგუშვილისა და პავლე ინგოროყვას ნაშრომები. ალექსანდრე კალანდაძე შესაბამის ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ასკვნის: „ლ. ისრაილოვის (იყვნენ სხვებიც - ხაზი ჩვენია) საიგავოდ ქცეული ცენზორობა დიდ ზიანს აყენებდა „ივერიას". რედაქციის თანამშრომლები ათასგვარ საშუალებას მიმართავდნენ მისი გულის მოსაგებად, ხან ეფერებოდნენ, ხან ემუქრებოდნენ, რათა ორიოდე სიტყვა მაინც გადაერჩინათ მისი ულმობელი კალმისგან" [კალანდაძე,1986,364].

რაც შეეხება პუბლიცისტიკას, მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ივერიამ" ამ მხრივად კოლოსარული შრომა გასწია, თუმცა ყურადღების მიღმა არ რჩება ის ნაკლოვანებები,

რომლებიც ჰქონდა გამოცემას, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ „მთელ რიგ შემთხვევებში რედაქციას სწორად არ აქვს განსაზღვრული ჟანრი, რუბრიკა, ამიტომ მასალათა ჟანრობრივი კლასიფიკაციისას ყოველთვის ვერ დავეყრდნობით რედაქციის დასკვნას“ [კალანდაძე,1986,315].

საბოლოოდ, „ივერიის“ შეფასებისას ავტორი ასკვნის: „მისი (ივერიის) ინფორმაციები არათუ მაშინ, დღესაც ჭეშმარიტი ინტერესით იკითხება. ინფორმაცია მიწოდებულია გონებამახვილურად, დასკვნის ან სხვადასხვა დამატებითი მნიშვნელობის დეტალთა ხაზგასმით.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამშრომლები სათავეში ედგნენ მაღალი ჟურნალისტური ეთიკის დამკვიდრებისთვის ბრძოლას. ავტორის სტილი გამოცემის ზნეობრივი პოზიციის გამოხატულებად მიაჩნდათ. ამის ნაყოფია, რომ ცხარე პოლემიკურ წერილებშიც კი „ივერია“ თავშეკავებულია, მტკიცედ იცავს ლიტერატურული კულტურის მოთხოვნებს“ [კალანდაძე,1986, 322].

ამავე ტომში განიხილავს ავტორი თუმანიშვილის „ალმანახს“ - მიაჩნია, რომ იგი: „შემთხვევით არ მოვლინებია ჩვენს ლიტერატურას. როგორც ვნახავთ, იგი ახალი ჟურნალის ან გაზეთის წინამორბედად უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული“ [კალანდაძე, 1986,484]. თუმცა ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება მისი რედაქტორის უსაფუძვლო დაპირისპირება ილიასთან და „ივერიასთან“. განიხილავს პუბლიცისტიკას, პოეზიას, თარგმანებს, რომლებიც ქვეყნდებოდა „ალმანახში“.

ამავე ტომშია შესული ალექსანდრე კალანდაძის მიერ მოპოვებული მასალა გაზეთ „შრომის“ და ჟურნალ „იმედის“ შესახებ.

„ჟურნალისტიკის ისტორიის“ V ტომი ეთმობა გაზეთ „დროებას“ და „თეატრს“. ქვესათაურში „რედაქტორი“ „დროების“ შესახებ ალექსანდრე კალანდაძე ჩამოთვლის ხუთივე რედაქტორს, რომლებიც წლების განმავლობაში ჰყავდა გაზეთს და აღნიშნავს, რომ მისი არსებობის განმავლობაში: „მათ აერთიანებდათ იდეური მიმართულება, ძირითადი ჟურნალისტური პრინციპები, ამასთანავე, თითოეულს ჰქონდა თავისი ღირსება-ნაკლოვანებები, მოღვაწეობის საკუთარი სტილი და მანერა“ [კალანდაძე,1987, 19].

თავმოყრილია ვრცელი მასალა. ავტორი დეტალურად გადმოგვცემს ინფორმაციას ხუთივე რედაქტორის პერიოდის შესახებ. დალაგებულია ქრონოლოგიური

თვალსაზრისით: წერეთელი, მესხი, ღორთქიფანიძე, ჭავჭავაძე, მაჩაბელი.

ასევე ცალ-ცალკეა განხილული ყველა იმ ავტორის შემოქმედება, რომელიც სხვადასხვა დროს, რაიმე სახით თანამშრომლობდა „დროების“ რედაქციასთან; არსებული დაპირისპირებები თუ უთანხმოებები. ცენზურის მიერ შექმნილი დაბრკოლებები და სარედაქციო პოლიტიკა.

ავტორი ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ილიას, აკაკისა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა შესახებ. გვიჩნდება აზრი, რომ მას უწევს ამ ტომში კიდევ ერთხელ გაიმეოროს ის საკითხები, რომლებიც უკვე სიახლე აღარ არის თვით ალექსანდრე კალანდაძის მკითხველისთვის, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ამის მიზეზი ისევ და ისევ იმ პირინციპის დაცვა იყო, რა სქემაზეც აიგო „ჟურნალისტიკის ისტორიის“ ხუთტომეული. ტომის ბოლო ნაწილი ეძღვნება „თეატრს“. განხილულია სარედაქციო - ტექნიკური მუშაობის საკითხები, ფსედონიმები, თანამშრომლები, ცენზურა, პუბლიცისტიკა, მხატვრული ლიტერატურა.

ვფიქრობთ, ალექსანდრე კალანდაძის პუბლიცისტურმა და ლიტერატურულ-კრიტიკულმა მემკვიდრეობამ ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; ქართული მწერლობის ახლებურად და ორიგინალურად გააზრების საშუალება მოგვცა. მეცნიერის შემოქმედებაში ხაზგასმულია კრიტიკის რევოლუციური ბუნება. მისი დატვირთვა, შეზღუდვა რაიმე პრინციპით მკვლევარს მიუღებლად მიაჩნია. ალექსანდრე კალანდაძე მწერლის შეფასებისას ამოსავლად მიიჩნევს მის მიერ საკუთარი, ინდივიდუალური გზის გაჭრას, მიმბაძველობისადმი წინააღმდეგობას, მოძველებულისა და ცრუ სიახლეებისაგან თავის დაღწევის უნარს, დაუცხრომელ სწრაფვას გაუსწროს დროს, არ მოსწყდეს სიახლეებს, ჰქონდეს თავის რწმენა, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნოს მიღწეულისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.მკვლევრისთვის ტემპერამენტი, შემოქმედის ღირსება-შეფასების პრინციპული კრიტერიუმია. რადგან დარწმუნებულია, რომ მისი გამოგონება ან შეთვისება არ შეიძლება. კრიტიკოსი აღნიშნავს იმასაც, რომ სწორედ ტემპერამენტი განაპირობებს სიტყვათა და წინადადებათა ინტონაციურ მრავალფეროვნებას, სამყაროს განცდისა და ხედვის ჟღერას, იერსახეს, ფიქრისა და გრძნობის სიმკვეთრეს. მისთვის მიუღებელია სახეების პრეთენზიულობა, მანერულობა და სალონური არტისტიზმი. ალექსანდრე კალანდაძე თვითმყოფადი ფილოსოფიური ხედვის მკვლევარია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალექსანდრე კალანდაძემ, როგორც მეცნიერმა და კრიტიკოსმა უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა. გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ის პროფესიონალიზმი, რომლითაც შესრულებული აქვს კოლოსალური ხასიათის შრომა, დღემდე იწვევს აღფრთოვანებას. საკვალიფიკაციო ნაშრომში შევეცადეთ სრული სახით წარმოგვეჩინა მისი დამსახურება ქართული მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერების წინაშე. ფაქტია, რომ მნიშვნელობის სრულყოფილად წარმოჩენა არც თუ ისე მარტივი საქმე გახლდათ და ეს საკითხი კვლევის გაგრძელების თვალსაზრისითაც არ კარგავს აქტუალობას.

დასკვნა

საკვალიფიკაციო ნაშრომი - „ალექსანდრე კალანდაძე - მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე“ - არის მცდელობა, ერთ მთლიანობაში წარმოვადგინოთ ალექსანდრე კალანდაძის ზობოქარი ცხოვრება, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდ-რეობა, ლიტერატურული აზროვნება.

წამოწეულია ყველა ის პრინციპი და დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს მეცნიერის, ლიტერატურისმცოდნის, მწერლის ნაშრომებს. ალექსანდრე კალანდაძის ნაღვაწს ვაანალიზებთ და ვაფასებთ თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის პოზიციებიდან, ასახულია ის უდიდესი წვლილი, რომელიც ალექსანდრე კალანდაძ-ეს მიუძღვის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურათმცოდ-ნეობის განვითარებაში. რაც შეეხება საკვალიფიკაციო ნაშრომში ჩვენ მიერ გამოტა-ნილ დასკვნებს, მას შემდეგი ხასიათი აქვს:

ძნელია,მოიძებნოს ერის სულიერი ცხოვრების ესა თუ ის სფერო, რომელსაც ალექსანდრე კალანდაძე არ შეხებოდეს. ღრმად განსწავლული, ერუდირებული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე საფუძვლიანად იცნობდა ქართულ და ევროპულ ლიტერატურას, ზედმიწევნით ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას. თვალს თუ გადავავლებთ მის მემკვიდრეობას, დავრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან, რომლის ნაფიქრალი და ნააზრევი ყურადღებას იქცევს სიახლით, პრობლემატურობით.

განვიხილეთ მისი მხატვრული შემოქმედების, ჩვენი აზრით, გამორჩეული და მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შემდეგაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალექსანდრე კალანდაძემ, როგორც მწერალმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების საქმეში, კერძოდ, მან შეძლო რამდენიმე ღირებული რომანის შექმნა. ჩვენი აზრით, მათ უმთავრეს ღირსებას დოკუმენტურობა წარმოადგენს, რადგან თითქმის ყველა შექმნილია რეალურ, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ამასთან, დოკუმენტურობა დარჩა მხოლოდ მხატვრულის საყრდენად.

აქვე გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ალექსანდრე კალანდაძე უდავოდ ნიჭიერი მწერალია, თუმცა მის მრავალრიცხოვან მხატვრულ ტექსტებში გვხვდება, მეტნაკლებად, სხვადასხვა დონის, სიძლიერის ქმნილებები. კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ მათს ძლიერსა და სუსტ მხარეებზე.

საქართველოს ისტორიის XVIII საუკუნის მოვლენებს ასახავს ალექსანდრე კალანდაძის რომანი „ნეიშნის ფიცი“. XVIII საუკუნის ბოლოს დოკუმენტურად გაფორმდა და დაკანონდა წინა საუკუნეებში (XVI–XVII) ჩასახული და მომწიფებული ეროვნული პოლიტიკის ორიენტაცია, რომელმაც მომავალში არსებითი გავლენა იქონია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, XVI საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს საგარეო - პოლიტიკურ ორიენტაციას განსაზღვრავდა აღმოსავლურ-მაჰმადიანური დესპოტიზმისაგან განთავისუფლების მისწრაფება. ქართველი პოლი-ტიკოსები ევროპასთან კავშირით იმედოვნებდნენ ქვეყნის დაწინაურებას, გაერთია-ნებასა და მიტაცებული მიწა-წყლის შემოერთებას. ამ მიზნით, XVIII საუკუნის დასაწყისიდან მყარდება დიპლომატიური კავშირი საფრანგეთთან, იტალიასთან და ძლიერდება მიდრეკილება რუსეთისაკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიბრუ-ნება. ევროპული ორიენტაცია იმთავითვე ბევრად უფრო ფართო შინაარსს ატარებდა, ვიდრე ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაა. პოლიტიკური ორიენტაცია თავისთავად გულისხმობდა სიღრმისეულ მოვლენებს, კულტურულ ორიენტაციასაც. XVIII საუკუნეს – „განმანათლებელთა საუკუნეს“, „გონების საუკუნეს“ უწოდებენ ევროპაში. რუსეთი პეტრე I–ის რეფორმების შემდეგ მტკიცედ დაადგა ევროპული ცივილიზაციის გზას. ამიტომ კურსი ევროპისაკენ, რუსეთისაკენ შინაგანად შეგრძნო-ბილი, ღრმად გააზრებული ორიენტაციაც იყო. ეს არის „ნეიშნის ფიცის“ პრინცი-პულად ახალი ისტორიული კონცეფცია, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში აშკარად წარმოჩნდება. ალექსანდრე კალანდაძემ რთული იდეურ-მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად აირჩია ისტორია, რომელიც ცოცხალი სინამდვილით განასახიერა ეპოქის ყველაზე გამოჩენილ ადამიანთა თავგადასავალში, აქ პიროვნების ბედი ერწყმის ქვეყნისა და ხალხის ბედს.

ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორი საუკუნის ისტორიაში ვისზე, რომელ ისტორიულ პიროვნებაზე შეაჩერებდა რომანისტი ყურადღებას. რაკი ეს იყო ამ ნიშნით შერჩეული ტრილოგია - პირველი წიგნი ანტონ კათალიკოსს მიეძღვნა, მეორე - სოლომონ დოდაშვილს და ამის შემდეგ ყოველგვარი ლოგიკურობიდან გამომდინარე, მესამე ილია ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ პიროვნებაში განსხეულ-და ის ეპოქა, მთელი თავისი უარყოფითით და დადებითით. დღეს უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საუკუნე და ეს საქართველო ილია ჭავჭავაძემ შექმნა

უპირველესად საკუთარი შესაძლებლობების ხარჯზე და თანამოაზრეთა თანადგომით. ეს გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, სიფრთხილეს და სიზუსტეს აკისრებდა ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანის ავტორს. ნაწარმოებს მთლიანად უნდა გაეცოცხლბინა ეპოქის წინამძღოლის პირადი, საზოგადოებრივი და შემოქმე-დებითი ცხოვრება. ამათთან ერთად უნდა ეჩვენებინა, რა იყო ჩვენი წარსულის, ჩვენი ხასიათის სიმტკიცე და სად, რაში იყო მისი სისუსტე. მან შეძლო სრული დამაჯე-რებლობით გაერთმია თავი დასახული მიზნისთვის და შთამომავლობისთვის დაეტო-ვებინა ილია ჭავჭავაძის მაღალმხატვრული სახე.

რაც შეეხება რომანებს „დღეები ბრესთის ციხე-სიმაგრეში“, „მაკიზარები“ და „პიასტის ნამუხლარზე,“ - ამ ტექსტების განხილვისას თამამად შეგვიძლია დავასკვ-ნათ, რომ ალექსანდრე კალანდაძემ ქართულ ლიტერატურას სამი უმნიშვნელოვანესი ტექსტი შემატა. როგორც აღვნიშნეთ, იმ პერიოდში გარკვეული მიზეზების გამო საკმაოდ პოპულარული იყო დიდი სამამულო ომის თემატიკაზე შექმნილი მხატვ-რული ნაწარმოებები, მაგრამ რაკი ალექსანდრე კალანდაძე თვითმხილველი იყო იმ ყვლეაფრისა, მან გამორჩეული ფორმით, განსაკუთრებული უშუალობითა და გულახდილობით მოახერხა სათქმელის მკითხველამდე მიტანა და სწორედ ამით გახდა კიდეც ეს რომანები დასამახსოვრებელი ჩვენთვის.

აღვნიშნეთ ისიც, რომ პერსონაჟები მეტ-ნაკლები მაღალმხატვრულობით გამო-ირჩევიან, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს, ზოგადად, რომანებს.

„მწვანე შტომ“ გადაგვიშალა ახალ მიმართებებს, ხლართებსა და განზო-მილებებში თავისებურად დანახული და გააზრებული სისხლსავსე ცხოვრება. ეს რომანი ინტერესს იწვევს ხასიათების არაჩვეულებრივი სიმდიდრითა და რეალუ-რობით. მწერალი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ პლანში სვამს პიროვნების მთლია-ნობის აქტუალურ საკითხებს.

„მწვანე შტო“ ნოვატორული რომანია, ავლენს რა მხატვრულ-გროტესკულ სპე-ციფიკას, ეხება ხელოვნების, ფსიქოლოგიის საკითხებს.

მასში ასახულია მრავალმხრივ საგულისხმო პერიოდი. ასეთ თემასთან შეჭიდე-ბა რთული და სარისკო საქმე იყო. ალექსანდრე კალანდაძემ ერთმანეთს დაუპირის-პირა მართალი, ჯანსაღი, მებრძოლი იდეებით შეიარაღებული ადამიანები და ვითარე-

ბით გათამამებული მედროვეები.

ალექსანდრე კალანდაძის, როგორც კრიტიკოსის და ლიტერატორის მოღვაწეობის წლები საბჭოთა კავშირის პერიოდს მიეკუთვნება. ამიტომ მისი შემოქმედების შესწავლისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რამდენად განმსაზღვრელი იყო იმდროინდელი რეჟიმის მიერ განხორციელებული ცენზურა, ალექსანდრე კალანდაძემ, რომელმაც თავის თავზე იწვნია მეორე მსოფლიო ომი, ტყვეობა, კარგად იცოდა საბჭოთა კავშირის ბნელი მხარეები. მას, როგორც გამორჩეული ალღოსა და საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილები მქონე ადამიანს კარგად ესმოდა, რომ საჭირო იყო საქმის უხმაუროდ კეთება. საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვლინდა, როგორ ოსტატურად ცდილობს მკვლევარი ქართული ლიტერატურის ისტორია ისე მიიტანოს მკითხველამდე, რომ „ძლიერთა ამა ქვეყანისათა“ გაღიზიანება არ გამოიწვიოს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია, სათქმელმა ადრესატამდე მიაღწიოს. ამიტომ მისი კრიტიკული წერილების უმრავლესობას ერთგვარი ალეგორიული ხასიათი დაჰკრავს, უკეთესად რომ ვთქვათ, - ცდილობს ქვეყნის ისტორიას „გაუუცხოვდეს“, ისე აღწეროს, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არ ხდებოდა შორეულ წარსულში და რომ ეს, მისი მხრიდან, მხოლოდ ფაქტების აღნუსხვაა და მეტი არაფერი.

იგი ერთ-ერთი პირველია, ვინც თავს უყრის, განიხილავს და პირადი შეხედულებების მიხედვით საკუთარ ადგილს უჩენს მე-19 ს-ის საქართველოში მიმდინარე მეტ - ნაკლებად მნიშვნელოვან ყველა ლიტერატურულ პროცესს. იქნება ეს პერიოდული ჟურნალ-გაზეთები, თუ ცალკეული მწერლები და პოეტები. ვფიქრობთ, მისი ნაშრომები დღემდე იმით ინარჩუნებს აქტუალურობას, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა შექმნილიყო მთლიანობის ამსახველი სურათი, ფაქტია, რომ ალექსანდრე კალანდაძე, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მანამდე არსებულ ფრაგმენტულ ინფორმაციებს, მწირ ცოდნას უყრის თავს და საზოგადოებას საკუთარი ხედვით გამდიდრებულს აწვდის.

ალექსანდრე კალანდაძის მეცნიერული ღვაწლის შესახებ საუბრისას, სრულიად ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი კოლოსარული ნაშრომი, ხუთტომეულის სახით, რომელიც დღემდე ფასდაუდებელია - „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. ეს იყო მრავალწლიანი შრომა, რომელმაც ხელი შეუწყო დარგის შექმნასა და განვითარებას. რთულია მოიძებნოს ამ პერიოდში მსგავსი თანამედროვე მიდგომებით შესრულებული

საქმეები. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქმის ცოდნა ყველა ეპოქაში ერთნაირად იყო საჭირო და ამასთან, ასეთი მონდომებით შესრულებული სამუშაო დიდხანს გაუძლებს დროს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ალექსანდრე კალანდაძისეული მუშაობის მეთოდი. იგი დეტალურად აღწერს ვითარებას და მხოლოდ ამ ყოველივეზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა. ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი, მეცნიერის მიერ გამოტანილმა დასკვნებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომ შეფასებებსაც.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავტორს საბჭოთა ცენზურის პირობებში უწევს მასალების გამოქვეყნება, ამის კვალი, რა თქმა უნდა, ემჩნევა მკვლევრის იმ გამოცემებს, რომელზედაც დღეს ვსაუბრობთ. არა ერთგან შევხვდებით ციტატებს მარქსის ან ლენინის შრომებიდან, ასე რომ, ამ კონტექსტის გათვალისწინებით ჩვენ მივიღეთ იმ დროისთვის საკმაოდ დიდი გაბედულების მქონე განაცხადი, ასე ვთქვათ, მიმართულება, რომლის ფაქტობრივად მოპოვებაც სულ მალე მოინდომეს შემდგომმა თაობებმა საბჭოთა საქართველოში. ეს იყო აზრის გამოხატვისა და სიტყვის თავისუფ-ლება. ყოველივე, რა თქმა უნდა, გარდაუვალი რეალობა იყო, რომელსაც, ადრე თუ გვიან, განხორციელება ეწერა, მაგრამ ამ რეალობას შემზადება ესაჭიროებოდა, აზროვნების მიმართულების შეცვლა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და გამომ-ხატველი იყო ალექსანდრე კალანდაძე, თანაც, ეს ყოველგვარი ყალბი პათოსურობის გარეშე მოახერხა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანტონ დიდი, (1990). სწავლანი. თბილისი:საქართველოს ეკლესიის კალენდარი.
2. არისტოტელე, (1944). პოეტიკა. თბილისი: მერანი.
3. არჩვაძე, ლ. (1988).ზნეობრივი საყრდენები. თბ.: ლიტერატურული საქართველო.
4. ასათიანი, გ. (1974). კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები. თბილისი: მერანი.
5. ასათიანი, გ. (1983).თანამდევი სულები. თბ.: ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (1991). სტოკჰოლმი: ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი.
7. ბაიაძე, ვ. (1979). რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების (მამულიშვილური ვალის ერთგულება). თბილისი: განათლება.
8. ბალანჩივაძე, რ. (1977). ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატუარაში. თბილისი: მეცნიერება.
9. ბანძელაძე, გ. (1966). ეთიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
10. ბანძელაძე, გ. (1966). შრომის ღირებულების ასპექტები, თბ.: საბჭ. საქართველო.
11. ბანძელაძე, გ. (1979). რა არის ზნეობა. თბილისი: საქართველოს სსრ საზ-ბა ცოდნა.
12. ბანძელაძე, გ. (1982). ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: მეცნიერება.
13. ბარამიძე, გ. (2002). ლიტერატურული პარალელები. თბილისი: ლომისი.
14. ბარამიძე , რ. (1990). ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება.
15. ბარამიძე, რ. (1986). ქართული მწერლობის შესავლისთვის. თბილისი: განათლება.
16. ბარდაველიძე, ბ. (1967). პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
17. ბასილაძე, ნ. (1998). ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. ბათუმი: ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. ბაქრაძე, ა. (1981). განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილი. თბილისი: მნათობი.
19. ბაქრაძე, ა. (1990). რწმენა. თბილისი: მერანი
20. ბაქრაძე, ა. (1999). კარდუ. თბილისი: მერანი
21. ბაქრაძე, ა. (2000). არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ. თბ.: ჟ. ცისკარი.

22. ბაქრაძე, ა. (2000) საიდან მოდის ადამიანი. თბ.: საქართველოს რესპუბლიკა.
23. ბაქრაძე, არჩ. (1991). ადამიანის შესაძლებლობის პრობლემისათვის, ადამიანი, გონი, შესაძლებლობა (ფილოსოფიის ანთროპოლოგიის საკითხები). თბ.: მერანი
24. ბენაშვილი, გ. (1989). ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები. თბ.: მერანი.
25. ბერიძე, ფ. (1983). ლიტერატურული წერილები. თბილისი: ცოდნა.
26. ბიბილური, თ. (1978). ჟამი კითხულისა. თბილისი: საბჭოთა ხელოვნება.
27. ბიბილეიშვილი, ი. (1979). ზნეობრივი გმირის ესთეტიკური იდეალები. ბათუმი: აჭარა.
28. ბიბილეიშვილი, ი. (1997). ცხოვრების საზრისი. ბათუმი: აჭარა.
29. ბოჭორიშვილი, ა. (1982). რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
30. ბოჭორიშვილი, ა. (1991). პიროვნება, ღირებულება, შემოქმედება. თბ.: მეცნიერება.
31. ბოჭორიშვილი, ა. (1979). ადამიანის თავისუფლების პრობლემა (ფილოსოფიის ანთროპოლოგიის საკითხები). თბილისი: მეცნიერება.
32. ბოჩკოვა, ლ. (1981). აბსტრაქტული...სადღეისო – კრიტიკა.თბოლისი: საბჭოთა საქართველო.
33. ბოჩკოვა-ხვიჩია, ლ. (1995). ლიტერატურული ეტიუდები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
34. ბრეგაძე, ა. (1984). ადამიანის შინაგანი ბუნება და მისის გარეგამოვლენა. თბილისი: მეცნიერება.
35. ბრეგაძე, ა. (1988). ადამიანი და რწმენა. თბილისი: ცოდნა.
36. ბრეგაძე, ა. (1991). ადამიანის არსი და ხასიათი. თბილისი: მეცნიერება.
37. ბრეგაძე, ლ. (1981). ჟამი რომ არა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
38. ბუაჩიძე, თ. (1990). გონი და სინდისი. თბილისი: ცოდნა.
39. ბუაჩიძე, თ. (1987). ღირებულება და ადამიანის დანიშნულება. თბ.: განათლება.
40. გაგოშიძე, შ. (1989). ლიტერატურულ-პუბლიცისტური ეტიუდები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
41. გამსახურდია, ზ. (1990). საქართველოს სულიერი მისია. თბილისი: განათლება.
42. გაფრინდაშვილი, რ. (1973). მორალურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის საკითხისათვის. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

43. გაჩეჩილაძე, გ. (1982). ისტორია და მწერალი-ისტორიკოსი – კრიტიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
44. გაჩეჩილაძე, ვ. (1986). სულიერი გამოცდილების სამყაროში. თბილისი: მერანი.
45. გელოვანი, ა. (1980). მარად ცოცხალი ხელოვნება. თბილისი: ხელოვნება.
46. გელოვანი, ა. (1990). რწმენა, ღმერთები, ადამიანები. თბილისი: საქართველოს კპ. ცკ.-ის გამომცემლობა.
47. გვერდწითელი, გ. (1983). ახალი ჰორიზონტი თუ ძველი. თბ.: საბჭ. საქართველო.
48. გვერდწითელი, გ. (1985). ოთხი მწერალი ოთხი სამყარო. თბ.: საბჭ.საქართველო.
49. გვერდწითელი, გ. (1991). ნაფიქრ-ნაიმედარი. თბილისი: მერანი.
50. გოგუაძე, ვ. (1980). სიმშვიდის ქრისტიანული იდეალი. ადამიანი, როგორც ესთეტიკური ფენომენი.თბ.: თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
51. გოგუაძე, ვ. (1993). მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია. თბილისი: ლეგია.
52. გორდეზიანი, რ. (1993). ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
53. ერქომაიშვილი, ვ. (1996). ფილოსოფია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
54. ვასაძე, თ. (1980). სახეები და პრობლემები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
55. თვარაძე, რ. (1996). ქართული ცნობიერება და რეფლექსირებადი ადამიანები. თბილისი: ლიტერატურული საქართველო
56. იმედაშვილი, კ. (1980). მითი და თანამედროვე ქართული პროზა. თბ.: მნათობი.
57. ვარდოსანიძე, ს. (1974). წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
58. ვარდოსანიძე, ს. (1981). თვითონ საგნები ოდნავადაც არ ეხებიან სულს. ჟ. სკოლა და ცხოვრება.
59. ზურაბაშვილი, ა. (1973). პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
60. თვარაძე, რ. (1988). თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. თბ.: საბჭ. საქართველო.
61. თითმერია, ჯ. (1979). დრო, ფიქრი, სიტყვა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
62. იმედაშვილი, კ. (1982). მონოლოგები და დიალოგები. თბილისი: მერანი.

63. კალანდარიშვილი, ვ. (1991). ადამიანი, კულტურა, ღირებულებები. თბილისი: საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამომცემლობა.
64. კალანდაძე, ალ. (1956). მასალები ივანე კერესელიძის ლიტერატურული მოღვა-წეობისათვის. თბილისი.
65. კალანდაძე, ალ. (1957). ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს მოამბის დაარსება-შენარჩუნებისათვის. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
66. კალანდაძე, ალ. (1958). ქართველ მწერალთა სახელები. თბ.: საბჭ. საქართველო.
67. კალანდაძე, ალ.(1959). ივანე კერესელიძე (მონოგრაფია).თბ.: საბჭ. საქართველო.
68. კალანდაძე, ალ.(1963). საქართველოს მოამბე (მონოგრაფია). თბილისი: განათლება.
69. კალანდაძე, ალ., (1965). „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან." თბილისი: განათლება.
70. კალანდაძე, ალ. (1972). ქართული კლასიციზმი, ქართული სენტიმენტალიზმი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი. მერანი.
71. კალანდაძე, ალ. (1968). „ნიკოლოზ ბარათაშვილი. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. თბილისი: განათლება.
72. კალანდაძე, ალ. (1976) .გემოვნების კრიტიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
73. კალანდაძე, ალ. (1980). კრიტიკა, პოლემიკა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
74. კალანდაძე, ალ. (1977 -1986). ჟურნალისტიკის ისტორია. თბილისი: განათლება.
75. კალანდაძე, ალ. (1977). ნეიშნის ფიცი (ანტონ ბაგრატიონი).თბ.: საბჭ.საქართველო.
76. კალანდაძე, ალ. (1981). შარავანდედი (სოლომონ დოდაშვილი). თბ.: მერანი.
77. კალანდაძე, ალ. (1982). გარდამოხსნა (ილია ჭავჭავაძე). თბ.: საბჭ. საქართველო.
78. კალანდაძე, ალ. (1988). ცეკვა ხანჯლებით. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
79. კალანდაძე, ალ. (1991) ალ. ბატონიშვილის ცხოვრების რომანი. თბილისი: მერანი.
80. კალანდაძე, ალ . (1979) მწვანე შტო. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
81. კალანდაძე, ალ. (1986). ბორბალი. თბილისი: მერანი.
82. კალანდაძე, ალ. (1989). წყვდიადში შეხვედრა. თბილისი: მერანი.
83. კალანდაძე, ალ. (1990). ვამპირთა ღრეობა. თბილისი: მერანი.
84. კალანდაძე, ალ. (1991). არჩევანი. თბილისი: მერანი.
85. კალანდაძე, ალ. (1936-1985). ლიტერატურულ-მეცნიერულ პერიოდიკაში დაბეჭდილი წერილები. თბილისი: ლიტერატურა და საქართველო.

86. კალანდაძე, ალ. (1986). გვაქვს საგანძური. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
87. კალანდაძე, ალ. (1967). პიასტის ნამუხლარზე. თბ.: ლიტერატურა და ხელოვნება.
88. კალანდაძე, ალ. (1961).დღეები ბრესტის ციხე-სიმაგრეში.თბ.: საბჭ. საქართველო.
89. კალანდაძე, ალ. (1970). მაკიზარებთან. თბილისი: მერანი.
90. კანკავა, გ. (1989). ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
91. კანკავა, გ. (1985). ლიტერატურული წერილები. თბილისი: მერანი.
92. კახიძე, ო. (1992). სიყვარული და ზნეობა. თბილისი: საქართველო.
93. კვანჭილაშვილი, თ. (1985). მწერალი, ლიტერატურა, დრო. თბილისი: მერანი.
94. კვანჭილაშვილი, თ. (1989). ათი მწერალი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
95. კეკელიძე, კ. (1981). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (ტ.II). თბილისი: მეცნიერება.
96. კოდუა, ე. (1976). ისტორიის საზრისის საკითხისათვის. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
97. ლეონიძე, გ. (1958) ქართველი გმირები, გამოკვლევები, წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
98. მაღრაძე, ე. (1979). გულითა მართლით. თბილისი: ნაკადული.
99. მშვენიერიძე, ნ. (1986). კანტის მოძღვრება ადამიანის შესახებ. თბ.: მეცნიერება.
100. მორუა, ა. (1999). ღია წერილი ახალგაზრდა კაცს ცხოვრების მეცნიერებაზე. თბილისი: ლიტერატურული საქართველო.
101. მიშველაძე, რ. (1996). მინაწერები სატელეფონო წიგნზე, წერილები, დიალოგები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
102. მორუა, ა. (1986). ლიტერატურული ეტიუდები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
103. ნადირაძე, გ. (1997). ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: ნეკერი.
104. სირაძე, რ. (2000). ქართული კულტურის ქრისტიანული საფუძველები (ძირითადი პრობლემები). თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
105. სიგუა, ს. (1984). აღთქმული ქვეყნის ძიება. თბილისი: მეცნიერება.
106. სირაძე, რ. (2000). ქართული კულტურის ბიბლიური საფუძვლები. თბ.: ქომაგი.
107. სოსელია, მ. (2000). ზნეობის გაკვეთილები. თბილისი: სახალხო განათლება.
108. ტაბიძე, ნ. (2003). მეოცნებე მარადიული. თბილისი: მერანი.

109. ფანჯიკიძე, თ. (1968). ადამიანი და რელიგია. თბილისი: მეცნიერება.

110. ქიქოძე, გ. (1985). წერილები, ესეები, ნარკვევები. თბილისი: მერანი.

111. ჩიჩუა, შ. (1984). რომანი და ხელოვნების საგანი. თბ.: საბჭოთა საქართველო.

112. ჩხარტიშვილი, შ. (1958). ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. თბ.: ცოდნა.

113. ჩხეიძე, რ. (2002). ლიტერატურული პარალელები. თბილისი: ლომისი.

114. ჩხეიძე, ნ. (1977). კრიტიკული წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

115. ჩხეიძე, ნ. (1969). ლიტერატურული წერილები. თბ.: საბჭოთა საქართველო.

116. ცაიშვილი, ს. (1984). ლიტერატურული ეტიუდები. თბილისი: მერანი.

117. ცაიშვილი, ს. (1981). მარადიული სახეები. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

118. ცინცაძე, გ. (1981). პიროვნება, დრო, განწყობა. თბილისი: მეცნიერება.

119. წერეთელი, მ. (1990). ერი და კაცობრიობა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

120. Андреева, Е . (1961). Проблема палажительного героя. Воронеж: изд-во Воронежского Университета.

121. Бахтин, М. (1975). Вопросы литературы и эстетики. Москва.

122. Бердяев, Н. (1993). О назначении человека. Москва.

123. Буряк, Б. (1972). Художственний идеал и характер. Москва: сов. Писатель.

124. Есин, А. (1999). Психологизм в книге: Введение в литературовевение. Москва: Высшая школа.